

3

სამხრეთ საქართველოს ისტორიის
გაცემები

(XV — XVI სა.)

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ



საქართველოს

მეცნიერებების

Материалы по истории южной Грузии

(XV—XVI вв.)

Публикация текстов, исследования и указатели
Х. Г. Шарашидзе

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР


ТБИЛИСИ—1961

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასაღები

(XV—XVI სს.)

ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები
ქრ. შარაშიძისა

K 97.651
3



წინასიტყვაზობა

ეს ნაშრომი „საქართველოს ისტორიის მასალების (XV—XVIII სს.)“ 1954 წ. გამოქვეყნებული I ნაკვეთის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს¹.

ქრონილოგიური ფარგლებისა და შინაარსის მიხედვით ეს არის სამხრეთ საქართველოს XV—XVI სს. ისტორიის მასალები XV ს. 20-იანი წლებიდან 1587 წ.-დე. ნაშრომი მიზნად ისახავს შეკვეთა და განვითარების მისაწვდომი განადოს დღემდის ნაკლებად ცნობილი და საისტორიო თხზულებებში სრულიად გამოუყენებელი ძეგლები: სამი ხელნაწერიდან (S: 1246, Q: 642, Q: 969) გაღმოწერილი მოსახსენებლები და თ. უორდანის „ქრონიკების“ II წიგნში, უმეტეს შემთხვევაში, შემოკლებით მოთავსებული საბუთები: Ad: 320, 522, 547, 549, 91, 697, 720; Hd: 2080, 2083, 2130.

ჩამოთვლილ ძეგლებს მიყენეართ სამხრეთ საქართველოს ისტორიის XVI ს. 90-იან წლებამდის. მთლიანი სახით აღმოჩენილი დასახლებული სამუთები სამხრეთ საქართველოს ცხოვრების ტრაგიკული ფინალის გარევეულ ახსნას გვაძლევენ. წინააღმდეგობათა ის რთული ხლართი, რომელიც ასახულია ხსენებულ ძეგლებში, XVI ს. 40—50 წლებში სულ უფრო და უფრო რთულდება და 70-იან წლებში მძაფრი შინაური ბრძოლის ხასიათს იღებს, რაც ხელს უწყობს თურქეთის აგრესორების გამარჯვებასა და საათაბაგოს სრულ ანექსიას XVI ს. 80—90-იან წლებში.

¹ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 197—304.

გარებულობთ შემთხვევით და ვასწორებთ ამ ნაშრომის 240 გვ. გამარტულ შეცდომას: ნ. მარის „იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ (თბ., 1955, გვ. 36, აღწ. 13) ბევრა ჩოლაგაშვილის მინაწერში მოხსენებული „პატრონი მეფეთ-მეფე“ გიორგი არის არა გიორგი VIII, არამედ მისი შეილიშვილი, ისტორიაში ავ-გიორგის სახელით ცნობილი კანთა შეფე (1511—1513) გიორგი ალექსანდრეს ძე, ლევან კახთა მეფის (1520—1574) მამა-



სურათის მთლიანობისათვის საჭიროდ დავინახეთ ქართული ეკლესია
ლად მხოლოდ ერთხელ, 1890 წელს, გამოქვეყნებული საყოველობრივი
თაოდ ცნობილი ძეგლის „მესხური დავითის მატიანის“ შეტანა
„მასალების“ ამ მეორე ნაკვეთში.

აქ ჩამოთვლილი ძეგლების ტექსტებს სათითაოდ დართული
აქვს სათანადო გამოკვლევები.

ქ. შარაშიძე

შესაფალი

სამხრეთ საქართველოს ისტორიის აქ წარმოდგენილი მასალების გამოქვეყნება მიზნად ისახავს ნაწილობრივ მაინც მოპირის შუქი ძველი მესხეთის ისტორიის წყაროების სიმცირის გამო დღემდის ჩრდილში დარჩენილ საკითხებს XVI. 20 წლებიდან მოყოლებული XVI ს. 70—90 წლებამდის.

ეს ასსამოცდაშვიდი წელი გადამწყვეტი მნიშვნელობის პერიოდია არა მარტო სამცხე-კლარჯეთის, არამედ მთელი ერთობლივი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ბედილბალში. როგორც ცნობილია, საქართველოს არცერთ კუთხეს არ შესრულებია ამ ბედილბალში იმდენად დიდი როლი, როგორიც შეასრულა საათაბაგომ—ჯაყელ-ციხისჯვარელთა სეპარაციულმა მისწრაფებამ მთელი XV—XVI სს. მანძილზე.

ამავე დროს ფეოდალური დაშლის გზაზე მდგომ საქართველოში არსად არ გამოვლენილა ისეთი სიცხადით დაძველებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, როგორც სამცხის სამთავროში. ამის გამო „მასალების“ ეს ნაკვეთი ჩენი ქვეყნის წარსულის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს.

გამოქვეყნებული ტექსტები სამ ნაწილად იყოფა: I. მოსახსენებლები, II. მცხეთის საბუთები, III. „მესხური მატიანე“.

I. მოსახსენებლები

სამცხის ათაბაგებისა და დიდგვარიანების მოსახსენებლების ტექსტები განლაგებულია არა მათი მოპოვების კვალობაზე (S : 1246, Q : 969, Q : 642), როგორც გამოკვლევაში (იხ. 1¹, არამედ ქრონიკოგიური რიგის მიხედვით).

¹ ასე იყვნენ ისინი განლაგებული 1958 წ. საქართველოს მუზეუმის სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში. შრომის ამ ნაწილის ხელახლა დაწერა ჩვენ ვერ შევძელით.



უკელაზე უადრესი კოპასძეთა სახლში შედგენილი მუსახმარებლების სენებელია (I—Q: 969). აქ ცოცხალთა შორის მოსახნებლებს ქაიხოსრო I-ლის ვაჟი ყვარეყვარე ათაბაგი (გარდაიცვალა 1535 წ.), რაც მოშობს, რომ მოსახნებელი 1535 წელზე იდრეა დაწერილი.

კოპასძეთა სახლში დაწერილ მოსახნებლებს ქრონოლოგიურად მისდევს ამილახორთა სახლში შედგენილი მოსახნებელი (II—S: 1246), რომელიც, ქვირინიშნის მიხედვით, XVI ს. 20—40 წლებით თარიღდება.

მესამე, უკანასკნელი, დ. ბაქრაძის მიერ აქარა-გურიაში მოგზაურობის დროს აღწერილ „მეწიეთის მარხვანში“ ჩართული მოსახნებელია, რომლის შედგენა, ხელნაწერის თარილის მიხედვით, 1566 წ. უნდა მიეკუთვნოთ (III—Q: 642). იგი დღემდის ცნობილი იყო მხოლოდ რუსული თარგმანით. ჩვენ მის დედინის სეულ ქართულ ტექსტს ვავეყყნებთ. ამ სამი მოსახნებელის წყალობით შესაძლებელი ხდება ათაბაგთა სახლის წევრებისა და სამცხის არისტოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენლების ყოვლად უტყუარი სიის შედგენა. ტექსტების ბოლოს დართული გამოკვლევა XV—XVI სს. ამ აღამიანების ვინაობის გარკვევის ცდას წარმოადგენს.

განსაკუთრებით შინიშვნელოვანია ხსენებული მასალა სამცხის მთავრებისა (ათაბაგების) და მათი სახლის წევრების შეუცდომელი თანამიმდევრობის დასადგენად.

როგორც შესატყვის გამოკვლევაშია აღნიშნული, ეს მასალა ასწორებს დ. ბაქრაძის, თ. ქორდანიას' და მომდევნო მკვლევართა მცდარ ვარაუდებს „ყვარეყვარეთა“ (ყვარეყვარე დიდისა—1416—1498 და მისი შვილიშვილის, ყვარეყვარე ქაიხოსრო I-ძის—1516—1535), მათი თანამეცხელრებისა და შვილების შესახებ.

II. მცხეთის საბუთები

„მოსახნებლებს“ მისდევს ე. წ. მცხეთის საბუთები, რიცხვით ათი (1—10). ამ ათი საბუთის დედნისეული ტექსტები აშეუქებს მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის საკათალიკოსოს საეკლესიო და სხვა მამულების გამო ატეხილ დავის XV—XVI სს.

უნდა გვასხოვდეს, რომ მცხეთის საყდრის მამულებს, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი—ქართლ-კახეთსა თუ სამცხე-კლარ-



ჯეთში, ფეოდალური წესის თანახმად, მცხეთის საყდრისაფილი წლიური შემოსავლიდან გარკვეული ხარჯის ძლევა ევალებოდა². ასე მაგალითიდ, 1452 წლის ახლო ხანებში დაწერილი ერთ-გულობის წიგნის თანახმად, კახეთში მდებარე განთქმული ალავრდის საყდრისა და სამწყსოს საქეთმპყრობელი ალავრდელი აღუთქვამს დავით კათალიკოსს (1447—1459 წ.) ერთგულებას და ბოლოს დასძენს: „და რა წესი ყოფილა ალავრდელისაგან საწელიშვილსთა, იგი აროდეს დაგაკლოთ“³. ალავრდელის ერთგულობის წიგნის ეს დაბოლოება გულისხმობს, რომ ალავრდის საყდრის დამოკიდებულება მცხეთის საკათალიკოსოსაგან, დიდი ხნიდან განმტკიცებული წესის თანახმად, სხვათა შორის, მცხეთის საყდრისათვის „საწელიშვილს“ ანუ წლიური ხარჯის გაღებაში იხატებოდა.

ეს წესი, როგორც საბუთების დედნები მოწმობს, ვრცელდებოდა მცხეთის ანუ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს აღგილმამულებზე და ამ აღგილებზე მოსახლე სასულიერო თუ საერთო პირებზე. ჩვენაშილის უმეტეს ნაწილად ნაკლული სახითაა მოლწეული მცხეთის მამულების ვრცელი ნუსხები. ამ საერთო ხიმოთველილ მონასტრებსა თუ სხვა მამულებს, ყველას უკლებლივ, გარკვეული საწელიშვილ გადასახადი მართებდა მცხეთის საყდრისა.

ეს ოდესალაც უდავო წესი „უამთა სიავემ“—გარეშე მტრების ხშირმა თავდასხმაშ და შინაგანი განვითარების გარდუვალმა მსვლელობაშ შეარყია და სადაცოდ ძქცია. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასა და, საერთოდ, ფეოდალური საქართველოს ეკონომიკურ დაჭვებითებასთან ერთად ცელი ურთიერთმიმართება მოიშალა. საწელიშვილ ხარჯის გაღება სულ უფრო და უფრო ნაკლები ხალიათ ხორციელდებოდა.

განსაკუთრებით გართულებული უნდა ყოფილიყო მდგომარეობა სამცხეში მდებარე საეპისკოპოსოებსა და სათავადო მამულების მცხეთის საკათალიკოსო საყდრისთვის როგორც საწელიშვილთვით გადასახადის გაღების, ისე დამოკიდებულების ყოველგვარი სახის შენირჩუნების საქმეში.

სამცხის ათაბავების შეუზღუდვავი ხელისუფლებისათვის ბრძოლა, როგორც ცნობილია, ას იფარვლებოდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოპოვების მისწრაფებით; იგი მიზნად ისახავდა შესხე-

² თ. ეროვნული მუზეუმი, ქრონიკები, II, გვ. 264.

თის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთის საკათალიკოსოს „ძველით გან საქონებელი და სამწყსო“ მდიდარი ეკლესია-მონასტროში მდგრადი და სათავადოების ხელში ჩადგებას.

ამ ნიადაგზე აღმოცენებული საუკუნოვანი ბრძოლისათვის აკადემიურის ივ. ჯავახიშვილს მიძღვნილი აქვს თავისი ისტორიის არაერთი ფურცელი².

ისტორიუმს დაწვრილებით და ამომწურავად აქვს განმარტებული ამ ბრძოლის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა „ერთობლივი საქართველოს“ დაშლის პროცესში. მაგრამ ხსენებული საკითხის გაშუქებისათვის დღემდის გამოყენებული საბუთები უმეტეს ნაწილად ცნობილი იყო თ. უორდანის „ქრინიკებში“ (II) შემოკლებით მოთავსებული ტექსტების სახით.

ეგრეთ წოდებული მცხეთის საბუთების დედნების გაცნობა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ამ ბრძოლის ღრმა ეკონომიკური მიწეზებიც, რომლებიც დიდად დამახასიათებელია ფეოდალიზმისათვის.

საბუთების მიხედვით სადაც საკითხები არ ამოიწურებოდა მით, რომ სამცხის ეკლესის მსხურნი ყოფილიყვნენ „მეფეთა მლოცველნი“, წირვა-ლოცვაში საქართველოს კათალიკოსის მომსხენებელნი და ერთგულნი, რომ ეპისკოპოსები უმცხეთოდ არ იყერთხებოდენ და სხვა, ერთის შეხედვით, ფორმალური დამოკიდებულების წმინდა გარევნული წესის შემსრულებელი.

ხსენებულ აქტებში—მესხეთის ეპისკოპოსების საერთგულო პირობის წიგნებში სრულიად ნათლად ჩანს დღემდის ჩრდილში დარჩენილი ერთი მუხლი, რომ მცხეთის „ძველითგან საქონებელი და სამწყსო“ საეკლესიო და სათავადო მამულების მოსარგებლე პირები, დიდი ხნიდან განმტკიცებული ტრადიციის ძალით („ვითა წესად ძეს“), უნდა ყოფილიყვნენ ქართლის კათალიკოსის „წლითიწლად მეძლუნენი და მოსამსახურენი“.

ამ საკითხის წინ წამოწევის წყალბით სრულიად ახალი შუქი-ეფინება ცნობილსა და არაერთგზის გამოქვეყნებულ საბუთებსაც. განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ეს 1515—16 წწ. დაწწერილ საბუთზე, რომლის სათავრიცაა: „...კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიიკეოსა მცხეთისა ეკლესიისა ძუელით გან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 53—61, 164—172.

ამ აქტის სათაურიც კი გარკვევით გვეუბნება, რომ 25 დიდი
მაშული და მასზე დასახლებული თავადნი მცხეთის დიდი ფეოდალი იყო
ლური ერთეულის მობეგრენი არიან, როგორც მისი „ძუელითგან
საქონებელი“.

როცა ჩვენ ვკითხულობთ მესხეთის ფეოდალთა ამ გრძელ-
ნუსხის, შიგ ჩართული დიდი მონასტრებითურთ (პარხალი, ოშკი,
ვარძია), ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ 25 დიდი მამულის მდი-
დარ ფეოდალებს—ქავეასიძეებს, შალიკაშვილებს, ბერიაშვილებსა
და სხვ., მათი აზნაურიშვილებითა, ციხე-სიმაგრეებითა და ყმრბი-
თურთ, რომელთაოვისაც ცნობილი იყო, რომ ისინი „ძუელითგან“
მცხეთის ეკლესიის საქონებელი და სამწყსონი ყოფილან, არ შე-
ეძლოთ გულგრილ მაყურებლებად დარჩენილიყვნენ ქართლის მეფე-
კათალიკოსისა და სამცხის ათაბაგებს შუა ატენილ ხანგრძლივ და-
ვაში. ვინც ქართლის კათალიკოსს სცნობდა პატრონად, ლოგი-
კურად ის ამ დავაში ათაბაგებს უნდა გადასდგომოდა.

აღნიშნულ გარემოებას არამცირედი როლი უნდა შეესრუ-
ლებინა ათაბაგების მიერ ამ ბრძოლის წაგებაში და სწორედ აქ
უნდა იყოს ჩამარხული ათაბაგების ამ უბანზე დამარცხების ერთ-
ერთი მიზეზი.

III. „მესხური ფსალმუნის ქრონიკა“

მესამე და უკანასკნელი ადგილი „მასალებში“ უჭირავს ფარ-
თოდ ცნობილ ძეგლს „მესხურ მატიანეს“. მისი პირველი გამო-
ცემა 1890 წლისა დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას
წარმოადგენს⁴. „მესხურ ქრონიკაზე“, რომელსაც ჩვენ რამდენიმე
გამოკვლევა ვუძლევთ (იხ.), სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მი-
გვაჩინია. იგი საოცარი სიცხადით გვიხატავს ოდესალაც დიდებულია
ხოლო თურქეთის აგრესიის წყალობით განახევრებული მესხეთის
აგონიას.

⁴ ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890; მისივე რუ-
სული გამოცემა: „Источники грузинских летописей, Три хроники, СМОМПК,
вып. 28.

ამ გამოცემას სიმოკლისთვის ყველგან მიუთითოთ: „ე. თ. რუს. გამოცემა“.

ՅԱԺՄԱՅՈՒԹ

მოსახსენებლები

I. კომასმეთა ხელნაწერის მოსახსენებლები¹

- Q: 969; 310r 1. ბაგრატ აფხაზთა და ქართულთა მართლმადიდებლისა მეფისა საუკუნოებისა არს საქსენებელი.
2. გიორგი კესარიონისა, აფხაზთაა, ქართველთა მეფისა...
3. დავით ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა, ახლისა მართლმადიდებელისა საუკუნოებისა საქსენებელი და კურთხევა მისი.
4. დემეტრე ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა საუკუნოებისა საქსენებელი და კურთხევა მისი.
5. გიორგი, ყოვლისა აღმოსავლეთისა ქელმწიფედ მპყრობელისა, მეფეთ-მეფისა საუკუნოებისა არს საქსენებელი და კურთხევა მისი.
6. თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა ახლისა მართლმადიდებლისა, აფხაზთა, ქართველთაა, ჰერთა და კახთა და ყოველთა ქრისტეანთა მპყრობელისა საუკუნოებისა არს საქსენებელი და კურთხევა მისი.
7. ძისა მათისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა შტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა მრავალმცა არიან წელნი მეფობისა მისისანი...
- 310v 8. დიდისა და წარჩინებულისა და სიმხნით განთქმულისა და სახელოვნისა და მტერთაგან უძლევებულისა ათაბაგ-ამი(რ)სპასალიარისა, მორწმუნისა პატრონისა ჩუენისა ყუარყუარესი საუკუნოებისა არს საქსენებელი და კურთხევა მისი.
9. ეგრეთვე მეუღლისა მათისა, დედათა დიდებისა და სიკეთისა ძეგლისა, წმიდათა მენელსაცხებლეთა

¹ Q: 969 ხელნაწერის აღწერილობა (მოსახსენებლების ტექსტების ჩართვით) გამოქვეყნებულია: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, ახალი კოლექცია, ტ. II, გვ. 381—383, თამარ ბრევაძის აღწერილობანი.



მოდასისა და სარწმუნოებისა ბეჭედსა და ცე-
თილად მოღუაშისა, ღრთისმოყვარისა პატრიკიანული და
დედისიმედის საუკუნოებისა არს საქს. და კ'ხ.

10. და პირმშოსა ძისა ზათისა, სიმჯნით ქებულისა და
სიბრძნის გამომეძიებელისა და დაუცხრომელად
ღრთის მაღიდებელისა პატრიკიანის ქაიხოსროს
საუკუნოებისა არს საქსენებელი და კურთხევად მისი.
11. და შემდგომისა და საყუარელისა მისია რისისა,
ღრთივ განბრძნობილისა, მჯნედ მჯედრ(ისა) და
მრავალთა და ძლიერთა და სახელდებულთა ფა-
ლიგანთა დამზენბელისა და ქედისა შემმუსრვე-
ლისა, საქრისტიანოსა ზღუდისა, სრულ(ი)სა ჩო-
ხოსნობისა და ანგელოზებრივისა სქემისა ღირსად
მიმღებელისა პატრიკიანისა ჩუენისა მზეპაბუკ-ყოფი-
ლსა იაკობისი საუკუნოებისა არს საქსენებელი და
კურთხევად მისი.
12. და ძმისწულისა მითისა, მჯნისა და ახოვანისა და
ქელ-პირმეტყუტლისა, აგარიანთა მომსრველისა,
გულოვნებით სახელგანთქმულისა, მტერთა შემა-
ძრწუნებელისა, სარწმუნოებისა და ქრისტეს კეშ-
მარიტისა სჯულისა მტკიცედ მპყრობელისა და აწ
მფლობელისა ჩ'ნისა პატრიკიანისა ნავ (!) ყუარყუ-
არესი საუკუნოებისა არს საქსენებელი და კურთ-
ხევად მისი, მრავალმცა არიან დღენი და უამნი
ცხორებისად მისისანი.
13. და მეულლისა შათისა, ღუთივ-გვრგვნოსანისა (!)
მთიებისა და ცისქროვნებრ ბრწყინვალისა, სი-
შველის მეძიებელისა და წერილთ-მოყვარულისა
და ჯუართა და ხატთა პირად-პირადად მამ-
კობელისა პატრიკიანისა ჩ'ნისა ანნახსი მრავალმცა
არიან დღენი და უამნი ცხორებისა მისისასანი.
14. და ძეთა მათთა, სამოთხის ნერგთა, ვარდთა სურ-
ნელთა და გონიერთა, სალთოლ-სამეცედროდ აღზრ-
დილთა პატრიკიანის მზეპაბუკისი და პატრიკიანის
ქაიხოსროსი მრავალმცა არიან დღენი და უამნი
ცხორებისა მათისანი.
15. და სოილ კობას ძისა, ტავოსა ამილახორისა და
მხატვრობით კეთილად წელოვნისა და სიბრძნის-

მეტყუცლისა და საღთოთა წერილთა ნართლიაღ
აღმასრულებელისა და თარგმანთა განმიარტებულისა
ლისა მრავალმცა არიან დღენი და უმნი სუფევი-
სასა მისისანი და კუალადცა საუკუნომცა არს სა-
ქსენებელი და კურთხევად მისი.

- 311v 16. ეგრეთვე მართლ-მადიდებელთა და კურთხეულთა
მშობელთა მისთა რუამ-ყოფილისა რამთაელისი
და რაინდო-ყოფილისა ეკატირინესი საუკუნომცა
არს საკსენებელი და კურთხევად მითი.
17. და მეტყედრისა მისისა, ღუაწლ-მრავალ და მო-
ლუაწებით წ'თა ქალწულთა მიმსგავსებულისა,
ლოცვა-მარხვით დაუშრომელსა და სრულსა მო-
ნაზონებისა და სქემოსნობისა ლირსებით სრულ-
ქმნილსა, მანგუშარ-ყოფილსა მართასი საუკუნო-
მცა არს საკსენებელი და კურთხევად მისი.
18. ძეთა და ასულთა მათთა მიცვალებულთა საუკუნო-
მცა არს საკსენებელი და კურთხევა მითი... და
ცოცხალთა მრავალმცა არიან უმნი და დღენი
ცხორებისად მათისანი, ამინ.

II. ამილაპორთა სასლის კრებულის მოსახულებლები²

- S : 1246 1. ბაგრატ აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდე-
ბლისა მეფისა საუკუნომცა არს საკსენებელი და
[კურთხევა მისი].
2. გიორგი კესაროსისა აფხაზთა, ქართველთა მართლ-
მადიდებლისა მეფისა საუკუნომცა არს საქსნ. და...
3. დავით ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა, ახლისა
მართლმადიდებლისა საუკუნომცა არს საქსნ. და კ-
4. დემეტრე ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა საუკუ-
ნომცა არს საქ.
5. გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფედ მპყრო-
ბელისა მეფეთ-მეფისა საუკუნომცა არს საქსნ. და...
6. თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა და ახლისა მართლ-
მადიდებელისა, აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა და

² ხელნაწერის დაწერილებითი აღწერილობა იხ. „ქართულ ხელნაწერთა
აღწერილობა S კოლექციისა“, ტ. II, № 1246.

კახთა და ყოველთა ქრისტიანეთა მპურობელისა
საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხევაზე მოვალეობა

7. ძისა მათისა, გიორგი, ყოვლისა აღმოსავლეთში და დასავლეთისა მტკიცედ მპურობელისა და მეფეთ
მეფისა საუკუნომცა არს საქსენებელი.
 8. დისა მათისა ოუსუდან, მართლმადიდებელისა, ყოვ-
ლისა აღმოსავლისა მტკიცე[დ] მპურობელისა საუ-
კუნომცა არს საქსენებელი და კურთხევა მათი.
 9. დავით და დავით მართლმადიდებელთა მეფეთა და
მეფეთ-მეფეთა საუკუნომცა არს საქსნ.
 10. უსხეულოთა მიმსვავსებულისა წისა მამისა ჩინისა
ეფთქმე მთაწმიდებელისა, ახლისა ოქროპირისა,
ქართველთა განმანათლებელისა, საუკუნომცა არს.
 11. წმიდათა და მართლმადიდებელთა დედოფალთა—
მარიამისი და მართასი საუკუნომცა არს საკ-
სენებ.
 12. წისა მამათა: იოვანესი და იოვანე სუნგელოზისა და
გ[იორგ]ისი საუკუნომცა არს საქ.
 13. წისა მამისა ჩინისა გ[იორგ]ი მთაწმიდებელისა, ქარ-
თველთა მნათობისა, საუკუნომცა არს საქსენებელი
და...
- 35r
14. ყოელთა ნათესავთა ჩუენთა მასპინძლისა ქართ-
ველთა, გრიგოლი სევასტოსისა, ბაკურიანისძისა,
ყოვლისა დასავლისა დიდისა დემესტლივისისა
მართლმადიდებლისა საუკუნომცა არს [საქსენე-
ბელი]...
 15. მართლმადიდებლისა მეფეთ-მეფისა გიორგისი და
მათისა მეცხედრისა.
 16. დედოფალთა-დედოფლისა თამარ-ყოფილისა სალო-
მესი საუკუნომცა არს სქ.
 17. ძისა მათისა ვახტანგისი და მათისა მეცხედრისა
გულქანისა.
 18. და ძისა მათისა ხოსროთანგილისი საუკუნომცა არს
სქ.
- 35v
19. პატრიონისა ყუარყუარესი და მათისა მეცხედრისა
დედისიმედისა.

20. და ძეთა მათთა პატრონისა ქაიხოსროსი და პატრონისა მზეჭაბუკისი საუკუნომცა არს საჯენებელო და კურთხევა მათი.
21. ვახუშტი-ყოფილისა ვასილიოსი და მათისა მეცხედრისა მეფეთ-მეფისა ასულისა ქეთაონ-ყოფილისა ქრისტინასი და ძეთა მათთა ამუანისი და ელენესი საუკუნომცა არს ს.
22. პატრონისა ელისბერისი და მათისა მეცხედრისა მარიანისი და ძეთა მათთა საუკუნომცა არს საკან.
23. ძმისა მათისა პატრონისა იოთამისი და მათისა მეცხედრისა მზეჭაბლისი და [ძეთა]³ მათთა საუკუნომცარს საკან.
24. დისა მათისა თამარისი ს-კნჩ-ცრს.
25. პატრონისა ეკატირინასი და ძეთა მათთა: ბოქასი, სურხანისი, გარსევანისი და გურგაევისი ს-კნომცა-არს ს-კან.
26. მათისა გაზრდილისა მწერლისა ზოსიმესი და მისთა მიცვალებულთა ს-კნომცა არს ს-კან...
- ჭმიდანო მღლელნო, ვითა მთაწმიდას წარიკი-თხვენ ამას ძეგლისა წერასა, ეგრეთვენ (!) სრულობით აქა სწერია.

ანდერძები:

- ლმერთო და ყოვლად ჭმიდაო ლისმშობელო და მისნო წმიდანო! შეეწიენით მას საუკუნესა პატრონისა სულკურთხეულსა ქოიარ-ყოფილსა ქერობინს და მის(ს)ა მეცხედრესა პატრონისა თამარს და ძეთა მისთაც.
- ლმერთო და აწყურისა ლისმშობელო, შეიწყალეთამარ.
- ლმერთო და აწყურისა ლისმშობელო, პატრონი თამარ და ძენი მისნი მშვდობით დაიცვე და დღეგრძელობით ცოდვანი მისნი შენს ლწ, აწ.
- ჯუარო ქრისტესო, შეიწყალე ზებედე. ამინ.

³ ტექსტში: „მიესთა მათთა“.

5. წმიდაონ ნიკოლოზ! შემეწიე ზებედეს, ამის მწერალს
6. წ'ო ნიკოლოზ! შეიწყალე ზებედე და ჩემი მამა გრაფი გან
სილი, ამინ.

ამილახორთა გვიანდელი მოსახსენებლები

35 V. „ამილახორისა ელბდურისა საუკუნომცა არს საკსენებელი-
მისი და თანამეცხედრისა მისისა [ინეს?] ხურციძისა ასუ-
ლისა ნესტ[ა]რჯნისი საუკუნომცა არს საკსენებელი...

და ძეთა მათთა ფალვანხოსროსი, ნიკოლოზისი, ზეს[შო]ელ[ი]სი
საუკუნომცა არს... და ასულთა მათთა საუკუნომცა არს სა-
კსენებელი და კურთხევა მათი და სიმრთელით და დღეგრძე-
ლობით მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა ელბდურისა,
ნესტარჯნისა და ძეთა მათთა: პირმშოსა და ახოენისა ძისა-
მისისა მელქიშედეგისი⁴...

[ასულისა] მისისა რებექისა საუკუნომცა არს კურთხევა მისი; დისა-
ჩემისა, ამის მწერლ[ის]ა ათანასიასი საუკუნომცა არს კურ-
თხევა მისინ.

[ა]სულისა ევნესი საუკუნომცა [არს კურთხევა] და ქსენება-
... [ქ?]მისა მისისა ... სადისა მრავალმცა არიან წელნი-
ცხორებისა მისისანი.

მოსახსენებელი დაწერილია ტექსტის ხელისაგან განსხვავებული-
ნუსხურით, ღია ყავისფერი მელნით. 35 V-ს ტექსტის ბოლო-
სტრიქონზე დაუწერლად დარჩენილ არეზე და ქვემო ნა-
პირზე (ნაწილობრივ მარცხენა ნაპირზედაც).

36 r „ქ: ასულისა მისისა გულბუდახისა და თანამეცხედრისა მი-
სისა ედიშერისა მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მა-
თისი ან“.

36 r-s ზემო ნაპირზე, წინა მინაწერების მელნითა და ხელით.

III. მეტიეთის მარხვანის მოსახსენებლები

Q:642 1. ბაგრატ აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდებლისა მე-
72r. ფისა საუკუნომცა ა.

⁴ აქ მთელი მომდევნო სტრიქონი მოჭრილია წიგნის მერმინდელი ამჟინ-
ძავის მიერ.

⁵ ეს მინაწერი, მოთავსებული 36 r-s 1 სვეტის შუა სტრიქონებზე, ყველა-
ნიშნით ამილახვართა მოსახსენებლების გაგრძელებას წარმოადგენს.

⁶ „მეტიეთის მარხვანის“ მოსახსენებლების რესული თარგმანი გამო-
აქვეყნა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაგრაძემ – Археологическое путешествие по-



2. გიორგი კესაროსისა აფხაზთა, ქართველთა მართლმადიდებლისად მეფისა საუკუნოშიცა არს.
3. დავით ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა ახლისა მართლისა მადიდებლ[ო]ბისა (!) სუნდ.
4. დემეტრე ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა სუნდ.
5. გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფელ მპყრობელისა, მეფეთ-შეფისა სუნდშიცა.
6. თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა ახლისა მართლმადიდებლისა აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა და კახთა და ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელისა სუნდშიცა.
7. ძისა მათისა, მეფეთ-მეფისა, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მტკიცედ მპყრობელისა გ[იორგ]ისი სუნდცა არს საკუნძულო და...
8. ძისა მათისა რუსუდან მართლმადიდებლისა, ყოვლისა აღმოსავლეთისა მტკიცედ მპყრობელისა საუკუნოშიცა.
9. დავით [და დავით]⁷ მართლმადიდებელთა მეფეთ-მეფეთა სუნდშიცა არს.
10. უსხეულოთა მიმსგავსებულისა წისა მამისა ჩუტნისა ეფთზმე მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელთა სუნდ.
11. წითა და მართლმადიდებელთა დედოფალთა მარიმ და მართასი სუნდ.
12. წითა მამათა: იოვანე და იოვანე სკნელოზისად და გიორგისი სუნდშიცა.
13. წისა მამისა ჩუტნისა გიორგი მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობისა სუნდშიცა არს.
14. ყოველთა ნათესავთა ჩრთა მასპინძლისა ქართველთა გრიგოლ სევასტონისა, ბაკურიანის ძისა და ყოვლისა დასავლისა დიდისა დემესტლიკომისისა მართლმადიდებელისა სუნდშიცა...

72v

Гурии и Ачаре, СПБ., 1878, გვ. 211—214, მოსახსენებლების ქართული დედის, პუბლიკაცია იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, თბილისი, 1958, გვ. 93—95.

⁷ [და დავით] აღდგენილია S:1246 მოსახსენებლის მიხედვით. როგორც მომდევნო სიტყვების: „მართლმადიდებელთა მეფეთ-მეფეთა“ მრავლობითი რიცხვი მოშობას, მეორე დავით აქ შემთხვევით არის გამორჩენილი.



15. მართლშეადიდებლისა მეფისა ალექსანდრესი და ულლისა მისისა პატრონისა დედოფალისა თაძარისა სკნე.
16. ძისა მათისა, დიდისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისი და ძმათა მისთა ღისმოყ[უ]არეთა გიორგი და ვახტანგისი სკნე.
17. ღრთისმოყ[უ]არისა, მართლმორწმუნისა პატრონისა ყ[უ]არყ[უ]არესი.
18. და თანამეცხედრისად მისისა პატრონისა ანასი და ძეთა მათთა პატრონისა მზეპაბუკ და ქაიხოსროსი სკნე.
19. ქრისტეს მოყუარისა და მართლმადიდებლისა პატრონისა [სფირიდონისი და მეცხედრისა მისისა, დიდისა მეფისა ალექსანდრეს ასულისა, ღთისმოყუარისა, მორწმუნისა და მართლმადიდებლისა პატრონისა თინათინისი სკნემცა.
20. ძისა მათისა, ღრთისმოყუარისა და მართლმორწმუნისა პატრონისა იოსაფატისი და მეცხედრისა მისისა მართლმორწმუნისა და ღრთისმოყუარისა პატრონისა ქეთაონისი მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მათისნი და საუკუნომცა ჯსენებად და კურთხევად მათი. და ძეთა მათთა მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მათისა და სკნე ჯსენებად და კე.
21. ღრთისმოყუარისა პატრონისა მამისასი⁸ და ქრისტეს მოყუარისა პატრონისა ირინესი და მართლმორწმუნისა პატრონისა აბდულმისესი⁹ სკნემცა.
22. ღრთისმოყუარისა და მართლმორწმუნი[სა] პატრონისა ელენისი სკნემცა.
23. ძისა მათისა ღრთისმოყუარისა პატრონისა იორამისი სკნე.

73r

⁸ დ. ბაქრაძის რუსულ თარგმანში შეცდომით მამისას მაგიერ მამიახო სწერია.

⁹ აბდულ მისე (პატრონი) და მისი მეუღლე, როგორც სადგერის წმ. გიორგის ჯვარის მოქედვის ხელისშემყობნი, ინსენიებიან სადგერის წმ. გიორგის ჯვარის ურთერთ წარწერაში—ექ. თაყაიშვილი, სადგერ-ჩხარის ჯვარის წარწერები, გვ. 173, საქართ. მუნ. მოამბე, XIV—B, თბ., 1948.



24. ღ-თისმოყუარისა მართლმორწმუნისა პატრონისა თამაცხულება გვარისა სუკნე.
25. ღთისმოყუარისა და მართლმორწმუნისა პატრონისა გულქანისი მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი და საუკუნომცა არს ჟენებად და კრევად მისი და ძეთა მისთა მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი.

მცხვეთის საბუთები

1

Ad : 522. გერასიმე მაწევერელის ერთგულების „წიგნი და წირი“ (1414—1426)

1 ფ.; 38×25; ქალალდი; ნაკეცებზე დაზიანებული; მხედრული; სიტყვათა შეა ორ-ორი წერტილი; უთარილო (კათალიკოსი მიქეალ; 1414—1426 წწ.); უ-ნაკლული; შემოკლებით გამოცემული აქეს თ. უორდანის, „ეროვნიკები“, II, ტ. ტ., 1897, გვ. 226—227; უფრო ადრე —დ. ბაქრაძეს: გახუშტი, ისტორია, 1, ტ. ტ., 1885, გვ. 286-7.

ქ: სახელითა ღთ[ისათა]
ყოვლად [წმიდისა] ღ-თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა პატიოსნისა ჯუარისა [უფ]ლისა ... რება-ისათა წმიდათა ზეცისა ძალთა, თავსმდებობითა და შუამდგომლო-ბითა წმიდისა ი[ო]გ[ა]ნე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა, ნათლისმცემლისათა, თავსმდებობითა წმიდათა მოციქულთა, წინას-წარმეტყ[უ]ლთა, მღრდელთა, მოძლუართა და ნეტართა მამათათა და ყოველთა წმიდათა ღ-თისა ზეცისა და ქუეყნისათა და რომელნი საუკუნითვან სათონ ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა და სუეტსა ღ-თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონ-სა, ღმერთმყოფელ(ი)სათა და აწყურისა ღ-თისმშობელისათა.

ესე წიგნი კადრე და მოგაქსენე თქუენ, წმიდასა და ქრისტეს მიერ კურთხეულსა მღრდელთ-მთავართა მთავარსა ქართლისა ქა-თალიკოს[ს]ა მიქეალს— კალრეთ და მოგაქსენეთ მას ეამსა, ოდეს მცხეთას მოვე და მაკურთხეთ. აწ ესე წიგნი მე, მაწ[ყუე]რელ-მთავარებისკოპოზმან გერასიმე კადრე და მოგაქსენე და ვინც შე-მდგომად ჩემსა სხუანი მაწყუერელნი იყ[უ]ნენ და საყდრიშვილნი,

როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცველნი და თქუენნი მამესენებელნი
და ერდგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთა მლოცველნი ვიყუჩებულება
და თქუენნი მომქენებელნი ვიყუნოთ: არც პატრიაქი მოვინენოთ ან-
ტიოქისა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძი-
ისა დიაკონი ვაკურთხოთ. და ვინც ამა თემსა ანუ სხუაგან, შეაჩუნ-
ოთ, როგორაცა თქუენგან ნაკურთხევსა გუმართებს, აგრე შევაჩუნოთ
და ვისცა თქუენ სწყალობდეთ, ჩუნც მისნი მლოცველნი ვიყუნოთ.

ესე პირი ჩუნენან ასრე გაგითავდეს, მამამან, ძემან და ჭმი-
დამან სულმან და ამა აწყურისა ღთისმშობელმან.

და თუ ესე ასრე არ გავათავოთ ჩუენ და შემდგომად ჩუნენსა
სხუათა აწყურისა ებისკომოზთა და საყდრიშეილთა, თქუენისა
კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნოთ, კათოლიკე ეკლესიისა-
გან განვეყენოთ, ვითარცა ურჩთა და ძუირის მოქმედი.

და ვინც, ანუ ჩემმან სამწყსოსამან¹ შემიწყნაროს, ანუ სხუა-
მან კაცმან, იგიმც კაცი კრულია პირითა ღრთისათა ცათა შინა და
ქუეყანასა ზედა და არცაოდეს საფე[ღ]რებელი დაგაკლო. საფა-
რის სამწყსო, თუინიერ შენისა ბრძანებისაგან კიდე, არა ვა-
კურთხო.

ქ. მე, მაწყუერელი გერასიმე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ,
ამა ჭმიდათა მადლმან.

2

Ad : 320. სერაპიონ მაწევერელის საერთგულო წაგნი (1430—1434)

1 ფ.; 37X29; ქალალდი, მეტად დაზიანებული, ნაკეცებზე გაცვე-
თილი; ქველადვე უხეშად რესტავრირებული; მხედრული; სიტყვათა
შუა ორ-ორი წერტილი; უთარილი; თ. ყორდანას შემოკლებული
გამოცემით დათარილებულია 1431—1435 წწ. (ქრ., II, გვ. 238—39).

[სახელ]ითა ღრთისათა... თავსმდებო[ბითა] და შუამდგომლო
ბითა დედოფლისა ჩუნენსა აწყურისა ღრთისმშობელისათა და მა-
რადის ქალწუ[ლი]სა მარიამისითა და ჭმიდათა ზეცისა ძალთა მი-
ქაელ და გაბრიელისითა, ძლიერებითა [პა]ტიოსნისა და ცხოველს-
მყოფელისა ჯუარისათა, ჭმიდისა იე წინამორბედისა და ნათლის-
მცემლისათა, ჭმიდათა და ყოვლად-ქებულთა მოციქულთა, მოწა-

¹ დედანში „სამწყომამან“.



მეთა, წინასწარმეტყუელთა, მღრღელთ-მოძღვართა, ნეტართა კრიზისისა
მათა, ღირსთა ქალწულთა და ყოველთა წმიდათა [ღ-თი] სპირი,
ზეცისა და ქუშანისათა, რომელნი საუკუნითვან სათნო ეყუნეს
უფალსა ჩუბნსა იესოს [ქრ.]ისტესა, კეშმარიტსა ღმერთისა და კუა-
ლადცა სათნოყოფად არიან; თავსმდებობითა და შუამდგომელო-
ბითა სუეტისა ღთივ-აღმართებულისა, კუართისა საუფლოსა და
მიპრონისა, ღ-თ-მყოფელისათა, თავსმდებობითა და შუა-მდგომე-
ლობითა ყოვლად-წმიდისა აწყურისა ღ-თისა შშობელისათა—ესე
წიგნი კადრეთ და მოგაქსენეთ თქუნე, წმიდასა დედაქალაქსა და საყ-
დარსა და მას შიგან სუეტსა ღ-თივ-აღმართებულსა, კუართისა საუფ-
ლოს და მიპრონსა ღ-თმყოფელსა და თქუნე, წმიდასა მეუფესა და
მღრღელთა მთავართ-მთავარსა ქართლისა კუსა თეს-მე, მაწყუ-
ერელ-მთავარებისკოპოზმან სერაპიონ, მას ეამსა, ოდეს მაწყუ-
ერელობა მიბოძეთ და მაკურთხეთ და მე ესე საერთოულო წიგნი
მოგაქსენე. აწ დღესისაგან წაღმა ვიყუნეთ თქუნენი ერთგული და
ერთგულად მლოცველ-მოსამსახურენი, მტერთა ზედა მტერ[ნი] და
მოყუარეთა ზედა მოყუარენი. პატრიონსა აქათ ვისცა გაუშერეთ
და შეაჩენოთ და (!) ჩუენცა შევაჩენოთ [და ვისცა] სწყალობდეთ,
ჩუენცა მისი მლოცველი ვიყუნეთ. ესე ასრე გავითაოთ, მამამან,
ძემან და სულმან წმიდამან და იმა ყოვლად წმიდამან აწყურისა
ღ-თის შშობელმან. და თუ ესე ასრე არა [გაგი]თაოთ, თქუნისა
კურთხვევის წილ წყებასა ქუშე ვიყუნეთ და კათოლიკე ეკლესიისაგან
განვისხეთ, ვითარცა უჩნი და ძუირის მოქმედნი. და ვინაცა სა-
მწყსომან და ანუ სხუამან კაცმან [არ გაგითა]ოს, იგიმცა კაცი
კრულია ცათა შინა და ქუეყანისა ზედა, [სადამდისა] თქუნე შემი-
წყალოთ.

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღ-თისა მიერ მაწყუერელ მთავარებისკო-
პოზი სერაპიონ]. (ხელრთვის ბოლო მოხეულია).

3

Hd : 2080. ლასურიძე-კუმურღოელის „წიგნი და პირი“
[1453— 59]

1 ფ.; 30×26,5; ქაღალდი, თავნაკლული, ნაკეცებზე დაზიანებული;
მხედრული; სიტყვათა შუა სამ-სამი წერტილი; უთარიღო; გამოქვეყნე-
ბულია თ. ქორდანისა ქრონიკებში, II, გვ. 268 (შემოკლებით), 1453—
59 თარიღის ქვეშ.

...ისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა კორცითა ქრისტე
ღმერთი ჩუენი ქსნისათვის ჩუენისა, თავსმდებობითა, მინდობითა


 და შუამდგომელობითა წმიდათა ზეცისა ძალთა მიქაელ და გამრისხავა
 ელისათა, ცხრა არვეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთავადგომითა
 მთავარანგელოზთათა, თავსმდებობითა და შუამდგომელობითა,
 წისა იე წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემე-
 ლისათა და წმიდასა იე შახარებელისა და ღრთის მეტყუელისათა,
 თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა
 თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლესითა, ათორთა მოციქულთა
 და სამეცუდაათეულთა მოწაფეთათა და წრთა მოწამეთა გვი,
 თეოდორი, დიმიტრი და უფროს-ღა ყოველთა ჩრდილოეთისა კე-
 დართა შორის უაღრეს-უზეშთაესისა კათოლიკე დედაქალაგისა
 მცხეთისა საყდრისა და მასშინ ღრთივ აღმართებულისა სუეტისა
 ცხოველისა, კუართისა სამეცუდოსა და მირონისა, ღრთ-მყოფელი-
 სათა და ყოვლად საშინელისა კუმურდოსა ხატისა თავსმდებობითა;
 ამა ყოველთა ღრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდე-
 ბობითა და შუამდგომელობითა ესე წიგნი და პირი გვადრეთ
 თქუენ, ქრისტეს ღრთისა მიერ ქ[ართლი]სა ქ[ათოლიკო]სა და-
 ვითს მე, ლასურის ძემან კუმურდოელმან იე, მის უამისა შედეგად,
 ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ებისკოპონისი თქუენგან უჯუარო
 და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა
 ხუაიშინითა მაკურთხეთ. აწ დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუ-
 დილამდი ვიყო თქუენი და თქუნისა საყდრისა ერთგული, შეფეთა
 მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მო-
 გიქსნებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყვნენ,
 ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდო-
 ბელთა ებისკოპონთა გუერდი უამი არა გწიროთ და არცა მათსა
 სამწყსოსა უწიროთ, სადამდის თქუენგან აქსნითობისა და შეუნდო-
 ბისა ნიშანი არა მოგუივიდეს. ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი
 მლოცველი ვიყუნეო და თუ ყუარყუარე მაწყუერლობა ან სხუა
 რამე ქელი გჭაძლიოს და დაგუპატივოს კურთხევისა მიზეზითა,
 სადამდის თქუენსა საყდარისა არა დაემორჩილნენ და რაზედაცა,
 უწყრებით, თქუენისა საყდრისა წესითა იგი ისრევე არა დაგეურვოს
 რაგვარაც თქუენ და თქუენსა საყდარს გმირთებს, მით წესითა,
 სხუა ქელი არა გამოვართო და არცა რა ვინდომო თქუენად და-
 უმოწმებლად და შეუნდობლად. თქუენისა საყდრისა მტერისა
 მტერნი ვიყუნეო და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი.

ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მეძუღნენი და მოსამსახურენი. ესე
 ასრე გაგითაოთ ღრნ, მამამან, ძემან და წმიდამან სულმან და იმა
 საშინელმან ხატმან კუმურდოსამან და რასაცა მიზეზისათვის ესე

აღთქმა ვიტყუოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ
წყვევასა ქუშე ვიყუნეთ, ლ'თისა და მისთა წმიდათასა და კაფისა
ლიკე ეკლესიისაგან განვისხნეთ, ვითარცა ურჩინი და ძირის მო-
ქმედნი. და ვინცა, ანუ სამწყსომან, ანუ სხუამან ვინ კაცმან, შე-
იწყნაროს, ძგიმცა კაცი კრულია ლ'თისა დაუსაბამოსა პირითა
ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, სადამდის თქუენვე არა შემიწყა-
ლოთ.

ჩეუნ, ქრისტეს ლ'თისა მიერ კუმურდოელ მთავარებისკო-
პონი იუ ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ, ამა ზემოწერილთა
მაღლმან!

4

Hd:2130. გერასიმე კუმურდოელის „პირი და წიგნი“ (1500—1503)

1ფ.; 32×23,5; მდარე ქაღალდი; კალიგრაფიული მხედრული; ზე-
ლმოწერა წერილი წუსხურით; თაერკლული; უთარილო; დათარიღება
—ევაგრეს კათალიკოსობის წლების (1500—1503) მიხედვით.

...თა [თავსდებობითა] და შუამდგო[მლობითა]... და მთავარ-
ანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისითა ც... ზეცისა ძალთათა...
იუ წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისათა
და წ'ისა ი[ოვან]ე მახარებელისა და ლ'თისმეტყუელისათა, თავსმდე-
ბობითა... შუამდგომელობითა წ'თა თავთა მოციქულთა პეტრეს და
პავლესითა, ათორთა მოციქულთა და სამეოცდაათეულთა ქრისტეს
მოწაფეთა და წ'თა მოწამეთა გრი, თეოდორა, დიმიტრი და პრო-
კოპისითა, და ყოველთა ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრეს
უზეშთაესისა კათოლიკე დედა-ქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მას
შინა ლ'თივალმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სა-
მეუფოსა და მირონისა ლ'თმყოფელისათა და გ[ოველ]დ საშინელისა
კუმურდოს ხატისა, თავსმდებობითა ამათ ყოველთა ლ'თისა წ'თა
ზეცისა და ქუეყანისათა, თავსმდებობითა და შუამდგომელობითა
ესე პირი და წიგნი გეადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ქრისტეს
ლ'თისა მიერ ქართლისა კ'ზსა ევაგრის მე, კუმურდოელ მთავარ-
ებისკოპოზმან გერასიმე, მას ეამსა, ოდეს პატრონზმან მხეჭიბუქ
შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და ჟელი მიბოძა და თქუენს
წინაშე საკურთხევლად გამოგუზავნა და თქუენ შემიწყალეთ და
მაკურთხეთ. აშ დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო

¹ სხვა ზელით, მსხვილად, მხედრულადც.

თქუენი და თქუენისა საყდრისა ერთგული და მეტეთა მლოცველი
და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ კარგად
ვინცა თქუენგან უჯუარო და შეუნდობელი იყოს ჩუენგანც
უჯუარო და შეუნდობელი იყუნენ, თქუენგან შეუნდობელთა
ეფისკოპოზთა [გუერ]დი ეამი არა ვწიროთ, ვარძიისა და მი-
სისა შესავლისა დიაკონი არა ვაკურთხოთ და არცა მათსა სა-
მწყსოსა დავეცილოთ. ეისცა უწყრებოდეთ, ჩუენგანც [შე]უნდო-
ბელი იყუნენ და ვისცა სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველი
ვიყუნეთ და თქუენგან შეუნდობელსა შენდობა არა მიგსცეთ, სა-
დამდის თქუენგან აქსნილობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუ-
ვივიდეს. რაცა თქუენისა საყდრისა¹ სახასო სამწყსო იყოს, მის ზედა
ჯელი არა შევივლინოთ; თუ ათაბაგმან ყუარყუარე და მათთა
შეილთა მაწყუერლობა ანუ სხუა რამე კელი გუაძლიოს და დაგუ-
პატიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სხუა კელი არა გამოვართუა და
არცარა ვინდომო თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად.
თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და მოყურისა
[ერთგულთა]² მოყუარენი და მლოცველი. და ვითა წესად ძეს,
წლითამწლად მედღუნენი და მოსამსახურენი. და თუ ესე ასრე არა
გავითაოთ, ღ[მერთმა]ნ, მამამან, ძემან და წმიდამან სულმან და იმა
საშინელმან ხატმან კუმურდოსმან და რასაცა მიზეზისათა ესე
აღლუთქმა გიტყუოთ და არა გავითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ,
წყვევასა ქუეშე ვიყუნეთ და ღრთისა და მისთა წმიდათასა და კათო-
ლიკე ეკლესიისაგან განვისხნეთ, ვითარცა ურჩნი და ძუირის-
მოქმედი და ვინცა ანუ სამწყსომან და ანუ სხუამან კაცმან შე-
მიწყნაროს, იგიმცა კაცი კრულია [ღმრთისა დაუსაბამოისა... ქუ-
ეყანასა ზედა, სადამდის თქუენვე არა შემიწყალოთ. მე, მთავარ-
ეფისკოპოსი კუმურდოლი გერასიმე ამა დაწერილისა გამათვე-
ბელი ვარ, ამა ზემო [წე]რილთა მალომან.

Ad—547. ნიკოლოზ მაწევერელის „დაწერილი და აღთქმა“
(1505—1515)

1 ფ.; 37×23 ; ქაღალდი; დაზიანებული; აკლია პირველი სტრიქონები; მხედრული; სიტყვათა შუა ორ-ორი წერტილი; უთარილო თედო უორდნისა დათარილებით 1505—1526; გამოცემული აქვს შემოკლებით დ. ბაქრაძეს: განვითარებული, ისტორია, I, გვ. 286 და თ. უორდნისა ქრონიკები, II, გვ. 330.

..... [თა] ესმდებობითა და შუამდგომელობითა წისა წინასწარ-
მეტყუელისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელის იოვნეს,

¹ „საყდრისა“ ორჯერ წერია.

თავსმდებობითა წ'თა მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, მღდელთ—
მოძღ[უა]რთა, მოწამეთა და ნეტართ[ი] [და] მათთა (?) და ყურადღებულთა
ველთა წ'თა ზეცისა და ქუცყნისათათა, რომელნი საკუნითგვის—
სათხო ეყუნეს უფალსა ჩ'ნა იესოს ქრისტესა—ესე დაწერილი
მოვაკსენ წ'სა დიდებულსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა
და მუნ შინა ღთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსმყოფელსა და
თქუენ, მაჟურთხველსა და შემოქმედს ჩემსა წ'სა მეუცესა, ქრის-
ტეს ღ'თისა მიერ ქართლისა ქი[თალი]კონჩა იუვანეს, მე, მონა-
ბან და მოწაფებან თქუებინ, გლახაკმან მაწყუერელმთავარებისკო-
პოზმან ნიკოლაუზ, მას უამს, ოდეს—ადილენ და დაამყარენ ლმერთ-
მან ძლიერი და ოძლეველი ღ'თივგუირგ[ვი]ნოსნობა შეფერა მე-
ფისა დავითისი—შემიწყალეს და საყდარი აწყურისა მიზოძეს,
თქუენითა თანადგომითა და ჯერჩინებითა და თქუენ, ვითარცა
წელთა თქ[უე]ნთა გაზრდილი და შეწყალებული, ეგრეთ სიტებო-
ებით სიყუარულით მაკურთხეთ და მე ამის კეთილისყოფისა და
სიყუაროლისა თქ'ნისა სანაცვლოდ, ვითა წესი იყო, ესე დაწე-
რილი და აღთქმა მოგაქსენე: სიცოცხლესა ჩემსა თუინიერ მცხე-
თისა სახლი დედა-ქალაქი არა აღვიარო და თქ[უე]ნ, მაკურთხევე-
ლის ჩემისა იუვანე კათალიკოზისაგან კიდე სხუასა კათალიკოზს
არა დავემორჩილო. მოძღ[უ]რადა და მაკურთხეველიდ ჩემად
წმიდა დედაქალაქი მცხეთა და თ' წ იყრნეთ, თქვენგან კურთხე-
ულთა თანამდაკურთხეველი ვიყო, შესაწყენებელთა და კროლვილ-
თა თანა შემაჩენებელი და დამქროლავი ვიყო და ყოველსავე ზედა
ერთგოლ და ბრძანებისა თქვენისა მორჩილ ვიყო, ვითარცა მშო-
ენის მოწაფესა თ' ჩნა. და უკეთუ სარწმუნოება და აღთქმა ესე
უვარვყო და შევცვალო, წ'ო, კათოლიკე ეკლესიაო, და თ' ქნ, მა-
კურთხეველო ჩემო, კათალიკოზ-პატრიიქო იოვანე, კურთხევა ესე
ჩემდა მომართი თქუენადვე მიიქეცინ და მე ჯმნილმცა ვარ ამის
ომფორისაგან და წირვისაგან. და ვინ მორწმუნეთაგანმან შემი-
წყნაროს, ან ჩემმან სამწყსომან, ან სხუამან ქრისტიანეთაგანმან,
კროლმცა არის პირითა ღ'თისითა და ამის წმიდის კათოლიკი
მექლესითა. და უკეთუ ესა სრულვყო და არა შევცვალო, ქ. კურ-
თხევა უფლისა და თქუენი იყავნ ჩემზედა. ვითა ზემოთ ჩემითა
წელითა დამიწყია, ეგრეთვე ქურმოთ სრულ ვჰყოუ:



Ad: 549. მანუჩარისა და უცნობი [ათაბაგის?] პირობის წერტილებით
(1516)

1 ფ.; 25,5×15; ქაღალდი; დაშიანებული; რესტავრირებული; მხედ-
რული; უთარილო; თ. უორდანის დათარილებით 1519—1522 წწ.
(ქრ., II, გვ. 346),

„მოგახსენებთ ჩუენ, პატრონმან... [მა]ნუჩარ და პატრონმან
ათაბაგმან... [თქუენ], ცათა მობაძავსა კათოლიკე მცხეთისა საყ-
დარსა და მას შინა დამკუთღრებულსა ქართლისა კუზა ბასილის
და კათოლიკე მცხეთისა საყდრიშვილთა—მას ქამსა, ოდეს სჯუ-
ლისა საქმეზედა კარზედა მოგიღევით და ჩუენ ამას დაგვპირდით:
იპრიანოს ღმერთმან და ჩუენი საბატონო მამული ჩუენევე დავიჭი-
როთ და ჩუენევე დაგურჩეს, როგორაცა ძულითგან და პაპისა და
მამისა ჩუენისა ფამშივან მცხეთისა საყდრისა მამულნი ყოფილი-
ყუნენ და ეპისკოპოზი და მაწყუერელი თქუენგან საკურთხეველი
ყოფილა და სხუანი სამცხისა ეფისკოპოზი ყოველნივე, ისრე თქუ-
ენი სამწყსონი იყუნენ და ისრე დაგამორჩილებით და საღმრთოთა
და სჯულიერითა საქმითა თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი ვი-
ყუნეთ.

ამისა გათავებისა თავსმდებად ღმერთი და სუეტი ღრთივ აღ-
მართებული და ყდ წმიდა აწყურისა ღრთის მშობელი მოგუისსე-
ნებია და რაცა საათაბაგოშივა მცხეთისა საყდრისა მამულნი
იყუნენ, არცა ისი დაგიჭიროთ და მოგანებოთ.

[ივანე]¹

7

Hd: 2083. ზოსიმე გუმურდოელის „წიგნი“

1 ფ.; 35×16; ქაღალდი (მდარე); მხედრული; სიტყვათა შუა ორ-
არი წერტილი; უთარილო, თ. უორდანის დათარილებით 1519—
1529, ქრ., II, გვ. 345—6.

ქ. სახელითა ღმრთისათა—მაშისა, ძისა და წისა სულისათა.
ესე წიგნი გეადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ყოველთა ჩრდილო-
ეთისა კედართა შორის უაღრეს-უზენაეს-უაღმატებულეს-უდიდე-
ბულესსა, წისა (?) კათოლიკე საყდარსა მცხეთასა და მას შინა

¹ წელრთვა „ივანე“ მოწერილია ჩართულად, მხედრული ასოებით, მთლი-
ანი მონოგრამის სახით. შდრ. თ. უორდანია (ქრონიკები, II, გვ. 346), რომე-
ლიც ამ ხელრთვას ივანე-დ კითხულობს.

ლმრთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა სამეუფოსა
 და მირონსა ლმერთმყოფელსა და თქუენსა საქეთ-მმყრობელი მომა-
 ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა პატრიაქ ქართლიკონიშვილ
 ბასილის, ჩუენ, კუმურდოელ მთავარ-ეპისკოპოზმან ზოსიმე, მას
 უამსა, ოდეს კუმურდოველად წელნი დამასხენ და თქუენმიერი კურთ-
 ხევა მოვიღეთ. ასრე და ამა წესითა, პატრიონისა ათაბაგისა უზია-
 ნისა საქმითა, თქუენი და თქუენისა საყდრისა გაუყრელი და
 ერთგული ვიყუნეთ საღმრთოთა და სჯულიერითა საქმითა. რაცა
 მცხეთისა საყდრისა წლითიწლად სამსახური გუმართებს, როგორაც
 სხუათა სამცხისა ეპისკოპოზთა, რაც ოდენ ძალგუედვას, არც ჩუენ
 დაგაქლოთ და ვისაც სჯულისა საქმეზედა გაუწყოეთ და შეუნ-
 დობლად ამყოფილოთ, ჩუენგანც შეუნდობელი იყოს, და ვინც
 აკურთხოთ, კურთხევისა მოწამენი ვიყუნეთ. თქუენდად შემოუკითხა-
 ვათ სხუა წელი არა დავიჭიროთ და არც სად თქუენსა სამწყსო-
 სა უთქუენოდ წელი შევივლინოთ. ვინც ეს გიტყუოს, თქუენგან
 უჯუარო იყოს და წმიდათა მოციქულთა და მამათა ქანონსა ქუე-
 შემც მყოფ არს.

8

ზოსიმე¹

9

Ad—91

Ad—697

ქ. წრდისა და ცათა მო-
 ბაძეებისა კათოლიკე სამოციქუ-
 ლოსა საპატრიაქონისა მცხე-
 თისა²] ეკლესიისა ძუელითგან
 საქონებელი და სამწყსონი სა-
 მცხეს თავაღნი და [სო]ფელ-
 [ნი]. 1516 წ. ახლოს.

1 ფ.; 62×32; ქაღალდი;
 პირველი ორი სტრიქონის ბო-
 ლო ოდნავ დაზიანებულია; მხე-
 დრული; მკრთალი მელნით; სი-
 ტყვათა შუა ორ-ორი წერტი-

მცხეთის საქათალიკოსო სა-
 ყდრის მამულების ვრცელი ნუს-
 ხის ფრაგმენტი, XVI ს. 1 ნა-
 ხევარისა.

1 ფ.; 28×17,5; ქაღალდი,
 რესტავრირებული, ორივე მხარეს
 დაწერილი; მხედრული; სიტყვათა
 შუა სამ-სამი წერტილი, ზოგან
 მძიმითურთ; I გვერდზე მოთავსე-

¹ ხელწერა მოთავსებულია უკანასკნელი სტრიქონის ბოლოს, ჩართულად.

² ს. კაკაბაძის გამოცემაში არ არის აღნიშნული ეს სიტყვა, რომელიც
 უსცვლად უნდა ვიგულისშით წარხოცილ 8—9 ასოს დამტევ I სტრიქონის
 ბოლოს.

ლი, რომელსაც საბუთის ყოველი მუხლის ბოლოს მძიმეც ემატება; ტექსტის ბოლოს, უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ, მარცხენა მხარეს დასმულია სიმტკიცის ოთხი ნიშნი; ამათგან პირველია მხედრული ასოებით შესრულებული ჩართული ხელმოწერა „მანუჩარ“, დიდი ასოებით, ამავე გადაბმულ, მთლიან, მონოგრამულ ხელმოწერის ბოლო ნაწილში მომცრო ასოებით ჩართულია ისევ „მანუჩარ“; ამას მისდევს მრგვალი ბეჭედი, მხედრული ლეგნდით; ირჩევა ცალკე ასოები — „ნა“, „ნ“, წარწერის ამოკითხვა ძნელია; მესამე აღვილი (ზარცხნილინ მარჯვნივ) უჭირავს კათალიკოსის ბეჭედს, რომლის ასომთავრულ ლეგნდას ს. კაკაბაძე კითხულობს: „რლინი გნესნით ქცა ზა ქსნლი იყოს ცთა შა“. ჩვენი წაკითხვა არსებითად არ განსხვავდება: „ქრლი გნესნთ ქცა ზა ქსნლი იყს იგი ცთა შა“, რასაც უქარაგმოდ ვკითხულობთ:

„ქ. რომელი განიქსენით ქუეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

მეოთხე ადგილი ახსნილობის ბეჭედის გეერდით უჭირავს კათალიკოსის მხედრულ ხელმოწერას — კზო — მაკურთხევილი ხელით ბოლოში.

¹ კახეთის მამულების ნუსხას აქ ვამოყლებთ.

² არც ქართლის მამულების სიას ვათავსებთ.

³ აქედან, საბუთის II გვერდზე, იწყება სამცხის მამულების ნუსხა.

ბულია კახეთისა და ქართლის სამცხეთო მამულების თავნაკლებობაზე ლი სია, რომლის ორითოდე სამცხეთო კლებაზე II გვერდზე გადადის; II გვ. უპირავეს სამცხის მცხეთისეული მამულების ნუსხას.

„...სა სამებათა ოთხი კუამლი კაცი ძმარისული კაწარელსა.

სამებათა აქეთ კვეთი რომ ჩამოვლის მზღვრად იორის პირისაკე¹...

ქართლს — მცხეთის ჯუარი².
...²

თავდება: „ნაოზა, მისით სამზღვრითა ირაგუამდის³“.

7. ჩორჩანელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა, ერისთავთა ერისთავი, ხურსისძესა აქუს¹.

8. ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა დიასამისძეთა აქუს.

9. აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა.

10. ბოცოსძენი. სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა ოლადასშეიღლთა აქუს.

11. ოთარი სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკლესითა შალიკასშეიღლთა აქუს.

12. ხერთვისარნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა ქამქამისძისა ეულზედა არიან, ამატაკიანთა აქუს³.

13. თმოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა შალიკასშეიღლთა ელისბაალს და იოთამს აქუს.

14. ბულლადარას შეიღლნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა რჩეულაანთა და ფროდიანთა აქუს.

1-2 მე-8 და მე-9 საბუთის ეს მუხლები ღონავ განსხვავდებიან. ნაკლებად სრული, მაგრამ უური სწორია მე-9 საბუთის ტექსტი, სადაც ერისთავთა-ერისთავად ჩორჩანელი, მამულის ძეველი პატრონი, ისსენიება.

³—⁴ აქ უნირატესობა Ad: 91 ხელმაწყრის 12 მხ. უნდა მიეცეს, როგორც უფრო სრულსა და სწორს.

Ad: 91 საბუთის ამ 12 მხ. შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საჭართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თუ., 1920, გვ. 10—11, რომელიც არ-გვევს, რომ ხერთვისართ ქამქამისძეთა შემდევ დაუპერიათ ხერთვისის მაშული, ხოლო ხერთვისარნი ამატაკის შეიღებს შეუცვლიათ.

7. ჩორჩანელი ერისთვეთი ერისთავი, სასაფლაოთა და მონასტრითა ხურსისძესა აქუშებით მოვალეობა

8. ღობიერი სასაფლაოთა და მონასტრითა დიასამისძესა აქუს.

9. აბუსერისძე სასაფლაოთა და მონასტრითა.

10. ბოცოსძე სასაფლაოთა და მონასტრითა ოლადასშეიღლსა აქუს.

11. ოთარი სასაფლაოთა და მონასტრითა შალიკასშეიღლსა აქუს.

12. ხერთვისარნი სასაფლაოთა [და] მონასტრითა ამატაკის შეიღლსა აქუს⁴.

13. თმოგუელი სასაფლაოთა [და] მონასტრითა შალიკასშეიღლსა ელისბაალს და იოთამს აქუს.

14. ბულლადარასშეიღლი სასაფლაოთა [და] მონასტრითა რჩეულაანთა და ფროდიანთა აქუს.

15. ასპანისძენი სასა-
ფლაოთა, მონასტრითა და კა-
რის ეკლესიითა სფირიდონს
აქუს¹.
16. კალმახელი სასაფლა-
ოთა, მონასტრითა და კარის
ეკლესიითა უზნასძეთა აქუს.
17. ღუკისძენი სასაფლა-
ოთა, მონასტრითა და კარის
ეკლესიითა.
18. ფანასკერტელნი სასა-
ფლაოთა, მონასტრითა და კა-
რის ეკლესიითა.
19. სპასალარნი სამით სა-
საფლაოთა, მონასტრებითა და
კარის ეკლესიითა.
20. ხახულარნი სასაფლა-
ოთა, მონასტრითა და კარის
ეკლესიითა.
21. ანძაველნი სასაფლა-
ოთა, მონასტრითა და კარის
ეკლესიითა.
22. კობასძენი სასაფლა-
ოთა, მონასტრითა და კარის
ეკლესიითა.
23. თუხარელნი სასაფლა-
ოთა, მონასტრითა და კარის
ეკლესიითა².
24. მონასტერი ოშეი მი-
სითა შესავლითა.
15. ასპანისძე სასაფლაოთა
[და] მონასტრითა სფირიდონის
შევილსა აქუს².
16. კალმახელი სასაფლა-
ოთა [და] მონასტრითა უზუნის-
შევილსა აქუს.
17. ღუკისძე სასაფლაოთა,
მონასტრითა და კარის ეკლე-
სიითა.
18. ფანასკერტელი სასა-
ფლაოთა, [მონასტრითა] და კა-
რის ეკლესიითა.
19. სპასალარი სასაფლა-
ოთა სამითა და კარის ეკლე-
სიითა.
20. ხახულარი სასაფლაოთა
და მონასტრითა.
21. ანძაველი...³

¹⁻² Ad:91 საბუთის 15 მს. და Ad:697 საბუთის შესატყვეის 15 მს.
განსხვავება მოწმობს, რომ ამათვან პირველი (Ad 91—15 მს.) უფრო ადრინ-
დელი სიიდან მომდინარეობს, როცა სფირიდონი ჯერ ცოცხალი იყო, ხოლო
Ad:697-ის ტექსტის დაწერის დროს სფირიდონი ცოცხალი აღარ ყოფილა.

² ამაზე წყდება მცხოვრის საკათალიკოსო მამულების საერთო ნუსხის ფრაგ-
მენტი.

³ ს. კაკაბაძის გამოცემაში ეს 23-ე მს. გამორჩენილია.

25. დიდი და პატიოსანი
 ვარდის მონასტერი მისითა
 შესაელითა და ეკლესიის შვი-
 ლებით უნაკლულოდ.

10. Ad— 720. საბა მტბევარის საერთგულო წიგნი. 1556

1 ფ.; 17,5×15,5; ქადალდი (რესტავრირებული); მხედრული; სი-
 ტყვათა შუა ორ-ორი წერტილი; თარიღდება S: 252 ხელნაწერი კინკლოსის მი-
 ხდევით—1556 წ.

ქ. ღ-თისა დაუსაბამოსა, მამისა, ძისა და სულისა წმიდასა
 და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისა თავსმდებობითა, მინ-
 დობითა და შუამდგომლობითა, თავსმდებობითა და შუამდგომლო-
 ბითა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ღ-თისა მშობელისა, მარადის
 ქალწულისა გარიამისითა. ესე უკუნისამდის გასათავებელი წიგნი მო-
 გავსენე ჩე, მტბევარმა საბა, თქუნე, წმიდასა კათოლიკე სამოცი-
 კულოსა საყდარსა, თქუნენისა საქეთმშერობელსა ქართლისა კზსა
 პატრიაქსა დომენტის—მას უამსა, ორდეს გუაყურთხეთ: თქუნენის
 საყდრის ერ[თ]გული და თქუნენისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყვნეთ.
 რაცა ჩუნის კელისაგან გამოვიდოდეს, რჯულისა სიმაგრესაცა მო-
 გივიროთ. ამისა გათავებისა თავდებად თავად ღმერთი და ყოველნი-
 მისნი წმიდანი და სვეტიცხოველი მოგვიქცენებია².

„მესტური მატიანე“ (S: 947)

(ტექსტი)

1... ია მთვ[ა]რისასა³.

2. ქ-ქს ხეზ დაიბადა ბატონის არჩილის გაუი ჰერეკლე-
 მარტს კჲ, დღესა...⁴

¹ S: 252 კინკლოსში 1556 წლის გასწერივ მიწერილია: „აქა დაჯდა მტბე-
 ვრად ხახულარი წყვედიძე, მამია საბა“. შემ. თ. უორდანია, ქრონიკები, II,
 გვ. 399: „სჩანს ხახული ამ დროს გაუქმებულა“.

² ბოლოში ჯვარი უზის.

³ ეს ნაწყვეტი ქაიხოსროსა და დედისმედის 1559 წელზე ადრე დაბადე-
 ბული ერთ-ერთი შვილის გაჩენის თარიღის დაბოლოებაა.

⁴ არჩილ მუხრანბატონის გაუის ჰერეკლეს დაბადების ცნობა მოთავსებუ-
 ლია 11 გვ., მეტანანატონთა მისახსენებლის ქვემოთ; იგი (ცნობა) ბაგრატ ვახ-
 ტანგის ძის დაბადების ცნობის (1573 წ. ივლისის 16) დაწერის შემდეგ ჩანს,
 ჩაწერილი სტრიქონებ შუა.



3. დაიბალა თამარ აწყუშრს¹, აპრილსა 07, დღესა პარასკევის დღისით, უმსა გ, მთვარესა დ, ქვესა სხთ².

4. საბა: დაიბალა აწყუშრს, პატრონი იანქო თა აპრილსა კო, დღესა ხუთშაბათსა, დღისით, უმსა მეექვესესა, ჰ მთუარისასა, ქვესა სნა³.

5. ქვესა სნბ, ივნისსა გ, დღესა სამშაბათსა; კზ მთუარისასა, შეწევნითა ღისათა და წრის ნიკ[ოლო]ზისათა, პატრონმან ყუარყუარე ქორწილი ქნა ოდიშს დადიანის ქალს მარებთანა.

6. დაიბალნეს ბასილი და ბექა-პავლე⁴ აგვისტოსსა იბ, დღესა შაბათსა, ღამით, უმსა ბ, მთოვარესა გ, ქვესა სნბ, ციხისჯუარს⁵.

¹ „აწყუშრს“ ზემოდან არის ჩამარებული იმავე ხელით, თდნავ უფრო წერილად. თამარის დაბადების ცნობა და მს. 1 ერთისა და იმავე ხელითა ჩაწერილი.

² თამარი, ქრონიკისავე ცნობით, 1578 წელს მიათხოვეს ორავეანდასა-შვილს ქაიხოსროს (მს. 60).

³ „აწყუშრს“ ზემოდანაა დაწერილი. არ არის სწორი ე. თაყაიშვილის მისახრება, თითქოს ხაბა და იანქო სხვადასხვა პირები იყვნენ (რუს. გ-მა, გვ. 186, შენიშვნა 3). ხაბა იანქოს ნათლობის სახელია, როგორც ბექას სახელია პავლე.

⁴ ე. თ. შეცდომით „იან ვარსა“, რაც გასწორებულია რუსულ გამოცემაში, გვ. 186.

⁵ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტი გადადის მარჯვენა ნაპირზე, ასწერივ, და აქ თთხ სტრიქონად არის დაწერილი.

⁶ ყვარლებარე ქაიხოსროს ძის ოდიშს დაქორწინების ამბავი (მს. 5), სამცხ-ში გვიან მოსული, ჩაწერილია მს. 6-ზე გვიან, ზემოთ დარჩენილ თაყისუალ არეზე, უშუალოდ იანქოს დაბადების ცნობის შემდეგ, მესამე სტრიქონზე, იწყება ქან-წილით და ამით გამოყოფილია წინა ცნობისაგან. ამ ჩანაწერის მუქად შავი მელანი განიჩრება საბა-იანქოსა და, განსაკუთრებით, ტყუბების ბასილისა და ბექას დაბადების და პატრონი ქაიხოსროს ყაზვინს წასელის ცნობების ჩანაწერების მყრითალი მელნისაგან. განსხვაებულია აღნიშნული ჩანაწერების ხელისა-გან აგრეთვე ყვარლებარე დაქორწინების ცნობის ნუსური, სრულიად სწორი, თდნავ მარჯვენა მხრისავენ დახრილი. ამ უკანასკნელი ხელით უნდა იყოს დაწერილი მატიანის უდიდესი ნაწილი.

⁷ პავლე ზემოდან არის ჩამარებული. აქაც—ერთი ანალდაბადებულ ტყუპთაგანი იმთავიდანვე ორ სახელს ატარებს: შინაურობაში—ბექას, ნათლობისას—პავლეს.

⁸ ბასილისა და ბექა-პავლეს დაბადების ცნობა. ისე როგორც ამ ცნობების ქვემოთ მოთავსებული ქაიხოსროს ყაზვინს წასელის ცნობა, დაწერილია მყრითალი მელნით.



7. ქერთა სნგ. ივლისსა ზ, პ[ც]რას დღეს მოიყუ[ანეს] ბატონიაზე
მარებ წყაროსთავეს¹.
8. წაბრძანდა² პატრონი ქაიხოსრო ყაზმინს შათამაზს ყე[ე]ნს
წინაშე, მარტს გ, დღესა პარასკევას, მგელციხილამან, ქერთა სნდ³.

მუსიკანტატონთა მოსახსენებლები⁴

9. წ: მეფისა მჯნისა და ბრძოლათა შინა მიუდრეცელისა,
ლრთის მოყრისა ბატონის ბაგრატ-ყოფილისა ბარნაბასი საუკუ-
ნომცა არს საქსენებელი და კურთხევაჲ მისი.

¹ მარების წყაროსთავს მოყვანის ცნობაც, კვარყვარეს მარებთან დაქორ-
წინების ცნობის მსგავსად, დაწერილია უმთავრესად მარჯვენა კიდეზე, გასწორივ:
იწყება უშუალოდ ბასილისა და ბექს დაბადების ცნობის მესამე სტრიქონის თა-
ვისუფალ არეზე და გადადის მარჯვენა ნაპირზე, გასწორივ, სამ სტრიქონად. ამ
ორი ცნობის ნაპირზე მოთავსების მიზნები ის უნდა იყოს, რომ პირველ შემთხვე-
ვაში ყვარყვარეს დაქორწინება, ოდიშს მომზდარი 1564 წ. (რაც, უცველია-
გვიან უნდა გაეგოთ სამცხეს), ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვის მიზ-
ნით ჩაუმატებით სათანადო ადგილას და იმავე მიზნებით მატიანეში შეტანილი
ცნობა—მარების წყაროსთავს მოსვლის შესახებ მოხვედრილა სნდ და სნდ ქრ.
ცნობების ტექსტებს შუა დარჩენილ ადგილზე.

აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ჩანამარტი დაწერილია ერთისა და იმავე,
ამ გვერდზე დაწერილი სხვა ტექსტებისაგან განსხვავებული შელითა და მელნით.

² ე. თ.: ჭამობრანდა, გვ. 82.

³ ქაიხოსრო ათაბაგის „ყაზმინს“ წასულის ცნობა (გვ. 9) იმავე მქრთალი
შელნით და სწორედ იმავე ხელით არის დაწერილი, როგორც ზემოთ მდებარე
ბასილისა და ბექს დაბადების ცნობა.

⁴ მუსიკანტატონთა მოსახსენებლები მოთავსებულია 10—11 გვერდზე. აქე-
დან მე-10 გვ. უდიდესი ნაწილი (15 სტრიქონი) უკირავს მუსიკანტატონთა სახ-
ლის მიცვალებული წევრების მოსახსენებლებს. სსენებული 15 სტრიქონის ქვე-
მოთ თავდაპირველად განზრახ დატოვებული ჩანს რამდენიმე სტრიქონის და-
მტევი ადგილი (აქ 1572 წ. იანგარში) გარდაცვლილი მხეპაბუკის მე-9 გვერდზე
დაწყებული მოსახსენებლის სამი სტრიქონია მოთავსებული).

მუსიკანტატონთა სახლის ცოცხლად მყოფი წევრების რვასტრიქონიან
მოსახსენებელს მე-11 გვერდის თთოქმის ნახევარი უჭირავს. სსენებული მოსახსე-
ნებლების ორივე ნაწილი (მხ. 9—16) დაწერილია ერთისა და იმავე ხელით,
როგორც ჩანს, ერთდროულად.

ეს ხელი დიდად ჭაგავს მე-9 გვერდის პირველი ოთხი სტრიქონის და-
მტევის ხელს, რომელიც მუსიკანტატონთა მოსახსენებლების შემდეგ მატიანეში-
აღარ გვხვდება.

შესაძლებელია ამ გარემოებამ აფიქრებინა ე. თაყაიშვილს, თთოქმის მო-
სახსენებლები („აგაპი“) „ქრონიკაში“ ისტორიულ ჩანაწერებზე აფრე ყო-
ფილიყოს შეტანილი (Агапы писаны, конечно, раньше исторических за-
писей), ე. თ., რუს., გვ. 183.



10. დედოფლისა ბატონისა ელენესი საუკუნომცა არს საქართველოში ნებელი და კურთხევად მისი.

11. ძეთა მათთა, სამოთხის ნერგთაებრ იღმოცენებულთა, თუ]ალპირ შუტნიერთა, ბრძოლათა ზინა მიუღრეკელთა, მეფისა ბატონის ჰ[ე]რაკლესი და იმისა მათისა ბატონის აშოთისი საუკუნომცა არს საქართველი და კურთხევად მათი.

12. დისა მათისა ბატონის თეოდორასი საუკუნომცა არს საქართველი და კურთხევად მისი.

13. იონათანისი¹, გულდეფ[ა]რისი, იონათანისი² საუკუნომცა საქართველი და კურთხევად მათი.

14. წ. ღ[ე]რგვნისნისა ქართველთა მეფეთ-მეფისა დიდის კოსტანტინეს შვილის-შვილისა მეფის ბატონის ბაგრატის შვილი ბატონი არჩილ წარმართებულყავნ ღმერთმან სიგრძესა ზინა წელთასა, ამინ.

15. ძე მათი ჰ[ე]რაკლე და ელენე აღზარდე და და[ა]რჩინე, ღმერთო, ამინ.

16. ეგრეთვე ბატონის ვახტანგისი მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი.

17. პატრონმან მზეჭაბუქ, წლისა გბ-ისამან იქორწინა და მოიყვანა ასული როსტომ გურიელისა პატრონი როდამ სახელით³.

ეს ვარაუდი სწორი არ არის. „ქრონიკის“ პირველი ჩანაწერები 1560, 1561 წ. წ. განვეკუთვნებიან (მუხ. 1, 3). მუხრან-ბატონთა მოსახსენებლები კი 1561 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან იქ მცდალებულად ისსენიება აშოთან მუხრანბატონი, რომელიც „მოკელეს ფხოლთა“ 1561 წელს.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მუხრანბატონთა მოსახსენებლების ქვემოთ, უკანასკნელი (მერვე) სტრიქონის მომდევნო სტრიქონშე მოთავსებულია ვახტანგ მუხრანბატონის ვაკის, ბაგრატის 1573 წლის იულისის 16-ს დაბადების ცნობა. ეს ვარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსახსენებლები 1561—1572 წლებს შუა უნდა იყოს დაწერილი.

¹ ტექსტში: „იონათანისისი“.

² ერთისა და იმავე სახელის „იონათანისა“ და „იონათანისა“ გამოირჩება, ე. თ-ს აზრით, შეცდომით მოსკვლია გადამტერს. ერთ-ერთი „იონათან“ დაწერილი უნდა იყოს იონისა ანუ იოთამის მაგიერ. იოთამს, ბაგრატ მუხრანბატონის ვაჟს, ე. თ-ს მითითებით, არაერთი წყარო იხსინებს (ე. თ., რუს. გმა, გვ. 184, შენიშვნა 3).

³ მზეჭაბუქის ნეკროლოგი იწყება მე-9 გვ. ქვემო ნაპირზე, სადაც დაწერილია 5 სტრიქონი, იმავე ხელითა და მელინო, როგორითაც ყვარცვარეს დაქორწინება ოდიშს და დადაინის ასულის მარების წყაროსთავს მოყვანა. ნეკროლოგი გადადის მომდევნო მე-10 გვ. ქვემო ნაპირზე, სადაც დაწერილია სამი სტრიქონი; ბოლოვდება მე-11 გვერდის ქვემო არეზე, ხუთ სტრიქონად. ასე, რომ ნეკროლოგის დასაშუალი მდებარეობს მუხრან-ბატონთა მოსახსენებლებზე წინ (გვ. 10), ხოლო გაგრძელება და დასასტული იმავე გვერდების (10—11) ქვემო არეზე, რომელ ნებდაც მოთავსებულია მუხრანბატონთა მოსახსენებლელი.



და ცხოვრის გრძელი მასთანა ერთ წელ და ორ თუშ. იანვარსა თა, დაუკავშირდა პარასკევისა, დღისით, უამსა გ, გარისხდა ღმერთი მისის მშობლების საოცხების და პატრიონი მშექაბუქ მიიცვალა იმიერ სოფლით საუკუნეთა მათ განსასისუსნებელთა, წლისა კვ-ისასა ორი თუშ აკლდა¹, საღ-თოთ-საკაცობომდი ყოვლად სრული და ზე-უკლები². სიყრმით-გან ღ-თისამოყუსარე და ქრისტეს სარწმუნოებაზედა აღზრდილი, სრული³ მწიგნობარ-მგალობელი და რიტორი, კმია-შუშნიერი, ენა-ტებილი, ეკლესიათა და ღ-ისმიუყარეთა კაცთა პატივისმცე-მელი. ხოლო იცოდა სპარსული წიგნი და წერა დაენა თათრული, სპარსული და არაბული. ისპა(!) მობურთალ-მოასპარეზე⁴ ქუ[უ]კა-ნესა ზედა მისებრი არ გამოჩენილა. ქ-ქსა ხე მიიცვალა.

18. დაიბადა ბატონის ვახტანგის ვაჟი ბაგრატ ივლისს ივ, დღესა ოთხშაბათსა, პირველსა უამსა დღისისასა, ქ-ქს ხე.

თვალშეკრინერის ეაზეინს გამგზავრება

19. წ: მაისისა კზ, დღესა ხუთშაბათსა წივედით ახალკიხეს და ბატონი თუალშუშნიერი საყაზმისოდ წივიყვანეთ, დღესა ხუთ-შაბათსა, ქ-ქსა ხეა, ივანობისთუშს იზ, დღესა ოთხშაბათსა ახალ-ციხიდამ ვავდევით და ენკენისთუშს ლ, ოთხშაბათ დღესა წყაროს-თავიდამ ვავდევით.

პარასკევს დღესა წურილი და-ძმანი გაიყარნეს ქვა-კაცთა და ჩ-ჩ ჭალას დავდევით. ღუინობისთუშს ია, კუირას დღესა ვანა-ზიიდამ ვავიყარენით დედა-ძმანი და ლაშქარნი და თუალშუშნი-ერი გორს ჩავიდა იმ დღესა და ჩ-ჩ ჯამიასპს მოვედით. კ ღუ[ი]-

¹ მხექაბუქი გარდაცვალებას უამს, ე. ი. 1572 წლის თერთმეტ იანვარს ყოველა 22 წლამ და 10 თება; 23 წლამ შესრულებამდის „არი თუშ აკლდა“, ამის მახვილი მხექაბუქი დაბადებულა 1549 წლის მარტის 11.

² ტექსტში არ არის „не доставало до церковного совершеннолетия двух месяцев“; რასაც ვეითელობთ ე. თ-ს რუსულ გამოცემაში (გვ. 187—188), არამედ „წლისა კვ-ისასა თორი თუშ აკლდა“.

³ ამას იქით ტექსტი სიტკეა „მწიგნობარ-მგალობელი“-დან ხუთ სტრი-ქონად გადატანილა მე-11 გვ. ქვემო არეზე.

⁴ მოასპარეზე ე. თ-ს რატომდაც თარგმნილი აქვს „наездник“-ად.

⁵ ეს ცნობა მოთავსებულია მე-11 გვ., მეხრანბატონთა მოსახსენებელის ქვეშ; უკრ. ლ-დ მაქერალია პეტერელი, დაბადების ცნობის ქვემოთ.

ბაგრატის დაბადების ცნობა, როვორც ამას ე. თ. აღნიშნავს (რუსული, გ-მა, გვ. 188, შენ. 3), დაშერილა მცირალი მელნით; ხელ წააგავს ქაიბასროს 1570 წ. ყაზვინს გამგზარების ცნობის ხელს (მნ. 8).

ვფიქრობთ, რომ მსგავსივე ხელითა და მელნით უნდა იყოს დაშერილი ბასილისა და ბექას დაბადების ცნობაც (გვ. 9).



ნობისთუმა, სამშაბათს დღესა ერევნიდამ ჭასულიყო¹. ამას უკანავით განდელი² საქმე ღმერთზე ჰკიდია³.

ქაიხოსრო ათაბაგის მოსახლენებელი

20. ეგრეთვე⁴ სახელოვანისა და აღმოსავალითგან ვიდრე და-სავალამდე სახელ-განთქმულისა, სწორ-უპოვარისა, სიკეთე-აღმა-ტებულისა და მრავალჯერ გამარჯვებულისა, მქნისა და ახოვნისა, ბრძოლათა შინა უძლეველისა, ქრისტეანისა და ღისმოყვარისა პატრიკის ქიხოსროსგან გარისხდა ღმერთი ყაზმითს. და დაუტევა მდენი ესე საწუთო ენკენისთუმს კთ, დღესა სამშაბათსა, ცრა ქამს, მთუარესა ბ და მიიცვალა; წლისა ნა ფეხერვალსა და გა-თავდებოდა⁵, საუკუნეთა მათ საყოფელთა სასუფეველსა ცათასა, შიმისა თანა და ძისა და წისა სულისა, რომლისა საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხევამ მისი, ქ' კსა ხეა⁶.

21. ლუინობისთუმს, ოცდაორს, დღესა ხუთშაბათსა, პატრიკი არჩილ შირაზს გაგზავნეს ყაზმინიდამა, ქ' კსა ხეა⁷.

¹ ცნობები მოთავსებულია გვ. 11-ის ქვემო არეზე (1 სტრიქონი) და ვა-დაფის მომდევნო გვ. 12-ს ზემო ნაწილზე (13 სტრიქონაზ). დაწერილია იმავე წერილი ნესხერით, როგორითაც მშენებულის გარდაცვალების ცნობა (9—10 გვ.).

² ე. რ. უკანასკნელი — შეკვეთით.

³ გამოთქმა: „ამის უკანასკნელი საქმე ღმერთზე ჰკიდია“ — მოწმობს, რომ ეს ჩანაწერი (საფირებელია, დანარჩენებიც) ამბების მსელელობის პროცესში იწერებოდა დღიურის სანით, რაც აღნიშნული აქვს ე. თაყაიშვილს (გვ. CXLI). როცა ათაბაგის სახლის წერებება თვალშევნიერი ყაზეინს გაისტუმრეს (1573 წლის მაისის 27 — ამავე წლის ოქტომბრის 20), სამცხემდის ჯერ კიდევ არ იყო მოწყეული ქაიხოსრო ათაბაგის სიკედილის ამბავი (1573 წლის ენკუ-ნისთვის 29-ს). აი რატომ ჩანაწერი ქაიხოსროს მოსახსენებელი თვალშევნიერის ყაზეინა გამგზავრების ცნობის შემდევ.

⁴ სიტყვა „ეგრეთვე“, რომლითაც იწყება ქაიხოსრო ათაბაგის მოსახსენე-ბელი, მოწმობს, რომ განზრაპული ყოფილა ამ ჩანაწერის დაკავშირება მუხრან-ბატონთა მოსახსენებლებთან, თუმცა ამ განზრავეას ამ დროს ხელს უშლიდა მხეცაბუკის ნეკროლოგისა (1572, იანგრის 11) და თვალშევნიერის „საყაზმისოდ წაყვანის“ ამბების ჩანაწერება 9, 10, 11, 12 გვერდებზე.

⁵ „იგ გათვეუბოდა“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ, ტექსტის ხელითა და მელნით.

⁶ ქაიხოსრო ათაბაგის მოსახსენებელის პირველი ექვსი სტრიქონი დაწე-რილია 12 გვ. ქვემო ნახევარზე; დანარჩენი 10 სტრიქონი 13 გვ.

⁷ არჩილ მუხრან-ბატონის ყაზეინიდან შირაზს გაგზავნის ცნობა დაწერი-ლია ქაიხოსრო ათაბაგის მოსახსენებელის ქვეშ, იმავე მელნითა და ხელით. როგორც ეტყობა, ეს ორი ცნობა (ქაიხოსროს გარდაცვალების და არჩილის შირაზს გაგზავნისა) ერთდროულად მიუღიათ.



22. ნებითა ლოტისახთა და შეწევნითა აწყურისა და ვარძისა [ი]სა ლოტისმშობლისათა, დაიბადა პატრონის ყ[უ]არყ[უ]აჩერეს-შე პატრონი ქაიხოსრო აწყურელს, გიორგობისთუმც ცხრა, ორშაბახთი დღე განთენდებოდა, ქათმის-ყიულ: მთუარესა იდ, ქ'კა სხა¹.

23. მარტსა კ, დღესა კ[ვრია]კესა, უმშა მწუხრისასა, ქ'კა სხა, მთუარესა ცხრასა გარისხდა ლმერთი ცამდი ამალებულისა პელმწიფის შეილისა, დაკარგულის დიდის ათაბაგის ძისა², თუალ-პირ-სამოთხისა, ლამზად შესახედავ-წამოსადეგისა, [ახლისა] სამოთხის ყუაგილისა, ორის საჯელმწიფოს სასახელოს შეილისა, პატრონის იანქოსგან ლმერთი გარისხდა. და დაუგდეს მის მშობელს დადგ... აპრილსა კთ, თორმეტის [წ]ლი[სა] ³ [გათავდებოდა].

24. ქ'კა სხდ, მაისსა იე, დღესა სამშაბათსა ყაენი შასთამაზ მოკუდა⁴ და უსტაჯალუანთა და ითომამიშეილმან ალიხან სულთან⁵

¹ 14 გვერდზე მოთავსებული ეს ცნობა [1573] ქრონოლოგიურად წინ უსწრებს 13 გვ. მოთავსებულ დედისიმედის საყვარელი შეილის იანქოს გარდა-ცვალების ცნობას (1575 წლის თარიღით). ყვარყვარესა და დადიანის ასულის მარების ძის დაბადების ეს ცნობა დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ქაიხოსრო ათაბაგის სიყვდილისა და არჩილის შირახს გაგზავნის ცნობა 12—13 გვ. როგორც ამას ე. თ. აღნიშვნას (რუს. გამ. გვ. 191), ამ ტექსტის III—IV სტრი-ქნის გასწერივ, ტექსტისავე მეღნითა და ხელით, მარცხენა ნაპირზე მიწერი-დია „ზექარია“ [ზექარია].

ე. თ. ფრთხილად შენიშვნას: „Не он ли автор этого записиси?“.

² ამ დაზიანებულ ადგილს ე. თ. კითხულობს: „სამოთხისა“. მაგრამ ტექსტში გარეკვეთი იკითხება „დიდი[ის]“ და „...ისა“ — ამიტომ ჩვენი წაკითხვა უფრო სწორი უნდა იყოს.

³ იანქოს (იგივე საბას) გარდაცვალების ცნობა მოხვედრილია 13 გვერდზე, სადაც უფრო ადრე მოთავსებული იყო ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალებისა და არჩილ მეტრონ-ბატონის შირახს გაგზავნის ცნობა.

ვფიქრობთ, რომ ცნობის ჩამწერს (ან იმას, ვისი ბრძანებითაც შექვეთდათ ცნობები მატიანეში) შემთხვევით აზ მოსვლია ქრონოლოგიური წესის ეს და-რღვევა. ალბათ ამორჩევით საყვარელი შეილის დაკარგეთ დამწერებული დედისიმედის სურვილი იყო იანქოს სახელი კველაზე წარჩინებულთა მოსახსე-ნებლების ჯგუფში მოხვედრილიყო.

ჩანაწერის ხელი ახლოს დგას 9 გვ. პირველი ორი ჩანაწერისა და მუხრან-ბატონების მოსახსენებლების დამწერის ნუსხურთან; წააგავს იგი აგრეთვე „და-გითნის“ ტექსტის ხელს.

⁴ ამ ცნობის დიდი ნაწილი „მოკუდა“ სიტყვის იქით შემდეგში ჩამატებულია: ჯერ მარჯვენა ნაპირის ვიწრო ზოლზე, ასწერივ და დასწერივ, მერე ამ გვერდის მე-10—9—8—7 სტრიქონზე, თავდაყირა, მეშვიდე სტრიქონიდან გა-დადის მარცხენა ნაპირზე და აე თავდება.

⁵ ე. თ. აღნიშვნას, რომ Hammer-ის ცნობით ალიხან-მირზა ქართველი-ყოფილა (ე. თ., რუს. გ-მა, 191 გვ., შენ. 3).



ჰაიდარგირძეს ბატონობად მოინდომეს; ჯარგაზმია—შემხალ-ავშარტენი კუთხით და ვინც მათი ოიმახი იყო, მიუკდეს, აიდარმირძა მოკლეს, უსტა- ჯალუანი ამოსწუულიტეს და ისმელ მირძის გამოს[ა]ყუანლად კაცი- გაგზავნეს. და ამავე ქ'კნსა და ამავე მაისსა კბ მისი შუილი შა- ისმელი—ტყუშდ ჯდა ციხეს ყაჟყას და—გამოიყუანეს დღესა სამ- შაბათსა და კც არდაველს ქალაქში მოვიდა და კც ყაზმისისკე წა- ვიდა.

25. ამასვე წელსა, იყნისსა, ათაბაგი პატრონი ყრურე და ძმა მათი პატრონი მანუჩარ და ბიძაშუილი მათი მეფისშვილი პატრონი ჰერ[ა]კლე მგელციხეს წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნელად. ავ- კარგად სამოცამდის კაცი იახლა. სამწუბთ ლელეში დაედეგით.

აცნობ[ა]დ ოლადის ქუაბიდამა ბედანისშუილმა¹ იასონ ვა- რაზაშვილს კოკოლასა და მის მმასა ლაშქარისა და მის ბიძას გურ- გაქს. იახლნეს თანა დიასამიძის ელიას შეილი აეთანდილ და მისი ძმა შერმაზან, ამატკისშვილის როსტომის შეილი ამატ[ა]კ და აბდუყაფარ და მათი ძმისწული როსტომ და ამატკის ვაერ სეხ- ნიათ. დაეკაზმნეს² ხუთასამდი კაცი და წამოვიდეს და ორთვალთ- კიდს გამოვიდეს, ბორგეს³ მივიდეს. იქ ფანასკერტელი იობის შეილი- ჯირასონ გუშრც იახლა, საუბარს შეესწრა კ[ა]ცსა, თუ — გულ- მართლა ბატონებზე თავს დასასხმელად და დასაჭოცლად მიღიანო. იარა და აცნობა [უგუბოს]⁴ დოლენჯიშვილს ყანდურალის⁵, თუ— გულმართლა ბატონიშვილებს დაჲკოცენ! ფიცხლა აცნობე! წამო- ვიდა ყანდურალი, აცნობად ბატონებსა. ქათამს ეყივლა. ადგეს ბა- ტონები და ვინც იყო, დაეკაზმნეს. ოცამდე შეკაზმული კაცი იყო.

¹ ე. თ. კითხულობს შედანისშეილმა (რუს. გ-მა, გვ. 193). ბედანისშეილად კითხულობს ამ სიტყვას ბარიზის ქრონიკა და ორი სანდო ხელნაწერი (ბარა- თაშეილისეული—S: 25 და „მინგრელიის“ S: 354 ქ. ც.). ეს წაკითხვა უფრო სწორია—სახელი ბედან ჩევნის დროშიაც ცოცხალია.

² ბორგი—„ზემო ბორები“, „ქვემო ბორები“ იხსენიება „გურჯისტანის ვი- ლაიოთის დაგთარშიაც“, წ. III, 535—536.

^{3—4} ამ ადგილას ტექსტი დანიანებულია; შაგრამ გარკვევით იყითხება უგუბოს. პ. ქ. და „გადაკეთებული გაგრძელებაც“ უგუბოს უკერს მხარს. ნათე- ლია, რომ უგუბო ადგილის სახელწოდება და არა კაცის სახელი უკინი, რო- გორც ამას ვკითხულობთ ე. თ. რუსულ გ-ში (გვ. 193). ე. თ-ს უკინი დოლენ- ჯიშვილის სახელად მიაჩნია. ნამდვილად კი დოლენჯიშვილის სახელია ყანდუ- რალი (ცხადია, არავითარ კანდურ-ალი-ზე საუბარი აქ არ შეიძლება). ყანდუ- რალი დოლენჯიშვილი მოქმედების განვითარების ამ მომენტში უგუბოს იმყო- ფებოდა.

ჩევნთვის ცხადია, რომ „მატიანის“ უგუბო არის „დავთრის“ გუგუბა- ს. ჯიქია, წ. III, გვ. 53 2—3).

ბარგი აპეიდეს, დიდხან იქივ იბრუნეს და არ მოვიდეს. უკმოლესი
ოჯერათ-თავს სიშაგრესა.

26. იქნის ლ, შაბათს დღის განთიად დაესხნეს ნასაღომეესა. სხ[ვად] აღარა დახუდა რა: თუხარლიანთ კარავი და ბარგი და-
ხუდა და ის დაიფორაქეს; ჯორები კიდევ მოსცეს¹. ჩევნი და მათი
კაცი გარდიკიდნეს; ერთი მოკლეს და ერთი წელ დაიჭირეს ჩ'ნთა.
წავიდეს გაშტილებულნი. ეკუტება: „არ გაგუსწრ[ო]ბოდეს, თავებს
დიასჭრიდით და მკუდარს ასო-ასო ავიქმოდი[თ]. და ეს გუცენა,
მარტუილებსაც არ გაუშუბდით ცოცხალსა!“.

დავარდა წმია; დაიწყო ჩ'ნმა ლაშქარმა მოდენა. გაემართეს
პატრონი ყრყურე და პატრონი მანუჩარ და ჰერაკლე სახელსა ზედა
ღთისასა და მივედით ზედა-თმოგუს. და თმოგუს ქალაქი მო-
ვარბიეთ და იქივე ზედა-თმოგუს ამოვედით და პატრონი დედა
მათი, დედისიმედ ყოფილი დებორა იქ მოვიდა. და ორშაბათს ვა-
ნის-ქუაბს მოვადეგით და ოთხშაბათს² იერიშით ავილეთ და პა-
რასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდეგით, რჩეულიანი შემოვიწყუშნით.
კუირას დღეს ოლადის-ქუაბი ავილეთ, ამოვედით, კარწახს დავდეგით.

27. ივლისსა თ, დღესა სუთშაბათსა, ქ'კა ხედ ჰერაკლე
შევჰქანეთ, წლისა ივ-ისა, სამის თუისა და სამის კუირისა
მიუქედით ფოსოს, სახლი დავწუით და ამოვსწყუიდეთ. გაუძახეთ
ლაშქარი. დარღულეულთ ხიზანი და ალაფი გამოვილეთ და მოვე-
დით და პალაკაციოს დავდეგით და იქიდამა თეთრ-ციხის გარე-
შემო დავწუით ალბუტი და კამარონი და შასთან ელჩი გავგზა-
ვნეთ³.

28. ამავე თუტსა, ივლისსა კშ, დღესა შაბათსა შალიკაშვი-
ლის ზემბადის შუილმა მათივ ნაქონები ოთის⁴ ციხე წაართუა და
ჩ'ნ, თათარნი შუა შემოვიდეს⁵, გამოუდეგით, წამოვედით მგელ-

¹ გაუგებარია—ვინ „მოსცა“ ჯორები და ვის?

² ტექსტში გარევეოთ წერია: „ორშაბათს ვანის ქუაბს მოვადეგით და
ოთხშაბათს იერიშით ავილეთ“. „ორშაბათს იერიშით ავილეთ“ ე. თ. პირველ
(ქართულ) გამოცემაში მოხვედრილია გაუგებრობით, რუსულ გამოცემაში კი
გასწორებულია: „В понедельник мы подступили к Ванис-кваби, в среду
взяли его приступом“ (стр. 194). შერ. ივ. ჯავახშვილი, ქართ. საისტ.
მწერლობა, გვ. 273, თბ., 1945.

³ „შასთან ელჩი გავგზავნეთ“ მიწერილია მარჯვენა ნაპირზე, ტექსტის
ხელით.

⁴ სოფ. ოთას შესახებ იხ. ს. ჯიქა, III, გვ. 201.

⁵ „თათარნი“ პირველად იხსენიებიან აქ, მატიანეში.

ციხეს, შერანშაიანთ წყაროზე დავდეგით და მერმე აწყრს წერტილის ცილი.

29. ამავე ქორანიკონსა [სხდ], აგვსტოს ოცდაათერთმეტსა ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელციხიდამა და ენკენისთუმს თხხსა პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, მათი ბიძაშუილი, მგელ-ციხეს იყვნეს და შალიყაიანთ აზნაურიშვილებს თავს დაესხნეს. აზნაურიშვილები გარდეხულენეს. ერეკლე მიეწია, კაცი ჩამოაგდო და კარგი ცხენი დარჩა და ჩრდილი მოვედით სამცხიდამა და შერანშაიანთ წყაროზე დავდეგით.

30. დიასამიძემა დე[მოთ]ის საღალატო[დ] [ა]ზნაურიშვილებ[ი და] მსახურები გაგ[ჩაენა] და ვეღარ [უღალ]ატეს და ჩვდ[მეტი] გელთ დარჩ[ა სა]ჯარს, შალვაშ[ვილს]¹, ციხისთავს².

31. ამავე ქვენსა სხდ, ივანობისთუმს კდ ბატონი არჩილ შორაზიდამა ყაზმითს მოსახულიყვნეს ცოლშვილიანად³.

32. მერმე ჩაუდეგით, ფოსო ამოესშვიდეთ და შასთან ელჩი გავგზავნეთ. უკმოვბრუნდით, სამცხეს მოვედით⁴.

33. ქვენსა სხდ, მარტში, მოგვზდან კოკოლა და ახიის ქუაბი წაგუართუა. წავიდა ბეტონი მანუჩარ და იმავე წამის წაართუა. ერეკლე თან ახლდა. მერმე გურგაქ უკუადგა კოკოლას, თავის ძმისწულსა და ბატონს მანუჩარს შემოჰუცია, ქაჯისციხე უკმოუჭირა. მერმე ფიცი გაუტეხა და კიდევ უკუადგა ბატონს მანუჩარს. უკმობრუნდა ბატონი მანუჩარ; ჩაუდეგით კიდევ გაშინტებულზე, ვიუბნეთ. არ შემოგულწყვნეს⁵. დაურბიეთ ფოსო, ელჩი გავისტუმრეთ და უკმოვბრუნდით.

34. ამავე ქრონიკონსა ქ [?], სახელსა ზედა ღისსა, გავილაშქრეთ ენკენისთუმ ნახევარ და ქაჯის ციხეს მოვალექით.

¹ „შალვაშვილს“ არის S : 25-შიაც და S : 354-შიაც.

² დემოთიას ციხის საღალატოდ მოქმედების ცნობა მოთავსებულია 17 ვე. მარჯვენა ნაპირზე, 29 მუხლის ტექსტის გასწორივ, უთარილოდ. საფიქრებელია, რომ მუხ. 29–30-ის ამბები ერთდროულად მიხდა.

³ როგორც ე. თ. განნარატავს რუსულ გამოცემაში, იგანობისთვის 24-ის ამბავი აგვისტოს ამბების შემდეგ არის ჩაწერილი, ალბათ იმის გამო, რომ შიორანისა და ყაზვინის ცნობები სამხრეთ საქართველომდის დაგვიანებით მოაღწევდა. აღარც ადგილი იყო დატოვებული მცირდოდ ნაწერ ტექსტში ჩასამატებლად.

⁴ ეს ცნობა 29 მუხლის გავრძელებასა და იქ მოთხრობილი ამბის დაბოლოებას წარმოადგენს. აქ მიმდინარე ამბების გადმოცემაში შეტაცილია უფრო ადრე მომხდარი ამბავი, რომელიც მემატიანეს გვიან გაუგია (მუხ. 31).

⁵ ტექსტში მიგვედა წერია.

35. ლეინობისთვეს ორს გურგაქ შემოგუშევო და ველი მოგუდით, ურთის ციხე-საყდარი წიგართუით, კოკუჭული კერძად იყო, და ციხე დავაქციეთ, სიმაგრე რაც იყო დავშესხმა, საყდარი გაუშუით, ფოსო მოვარბიეთ და ელჩი გაუშუით ყაენთანა, მოვგბრუნდით, მგელციხეს მოვედით.

36. ბოსტოლანიშვილმან მატამა უხუცესი მისი ძმა მოკლა, ათამირიძა ერქუა. წამოვიდა ბატონი მანუჩარ, დაიჭირა მატა და თუალები დასწუა მას და მისთან მყოფთ ყმათა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ, მგელციხეს მოვიდა, ბატონი ყრყურ და ბატონი მანუჩარ იქ დადგეს და ბატონი დედისიმედი წამოვიდა, ახალციხეს მოვიდეს.

37. ქრისტიშობისთვეს იჲ, ამბავე მოვიდა თუ: შაისმეილი მოკუდაო. აღარ დავიშალეთ, ზობას ელჩი გავგზავნეთ ბატონს თუალშეუტნიერთანა; ყაენის სიქ[უ]დილი არ დავიჯერეთ.

38. ქრისტიშობისთვეს ოცდარვასა თუალშეუტნიერის კაცი მოვიდა, სადასტურო ყაენის სიქ[უ]დილის ამბავე მოიტანა [გიორგობისთვეს კგ მომკუდარიყო შაისმეილი]¹.

39. ქრისტიშობისთვეს ოცდარერტმეტს ბატონი ყრყურ და ბატონი მანუჩარ თმოგუს მოადგეს, სამშაბათს დღესა.

40. იანგარს ე კუირას დღესა, ქ'კნა სხვ პატრონი დედის-იმედი და ბატონი ბექა ყუტლს მოადგეს.

41. ამას-ვე იანგარს ც, ოთხშაბათს თმოგუი წაართვუს და აქეთ იმავ დღეს ყუტლი წაგართვით.

42. ოთხშაბათს, გიორგობისთვეს შუიდს² ბატონს ერეკლეს ცხენი წამოექცა. საქმე სათუოდ გაუკდა, ასრე საძულად დასცა; უცხოფერს ფათერაქს მორჩია. აგრევე [მე]ცამეტეს დღეს წამოდა სანალიროდ, ქარაცის ძირს იჯდა, ჩამოავდო ქვა, დაეცა, თითის წლები ძულითურ მოჰკულთა³; გონჯად დალეწა; ორს თუცს ძუილ გამომთელდა. მისთვის არც თმოგუს იყო და არც ყუტლს⁴.

¹ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი სტრიქონს ზემოცა სწერია და შემდეგ გრძელდება ჩარჯვენა ნაპირზე—გასწერივ და მერე დასწერივ.

² შუიდს ნასწარები ჩანს; ის ადგილი, სადაც სიტყვა შუიდს წერია, თითქოს ამონაფხვერია.

³ ტექსტის „თითის წუტრი ძულითურ მოჰკულთა“ ე. თ. რუსულ თარგ-მანში: „отрезал ему палец с костью“ არის. უნდა ყოფილიყო „отрезало ему кончик пальца с костью“.

⁴ ერეკლე მუხრანბატონის ეს ორი მარცხი წინა 1577 წლის ნოემბრის 7-ისა და 20-ის ამბავია. აქ, 1578 წ. ამბებთან მოთავსებულია იმის განსამარტავად, რომ ერეკლე „არც თმოგუს იყო და არც ყუტლს“ (იხ. მხ. 39—40).

43. შეიყარდა კოკოლამი ყარახან, წამოვიდა თმოგუზე მოსა-
შუტლებლად, ვეღარ მოესწრა. ციხე ორივ წაერთმევინა. ყუტლები და დამა
დამა თმოგუს წავიდა ბატონი დედისიმედი. იქიდამი ბატონი გადა-
ნუჩარ ჯავახეთს წავიდა; ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გუ-
რგაქს ქაჯისციხე გაუბარაქიანა. ბატონი ურყარე და ბატონი მანუ-
ჩარ ახალციხეს წამოვიდა და ბატონი დედისიმედი თმოგუს დადგა. თმოგუს ციხეს რაც დახირა უნდოდა, მიატანინა, გააბარაქი-
ანა და თუალშუტნიერთან ელჩი გაგზავნა, ციხების შოვნა შესთუალა
და ურუშთ აშლა აცნობა და ურუშთ საჩქარო წმა დაუვარდა. პა-
ტონი დედისიმედი ახალციხეს შვილებთან მოვიდა. პატონი
მანუჩარ და პატონი ერეკლე — ლაშქარი შეიყარეს — წავიდეს,
ურუშთ პირს მიუდგეს. პატონი ურყარე ცოტად უგუნდუდ(!)
იყო; ის ვეღარ წავიდა. ზღუდერს ჩავედით.

44. ამასობაში ოთმანიანი რეათასი კაცი ფებერვალს კვ, მო-
ოთხშაბათს დღესა, დაესხნეს ყარახანს, გაუდრეკა საილათოლ¹. წა-
უდგეს ურუშმი და ათიოდე კაცი მოუკლეს. მობრუნდეს, გორი და-
უწუ ცს და იმავ ზარიშატში დადგეს. მობრუნდა ყარახან, ექუსასი
კაცი ახლდა, დაესხა თავსა, ამოსწყუიდნა ურუშმი, გააქცივნა, სა-
ხელსა ზედა ლისასა და გაემარჯუა ყარახანს და აივსნეს საქონ-
ლითა და იარალითა. მობრუნდა ბატონი მანუჩარ და აწყუტრს
ჩამოვიდა.

45. ჩ: ქ' კნა ხევ, მაისსა კა, დღესა ოთხშაბათსა წავიდა
პატონი ერეკლე სურამს, ქართლის დედოფალთანა: დედოფალი
ღარიბად იყო; მასთან სამყოფად ჩავიდა².

46. ამავე ქ' კნა, მარიამობისთუცს ჟ, ხუთშაბათს დღესა
ხუანთქრის ლაშქარი დ[ა] ლალაფაში მგელციხის ციხეს მოადგეს,
შეიძნეს. სამშაბათმდის ყოველთ დღეთ მშობი იყუნეს ციხონი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა — ბერი ერუშნელი და მისი ძმის-
წული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ლთის შეწევნით უკუ-
ყარნეს და ციხე ჩ' ნვე დაგურჩა: ჩ' ნთა გაემარჯუა.

47. პარასკევს დღესა, ც მარიამობისთუცსა ქაჯის ციხე, ვეღი
და თეთრციხე წაგუართუცს ურუშმთა³ და ქაჯის ციხის მეციხოვნენი
სრულად შემოეკოცნეს.

¹ გაუდრეკა საილათოდ ე. თ. თარგმანით „подался назад, чтобы изыскать
средства“.

² „ღარიბად იყო“ ე. თ. თარგმანის „пребывала в бедности“, ეს არ უნდა
იყოს სწორი; ღარიბად ყოფნა ამ შემთხვევაში დედოფლის მართო ყოფნას უნდა
გულისხმობდეს. ამას, სხვათა შორის, მოწმობს მომდევნო ფრაზაც — „მას-
თან სამყოფად ჩავიდა“.

³ ე. თ. ცნობითამ სიმაგრების აღებას პამერი 1578 წლის 9 აგვისტო
ათარიღებს (ე. თ. რუს., 201).

48. და თ შიბათსა, დილასა ძურძნასა და წინწალს შეღწვევაზე რუმ[ი]სა და ვანის ფშა მოვიდეს და სულთანი და ყარახანის გარეთ გამოადგა; მისი ვინც იყო, გუერც მოიყენა და სხუად ბატონები შეებნეს ურუმთა. პირველად გაიმარჯუეს ყინილბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯუტს. მაპმადი-სულთან გამოიქცა, გარდაეხულშა.

49. იმავ კუირას, ი მარიამობისთვესა, პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა. ვერც ლაშერის ოშა და ვერც ციხების აღგრძეს ვერ მიესწრა?

1 პამერის ცნობით, მანუჩარი ჩილდირის ბრძოლამდე რამდენიმე კვირის წინ მიძევდლებია თურქებს და აწყურის სანჯახი მიუღია, ხოლო მის ძმას—ყვარყვარე—თლითის (ვ. თ. გვ. 201).

2 აკადემ. ივ. ჯავახიშვილი ამნენეს წინააღმდეგებას მესხური მატიანის დედაშა (S: 947) და განუშტის „სამცხე-კულარჯვეთის“ ისტორიის ცრონას შევა (ქართვ. ერის ისტორია, IV, ნაშ. II, გვ. 274, თბ., 1948). განუშტი „მატიანის“ 49 მუხლს ამგვარად გადმოგვცემს: კანონ მანუჩარ ქაჯის ციხისთვის შემოიკრიბნა სპანი, გარნა ვერცა ოშა და ვერცა ციხის აღებას მიუსწრაო“ (კრიინაძის გ-ზა, გვ. 251).

დედინისული ცნობა აქ გამოიუდებულია. „მატიანის“ მიხედვით მანუჩარ შორიდან უცემრის ასმალთა და ირანის ლაშერის შეტაკებას. იგი ერთხელაც არ ერევა მათ ბრძოლებში (იბ. 44—48).

როცა მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით ხუანთქმის ლაშერი ხუთი დღის განმავლიბაში ათაბაგების ერთ-ერთ მთავარ ციხე-სიმაგრეს—შეელიონეს უტევს, არც ყვარყვარე ათაბაგი, არც მანუჩარ არ ჩანან ამ ბრძოლაში ციხეს გმირულად იცავნ ძმები გოგორიშვილები და მათი ძმისული, ყმებითურთ (იგულისხმება გოგორიშვილების ყმები).

მთლიან ერთგან (მნ. 48) მემატიანე ყრუდ ისხნიებს „სხუად ბატონები შეებნეს ურუმთა“. საეკვოა, რომ აქ მანუჩარი იგულისხმებოდეს.

როცა ხეანთქმის ლაშერის უპირატესობა სრულიად ცხადი ხდება და მაპმადი-სულთან გარბის, „ი მარიამობისთვეს პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა“, და, როგორც მემატიანე აღნიშნავს, „ვერც ლაშერის ოშა და ვერც ციხების აღებას ვერ მიესწრა“.

აქ მემატიანე მეტად ბუნდოვნად გვეუბნება, რომ „მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა“. გის შეეყარა მანუჩარ? ქაჯის ციხეს, რომელიც ორი დღის წინ (მატიანით აგვისტოს 8-ს, მნ. 47) ურუმთ ხელში გადავიდა, რადგან „მეცენოვნები სრულად შემოიქოცნეს“?—რა თქმა უნდა მანუჩარ გამარჯვებულ ურუმთა მეთაურს შეეყრებოდა იქ.

ვახუშტის დასკვნა, თითქოს მანუჩარმა ქაჯის ციხისათვის „შემოიკრიბნა სპანი“—არ არის სწორი. მანუჩარმა პირველმა გადადგა ნაბიჯი მტერთან შეთანხმებისათვის. შის კვალს მიძყვნენ ამილახვარი და სხვანი (მნ. 49—52; იბ. აგრეთვე მნ. 49-ის შენ.). შეუძლებელია მემატიანეს არ აღენიშნა ათაბაგების მონაწილეობა თავდაცვაში, ეს რომ ასე ყოფილიყო.



50. ამილახორიშვილი ქო[ი]არ მიეგებად არტანს და ორი ცენტრული შენ შესძლუნა ლალაფაშისა მარიამბისთუტის თრსა.

51. აგრეთვე ართაქსად პბირებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა, იმწამს გამომპეუარეს, ციხეები გამოართულს და ხახული სასანჯახოდ მისცეს.

52. პატრონმა მანუჩარ იზ ამავ თუტსა თმოგუის ციხე მისცა ლალაფაშისა. ახალქალაქი უწინ წაართულს—კოკოლას მეციხოვნე ღდგა და იქიდამ მისცა თმოგუი. გააძეს.

53. წვეიდეს ტფილის ქალაქზე. ის დაუთხან დაწუა და გაცალა, ლორეს ჩავიდა. ტფილის ჩავიდა. ფაშა დასუტის და გორს—სანჯაბი.

54. პატრონის ბაგრატის შუილი, პატრონი გახტანგ, ერისთავი ელისბარ და ამილახორი ბარძი[მ] ერთად შეიყარნეს. ლალაფაშა ლაშქარი გააძახა დედოფალსა და სრულად ქართლსა. ესენი მოვიდეს და ამათის წყალობითა ლაშქარი დააბრუნვეს. თემი აღარ ამოსწყდა. მათ-მათი მამული მისცეს, ოთხი დღე არ დააყოინეს, დააბრუნვეს; მათს მამულში მოვიდეს.

55. სომხითართ ბევრი აწყინეს.

56. ლაშქარი გამოეშვა ლალაფაშისა; ამოიარეს ქართლი; დაუდგეს იმერელნი წინა და მწოდე ამოსწყუიტეს.

57. მეორედ ერეკლე დაემწულდია შიგა ამში, პატრონის არჩილის შუილი და მას გაემარჯუა. უცხოფრად შებმულიყო, ცხენი ქუში გამოეკლა მისთვის: თექუსმეტი მუზარადს პქონდა ნაკრავი ისარი, ორმოცამდი—[ჯაჭუს]¹ და ვერც ჯაჭუი და ვერც მუზარადი ვერ გაეკუტა. ერთი ქრმალი ხანჯარს სცემოდა; ხანჯრის ტარი ზედ დაეჭრა; ექუსი აზნაურიშვილი მძიმედ დაუჭრეს, დაუკოდეს. გამარჯულება² ერეკლეს დარჩა; გამოაქციეს თათარნი, უფრო სიერთნი დაწოცეს და ამოსწყუიტეს.

58. ენკენისთუტის ერთს იმერელნი შეიბნეს და გაიმარჯუტის და ქართლელნი და ერეკლე ენკენისთუტის ათს შეიბნეს და სრულად ამოსწყუიდეს³.

¹ ამ ადგილას, უპევლია, გამორჩენილია სიტყვა ვაჟუხ. ქვემო ტექსტში ვკითხულობთ: „ვერც ჯაჭუი და ვერც მუზარადი ვერ გაეკუტა“—თუმცა ზემოთ მხოლოდ მუზარადია ნახსენები.

² ლალაფაშის იმერელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. წინააღმდეგობა გაუწიეს თურქების ლაშქარს აგრეთვე ქართლელებმაც (ერეკლე მუზარბარონის მონაწილეობით) და დიდად დააზარალეს—ეს იმის შემდეგ, რაც მუზარბარონებმა და სხვა თავადებმა მორჩილება გამოუცადეს ლალა-ფაშას, ხოლო შანუჩარ კიდევ უფრო ადრე მიემზრო მას.

59. ორავეანდას შეილი მოვიდა და ლალაფაშასთან მანუჩარი
ის მიუძღვა. ახალქალაქიდამ ფაშა და პატრონი მანუჩარ ქაშიზლუს
წავიდეს¹. ორავეანდას შეილი ქაიხოსრო აქათ გამოეგზავნა.

60. ქერნის ხევ, ენკენისთუმც ითხს, ხუთშაბათს ქორწილი
უყავით მასთან პატრონის შეილს თამარს. ს[ამე]ბ[ამი]ნ და საში-
ნელმა აწყურისა ლისმშობელმან წ'ნ ქორწილი ბელნიერად მო-
უწდინოს. ჭამა აგურიანში იყო, თათართ შიშითა. დია ჩ'ნი უგუ-
ნებო ქორწილი იყო.

61. აგრეოვე კახი მეფე, პატრონის ლეონის შეილი [პატრონი
ალექსანდრე] მიეგებად ლალაფაშასა, სათისჭალას შეეყარა და
შექისა და შარეანზე წავიდეს.

62. ამაზე შერანშაშუილი მოვიდა ყაენიდამა, თუალშუტნი-
ერთან იყო; ეს მძავი მოიტანა: მანუჩარის ლალაფაშასთან მი-
სულა შეიტყუა ყაენმა². თუალშუტნიერს კაცები გამოუგზავნა, სა-
დგომი დააგდებინეს და ყორჩიბაში მიაბარეს.

63. მარიამობისთუმც ოცდაექს[ს], ორშაბათს დღესა დაიჭი-
რეს თუალშუტნიერი.

64. დაიჭირეს შირვანი, ციხე აშენეს და ოსმან-ფაშა შეაყე-
ნეს, მისით ლაშქრითა, და შემობრუნდეს.

65. ალექსანდრეს შეილი არაგუამდის მოპყუა და დაბრუნდა.

66. ლალა-ფაშა მუხრანს დადგა, გორი გაამაგრა.

67. ქართლის მეფე, პატრონი სუიმონ ტყუც იყო; ყაენმა გა-
მოუშუა, მოაბით მოიყუანეს აგადმიყოფი. პატრონი არჩილ, ერთით
შვილითა³: და ბევრი ტყუც თან მოიტანა, ლუინობისთუმც ნახევარ
მოვიდა. ყაენმა ხუდაიბანდი გამოუშუა. ლალა-ფაშა ქართლსევ
იდგა. მოვიდეს სომხითს, დალაპარაკდეს. ავალმყოფი იყო, მისით
მიზეზით ვეღარ ნახა.

68. აიყარა ლაშქარი ლუინობისთუმც ერთსა, პარასკევს
დღესა⁴, მოდენა დაიწყო. აწყუშრს ვიდევით. ორშაბათს პატრონი

¹ აქედანაც ჩანს, რომ მანუჩარ შეთანხმებული ყოფილა ლალა-ფაშასთან
და მასთან ერთად მოქმედობდა ქართლს ლაშქრობის დროს.

² აქედან სრულიად ცხადი ხდება, რომ მანუჩარი ლალა-ფაშას მჩარეზეა
გადასული, მონაწილეობა თურქების სამხედრო ოპერაციებში, რაც ირანისათვის
აღარაა დაფარული.

³ „ერთით შვილითა“ ზემოდან არის ჩამატებული.

⁴ თ. უორდანიას დასკვნით 1578 წლის ლუინობისთვის (ოქტომბრის) პირ-
ველი პარასკევს არ მოღიოდა (ზელზაწერი A: 1179, გვ. 20)—თ. უორდანიას ულმა-
„პარიზის ქრონიკა“.



მანუჩარ გამოეშუა, წინათ მოვიდა. სამშაბათს—პატრონი ყრ-ყრე წინ
მიეგებ[ა]—თუითან ლალა-ფაშაც მოვიდა და გალმა ლექზე დაჭვებითი

69. ხუთშაბათს პატრონი დედისიმედი გავიდა ციხიდამა და
ლალაფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა და ძელე-
მების ჯარი იყო. შებათს, ცისკრისა აიყარა და წავიდა. პატრონი
ყრ-ყრე თან გაჰყუა მოტყუებით და აღარ დაბრუნდა. პატრონი
მანუჩარც თან წაჰყუა¹. ათს დღეს ძეილ ლაშქარი გაწმდა.

70. სამშაბათს დღეს ამბავი მოვიდა: პატრონი ყრ-ყრე აღარ
დაბრუნდაო. წუადე პატრონი დედისიმედი, ჯაყამდის სდია, ვერ
მიეწია; აზნაურიშუილები წაუყენა, ვერარ დააბრუნვა; ისრე დე-
დისა და ცოლშეილის გამოუსალმებელი წავიდა. ოლთისი სასან-
ჯახოდ მისცეს; იქ მივიდა.

71. პატრონი მანუჩარ მოვიდა², აწყუტრს მობრუნდა.

72. ტაძრადმიყვანებას დღეს პატრონის დედისიმედის ძმა
პატრონი ვახტანგ ველთ დაიშირა პატრონმა მეფემა სუიშონ და
კეხუის ციხეში ტყუტდ ჩაგდო.

73. ლალაფაშას ლაშქარი და შირძა-ალი გამოეგზავნა პატ-
რონს მანუჩართან, ქართლს გაეძია. ქართლს ვერ ჩაუვიდეს, სად-
გერს დადგეს და ამოსწყუიდეს სადგერი. წმიდის გიორგის განძი
წავდა.

74. მეორედ კიდევ სანჯახები გამოეგზავნა; შეიყარა პატრონი
მანუჩარ, ჩაუკვდა და ზემო ქართლი დაერჩია.

75. მოვიდა კაცი პატრონს ყრ-ყრეს, ოლთის აღარ დააყე-
ნეს, აზრუმს მიიყუანეს; შობის წინა დღეს წაიყუანეს.

76. მოუკვდა შაპის ხუდაბანდის ცოლი ბეგუმ შირვანსა, შე-
იბნეს, ამოსწყუიდეს ლაშქარი, ციხე დაწუტს, დააქციეს; ხაზინა
ყუალა ველთ დარჩა, თათარხან ველთ დაიშირეს, ყაზმის ტყუტდ
წაიყუანეს; მოერიცნეს ყიზილბაშინ. ოსმან-ფაშა დემურყაფს უკურჩა.
ჩავიდა ყაზმის ბეგუმ. დაიჭირეს ბეგუმ გამარჯუტბული წელთა;
ისიც მოკლეს და თათარხანცა, ყაზმა დააკოცინა.

¹ აქ ნათლად ჩანს, რომ ყვარყვარე ათაბაგი ლალა-ფაშას შოტყუებით
წაუყვანია თან, მანუჩარი კი თავისი ნებით გაჰყოლია.

² ამ შემთხვევაშიაც ნათელია, რომ ყვარყვარე ათაბაგს სხვა პოლიტიკური
გვარი აქვს და მის მომღევენო ძმას—მანუჩარს სხვა. მანუჩარი თავისი ნებით მის-
დევს ლალა-ფაშას, ყვარყვარე კი თეთონ ლალა-ფაშამ გაიტყუა. მანუჩარი არხე-
ინად ბრუნდება აწყურს. როგორც მხ. 73—74 მოწმობს, მანუჩარი ლალა-ფაშა-
სთან ერთად არბევს საათაბაგოსა და ქართლს.

77. ქენსა სეჲ, მ[არ]ტ[ს] კგ პატრონი მანუჩარ აზრუმს წერილი ციდა¹.

78. პატრონი ყრყურე და პატრონი მანუჩარ კოსტანტინო-პოლის წავიდეს აზრუმიდამა. აპ[რილის] კ ორშაბათის გადგეს.

79. მასუეან² მოვიდა ამბევი—ბატონი თუალშუცნიერი: მარიამობის თუშს ოცდასამს ქელთ დაიჭირეს³.

80. ლუინობისთუშს ა, ორშაბათს დღესა ალამშტის ციხეში ტყუშდ წაიყუანდეს.

81. უამი შეიქმნა. მაისსა ლა, შაბაოს საღამოსა ხოსიტა გა-აცხელა საკანაფეს, პატრონის ყრყურეს შეილი. ლთის შეწევნით გარდაიქადა. ივნისს ით ბატონი ბექა გააცხელა და ლთის შეწევნით მანც გარდაიქადა. ბევრი გააცხელა ჩენები და არავის-რა დაუზიანდა.

82. მეორედ მოვიდა ლალა-ფაშა და კარი ააშენა⁴. ტფილის ქალაქს ლაშქარი გაგზავნა და ნუზლი შეიტანა.

83. მარიამობისთუშს კვ პატრონი დედისიმედი გააცხელა ხუთშაბათს დღესა და ორშაბათს დღესა ბერის პატრონის ბასილის უამით გაცხელებად მოვიდა, საფარას საბურთეზე⁵ გაეცხელებინა. იმშამს წაბრძანდა პატრონი დედისიმედი. ორნი დედაშვილნი ერთს კარავში დაწვეს. ენკენისთუშს გ, პარასკევი განთენდებოდა, ღმერთი გარისხდა, ბატონი ბასილი მიიცვალა იე წლისა და ოცდაორის დღისა (ლამით, უამსა გ)⁶. წამოვიდა პატრონი დედისიმედი მოაბითა, ზღუდერს ჩამოვიდა.

¹ მანუჩარის აზრუმს წასელის ამბავი იწყება 22-ე სტრიქონის მეორე ნახევარზე, როგორც ეტყობა, ცარიელად დატოვებულ არეზე და, ეინაიდან ქემო ირი სტრიქონი ამ ცნობის შეტანამდის დაუწერილი ყოფილა, მანუჩარის აზრუმს წასელის ცნობა გადადის მეტად გიშრო ზოლზე, მარჯვენა ნაპირზე, ასწერივ.

² „მასუეან მოვიდა ამბავი“—ამით მემატიანე გვეუბნება, რომ მოელი 1578 წლისა და მომდევნო 1579 წლის იანვარ-აპრილის (20 რიცხვამდის) თვალ-შევნიერის დაპატიმრებისა და ალამუტის ციხეში გაგზავნის ამბავი ყაზინიდან შისულა 1579 წლის მარიამობისთვე-დღინიბისთვეში, რის გამო აკ დარღვეულია ქრონიკოგიური თანამიმდევრობა.

³ ცნობის ბოლო ნაწილი მარჯვენა ნაპირზეა მიწერილი.

⁴ ე. თ. რუს. გ-ში აღნიშნავს: Восстановление крепости Карса у Hammer-a отнесено к августу 1579 г. (7 104).

საცურადღებოა, რომ ლალა-ფაშას მჟორედ მოსელის თარიღი არც კი არის აღნიშნული მატიანეში.

⁵ „საფარას საბურთე“ და არა ხაბურთალო, უმცველია, სადღაც საფარის მიდამოებში უნდა ყოფილიყო (ზღრ., ე. თ., რუს., 208 ცაბურთალი).

⁶ ფრჩხილებში ჩასმელი სიტყვები ჩამატებულია ბასილის წლოვანების აღნიშვნის შემდეგ, სტრიქონს ზემოთ.

84. და ლუინობისთვის უსკუდარიდამ პატრონიშუილების გა-
მოშუბის მახარობელი მოვიდა¹.

85. ამავე ქენსა გიორგობის თუეს პატრონი მანუჩარ მოვიდა
კოსტანტინოპოლიდამ. ფაშაობაა ებოძა ხუანთქარსა, და სრულად
მისი მამული². ორ თვეს პატრონი ყრყრე თორთომს დაეყენებინა,
არ გამოეშუა:

86. ქ'რკნსა ხეშ, იანვარს Ը, პატრონი ბექა ვალიდამა გავა-
ყენეთ³. ლალა-ფაშა წასრულიყო და ბექა ოლთის დადგომილიყო.

87. პატრონი ყრყრე ღლის წინაც შეურცხუშელი და კაცთა-
ნაც ფალავანი დაეცა ხუანთქართანა — და ქართველობით გამოეშუა,
მისის საბაჟონოს წყალობაა ექნა...⁴ და მარტში მობრძანდა.

88. იყანობისთვის ნახევარ ბექა მოვიყუანეთ და თუითან ორ-
ნივ ბატონინ ლორეს წავიდეს, დაარბიეს და გამარჯუბულნი მო-
ვიდეს⁵.

89. მასუეან მეორეს წელიწადს სინან-ფაშა მოვიდა, ტფილის
წავიდა და ორნივ თან გაპყვეს. პატრონი ყრყრე თრიალეთიდამ
მოებრუნვებინა, იმერეთს მოციქულად გაეგზავნა და პატრონი მა-
ნუჩარ თან წაეტანა.

90. ქ'რკნსა ხეშ პატრონის ვახტანგისაგან ლ'ი გარისხდა⁶.

91. ქ'რკნსა ხეთ პატრონმან მანუჩარ გუირგუინი იკურთხა ფე-
ბერვალს⁷.

¹ „პატრონიშუილების გამოშუბის მახარობელი მოვიდა“ — ამის დამწერს
თითქოს მანუჩარიც ძალად წაყვინილად მიაჩინა.

² ე. თ. აღნიშნავს, რომ მანუჩარმა, Hammer-ის მიხედვით, სტამბოლს
ყოფილის დროს მაქმადიანობა მიიღო და მუსტაფა-ფაშად იწოდებოდა, ყვარ-
გვარემ კი (თურქულ საბუყებში გრეგურად წოდებულმა) უარპყო მაქმადიანობა.

³ ბექას გაყენება ვალიდამ, როგორც მომდევნო ტექსტი მოწმობს, უნდა
ჰულისხმობეს ბექას წარგხვნას ლალა-ფაშასთან მისი (ბექას) წილი საუფლის-
წულო მამულის გამოსათხოვად ბექა ამ დროს მეთექესმეტი წელში იყო გადა-
მდგარი (დიბ. 1564 წ. აგვისტოს 12).

⁴ „შისის საბაჟონოს წყალობაა ექნა“ ხონთქარს .

⁵ „ორნივ ბატონი“ — ყვარლებარე და მანუჩარ.

⁶ ამ აქტით (ლორეს დარბევით) იწყება ხონთქრის სამსახური ყვარლებარე
ათაბაგის მხრივ.

⁷ ვახტანგ მუხრანბატონის სიკვდილი გვიან გაუგიათ საათაბაგში — ცნო-
ბა მოთავსებულია უკვე შევსებული 28-ე გვერდის ბოლო სტრიქონების გა-
სწერივ, მარცხენა კიდეზე,

⁸ გასარკვევია, რა მნიშვნელობით არის ნახმარი აქ გვირგვინის კურთხე-
ვა. ე. თ. მიხედვით — ათაბაგად (ე. თ. რუს. 210 გვ.). თუ ეს ასეა, მაშინ გამო-
დის, რომ მანუჩარ უფროსი ძმის ყვარლებარე ათაბაგის სიცოცხლეში კურთხე-
ულა ათაბაგად, რაც ძნელი წარმოსადგენია. გვირგვინის კურთხევა აქ დაქორწი-
ნებად უნდა გავიგოთ (იბ. მჩ. 98).

92. ივანობისთუმს დამდეგსა, ქუნსა ხეთ ბექა კონსტანტინო-
პოლეს წაიყვანეს.

93. ამავე ქრისტიანისა, მარიამისთუმს ოთხს პატრონი არ-
ჩილ მობრძანდა აწყუშრს. დიდის ხნის უნახავნი დაძ-ძმანი შევი-
ყარენით, ღუინობისთუმს წაბანდა.

94. ქუნსა ხეთ, გიორგობისთუმს კე პატრონის ყრყურეს და
პატრონის არჩილისგან ღრთი გარისხდა¹.

95. ქუნსა ხეთ პატრონს მანუჩარს ულალატეს ურუმთა. პატ-
რონი მორჩა. ორნივ ფაშანი მძიმედ დაიკოდნეს და გაიცეს და თემი
ჩენვე დაგურჩა². და ყაენა განჯას მოვიდა. და პატრონს მანუჩარს
ჩალაბუთი მოსცა და პატრონს დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი³.

96. ქუნსა ხოა თულშულინიერი ორმოდამ ამოიყუანეს და ყა-
ნთან მოიყუანეს.

97. ქუნსა ხ სამოცდათერთმეტსა, მარისტს კდ, კუირას დღეს,
ბზობახასა პატრონმა მანუჩარ მეფეთ-მეფის პატრონის სკმეონის
ქალი, პატრონი ელენე, მოიყვანა⁴.

98. ქუნსა ხობ სარდარი ვარალ-ფაშა მოვიდა ახალციხეს სა-
შენებლად. ველარ დადგა, ჭავიდა და თემი ჩენვე დაგურჩა.

¹ საოცარია, რომ ათაბაგთა სახლის უფროსი წევრის—ყვარლებრესი და
იმავე დღეს გარდაცვლილი დედისიმედის ძმის არჩილ მუხრანბატონის სი-
კვდილი ამდენად მშრალად არის აღნიშნული მატიანეში. ამ ერთდღოული სი-
კვდილის მიზნად „მსრველი სენი“ უნდა ეიგულისხმოთ, ან ბრძოლის ველზე
დაღუპება. გაკირვებას იწევეს ვახტანგ მუხრანბატონის სიკვდილის ასევე მშრა-
ლად, უკომენტრირილ აღნიშვნა (§ 91). შესაძლებელია ეს უამთა უკიდურესი სი-
ავით იყოს გამოწვეული.

² „თემი ჩუშუნე დაგურჩა“—ეს მეტად აჩქარებული დასკვნა დამახასიათე-
ბელია ათაბაგთა სახლის წევრთა განწყობილებისათვის; მიუსცდავად კატასტრო-
ფული მდგომარეობისა, მათ ცნობიერებაში მაინც არ არის ჩაფერფლილი ხელი-
სუულების შენარჩუნების იმედის ნააპერწყალი.

³ ეს ცნობა მიწერილია 29 გვერდის მარჯვენა ნაპირზე, მანუჩარისთვის
ურუმთა ღალატის ცნობის (1582 წლის) გასწერიგ. ათაბაგთა სახლი ისევ ირა-
ნის ორიენტაციას უბრუნდება და კავშირს იჭერს ამ ძეველ „მფარველთან“. შე-
საძლებელია ეს იმის შედეგი იყოს, რომ ხონთქრის აგენტების მდგომარეობა
სამცხეში ამ დროს შერყეულია და ათაბაგების სახლი კვლავ იმსახურებს ყევნის
ნდობას.

⁴ სვიმონ მეფის ასულის ელენეს „მოყვანა“ დაქორწინების, გვირგვინის
კურთხველის, შემდეგ უნდა მომზდარიყო. იხ. მხ. 92.

⁵ ტექსტში აქაც და მომდევნო მხ-შიაც ხო ქრონიკონი აღინიშნება ხოთ-
(მხ. 103, 104 და სხვ.).

99. ქუნის ხოე—აქა ხუდა [ბანდას შ]ვილი ამზა-მირძა დაღმა-
[ქმა] მოკლა¹.

100. აქა მაწყ[უცრელი] გაგზავნეს კოსტანტიპოლეს [და] საპატიონი[ი მ]ძევლად: შალიკა[შვილი ე]დიშერ, შა[ლიკაშვილ]ი ელია და ამილახორიშვი[ილი ქოი]არ.

101. და მძევლები დაიჭირეს; პატრონი მანუჩარ ვეღარ მიენდო³.

102. ქუს ხოე ახალციხე და გორი ააშენეს ურუმთა, აგვი-
ტოსა, დასაბაზიმითგან წელთა შვილიაწოებას ორმოცდათოხმეტსა⁴.

103. მეფე სვერონ საშველად მოვიდა; აღარ შეაბეს მესხთა;
თემი დაარბიეს და წავიდეს.

104. ბევრ რიგი მოლალატე შემოაღეს პატრონს მანუჩარს; ველარ დაუდგნა და ახალდაბას კოლი წაიყვანა და წაეცილა.

105. პატრონი დედისიმედი და პატრონის ყრუჩეს შვილი—
პატრონი ქაიხოსრო საკანაფეს ციხეში დაფგებ.

106. და დიასამიძეშ ელია დემოთიას ციხეს საგალინშვილი სა-
ლალატოდ შეუყენა. უღალატეს, ციხე წაართუშს და ბევრი საქო-
ნელი და სალარო დაიჭირეს.

¹ ცონბა მიწერილია 29 გვ. მარჯვენა ნაპირზე, მანუსარის მეუღლების მოყვანის ცონბის გასწვრივ (ჩბ. 97).

3-3 მძევლების გაგზავნისა და მათი თურქებისაგან დაპატიმრების ცნობაც მიწერილია 29 გვ. მარჯვენა ნაპირზე, უკანასკნელი ოთხი სტრაქონის გასწვრივ; იგი (ცნობა) ამავე 29 გვ. ქვემო (მარჯვენა) კიდეზე თავდება.

მინაშერი იშვება სოფ ქრონიკონით ალწაშნული (ჩ. 100) მინაშერის ქვე-
მოთ; პირველი სიტყვა „აქა“ მიგვითითებს, რომ მძველები 1587 წ. (ხოდ ქ' კას)
გაუგავნიათ სტამბოლს.


“ ქრონიკაში სთხ უდრის (1312+275=) 1587 წ.; „დასაბამითგან“ ეს (1587+5604=) 7191 წლით იქნება ქართული სათვალავით და არა 7094.

107. და გოგორიშვილმა ბეჭან ციხიჯუარი უკუიჭირთ  შისცა ფაშას.


108. შემოგვიყენეს მოღალატენი¹ და ვეღარც ჩენ დაუდუნით და ჩავედით ახალდაბას მარტს ნახევარი.

109. გაზაფხულ ყაენი ხუდაბანდიშვილი აბასი-მირძა. გამო-
ვიდა, არდაველს მოვიდა; [ო]შეგნი ხუარასანს წამოეჭიდნეს; და-
ბრუნდა², იქითვე წავიდა და თვალშევნიერი თან წაიტანა. თავ-
რეეს რომ ჩავიდეს, იქ ომი იქნა. სამჯერ შეიბა თვალშევნიერი,
სამჯერევე გაემარჯვა, კიდეც დაქოცნა, პელთაც დაიჭირნა, ყაენს
მიუსხა. ყაენმა მამულიც დიდი მისცა და ჯილდოცა.

მერმე პატრონი მანუჩარ ვეღარ მიენდო; ღონე ფელარ მო-
იგონა რა. დაგვიწყეს მოცაქულობა. პატრონი დედიმიედი და
პატრონი ჩემი შეილისშვილი პატრონი ქაიხოსრო გველუგზავნეს
ახალციხეს ფაშასთანა, შობის წინა დღეს].



ପ୍ରାଦ. 1. ମତ୍ତେତିଲେ ସାଧୁତି—Ad. 91.
ମାନ୍ଦ୍ରାଜାର, ମାନ୍ଦ୍ରାଜାରିଲେ ଶ୍ରେଣୀମିଳିଷ୍ଟେରିଲେ
ମିଳିର, ଗାନ୍ଧିମିଳିଲେ ଓ. ମିଳିରାନାଶ୍ଵିଲିମିଳି.



ပုဒ. ၃. မြန်မာစ ဆပ်စာ Ad ၇၈: ရွှေချို့ပြုစ ပုဂ္ဂန်များစ (စုစုပေါင်-၂၀၆)

Դաստիարակության մեջ առաջ առաջ կազմակերպված է Տեղական կառավագական կազմակերպությունը՝ ուժի մեջ մտնելու օրը՝ 1995 թվականի հունվարի 1-ին:

• 140 •

8. v. vix. h. dñi. m. m. l. g. d. q. r. d. u. m. m.
h. s. m. c. g. l. e. l. n. d. y. g. f. w. u. g. l. r. l. s. :

Հ Բնակիւթ ուղարման:

բ հա ծը ուն պղծաւթափս ԵՇԱՅԻ
միշս, մինոր քեզ ըստ ծնուռ

‘*Deinde invenimus eum. quia illi non erat*

‘Այսին կը մի արծուածակալ մեակառապատճեաւ’;

Εγένετο δια λεπτωμάτων οὐδὲν καθόλου

բառակազմի ուսուցչութեան այլական

զինուրական քաղաքացիությունը մեջ

Կառլին ուղարկելով շավութ

Digitized by srujanika@gmail.com

77

“กานต์”

¶ ፩. የመግለጫ ተስፋ ነው፡ ይህንን ስምምነት በመግለጫ የሚያስፈልጉ
¶ የመግለጫ ተስፋ ነው፡ ይህንን ስምምነት በመግለጫ የሚያስፈልጉ
መግለጫ የሚያስፈልጉ ይህንን ስምምነት በመግለጫ የሚያስፈልጉ
መግለጫ የሚያስፈልጉ ይህንን ስምምነት በመግለጫ የሚያስፈልጉ

Singdingle gelaten de gheten veygheluiden.

ရန်လျှောက်သွေးစွဲများ ဖြစ်ပါသည်။

11. Hic hinc transiit ubi: ubi: ubi: ubi:
12. pugnare uictus pugnare uictus pugnare uictus
13. uictus pugnare uictus pugnare uictus pugnare uictus

Fundatam Hungarorum primariae: hinc uicem subiectumque ad locumque subiectum
subiectum quodcumque uocatur: exindeque nomen est Hungarum hoc quod per illam
exponitur. Ita uicem: subiectumque est: Hungar: subiectumque est: Hunc
subiectumque est: quodcumque est nomen Hungarum hoc est: de uicem
Hungarumque subiectumque est: Hungarumque est: Hunc.

Б ուզում: ո՞ւստե՛ Տէ ցողրինուու: ապագան
 և Տէ ուրծածին ուստինդպաշտուու առ Տէրը
 ունչ: ուստին կմնակիւն եղի: ապին: իւրի
 անհամ: ուլուպինին: ուստինպաշտուուի: ո
 չիւն: անհամ առ Տէր ունայինինին: ու
 ունիւրացի: Ապագանու: Խօ: Քիւ: Խօ:
 ունայինին ունայինին: Խօ: ունայինին ունայինին
 և ապագանու: Ունչուու: ունչ: ապագան սաշ ապա: Խօ:
 ապագան: ապագան ապագան: Ունչուու: Ունչուու
 ունայինին ունայինին ունայինին ցողրինու: Ապագան ունչուու:

Ք իւ: Խօ: Ճուրիւ: Խօ: Ճուրիւ Խօ
 յունչու: լուրին յունչունեն նականե:
Ծ ոչ ունչու: Քիւն: Տէ ունչու: Ճուրիւ
 Խօ: Եների: լուրին: լուրին ործ:
Ը ունչու: լուրին: Տէ: Խօ: Են: Վահերդուն
 իւնչու նականե: Տէ: Խօ: Են: լուրին ունչու
 ործուն: >

Ը Եների լուրին: Կորինիւ: Լուրին: Հուրին:
 Մուրին: պինկու: Տէ ունչ Են: ապան Տէն
 ապան: Տէ ունչ պան Են: ձեզունցու
 ունչ: ապան: Խօ: պինկու: Ծոյրուալուու ու
 ունչուն: պինկու: ունչուն ունչուն ունչուն:
 ունչուն: ունչ կունցու: Խօ: պինկու կուն
 չուն: Խօ: պինկու ունչուն ունչ: Խօ: Բուրու:

Ճամացալազեծու և մշնօթցնյօն

მოსახსენებლები

ამ ნაშრომში გამოქვეყნებული სამხრეთ საქართველოში XVI ს. სხვადასხვა წლებში დაწერილი სამი „მოსახსენებლები“ მთელ რიგ წერილობით ძეგლს ენათესავება და განსაკუთრებით ახლოს დგას ნიკორწმინდის ხელნაწერში ჩართულ „მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანესთან“¹.

მსგავსი „მოსახსენებლები“ არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ძეგლებს ან საბუთებს. ისინი ჩართული არიან სალიტურგიკ ან კანონიკური შინაარსის ხელნაწერების გარევეულ ნაწილში—ე. წ. „ძეგლის წერაში“. ხელნაწერთა ინსტიტუტის XI ს. ეტრატის ცნობილ „სჯულის კანონში“ (S:143) ჩართული „ძეგლის წერად სარწმუნოებისაც, რომელი აღწერს... კოსტანტინეპოვლეს შეკრებულთა წმიდათა მამათა წმ. ხატთა თაყვანისცემისათვის, რომელ ესე წარიკითხვის სოფიაშიმიდას, პირველსა კვირიაკესა წმ. მარხვა-თასა“ ასეთი მოსახსენებლების პროტოტიპად უნდა ჩაითვალოს. ამ ტექსტში ჯერ კიდევ არ არის შეტანილი ქართველ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა ნუსხა.

მაგრამ, საფიქრებელია, რომ XI ს. ბოლო წლებიდანვე „ძეგლის წერაში“ ჩართულ ბიზანტიის „ქვეყნის მეფეთა“, „კეთილმსახურთა დედოფალთა“, „პატრიარქთა“ და სხვა სიების გვერდით უნდა გაჩენილიყო ქართველ მეფეთა, დედოფალთა და სასულიერო (კულტურულ) მოღვაწეთა მოსახსენებლები.

1. ამილახორთა კრებულის (S:1246) მოსახსენებლები

S:1246 ხელნაწერი კრებულის მოსახსენებლები ცნობილი გახდა ჩვენთვის S კოლექციის ისტორიკოს მ. ჯანაშვილისეული აღწერილობის წყალობით. საქართველოს მეფეთა აქ წარმოადგენილი

¹ ე. თაყაი შვილი, მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმიდის ხელნაწერში. პარიზი, 1939.

ნუსხა, ეტყობა, უცვლელად გადმოწერილია XIII ს. რომელიმდაც ხელნაწერის „ძეგლის წერიდან“. აქ თანმიმდევრობის ზედმიწერნით დაცვით არის წარმოდგენილი ქართველ მეფეთა ნუსხა „ბაგრატ აფხაზთა-ქართველთა“ მეფიდან მოყოლებული „დავით და დავით (ულუ დავითი და დავით ნარინი) მართლმადიდებელ მეფებამდის“. ამ სიას, რომელიც ქრონოლოგიურად 1027—1293 წწ. ითარგლება, ცოტაოლენი ხარვეზით, მისდევს ათონის მთის (საბერძნეთში) X—XI ს. თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეთა მოსახსენებელი; იგი იწყება ექვთიმე მთაწმიდელის სახელით (963—1028) და თავდება გრიგოლ ბაკურიანის ძის, „სევასტონისა და ყოვლისა დასავლისა დიდისა დომესტიკოსის“ სახელით (გარდაიცვალა 1086 წ.).

პირთა მოკლესათთოო დახასიათება მოწმობს, რომ მოსახსენებელთა ამ პირველი ფენის დედანი (სრულიად საქართველოს მეფეთა და თვალსაჩინო მოღვაწეთა X—XIII ს. სია) შედგენილია ათონის მთაზე (საბერძნეთში), XI, XII, XIII ს.ს.

განსაკუთრებით საკურადღებოა ამ ნუსხაში შეტანა წმიდათა და მართლმადიდებელთა დედოფალთა—მარიამისი და შართასი და ქართველთა პეტრიწონული მონასტრის დამაარსებლის (1083 წ.) გრიგოლ ბაკურიანის ძის დახასიათებისა და ტიტულატურის დასაწყისი: „ყოველთა ნათესავთა ჩ[უ]ნთა მასპინძლისა“. მაგრამ მოსახსენებლების ამ ძველ ფენას ჩენ აქ არ ვეხებით.

მეფეთ-მეფის გიორგისა და სამცხის პატრონთა მოსახსენებელი

ჩვენთვის საკუთრად საინტერესოა მოსახსენებლების ყველაზე გვარანდელი ფენა, რომელიც იწყება ხელნაწერის 35 წ-ზე, მეორე სვეტის მეოთხემეტე სტრიქონიდან. აქ სამცხის ათაბაგებისა და სამზრეთ საქართველოს სხვა „პატრონთა“ ნუსხას წინ უძღვის „მართლმადიდებლისა მეფეთ-მეფისა გიორგის“, მისი ცოლის, შვილის (ვაჟის) და შვილიშვილის (ცოლითურთ) მოსახსენებელი.

გიორგი მეფისა და მისი, თუ შეიძლება ითქვას, მესხი სახლობის წევრთა ნუსხას უშუალოდ მისდევს პატრონის ყუარყუარესი, დედისიმედისა და მათ ძეთა: ქაიხოსროსი და მზეჭაბუკის მოსახსენებელი.

„მოსახსენებელთა“ მომდევნო ფენა ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსის, მისი მეულლის—მეფეთ-მეფის ასულის ქეთეონ-ქრისტინასი, მათი ძის—ამუანისა და სხვა ჩამომავალთა სახელებს გვაუწყებს.



როგორც ეხედავთ, მოსახსენებლის ამ გვიანდელ ფენაში გამოიყენებოდა ერთადერთი მეფე—გიორგი მეფეთ-მეფე, წარმოდგენილი სამცხის პატრონთა გარემოცვაში. ყველ ეპეს გარეშეა, რომ ამ ნუსხის ყვარევარე, მისი სახლის წევრების მიხედვით, არის ყვარევარე დიდი (1416—1498 წ.), „მეფეთ-მეფე გიორგი“ ყვარევარეს მიერ შეპყრობილი და შემდეგ ყვარევარეს ასულთან, თამართან შეულებული—გიორგი VIII; მისი სახლის აქ ჩამოთვლილი წევრები არიან ჩვენთვის ნაცნობი პირები: ყვარევარესა და დედისიმედის ასული თამარ (დედოფალი, გიორგი VIII თანამეცხედრე) და მისი შვილები გიორგი მეფისაგან: ვაჟი—ვახტანგ, ასული—ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსის მეუღლე ქეთეონ-ქრისტინე და სხვა.

ამგარად, საკვლევი ძეგლის წყალობით ერთხელ კიდევ დასტურდება ყვარევარესთან პატრიარქ მყოფი გიორგი მეფის დამოკრება ათაბაგთან². გიორგი მეფისა და ათაბაგის ასულის თამარის ვაჟის ვახტანგის (ქეთეონ-ქრისტინეს მოსახსენებლით: ვახტანგ-ყოფილი ვარსამეს) შესახებ ახალ ცნობას გპოულობთ— ვახტანგის მეუღლეს გულებანი რქმევია; ვახტანგის ვაჟს კი ვოსროთანგილი. გიორგი VIII შვილი-შვილის ეს უცნაური სახელი სხვა წყაროდანაც არის ცნობილი:

„სულსა პატრონისა მეფის შვილისა სულ-

კურთხეულისა ხოსროთანგისა ზნ ლწ“—

კვითხულობთ XI ს. სეინაქსარის ერთ-ერთ მინაწერში³.

ქეთეონ-ქრისტინეს ჩამომავალნი

გიორგი მეფისა და ათაბაგის ასულის თამარის ქალის, ქეთეონ-ყოფილი ქრისტინეს სახლის წევრებს—მის მეუღლეს ვახუშტი-ყოფილ ვასილიოს, შვილებს: ამუანს, ელისბარს, იოთამს, გულებანს ჩვენ ადრევე ვიცნობდით⁴.

S: 1246 ხელნაწერის მოსახსენებელი დამატებით ცნობებს გვაწვდის მათ შესახებ. ალსანიშნავია, რომ მოსახსენებელთა სხვა-დასხვა ჯგუფებს შორის მათი (მოსახსენებლების) შემდგენელი ყვე-

² ქრ. შარაშიძე, საქართვ. ისტ. მასალები, გვ. 236—240.

³ ვახტანგის ვაჟი ხოსროთანგილი მეფის შვილობით იხსენიება იმის გამო, რომ ვახტანგ გიორგის ძე სულ მცირე ხნით ქართლის ტახტზე იჯდა (1484 წ.). ის. ქრ. შარაშიძე, მასალები, გვ. 239—240.

⁴ ქრ. შარაშიძე, მასალები, I, გვ. 211—212.



ლაზე დაწვრილებით სწორედ ქეთეონ-ქრისტინეს სახლის შევრცელებული ჩამოთვლის: აქ ცალ-ცალკე გამოყოფილი არიან ქეთეონ-ქრისტინ-ნეს ვაჟები: „პატრონი ელისბარი“ და მისი მეუღლე მარიხი; „პატრონი იოთამ“ და მისი მეცხედრე მზექალ.

ქრისტინეს სახლთან დაკავშირებულია ელისბარისა და იოთა-მის ქვემოთ მოხსენებული „და[ც] მათი თამარ“, აგრეთვე „პატრონი ეკატირინა“ და ძენი მისნი: ბოქა, სურბან, გარსავან და გურგაქ.

ადამიანთა ამ უკანასკნელი ჯგუფის მოსახსენებლები მოკლე-ბულია ნიშანდობლივ ოლინშვნას — ვინ არიან ისინი? რა გვარისა ან რომელი სახლის შევრცები. მაგრამ ნათელია, რომ თამარი და „პატრონი ეკატირინა“ უნდა მავაკუთვნოთ ქეთეონ-ქრისტინეს და ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსის ჩამომავალთ, რადგან მათი სახელე-ბის ნუსხა უმშალოდ მისდევს ქეთეონ-ქრისტინესა და ვახუშტი-ყო-ფილი ვასილიოსის სახლის შევრცების ჩამოთვლას.

ამათგან „პატრონი ეკატირინა“ გათხოვილია და ჩვენი ძეგლი ძხსენიებს მისი ოთხი ვაჟის სახელებსაც (იხ. ზემოთ).

„პატრონი ეკატირინას“ სახლში ყოფილი „გაზრდილი“ მწე-რალი ზოსიმე, რომელიც სულ ტოლოს იხსენიება.

სელნაწერის მომგებელის ვინაობა

ტექსტის სხვადასხვა ადგილის ჩართული ანდერძ-მინაწერე-ბის მიხედვით ხელნაწერის მომგებელი არის „პატრონი თამარ“. მისი სახელი ხელნაწერის სხვადასხვა ადგილის არა ერთხელ ისე-ნიება. მოხსენებულია აგრეთვე თამარის ქმარიც:

„ღმერთო და უდ წრო ღრთის
მშობელო...
შეწიენით მას საუკუნოსა
პატრონსა სულკურთხეულსა
ქოიარ-ყოფილსა ქე-
რობინს და მის(ს)ა მეცხე-
დოესა პატრონსა თამარს და
ძეთა მისთა“.

პატრონი თამარის მეუღლის ქოიარ-ყოფილი ქერობინის „სულ-კურთხეულად“ მოხსენიება მოწმობს, რომ ქერობინ ანდერძის და-

⁵ სახელი გურგაქ გვხდება „მესხურ ქრონიკაში“ — შალიკაშვილის (-გა-რაზაშვილის) კოკოლას ბიძა გურგაქ ათაბაგებთან ბრძოლაში ხან თავის ძმის-წულებს დალატობს, ხან ათაბაგებს.



წერის დროს ცოცხალი აღარ ყოფილა; ეს პირი, ერის კაცობრის შემთხვევა
ქოიარის სახელის მატარებელი, მონაზენობაში ქერობინის საწერ-
ლით ყოფილი ცნობილი. მას სხვა წყაროც იხსენიებს:

„სულსა ამ[იღა]ხორსა, ქოიარ ყოფილსა ქერ[ო]ბი[ნ]ს
შეუნდვნეს ღმერთმან“

ვკითხულობთ XI ს. სვინაქსარის ერთ-ერთ მინაწერში.

აქ მოხსენებული ამილახორისა და S: 1246 ხელნაწერის მომგე-
ბელის თამარის ქმრის იგივეობა უეჭველი ხდება ამილახორის სა-
ერისკაცო სახელის ქოიარისა და სამონაზენო—ქერობინის ორივე
მინაწერში შერწყმით გამეორების წყალობით.

ხელნაწერის მოსახსენებლებში ქეთეონ-ქრისტინეს ვაჟების
ელისბარისა და იოთამის დად წოდებული (და[ც] მათი) თამარ ჩვენ
ქოიარ-ყოფილი ქერობინის ცოლად და ხელნაწერის მომგებელად
მიგვაჩინა.

ეს თამარი, როგორც მისი ძმები ელისბარ და იოთამ, გო-
რგო VIII შვილიშვილია.

ხელნაწერის სადაურობის დადგენისათვის ზედ-
მიწერნილი ცნობა არ მოგვეპოვება.

მნიშვნელობას მოკლებული არ არის ხელნაწერის ფურცლებზე
მოგვიანებით, არა ტექსტის ხელით შეტანილი ამილახორთა
(სამცხის ამილახორთა) მოსახსენებელი, რომელსაც თანამიმდევრო-
ბის მიხედვით უკანასკნელი ადგილი მიეკუთვნება⁶.

მოსახსენებელთა ეს სხვადასხვა ფენა ერთმანეთთან განუ-
წყვეტილი გენერალობიური ჯაჭვითაა დაკავშირებული: გიორგი მე-
ფეთ-მეფისა და ათაბაგთა ასულის თამარის ჩამომავალნი არიან:
ასული მათი ქეთეონ-ყოფილი ქრისტინე, შეულლებული ვახუშტ-
ყოფილ ვასილიოსთან; ამ ცოლ-ქმრის შვილები: ამუან (მოსახსე-
ნებლის დაწერის დროს დიდიხნის მიცვალებული), „პატრონი
ელისბარ“ და „პატრონი იოთამ“, „და მათი თამარ“ და, უკანა-
სკნელ, „პატრონი ეკატირინა“ და მისი მოდგმა.

Q: 642 ხელნაწერში ჩართული ერთი მოსახსენებელი, რო-
მელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, მსგავსსავე გენეალოგიურ ძაფ-
ზეა ასხმული.

აქაც და იქაც მითითებულია ხელნაწერის მომ-
გებელის მაღალი ჩამომავლობა, რომელიც თავისი

⁶ საკითხავია, ხომ არ არის „მესტური ქრონიკის“ ამილახორიშვილი
ქოიარ ქოიარ-ყოფილი ქერობინისა და თამარის შვილისშვილი.



სათავით არა თუ ათაბაგებს, არამედ მეფეთ-მეფეებს უქონისა
შირდება (აქ ამილახორიშვილები, იქ სფირიძონ ბერნაშვილის
შვილი იოსაფატ).

ხელნაწერისა და ტექსტის ხელით ნაწერი მოსახუნებლის
დათარიღებისათვის

S:1246 ხელნაწერი ნაკლულოვანია. მას, სხვათა შორის,
იყლია ინდერძი, რომელშიაც, უკველად, ხელნაწერის დაწერის
თარიღიც იქნებოდა აღნიშნული:

როგორც ეს პატივცემულმა ლეონ შერვაშიძემ გაარ-
კვია, ჭვირნიშნების მიხედვით ხელნაწერის გადაწერა XVI ს. 20—
40 წლებს განეკუთვნება⁷.

ელისბარ და იოთამ შალიკაშვილები

გახუშტ ყოფილის გასილიოსისა და „მეფეთ-მეფის ასულის“
ქეთეონ-ქრისტინეს ვაჟების ელისბარისა და იოთამის გვარისა და
აღგილ-სამყოფელის გასარკვევად არაერთი ცნობა მოიპოვება. სამხ-
რეთ-საქართველოს ამ ღიღილი ფეოდალების სახელები, სხვათა შორის,
ფიქსირებულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლში — Ad: 91 საბუთში
(ამ საბუთზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა). აქ ისინი
შალიკას შვილებად არიან მოხსენებულნი:

„ომოგუელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლე-
სიითა ზალიკას შეიღილთა ელისბარის და იოთამს იქუს“, ვკითხუ-
ლობთ ამ ძეგლში.

ამ პირების სადაურობის გარკვევას გვიადვილებს ის გარე-
მოება, რომ S:1246 ხელნაწერის მოსახუნებლებიდან ცნობილი
ხდება პატრონი „ელისბარის მეულლის“ მარების სახელიც.

„პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა“ და ელისბარის
მეულლე მარის მოხსენებული არიან კუმურდოს ცნობილი ტაძრის
XVI ს. დასაწყისში რესტავრირებული დასავლეთი ნაწილის წარ-
წერაში:

„ი მსუ ქრისტე! დიდებულ ჰყავ...

... პატრონი ელისბალ, დედა მათი

ქრისტინა, მეცხედრე მათი მარის...“⁸.

⁷ ამ დანმარებისათვის და სხვა მრავალი ხელისშეწყობისათვის პატივ-
ცემულს ლ. შერვაშიძეს უღრმეს მაღლობას მოვასხებთ.

⁸ ჭ. თაყაიშვილი, MAK, XII, მოსკვა, 1909, გვ. 42.

კუშურდოს ტაძრის ამ წარწერისა და ჩვენს ხელნაწერში მოხსენებულ პირთა—მეფეთ-მეფის გორგის ასულის ქეთაონ-ქრისტეფორების ნესი, მისი ძის ელისბარისა და ამ უკანასკნელის თანამეცხედრის მარისის იგივეობას ყურადღება მიაქცია საქართველოს მუშების მეცნიერ-თანამშრომელმა ვასილ ცისკარიშვილმა. ამ ძვირფასი ცნობის ჩენოვის მოწოდებისათვის მას დიდ მადლობას მოვასენებთ.

დამატებით უნდა აღინიშნოს ამ ტაძრის წარწერაში „ზოსიმე კუმურდოელის“ შესანდობარიც: „ზოსიმე კუმურდოელსა შენ ღწე“.

როგორც ვიცით, ზოსიმე კუმურდოელის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქეთაონ-ქრისტინეს სახლთან⁹.

ზემოთქმულის მიხედვით ქრისტინესი, ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსისა და მთელი მათი მოღმის „საპატრონო“ კუმურდოელის სამწყოსში უნდა ვიგულისხმოთ. მომდევნო კვლევა-ძიება ცხადყოფს, რომ ქრისტინეს შეიძლება XVI ს. თოვევის პატრონები ყოფილან¹⁰.

II. „მეწიეთის მარხვანი“ და მისი მოხასხენებლები (Q : 642)

საქართველოს ისტორიის მდიდარი მასალების იმ კრებულში, რომელიც დიმიტრი ბაქრაძემ აქარა-გურიაში მოგზაურობის აღწერის საბით გვიანდერძა, სხვათა შორის, გამოქვეყნებულია „მეწიეთის მარხვანის“ მოხასხენებლები. ამ ძეგლს უკანასკნელ ზანამდლის ჩევენ მხოლოდ რუსული თარგმანით ვიცნობდით. ხელნაწერთა ინსტატუტის Q კოლექციაში 642 ნომრით დაცული ხელნაწერის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი დ. ბაქრაძის „მოგზაურობაში“ აღწერილი ხსენებული ძეგლია¹¹.

„მეწიეთის მარხვანის“ ე. წ. „ძეგლის წერის“ ტექსტის უძველესი ფენის I და II ნაწილი თითქმის ზედმიწევნით ემთვევა S : 1246 ხელნაწერის „ძეგლის წერის“ I და II ნაწილს. განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ ამ ნაწილის ბოლოში, სადაც S : 1246 ხელნაწერის: „დავით და დავით“ მეფეთა მოხასხე-

⁹ ქრ. შარაშიძე გ. 212—213.

¹⁰ მცხეთის საბუთი Ad : 91, მხ. 13.

¹¹ Д.М. Бакрадзе, Археологическое путешествие, СПб, 1878, გვ. 212—215.

ხელნაწერი ასწერა და მისი მოხასხენებლები გამოაქვეყნა ნადია კასრაძემ: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (Q კოლექც.), II, № 642.

ნებლის ადგილას მხოლოდ ერთი დავითი იხსენიება: „დავით
მართლმადიდებელთა (!) მეფეთ-მეფეთა სკნეშუა არს“¹².

XVI ს. მეფეები და სამხრეთ საქართველოს მფლობელნი
„მეწიეთის მარხვანში“

„მეწიეთის მარხვანის“ მოსახსენებელთა გვიანდელი ფენის
პერსონაჟები 8 : 1246 ხელნაწერის გვიანდელ მოსახსენებლებთან
შედარებით სულ სხვა ისტორიული პიროვნებების ნუსხას გვაძლე-
ვენ. აქ პირველ რიგში მოხსენებული არიან მეფე ალექსანდ-
რე, პატრონი დედოფა ალი თამარ, რე მათი დიდი მეფეთ-
მეფე ბაგრატ და ძმანი მათნი გიორგი და ვახტანგ. ქვემოთ—
პატრონი ყვარყყარე და მეუღლე მისი პატრონი ანნა; მათი ვაზ-
ბი მზეჭაბუქ და ქაიხოსრო. შემდეგ—

პატრონი სფირიდონ და მისი მეუღლე, დიდის მეფის ალექ-
სანდრეს ასული პატრონი თინათინ. რე მათი პატრონი იოსაფატ
და მისი მეუღლე პატრონი ქეთაონ, პატრონი გულეან.

პატრონი მამისა, პატრონნი იონე და ელენე, მათი შვილები
პატრონი იორამ და პატრონი თამარ:

უკანასკნელ, მოსახსენებელია აგრეთვე პატრონი ქეთეონ—
მეწიეთის მარხვანის მომგებელი.

განვიხილოთ ეს ჯგუფები ცალ-ცალკე.

მეფეები

დიმიტრი ბაქრაძეს ალექსანდრე მეფე და შისი ვაჟი „დიდი
მეფეთ-მეფე ბაგრატ“ XVII ს. იმერეთის მეფეებად—ალექსანდრედ
და ბაგრატ მეფედ მიაჩინა¹³.

უკეველია, ეს მცდარი მოსაზრება ისტორიკოსს ხელნაწერის
იმ გვიანდელი, შეტად საინტერესო მინაწერების გავლენით და-
ებადა, ორმელებიც „მეწიეთის მარხვანის“ ფურცლებს მთელი სა-
უკუნით გვიან შეხიზნებია. ამ მცდარი დასკვნის გამო დ. ბაქრაძემ
უარყო მეწიეთის მარხვანის ნამდვილი და უკეველი თარიღი—
1566 წელიც, ორმელიც შეუმჩნევია მეცნიერს მისი მოგზაურობის
დროს—1874 წ. ამ დროს მეწიეთის მარხვანი, დღეს მთლად და-
ფურცლული და ძალზე დაზიანებული, კარგად ყოფილა დაცული¹⁴.

¹³ ჩვენს გამოცემაში ტეხილ ტრიბილებში აღდგენილია მეორე დავითის
სახელიც.

¹⁴ Дм. Бакрадзе, Археол. путешествие, гл. 213—215.

¹⁴ დ. ბაქრაძე მას უწოდებს прекрасная мециетская триодь, რის
თქმაც ამჟამად გაჭირდებოდა.

თაეისთავად ცხალია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეწიეთის
მარხვანის თარიღს. ქრონიკონი სმიდ (=254+1312=) 1566 წელზე
ის მიჯნა არის, რომლის აქეთ ვერ დავუწყებთ ძებნას მოსახსენე-
ბელში მიცვალებულად ნახსენებ პიროვნებებს¹⁵. მათი ცხოვრების გზა
განვლილია 1566 წლამდის. ამის მიხედვით ალექსანდრე მეფის,
მისი მეუღლის თამარის, მათი ვაჟების: მეფეთ-მეფის ბაგრა-
ტისა და ამ უკანასკნელის ძმების—გიორგისა და ვახტანგის ზეობა
1566 წელზე ადრე უნდა ვიგულისხმოთ.

ალექსანდრე მეფისა და მისი ვაჟის ბაგრატ მეფის
ზეობის წლები

მეწიეთის მარხვანის მეფეთა მოსახსენებლის ალექსანდრე მეფე,
ძე მისი ბაგრატ მეფეთ-მეფე და მთელი მათი სახლობა ხელნაწერისა
და მისი „ძეგლის წერის“ დაწერის დროს (1566) ცოცხლები აღარ
ყოფილან.

ამას მოწმობს ყოველი მათგანის მოსახსენებლის დაბოლოება:
„საუკუნო [არს ხსენება მისი]. ამავე დროს, დ. ბაქრაძის მოწმო-
ბით, ხელნაწერი 1566 წლით არის დათარიღებული. ამ გარემო-
ებას პირდაპირ მივყევართ იმერეთში 1484 წ. გამეფებულ ალექ-
სანდრესა და შის შვილთან, იმერეთის ტახტზე 1510 წ. და-
მჯდარ ბაგრატთან.

ალექსანდრეს იმერეთის მეფედ დაჯდომის პერიპეტიები და
გამეფების თარიღი (1484, 1488) ჯერ კიდევ ვასუშტიმ გაარკვეთ.
ვასუშტისავე ცნობით ალექსანდრეს ცოლს სახელად თამარ რქმე-
ვია. სწორედ თამარი იხსენიება მის მეუღლედ მეწიეთის მარხვა-
ნის მოსახსენებელში.

ალექსანდრე და ბაგრატ იმერეთის მეფეების ზეობის წლებს
მივვითითებს აგრეთვე სამცხის ათაბაგის ყვარყვარესა და მისი
მეუღლის ანნას მოხსენიება მათი სახლების ქვემოთ. ცნობი-
ლია, რომ ყვარყვარე ქაიხოსროს ძე („ნაე-ყვარყვარე“) ათა-
ბაგობდა 1516—1535 წწ. სწორედ ეს ყვარყვარე შეიძყრო იმერე-
თის მეფემ ბაგრატშა 1535 წ. ასე რომ ყვარყვარე ქაიხოსროს ძის
ათაბაგობის წლები (1516—1535) ბაგრატ დიდის მეფობის პე-
რიოდის (1510—1548 ვასუშტი.) ფარგლებში თავსდება.

¹⁵ საყურადღებოა, რომ თვითონ დ. ბაქრატემ დააჯგუფა მოსახსენებლის
პერიოდი მიცვალებულებად და ცოცხლებად—ხელნაწერის გადაწერის და
მოსახსენებლის დაწერის მომენტში. საერთოდ, ისტორიკოსი თავდაპირველად
სწორ განახ იდგა.

ვახუშტი იცნობს იმერეთის მეფის ბაგრატის ძმას—ვახტანგ¹⁶ ა აპიროვნებას 1512 წლიდან არა ერთხელ ვხედავთ ისტორიული ისტორია¹⁷ ზის მონაწილედ. საერთოდ, მეწიეთის მარხვანის გვიანდელ მეფეთა მოსახსენებლის ყველა პერსონაჟი, ვახუშტის მიხედვით, საისტორიო ასპარეზზე 1484—1548 წლებს შუა ჩანან¹⁸.

ვახუშტისეული იმერეთის ისტორიის აქ მითითებული ნაწილი ზედმიწვენით შემოწმებული და დადასტურებულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის IV ტ. გარკვეულ ნაწილში¹⁹. ასე რომ, მეწიეთის მარხვანის მოსახსენებლისა და ვახუშტის იმერეთის ისტორიის 1484—1548 წწ. მოქმედ ხსენებულ პიროვნებათა იგივეობა არავითარ დაეჭვებას არ იწვევს.

„მოსახსენებელი“ დამატებით გვაცნობს ალექსანდრე მეფის ორ შეილს: გიორგისა და თინათინს.

მეფის ასული თინათინ, გათხოვილი სამცხის ერთ-ერთ დიდ ფეოდალზე—სფირიდონზე, სხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი²⁰. გაურკვეველი იყო აქამდის თინათინის მამიშვილობა. მეწიეთის მარხვანი გვამცნობს, რომ იგი (სფირიდონის ცოლი, თინათინი) „დიდის მეფის ალექსანდრეს“ ასული ყოფილა.

იმერეთის მეფის მესხეთის დიდ ფეოდალთან დამოუკრება XV—XVI სს. მიჯნაზე შემთხვევით მოვლენად არ უნდა ჩავთვალოთ. ეს აქტი გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციას უკავშირდება.

1484—1548 წწ., რომელთა ფარგლებშიაც უმოქმედნიათ „მოსახსენებლის“ გვიანდელი ფენის პიროვნებებს, საქართველოს ცხოვრებაში მძაფრი სოციალური და პოლიტიკური შეტაკებებით არის აღნიშნული. ფეოდალური დაშლის გალრმავება და სახელმწიფო ებრივი მთლიანობის რღვევა ამ ხანებში გართულებულია საქართველოს საერთაშორისო მდგრამარეობის მქევთრი გაუარესებით.

როგორც ვიცით, „მე-16 საუკუნეში ისმალეთი საქართველოს სამი მხრიდან ურევს“²¹:

ამ დროს დასავლეთ საქართველოს ბრძოლას ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ენერგიული ბაგრატ (1510—1548) ხელმძღვანელობს და გარკვეულ პერიოდში

¹⁶ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 283—290.

¹⁷ იგ. ჯავახიშვილი, დასახ. შრომა, თბ., 1948, გვ. 133—135, 218.

¹⁸ თინათინ, სფირიდონ [ბერნაშვილის] თანამეცხედრე, არა ერთხელ იხსენიება XI საუკუნის ორი დიდი სეინაქსარის მინაწერებში.

¹⁹ 6. ბერძენიშვილი, იგ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948, გვ. 314.

ჭარმატებით ახერხებს შეაშბონე ფეოდალთა ალაგმეას და თურქე-
თის მტაცებლური შემოტევის მოგერიებას²⁰.

ამ დროს ლით-იმერეთის მეფები (ალექსანდრე, ბაგრატ)
არ სცნობენ ათაბაგების შეუზღუდავ მფლობელობას და სამხრეთ
საქართველოს შემოსაერთებლად ხანგრძლივ ბრძოლას აწარმო-
ებენ²¹. სწორედ ამ გარემოების ძალით, საკუთარი პოლიტიკური
პოზიციის გასამაგრებლად, უკავშირდება იმერეთის მეფის სახლი
სამცხის მძლავრ ფეოდალს სფირიდონ ბერნაშვილს, რომელიც, სა-
ფიქრებელია, ათაბაგის მიმართ პოზიციურად უნდა ყოფილიყო
განწყობილი.

პატრონი სფირიდონის გინაობა

„საქართველოს ისტორიის მასალების“ 1 ნაკვეთის ორიოდე
გვერდი საკუთარად მიძღვნილია ქეთაონ-ქრისტინეს სიძის, გიორგი
VIII და ათაბაგის ასულის თამარის ქალის ელენეს ქმრის, სფი-
რიდონისათვის²². იქვე გარკვეულია, რომ „პატრონს სფირიდონს“
და მეფეთ-მეფის ასულს ელენეს ყოლიათ ძე, სახელად იორამ²³.

სფირიდონის მეულე, მეფეთ-მეფის ასული ელენე 1514 წელს
ცოცხალი აღარ ყოფილა. სფირიდონის ბრძანებით ამ წელს (1514)
გადაწერილი მოხატული ხელნაწერის ანდერაში იხსენიებიან მხო-
ლოდ სფირიდონი და მისი ძე პირველი ცოლისაგან იორამ²⁴.

ერთ-ერთ სხვა მინაწერში ეს იორამი დახასიათებულია რო-
გორც სახელოვანი, ღვთისმოყვარე, მხნე, უძლეველი, რაც მოწმობს,
რომ იორამს საკმაოდ სრული ასაკისათვის უნდა მიეღლია²⁵. მაგრამ
ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ცნობა—რამდენ ხანს უკოცხლია
იორამს.

საგულისხმიეროა, რომ მეწიეთის მარხვანის შოსახსენებლის
უკანასკნელ ჯგუფში (მიცალებულთა ჯგუფში) კვლავ ჩანს სახე-
ლები „პატრონის ელენესი და ძისა მათისა... პატრონისა იორა-
მისი“. იორამის მოხსენიება აღრე გარდაცვლილ დედასთან—
პატრონ ელენესთან ერთად მოწმობს, რომ სფირიდონის ეს ვაჟი
მამაზე აღრე უნდა გარდაცვლილიყო. ამ დედა-შვილის სახელების

²⁰ იქვე, გვ. 314, 316.

²¹ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 314, 316.

²² საქართვ. ისტორ. მასალები, გვ. 213—215.

²³ იქვე, გვ. 214.

²⁴ იქვე.

²⁵ A : 97 ხელნაწერის მოსახუნებელი, გვ. 126—127.

გერდით პატრონის სფირიდონის სახელს ვეღარ ვხედავთ. მშენებელის სფირიდონის სახელით იწყება მოსახსენებელთა ის ჯგუფის უძველესი რომელიც მისდევს ათაბაგთა მოსახსენებელს. ამჟამად შეიქმნა „ახალ ფენაში“ მესამე ადგილი უჭირავს, მეფეთა (ალექსანდრესი და ბაგრატის) და ათაბაგთა (ყვარელებისი და ანას) შემდეგ:

„ქრისტეს მოყუარისა და მართლმადიდებლისა პატრონისა სფირიდონისი და მეცხედრისა მისისა, დიდისა მეფისა ალექსანდრეს ასულისა, ღთისმოყუარისა, მორწმუნისა და მართლმადიდებლისა პატრონისა თინათინისი საუკუნომცა არს...“ ვკითხულობთ აქ.

როგორც ჩანს, სფირიდონი მეფეთ-მეფის გიორგისა და ათაბაგის ასულის თამარის ქალის ელენეს გარდაცვალების შემდეგ იმერეოთის მეფის ასულ თინათინზე დაქორწინებულა²⁶.

1566 წელს, რომლითაც მეწითის მარსვანი და მისი მოსახსენებლები თარიღდება, არც სფირიდონი, არც მისი მეორე თანამეცხედრე თინათინ ცოცხლებად აღარ ისენიებიან.

ცოცხალი არიან სფირიდონისა და თინათინის ვაერ „პატრონი იოსაფატ“ და „მეცხედრე მისი პატრონი ქეთაონ“ თავიანთი ვაერბით. მოსახსენებელი მათ მრავალგზიერ სიცოცხლეს უსურევებს („მრავალმცა-არიან წელნი ცხორებისა მათისანი“)²⁷.

აუსანელი რჩება ამ მოსახსენებლის რაღდენიმე პიროვნების ვინაობა. ამათგან, პატრონის მამისას²⁸ სახელს ჩვენ უგერეტის მატიანის²⁹ ათაბაგთა მოსახსენებელშიაც ვხვდებით. აქ ვკითხულობთ:

„სფირიდონს შენს ღწნ.

მამიასა მათსა მამისასა შენს ღწნ...“³⁰

მამისას გერდით ჩვენს ძეგლში უცნობი „პატრონნი: ირინე და აბდულმისე³¹ და თამარ ისენიებიან“.

²⁶ თუ ეს ასეა, არ უნდა იკოს სწორი ჩვენი დასკვნა, თითქოს სფირიდონისა და მისი ცოლის დის ქეთაონ-ქრისტინეს გარდაცვალების თარიღი „1515 წლის ივნისის ხუთამდის“ უნდა ვივარაუდოთ („მასალები“, გვ. 214—215).

²⁷ მოსახსენებლები.

²⁸ საჭიროა აღინიშნოს, რომ დ. ბაქრაძისეულ რუსულ თარგმანში ეს სახელი მამისა შეცდომით მამიას სახით არის ფიქსირებული.

²⁹ „მასალები“, გვ. 280, 4—5.

³⁰ აბდულმისე, პატრონი. მოსახსენებელია სადგერის ჯვარის ერთ-ერთ ჭარწერაში, ექ. თაყაიშვილი, ჩხარის ეკლესიის სიძველები, გვ. 173, საქ. სახელმწ. მუს. მოამბე, XV—B, თბ., 1948.

სფირიდონის შვილთან — იოსაფატსა და მის მეუღლესთან ქვეყნის მეცნიერებების სამინისტროს მინისტრის მიერ გადაწყვეტილი 1566 წ. ცოცხლები ყოფილან „პატრიკი გულებელი ქან“ და ქენი მისნი. მათი ვინაობა უცნობია. შესაძლებელია ეს გულებელი გიორგი VIII და თამარის (ყვარყვარე ათაბავის ასულის) ვაჟის მეუღლე გულებელი იყოს (იხ. მეწიეთის მოსახსენებლები, მხ. 24).

მეწიეთის მარხვანის მომგებელი

მეწიეთის მარხვანის ანდერძში იხსენიება პატრიკი ქეთაონი, რომლის „ბრძანებით, ნებით და გულსმოდგინებითაც“ გადაწყვერილია ეს ხელნაწერი და რომლის კარნაბითაც, უმჭველია, დაიწერებოდა მისი მოსახსენებლებიც.

თავისთავად იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს ქეთაონ ჩვენს ძეგლში მოსახსენებული სფირიდონის ვაჟის იოსაფატის³¹ მეცხედრე პატრიკი ქეთაონ?

უცნობია ამ ქალის მამიშვილობა. შაგრამ დიდი ფეოდალის სფირიდონის რძალი, „მეწიეთის მარხვანის“ მოსახსენებლების შედეგნისას, ცხადია, მიზნად ისახავს თავისი ქმრის მეფური წარმოშობის წინ წამოწევას.

ვფიქრობთ, რომ ეს აზრი სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. თვით ხელნაწერიც, უმჭველია (ამას მოწმობს მისი პალეოგრაფიული ნიშნები და მოსახსენებლის პერსონაჟების ვინაობა), მესხეთში არის დაწყვერილი, სფირიდონის სახლში. აქაც, როგორც ამილახორთა სახლის კრებულში, წინ წამოწეულია ამ სახლის მეფური ჩამომავლობა.

გურიაში მისი მოხვედრა ადვილი გასაგებია: დ. ბაქრაძის მოგზაურობის ანალებიდან სრული სიცხადით ჩანს, რომ XVI ს. მიწურულის შემდგომ, და უფრო ადრეც, თურქეთის ექსპანსიის საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მესხეთიდან გურიისკენ მიედინებოდა შატერიალური კულტურის ძეგლებისა და ადამიანების განუშევეტელი ნაკადი. გარდა ამისა, გურიის დიდი ფეოდალები ემოციურებოდნენ სამცხის დიდ ფეოდალურ სახლებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ხელნაწერმა მინაწერების მიხედვით იმერეთში ყოფნის ნიშნებიც შემოგვინახა.

³¹ სახელი იოსაფატის XVI ს. 60—70 წწ. შემონახვაც არ არის ინტერესს მოკლებული.



ჩვენ განვებ შემოვინახეთ ბოლოსთვის „მეწიეთის მარხველის და მოსახლენებელის გვიანდელი მოსახლენებლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი—პატრონის ყვარყვარესი, მისი თანამეცხედრის ანასი და ძეთა მათთა—პატრონთა მზექაბუქ და ქაიხოსროს—მოსახლენებელი.

თავის დროზე არამცირედი შრომა იქნა გაწეული, რომ გავეფანტა დ. ბაქრაძის მცდარი განმარტება, რომელმაც დიდი ხნით დატოვა კვალი საისტორიო ლიტერატურაში: თითქოს მეწიეთის მარხველის ყვარყვარე იყოს ყვარყვარე დიდი (1416—1498), თითქოს აქ მოხსენებული ანა, თანამეცხედრე ამ მოსახლენებლის ყვარყვარესი, ცნობილი დედისიმედი I (გარდაიცვალა 1489 წ.) იყოს და თითქოს ანა იყოს ნათლობის სახელი I დედისიმედისა.

თითქოს ამ ძეგლში მოხსენებული ყვარყვარესი და ანას ვაჟები: პატრონნი მზექაბუქ და ქაიხოსრო იყვნენ დიდი ყვარყვარეს ვაჟები—ქაიხოსრო და მზექაბუქი და სხვ.³³ ხანგრძლივი ძიებისა და კვლევის შედეგად ჩვენ დავასკვენით, რომ მეწიეთის მარხველი ისხენიებს ქაიხოსრო ათაბაგის (1447—1500) შეიღს, დიდი ყვარყვარეს შეიღლისშვილს, ყვარყვარეს (გარდაიცვალა 1535 წ.), მის მეუღლეს ანას და მათ ორ ვაჟს—მზექაბუქსა და ქაიხოსროს (შემდეგში ათაბაგი).

მთელი ამ მსჯელობის სისწორე ნათელჲყო ახალმა, შეტად მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომლის განხილვაზედაც ახლა გადავდივართ.

III. კონასძეთა სელნაწერის (Q: 969) მოსახლენებლები

1956 წლის გაზაფხულზე თამარ ბრეგაძემ მოგვაწოდა Q: 969 ხელნაწერი, რომლის ტექსტშიაც მან მეცნეთა და სამხრეთ საქართ-

³³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სესიის თეზისები, გამოქვეყნებული 1956 წლის გაზაფხულზე. ქრ. შარაშიძის მოხსენების თეზისები, გვ. 60; დ. ბაკრაძე, Археологическое путешествие по Гурии и Ачаре, გვ. 141, 213; ექ. თავაი შვილი, ჩხარის ეკლესიის სიძველენი. 1. სადგერ-ჩხარის ჯვარი, მისი წარწერები და ამ წარწერების განმარტება, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაშე, XV—B, თბ., 1948, გვ. 167—169.

ველოს „პატრიონთა“ მოსახსენებლები შენიშნავს. ოღმოჩინდა, რომ ეს არის ახალი, დღემდის სრულიად უცნობი, დიდად მნიშვნელოვანი ვარი ძეგლი.

საქართველოს მეფეთა მოსახსენებლის (ძველი ფენა) მეფეთა ნუსხა აქ ლაშა გიორგის სახელზე წყდება:

„ძისა მათისა (თამარის) გიორგი, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მეფეთ-მეფისა, მრავალმცა არიან წელნი მეფობისა მისისანი“ (გვ.310-ტ).

საყურადღებოა, რომ ამ ხელნაწერის „ძეგლის წერა“ ლაშა გიორგის ცოცხლად იხსენიებს და მრავალ წელს მეფობას უსურვებს მას: „მრავალმცა არიან წელნი მეფობისა მისისანი“. ცხადია, დედანი, საიდანაც ეს ნუსხა მომდინარეობს, ლაშა გიორგის სიცოცხლეში ყოფილა დაწერილი.

„ძეველი ფენის“ დანარჩენი ნაწილები თითქმის არაფრით განირჩევიან განხილული მოსახსენებლების შესატყვის ადგილთავან. სამაგიეროდ, მოსახსენებელთა ახალი ფენა აქ წინა მოსახსენებლებისაგან განსხვავდება (S : 1246 და Q : 642). II და III მოსახსენებელთა ახალი ფენა მეფის სახელით იწყება: II—„მართლმადიდებლისა მეფეთ-მეფისა გიორგისი“ (გიორგი VIII), III—„მართლმადიდებელისა მეფისა აღექსანდრესი... ძისა მათისა, დიდისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისი“ (ბაგრატ I იმერთა მეფე 1510—1548). მეორე ადგილზე ათაბაგთა მოსახსენებელია. მესამე ადგილი სამხრეთ საქართველოს დიდ ფეოდალთა ნუსხებს უჭირავს.

ახლად ოღმოჩინილ ძეგლში XVI ს. ქართლისა თუ იმერეთის შეცვების ხსენება აღარ არის. აქ მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ხელისუფალთა და „ტავოს იმილახორის“ სახლის წევრთა მოსახსენებლებია.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე განსახილველი ძეგლის თავისებური სტილი. იგი (სტილი) მოკლებულია აშილახორთა და ბერნასშვილთა სახლში დაწერილი ტექსტების სისადავეს. მოსახსენებლები პატეტიური შესხმისგვარად არის შედგენილი. სამცხის პატრიონთა ნუსხის ყოველი პიროვნების დასახელებას დართული აქვს სათანადო დახასიათებაც.

ათაბაგთა მოსახსენებელი

ძეგლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი ჩამოთვლის სამხრეთ *საქართველოს ხელისუფალთა ამ დროისათვის

⁸⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. II, ხელნაწერი № 969.

უკანასკნელი ოთხი ცვლის წარმომადგენლებს და მათი სახლის
წევრებს. ამის წყალობით სამუდამოდ ბოლო ეღლება „ყვარყვაშვილებისა
თანამიმდევრობაში დღემდის არსებულ არევ-დარევისა”.

ყვარყვარე-დედისიმედის ამ ნუსხით ცვლის მათი „პირმში
ძე ქაიხოსრო“, რომლის შემდეგაც იხსენიება მისი „საყვარელი
ძმა მზეჭაბუქ“. ამ პირთა მოსახსენებლები ბოლოვდება: „საუკუნო-
ჯმცა არს საქსენებელი და კურთხევად მათი“, რაც მოწმობს, რომ
ათაბაგი ყვარყვარე (დიდი), მისი პირმში ძე—ქაიხოსრო ათაბაგი
და ამ უკანასკნელის ძმა მზეჭაბუქ ძეგლის შედგენის დროს ცოც-
ხლები აღარ არიან.

მზეჭაბუქის შემდეგ მოხსენებულია 1500 წ. გარდაცვლილი
ქაიხოსრო ათაბაგის (1447—1500) ძე—ყვარყვარე, მეტად ზეიადი
დახასიათებით:

„და ძმისწულისა მათისა (მზეჭაბუქის ძმისწულის) ჩენისა,
ახოვანისა და ქველ-პირმეტყუცლისა, აგარიათა მომსრველისა, გუ-
ლოვნებით სახელგანთქმულისა, მტერთა შემაძრწუნებელისა, ქრის-
ტეს ქრისტიანისა სჯულისა მტკიცედ მპყრობელისა და აწ მფლო-
ბელისა ჩენისა, პატრონისა ნავ(?)! ყუარყუარესი საუკუ-
ნოჯმცად არს საქსენებელი და კურთხევად მისი და მრავალმცა
არიან დღენი და უამნი ცხორებისა მისისანი“

ვკითხულობთ აქ.

გამოთქმა: „აწ მფლობელისა ჩენისა“ და „მრავალმცა არიან
დღენი და უამნი ცხორებისა მისისანი“ ეკვს არ ტოვებს, რომ
მოსახსენებლის (და ხელნაწერის) ტიქსტები ყვარყვარე ქაიხოსროს
ძის ათაბაგობაში, ე. ი. 1516—1535 წწ. შუა ყოფილა დაწერილი.

გაუგებარია ეპითეტი ნავ („ნავ ყუარყუარე“). შესაძლებელია
იგი ახალი ყვარყვარეს (თავისი პაპის—ყვარყვარე დიდის მსგავსის?).
მნიშვნელობით იყოს ნაბარი. ასე თუ ისე, სხვა „ყვარყვარეთაგან“
გასარჩევად, ყვარყვარე ქაიხოსროს ძეს ჩენც ნავ-ყვარყვარედ
მოვიხსენებთ.

ნავ-ყვარყვარეს მეუღლე ანა

ნავ-ყვარყვარეს გვერდით მოხსენებულია მისი მეუღლე
ანნა:

„და მეუღლისა მათისა, ღრთივ გვრგვნოსნისა...
პატრონისა ჩენისა ანნა და მრავალმცა არიან
დღენი და უამნი ცხორებისა მისისანი“.

* დ. ბაქრაძე, А. П. Г. А., გვ. 213—215, თ უორდანია, ე. თაყაიშვილი.



ანას დახასიათებაში, რომელზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ მოყვარულება
შეცხრდებით, საყურადღებოა ამ მანდილოსნის „ღვთივ გვრგუნს მართება
ნად“ მოხსენება.

როგორც ვიცით, ეს ეპითეტი მხოლოდ მეუე-დედოფალთა
სახელებს ერთვის. საიდან უნდა ყოფილიყო ანა ღვთივ გვირგვი-
ნოსანი, როცა მისი მეულე ყვარევარე მხოლოდ (სამცხის) მფლო-
ბელად არის მოხსენებული? ხომ არ იყო ანა დაქვრივებული დე-
დოფალი, საქართველოს რომელიმე შეფის ნაცოლარი? ეს საკითხი
დამატებითი ცნობების მოპოვებას მოითხოვს.

მ ზ ე ჭ ა ბ უ ძ ა ქ ა ი ს ო ს რ თ გ ვ ა რ ე ვ ა რ ე ნ ი დ ა
ა ნ ა ს შ ვ ი ლ ე ბ ი

ყვარევარესა და ანას მოსახსენებელს მისდევს მათ ვაჟთა—
პატრონის მზექაბუკისა და პატრონის ქაიხოსროს მოსახსენებელი:

„და ძეთა მათთა, სამოთხის ნერგთა, გარდთა სურნელთა და
გონიერთა, საღ-თოდ-სამწედროდ აღზრდილთა—პატრონის/მზექაბუ-
კისი და პატრონის ქაიხოსროსი მრავალმცა არიან დღენი და უამინი
ცხორებისა მათისანი“. ²⁵

იმ გაურკვევლობაში, რომელიც შეიჩინეოდა ყვარევარე-დე-
ლისიმედისა და ყვარევარე-ანას ერთმანეთში არევის გამოვა, არა
მცირედი როლი შეისრულა იმან, რომ ორთაც ყვარევარეს ყავდა
ვაჟები—პაპას, ყვარევარე დიდი ქაიხოსრო და მზექაბუკი, ხოლო
შვილიშვილს, ყვარევარე ქაიხოსროს ძეს—მზექაბუკ და ქაიხოსრო.

რატომდაც შეუმჩნეველი რჩებოდა ის უბრალო გარემოება,
რომ ჩენს ძეგლებში მუდამ და განუხრელად მისდევენ მმებისა
თუ შვილების ჩამოთვლას უფროს-უმცროსობის თანმი-
მდევრობის დაცვით, რის მიხედვითაც ძეგლები უცილობლად
მიგვითითებენ, რომ ყვარევარე-დედისიმედს ჰყავდათ უფროსი
ვაჟები: პირმშო—ქაიხოსრო, მისი მომდევნო—მზექაბუკ და სხვანი;
ყვარევარე-ანას კი პირმშო — მზექაბუკ და მისი მომდევნო ქაი-
ხოსრო, შემდეგში ათაბაგი.

აღრინდელ ძეგლებში შემონახული ყვარევარესა და ანას ორი
ვაჟის: მზექაბუკ-ქაიხოსროს სახელები შემდგომ ძეგლებში წყვილად
აღარ გვხვდება—ისხენიება მხოლოდ ქაიხოსრო²⁶. ცხადია, უფროსი
ძმა—მზექაბუკ აღრე გარდაცვლილა.

²⁵ დ. ბაქრაძე, თ. უორდანია, ე. თაყაიშვილი.

²⁶ ვახუშტი, ისტორია, თბ., 1913, გვ.

ამ ვაეფების ჩვენს ხელნაშერში „სამოთხის ნერგებად“ და „სურნელ ვარდებად“ მოსსენიება მოწმობს, რომ ხელნაშერი და უნდა მისი „ძეგლის დების“ დაშერის დროს ისინი მცირე ასაკის უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა, მემატიანის თქმით, ამავე დროს ისინი „საღმრთოდ-სამხედროდ“ აღზრდილნიც ყოფილიან.

ჩეენ ვიცით, რომ მზეჭაბუქისა და ქაიხოსროს მამა, ნავ ყვარ-ყვარე, 1535 წელს გარდაიცვალა³⁷. ვიცით, აგრეთვე, რომ 1535 წლიდან ძეგლებში აღარ ჩანს მისი უფროსი ვაჟის—მზეჭაბუქის სახელი. აქედან ცხადია, რომ ნავ-ყვარყვარეს ძე მზეჭაბუქი 1535 წელზე აღრე გარდაცვლილა.

ამის გამო, ყვარყვარეს სიკვდილის შემდეგ ითაბაგად მისი უმცროსი ვაჟი, ქაიხოსრო უნდა გამხდარიყო. როგორც ცნობილია, ეს ყრმა მამის უდროო სიკვდილის დროს იმდენად მცირე ასაკისა ყოფილა, რომ მას მისი ახლო ნათესავი ოთარ შალიკაშვილი პატრონობდა.

„მესხური მატიანის“ ცნობების წყალობით შეგვიძლია ზედ-მიწვნით გავარკვიოთ რამდენი წლის დარჩენია მამის ქაიხოსრო. იგი გარდაიცვალა 1573 წლის ენკენისთვის 29-ს. გარდაცვალების თარიღთან ერთად „მესხურ მატიანეში“ აღნიშნულია ქაიხოსროს წლოვანებაც; აქ ნათევამია, რომ ქაიხოსრო „მიიცვალა—(1573 წ.) წლისა ნა [51]“. მაშისადამე, ქაიხოსრო 1522 წელს დაბადებულა (=1573—51). 1535 წელს, როგორც მისი მამა გარდაიცვალა, ქაი-ხოსრო ცამეტი წლის უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, განსახილველ ძეგლში წარმოდგენილი არიან სამცხის ხელისუფალი „ათაბაგ-ამი[რ]სპასალარის... ყუარ-ყუარე“ დიდიდან (1416—1498) მოყოლებული, ნავ-ყვარყვარემდის (გარდაიცვალა 1535 წ.).

კოჩასმეთა მოსახსენებელი

Q: 968 ხელნაშერის მოსახსენებელი კოპასძეთა სახლშია და-შერილი. ბუნებრივია, რომ ამ ძეგლში ითაბაგთა მოსახსენებელს უშუალოდ მისდევს სოილ კოპასძისა და მთელი მისი სახლის წევრთა მოსახსენებელი:

„და სოილ კოპასძისა, ტავოსა ამილახორისა და მხატვრობით კეთილად ჩელოუანისა და სიბრძნის-მეტყუსლისა და საღ-თოთა

³⁷ ვახუშტი, ისტორია, თბ., 1913, გვ. 243.

წერილთა მართლიად აღმასრულებელისა და თარგმანთა განმეორებელისა, მრავალმცა არიან დღენი და ქამნი სუფერისა მისისნი. მათ შემდეგ სოილ კოპასძის მოსახსენებელს მისდევს მის მშობელთა, მისი „მემტედრის“ და მათ ძეთა და ასულთა მოსახსენებლები.

სოილ კოპასძის, ტაოს ამილახორის სახელი ცნობილია სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული ქუთაისის მუზეუმში დაცული თარილიანი ხატის წარწერიდან.

ხატის წარწერაში სოილ კოპასძე გვამცნობს, რომ იგი არის ხატის „დამხატვი და მოშენებელი“, რაც სავსებით ეთანხმება „მოსახსენებლის“ ცნობას სოილის „მხატვრობით კეთილად ჯელოვანების“ შესახებ. ხატის დახატვა და მოჭედვა 1502 წელსაა შესრულებული—„დაიხატა და მოიჭედა წ'ა ესე ხატი მას ჟამსა, ოდეს ოლთისთა ემთავრობდი, ქრონიკონსა რე“. ვკითხულობთ წარწერის ბოლოს³⁸.

ჩვენს მოსახსენებელში (1516—1535) სოილ კოპასძე ოლთისის მთავრიად აღარ იხსენიება. მას შერჩენია მხოლოდ „ტავოს ამილახორის“ სახელი.

როგორც ს. კაკაბაძე აღნიშნავს, ქუთაისის მუზეუმში დაცული სოილის წარწერიანი ხატის მხატვრობა მთლად წაშლილია

მაგრამ ცხადია, „მხატვრობით კეთილად ჯელოვან“ სოილს ხსენებული ხატის გარდა არა ერთი ნაწარმოები ექნებოდა შესრულებული. ეს მით უფრო საფიქრობელია, რომ ჩვენი ძეგლის დაწერის დროს სოილი შუახინის კაცი უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ 1502 წელს, მისი საკუთარი წარწერის მიხედვით, სოილი სრული სიმწიფის ასაკში შესული ჩანს. სხვაფრივ შეუძლებელია მას „ოლთისთა მთავრის“ პატივი ჰქონიდა მინიჭებული.

მოსახსენებლების დაწერის დრო

განსახილველი მოსახსენებლები დაწერილია იმ დროს, როცა „ნავ-ყვარყვარეს“ ვაჟები—მზექაბუქ და ქაიხოსრო „საღრთოდ-სამხედროდ აღზრდილებად“ ითვლებოდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ უმცროსი ამათთაგანი—ქაიხოსრო, მამის სიკვდილის დროს, 1535 წელს 12-13 წლის ასაკის ყოფილი. აქედან შეგვიძლია დავისკვნათ, რომ მოსახსენებლების დაწერა დიდად არ უნდა შორდებოდეს ყვარყვარე ათაბაგის იმერეთის მეფის ბაგრატის

³⁸ ს. კაკაბაძე, ოლთისის მთავარი კოპასძე. წერილი შენიშვნ. და მასალები, „საისტორიო კრებული“, 1, გვ. 110—111.

მიერ დატყვევებისა და ამ ტყვეობაში გარდაცვალების თარიღის
1535 წელს (ძნელი წარმოსადგენია, რომ 11 წელზე ნაკლები იყო—
კის ბავშვი ძეგლში „საღრთოდ-სამკედროდ იღზრდილად“ მოქმედებისა
ნებით).

ამის მიხედვით კოპასერთა ძეგლი დაწერილი უნდა იყოს
XVI ს. 30-ან წლებში (არა უგვიანეს 1535 წლისა).

მესხეთის მოწინავე საზოგადოება 1530—1535 წწ.

ძეგლში წარმოდგენილ თითქმის ყოველი პიროვნების და-
ხასიათებაში (გამონაკლისია დიდი ყვარყვარეს დახასიათება) წინ
წამოწეულია მისი „ქრისტიანული“ სათნოება. დიდი ყვარყვარეს
მეუღლე, დედისიმედი (I) არის „დედათა დიდება, სიკეთის ძეგლი,
წრთა მენელსაცხებელთა მოდასე და სარწმუნოების ბეჭედი“.

ყვარყვარე დიდის ძეს, ქაიხოსროს „სიბრძნის გამომეგიერებლო-
ბასთან“ ერთად ახასიათებს „დაუცხრომელად და მაღიდებ-
ლობა“.

ქაიხოსროს ძე, ნავ-ყვარყვარე, მხნეობასა და სხვა სამხედრო
ღირსებებთან ერთად „სარწმუნოებისა და ქრისტეს ჰეშმარიტისა
სჯულისა მპყრობელია“.

ვანსაკუთრებით გამოიჩევა სათნოებით ნავ-ყვარყვარეს მე-
უღლე, სილამაზით „მთიების შესაღარი“ ანნა. იგი „წერილთ
(უმეველად, საღმრთო წერილთ) მოყუარული და ჯუართა და ხატთა
პირად-პირადად მამკობელი“ არის²⁹.

ბენებული დახასიათებანი პიროვნებას, უპირველეს ყოვლისა,
„ქრისტიანული“ თვალსაზრისით განიხილავენ. შესაძლებელია, ძეგ-
ლის შემდგენელი ეკლესიის მსახური იყო, რომლისთვისაც ასეთი
მიღვიმე სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ისიც საფიქრებელია, რომ ეს „ქრისტიანული“ სა-
ზომი: „ავარიანთა მოსერის“, ქრისტეს სჯულისა მტკიცედ პყრო-
ბის“, საღვთო წერილის ცოდნისა და სხვ. უმაღლეს ზნეობრივ
ღირსებად ჩათვლა XVI ს. 30-იანი წწ. საათაბაგოს წარჩინებული
საზოგადოებისათვის მართლაც დამახასიათებელი ყოფილიყოს. სწო-
რედ ამ ხანებში სამხრეთ საქართველოს კარზე მომდგარია მრის-
ხანე დამპყრობელი, რის გამო „ქართული ქრისტიანობისა“ და
აგრესორის მაპშადიანობის მკვეთრი დაპირისპირება ბუნებრივიად
უნდა ჩითვალოს.

²⁹ ანნა რომ თავის მეუღლესთან, ნავ-ყვარყვარესთან, ერთად მართლაც
იყო ხატთა და ჯუართა მამკობელი, ამას საღვერ-ჩხარის ჯვრის წარწერაც
მოჟმობს. ინ. ე. თავაიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 167.

XV—XVI სს. საათაბაგოს ადამიანების რელიგიური განწყობილება მეღდავნება, სხვათა შორის, ერთ მეტად გავრცელებულებული გვარები მოვლენაში—ამ პერიოდის ხელნაწერთა მინაწერებში გვარცებული შემონაზენებულთა სახელების სიმრავლე. იშვიათია ისეთი მოსახსენებელი, სადაც ცოცხალი თუ გარდაცვლილი პიროვნება მხოლოდ ერთი სახელით იყოს ნახსენები:

თამარ-ყოფილი სალომე, ქეთეონ-ყოფილი ქრისტინე, ვაზტანგ-ყოფილი ვარსიმე, ვახუშტი-ყოფილი ვასილიოსი, მამქან-ყოფილი მარინე, ქოიარ-ყოფილი ქერობინ, ნოშრევან-ყოფილი ნეოფიტე და სხვა მრავალი. აი, ის წყვილ-წყვილი სახელები, რომლებიც მხოლოდ ერთ ძეგლში (XV—XVI ს.) გვხვდება (A : 1085).

ასეთსაცე მოვლენას ვხედავთ კოპასძეთა მოსახსენებლებში (შექაბუქ-ყოფილი იაკობ, რუამ-ყოფილი რაშთაელ, რაინდო-ყოფილი ეკატერინე, მანგუშარ-ყოფილი მართა).

განათლებულობა-განსწავლულობა

მეორე, რითაც ყურადღებას იპყრობს Q : 969 ხელნაწერის მოსახსენებლთა ნუსხის „დახასიათებანი“, არის მოხსენებულ პიროვნებათა განათლებულობის, განსწავლულობის აღნიშვნა: სიბრძნის გამომეძიებლობა, განბრძნობილობა, საღვთოდ-სამჯედროდ აღზრდილობა—ახასიათებს ათაბაგო სახლის წევრებს.

განსაკუთრებით და გამორჩევით იღნიშულია „ტავოს ამილახორის“ სოილ კოპასძეს ხელოვანობა და მცუნიერობა: სოილი „მნატვრობით კეთილად ჟელოვანი, სიბრძნის მეტყუშლი, საღმრთოთა წერილთა მართლიად აღმასრულებელი და თარგმანთა განმარტებელია“.

შესხმითი სტილით დაწერილ მოსახსენებლებზე დამყარებით XVI ს. 30-იანი წლების სამცხის მოწინავე საზოგადოების განათლებულებაზე მსჯელობა უცნაური იქნებოდა. საჭიროა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოღწეული სამსრეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ნაშთების თავის მოყრა და შესწავლა. მხოლოდ ასეთი შესწავლის საფუძველზე შეიძლება გარკვეული შეფასება მოეძებნოს XVI ს. I ნახევრის სამცხის კულტურულ ვითარებას. მაგრამ ის ძეგლებიც, რომლებიც სახელდახელოდ შეგვიძლია აქ დაივისახელოთ, საქმიარისად მრავალმეტყველი არიან: სფირიდონ ბეენაშვილის ბრძანებით 1514 წ. გადწერილ-მოხატული ხელნაწერი A : 401; თეთროსანის დავითი წ : 75; მერაბ ქალმახე-

ლის ბრძანებით 1520 წ. გადაწერილი მოხატული ოთხთვე
H:1721; XV საუკუნის მიწურულში შედგენილი ზაზა ფანასქელი და მის უზარმაზარი სამკურნალო კრებული Q:877; ითავიმე მაწყვე-
რელის ბრძანებით საფარის 1541 წელს სვიმონ ქარგარეთელის
ხელით გადაწერილი „საფილოსოფოსო წიგნი“ S:312 და სხვ.

ამთში განსაკუთრებით საგულისხმიერო S:312 კრებული,
რომელშიაც შეტანილია ქართველი მეცნიერის აბუსერიძე-ტბე-
ლის (1233 წ.) კალენდარული ტრაქტატი (92r—101v) და ენათ-
მეცნიერული გამოკვლევა „სიტყუად ართრონთათვს“ (106r—108v).
ყველაფერი ეს და მრავალი სხვა საყურადღებო ძეგლი შესწოვლას
მოითხოვს.

XVI ს. შუა წლების სამცხის უმაღლეს წრეებში სწავლა-
აღზრდის მდგომარეობის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია
აგრეთვე „მესხურ მატიანეში“ შეტანილი ქაიხოსროს ძის მზეჭა-
ბუკის (1549—1573) ნეკროლოგი. მატიანის ცნობით 22 წლის შეე-
შაბუკი ყოფილა:

„საღრთო-საკაცობომდი ყოვლად სრული და ზნეუკლები,
ღრთის მოყუარე და ქრისტეს სარწმუნოებაზედა აღზრდილი“.

მზეჭაბუკის აღზრდა-განათლების ზოგადი რელიგიური (ქრის-
ტიანული) საფუძვლის აღნიშენის შემდეგ, შემატიანე ჩამოთვლის
რა ცოდნის პატრონი იყო „სრული და ზნეუკლები“ მზეჭაბუკ:

„სრული მწიგნობარ-მგალობელი და რიტორი, ქმად-შუშნი-
ერი, ენა-ტებილ... ხოლო იცოდა სპარსული წიგნი და წერი და
ენა თათრული, სპარსული და არაბული“.

მზეჭაბუკის გონიერივი ავლადიდების აღნიშვნის შემდეგ მე-
მატიანე მისი ფიზიკური განვითარების შესახებაც გვაწვდის ცნო-
ბას. იგი აღნიშნავს, რომ მზეჭაბუკი იყო შესანიშნავი „მობურთალ-
მოასპარეზე ქუშანასა ზედა-მისებრი არ გამოჩენილა“-ო, ამბობს
იგი.

უმეველია, ამ დახასიათებაში ბევრი რამ გაზიადებულად
უნდა ვიგულისხმით. მაგრამ, რაც უნდა იდეალიზირებულად ჩავ-
თვალოთ მზეჭაბუკის განსწავლულობის აქ მოცემული სურათი,
ჩვენ მაინც გვრჩება წარმოდგენა — როგორი უნდა ყოფილიყო
XVI ს. 60—70 წწ. „საღმრთო-საკაცობომდი ყოვლად სრული და
ზნეუკლები“ აღამიანი; რა ცოდნისა და განვითარების პატრონი
უნდა ყოფილიყო ის.

აკად. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ IV
წიგნის მიხედვით ყვარყვარე ჯერ კიდევ ბურგუნდის მთავრი-
სადმი 1459 წ. მიწერილ ბარათში აღნიშნავდა „თავის წარმატე-
ბულ ბრძოლებს „ურჯულოებთან“—ე. ი. შავმალიან მფლობე-
ლებთან⁴⁰.

ეინ იყვნენ ეს მფლობელები ან სახელდობრ რომელ წელს
უწარმოება ყვარყვარეს ომი—არ ვიცით. ცხადია მხოლოდ, რომ
ეს ბრძოლები სამცხის მფლობელს 1459 წელზე ადრე გადა-
უსდია.

საბჭოთა სომხეთის სახელმწიფო მატენადარანთან კავშირის
წყალმით, ყვარყვარეს საგარეო ომების შესახებ დღეს რამდენიმე
ახალი ცნობა მოგვეპოვება. ამათგან პირველი ცნობა დაცულია
შატენადარანის ქართული ხელნაწერი „გამნის“ კინგლოსის კი-
დეზე. ექვემდებარება ეს სამოცდა შეიღსა გაუმარჯუდა პატ-
რონსა ყვარყვარეს ელალდის ჟედა. ოთხას ორმოცდაშუადი თა-
თარი მოკუდა⁴¹.

ხელნაწერის გადამწერი და ამ ცნობის დამწერი ჩვენთვის
ნაცნობი პირვენება—ყვარყვარე დიდის მესტუმრე და ამირათ-
ამირა, ნოშრევან-ყოფილი ნეოფიტეა, რომლის ხელითაც შეტანი-
ლია ყვარყვარეს სახლის წევრთა მოსახსენებელი „გერგეტის სულთა-
მატიანეში“⁴².

ას სამოცდაშეიღი ქართული ქრონიკი 1479 წელს უდრის.
ყვარყვარეს ბრძოლებისა და მეზობელ სამფლობელოთა რბე-
ვისათვის სხვა ცნობებიც არსებობს.

სომხეთის სახელმწიფო მატენადარანის დირექტორის პატივ-
ცემული ლეონ სტეფანეს დე ხაჩიკიანისაგან მიღებული
ცნობების თანახმად, 1491 წ. გუგარეში გადაწერილი სახარების
კალიგრაფი მელქისეტი აღნიშნავს:

⁴⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948,
გვ. 52.

⁴¹ ამ ცნობის მოწოდებისთვის ვლენ მეტრეველს დიდ მადლობას ვუ-
ძლვინ.

⁴² ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები XV—XVIII სს.,
გვ. 235, 279—280.

„ამ წელს გარდაიცვალა იალუბ-ხანი, დანარჩენები კი მთლად გაელიტეს, მანამ არ მოისპო ბაიანდურთა გვარის (ყველა წარმოშოთა მადგენელი).

და წამოვიდა პატრონი ქართველი ყვარყვარე ოცდაათათა-სიანი მხედრობით ქალაქ არზრუმშე და გაძარცვა ქვეყანა და ქა-ლაქი თავის მოხარკედ აქცია.

ეს მოხდა ქართველთა მეფის კონსტანტინეს მეფობაში⁴³ და სომეხთა მეუჯის—კათალიკოსის სარგისის მმართველობაში⁴⁴.

უკანასნელ, ახალციხეში 1499 წელს შეძენილი სომხური სა-ხარების „გამომხსნელის“, მურატის მინაშერიდან გავიგებთ:

„ყვარყვარემ დაარბია და გაძარცვა არარატის მხარე და (ეს) წმიდა სახარება მიტანილი იყო ქალაქ ახალციხეს და მე, მონამან ღვთისაბან მურატ, ვიყიდე იგი ამ ულირსი (ადამიანებისაგან)“⁴⁵...

პატივცემულ ლეონ ხაჩიკიანისაგან მივიღეთ აგრეთვე ცნობა, რომ ყვარყვარე დიდის დროს სამცხის მკურნალად ყოფილა XV საუკუნის განთქმული სომეხი მოღვაწე ევაჩი.

ამ ძვირფასი ცნობების მოწოდებისათვის ბ. ლეონ ხაჩიკიანს ულრმეს მაღლობას მოვახსენებთ.

რომელი უვარევარეს ცოლია ნესტანდარეჯან-ეოფილი ნინო

საქართველოს ისტორიის მასალებში იხსენიება „დიდის ამირ-სპასალარის კურთხეულის ათაბაგის ყურყუარეს“ მეუღლე ნესტან-დარეჯან (მეორე საბუთით—ნესტანდარეჯან-ყოფილი ნინო).

ამ პიროვნებისა და მისი ოთხი შეილის შესახებ ცნობებს ორ სხვადასხვა საბუთში ვპოულობთ; ამათგან პირველი, უფრო ადრინ-დელი, გამოქვეყნებულია ე. თაყაიშვილის მიერ „საქართველოს სიძველეთა“ II ტომში (თბ., 1909).

ეს არის ათაბაგის მეუღლის ნესტანდარეჯანის ნასყიდობის წიგნი, დაწერილი 1508 წლის მაისის 1-ს. საბუთი იხსენიებს „პატრონთა: მეფისა“ ბატონისა დავითისა სიდედრსა და პატრო-ნისა ა]მისპასალარისა პატრონისა ყუარყუარესა ცოლ[ყოფილ]სა

⁴³ კონსტანტინე II, დემეტრეს ძე, ქართლის მეფე 1479—1505.

⁴⁴ სახარების გადამწერის ანდერძის ეს ნაწილი გამოცემული ყოფილა გ. სრუანძტიანის ნაშრომში: „ტოროს ახარ“, ტ. I, გვ. 119—121.

⁴⁵ მინაშერის ეს ტექსტი გ. პირგალემიანს შეუტანა მის მიერ XIX ს. შედგენილ მინაშერთა ხელნაშეტ კრებულში, რომელიც ამჟამად დაცულია მატე-ნადარანში, № 6273—თ (გვ. 376).



ნესტარჯანს“ და „ძესა მისსა ათაბაგსა...“ და მისთა ძმითა—ქართველების ზუერელსა და სალუყაზან[ს]“, რომელთათვისაც ვინმე შალვა პლატონიათ.

ნასყიდობის აქტი „მეფეთმეფის დავითის“ უკითხვითა და ნებადართვით“ არის შედგენილი.

საბუთში ყვარყვარეს ცოლყოფილი ნესტანდარეჯან მეორე-ჯერაც იხსენიება: „აწ გვინდეს და გიბე[დნიერო]ს ღმერთმან თქუნ, პატრონისა ათაბაგ ამისპასა[ლარისა ყუარყუა]ზეს თანა-მეცხედრე ყოფილსა პატრონ[სა ნესტარჯანს] და ძეთა თქუ-ენთა...“⁴⁶.

ტექსტიდან ცხადია, რომ 1508 წელს, როცა საბუთი იწე-რება, ნესტანდარეჯანი დაქვრივებულია („თანამეც-ხედრე ყოფილსა“); იგი ქართლის მეფის დავითის (1505—1525) სიდედრად იხსენიება. იგულისხმება, რომ ნესტანდარეჯანი და მისი ვაჟები ქართლში იმყოფებიან, საფიქრებელია, მათი სიძის, დავით მეფის კარზე (დავით მეფის „ბრძანებით“ იწერება საბუთი⁴⁷).

ნესტანდარეჯანი საბუთში ყვარყვარეს ცოლყოფილად იხსე-ნიება („პატრონისა ათაბაგ ამისპასა[ლარისა] ყურყუარეს თანა-მეცხედრე ყოფილსა“ და სხვ).⁴⁸

ამავე ნესტანდარეჯანისა და მისი ვაჟის სახელები ფიქსი-რებულია აგრეთვე 1520 წელს დაწერილ საბუთშიაც, რომელიც შემოქლებით გამოქვეყნებული აქვს თ. უორდანიას „ქრონიკების“ II ტომში. აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„ჩვენ, დიდისა ამირსპასალარის, კურთხეულის ყუარყუ-არეს მეცხედრემან, ნესტანდარეჯან-ყოფილმან ნინო და ძეთა ჩუენთა—პატრონმან თამთან, საზუერელმან და სა-ლუყაზან—შემოგწირეთ მცირე ეს შესაწირავი (ვლაქერნის) ღვთისმშობელსა დიდსა (ქვათაერეს)... (ჩვენის) სიძის, ნე-ეთ-ნეფის დავითის ნებადართულობითა“.

...დაიწერა... (ბრძანებითა) ნეფეთ-ნეფისა დავითისითა, ქვესა სც.⁴⁹.

ქვათახევის მონასტრის № 50 სიგლიდან ამოკრეფილ ამ ნა-წყვეტებს თ. უორდანია თავის განმარტებას ურთავს: სიგელში

⁴⁶ ე. თაყაიშვილი, „საქართველოს სიძველენი“, ტფილისი, 1909, გვ. 399—401, § 359.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ თ. უორდანია, „ქრონიკები“, II, გვ. 347.

დასახელებული ნესტანდარეჯან-ყოფილი ნინო ისტორიკოსს ესტონეთის
აჩნია იმ ყვარყვარეს ცოლად, რომელიც ათაბაგად 1515 წელს
დაჯდა, თავისი ბიძის—მზეპაბუქის გარდაცვალების შემდეგ და
გარდაიცვალა გელათში, იმერთა მეფის ბაგრატის ტყვეობაში
1535 წ.

საყურადღებოა, რომ თ. ეორდანიას არ რჩება შეუმჩნეველი
ერთი დეტალი: ქვეთახევის 1520 წელს დაწერილი საბუთი ნესტან-
დარეჯანის ქმარს—ყვარყვარე ათაბაგს კურთხეულად, ე. ი. მიცვა-
ლებულად იხსენიებს, ის ყვარყვარე კი, რომლის ცოლადაც თ. ეორ-
დანიას ნესტანდარეჯან-ყოფილი ნინო მიაჩნია, 1520 წელს ცოც-
ხალი იყო. ამ წინააღმდეგობას თ. ეორდანია ახსნას ვერ უძებნის.

როგორც დავინახეთ, არსებობს 12 წლით ადრე, 1508 წელს
დაწერილი საბუთიც, სადაც იგივე ნესტანდარეჯან ყვარყვარეს
„თანამეცხედრეყოფილად“ იხსენიება. მაშასადამე, ნესტანდარე-
ჯანის ქმარი ყვარყვარე ჯერ კიდევ 1508 წელს ცოცხალი აღარ
ყოფილა.

ამის მიხედვით, ცხადია, რომ ნესტანდარეჯანის ქმარი არ
შეიძლება ყოფილიყო 1535 წელს ტყვეობაში გარდაცვლილი ყვარ-
ყვარე, დიდი ყვარყვარეს (1416—1498) პირში ძის, ქაიხოსრო
ათაბაგის (1447—1500) შვილი.

ამიტომ თ. ეორდანიას ვარაუდი უარყოფილი უნდა იქნეს
და ორი უტყუარი ისტორიული საბუთის მონაცემების საფუძველზე
სხვა აზრს უნდა დავადგეთ.

ჩვენთვის საყურადღებო ორივე საბუთი ყვარყვარეს ათაბა-
გობის სრული ტიტულატურით იხსენიებს:

„პატრონისა ათაბაგა-ამირსპასალარისა ყუარყუარეს თანა-
მეცხედრე-ყოფილი...“ ვკითხულობთ 1508 წლის ნასყიდობის წიგნში
(იხ. ზემოთ).

„დიდისა ამირსპასალარის კურთხეულის ათაბაგის ყუარყუ-
არეს“ ცოლად იხსენიებს ნესტანდარეჯან-ყოფილ ნინოს 1520
წლის საბუთი (იხ. ზემოთ).

ეჭვს გარეშეა, ნესტანდარეჯან-ნინოს მიცვალებული მეუღლე
სამცხის ათაბაგობის სრული ხელისუფლებით მოსილი უნდა ყო-
ფილიყო და არა ყვარყვარეს სახელის მატარებელი რომელიმე
სხვა „პატრონი“.

1508 წელს ეს ყვარყვარე ცოცხალი აღარ არის.

ყოველივე ამის მიხედვით ნესტანდარეჯან-ნინოს ქმრად მხო-
ლოდ 1498 წელს გარდაცვლილი ყვარყვარე დიდი (1416—1498)
შეგვიძლია ჩავთვალოთ.



ჩევნ ვიცით, რომ ამ ყვარლებარეს მეულლე დედისიმედი 1489-ია წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ ყვარლებარემ თითქმის მოქმედი ათეულ წელს იცოცხლა (1489-1498); ცხადია, 73 წლის ათაბაგს სხვა ცოლი შეურთის (ნესტანდარეჯან) და ამ ცოლისგან მის მრავალრიცხვან მოღვაწეს ოთხი შეილი შემატებია; ამათგან ერთი ქალი (მისი სახელი ჯერჯერობით უცნობია) საბუთების მიხედვით დაგით ქართლის მეფეზე (1505—1525) ყოფილა გათხოვილი; საბუთებიდან ცნობილი ხდება ყვარლებარე-ნესტანდარეჯანის სამი ვაჟის სახელები—თამთან, საზუერელი და სალუყაზანი⁴⁰.

დიდი ყვარლებარეს შეილების ეს ახალი წევება მამის სიკვდილის შემდეგ საათაბაგოში ვეღარ გაჩერებულა და თავის სიძეს, ქართლის მეფეს დავითს შეპკედლებია.

სამხრეთ საქართველოს ეკლესიის გამოეოვისათვის ბრძოლა XV—XVI სს.

ცნობილია, რომ სამხრეთი საქართველო ჯერ კიდევ VIII—IX სს. დაიფარა შესანიშნავი ეკლესია-მონასტრების ქსელით. მძლავრი სამხრეთი მეურნეობის აღორძინებასთან ერთად სწორედ ამ კუთხეში მოიმაგრა ფეხი სრულიად საქართველოს მეფის ხელისუფლებამ. უხვი შეწირულების წყალობით, რომელსაც მეფები და ქართლის კათალიკოსები მესხეთ-ჯავახეთის მონასტრებისათვის არ იშურებდნენ, სამხრეთ საქართველოს სამხრეთი მამულები და ამ მამულებთან დაკავშირებული ადამიანები ფეოდალური წესების ძალით საუკუნეების მანძილზე საქმარისად მკვიდრად იყვნენ გადაჯაჭვულნი როგორც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისე მცხეთის საქათალიკოსოსთან.

ამ მციდრო კაშირის ხანგრძლივი ტრადიციის ამსახველია, სხვათა შორის, ის განსაუთრებული პატივი, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ მეფის კარზე და მცხეთის კათალიკოსის საგამგეოში სამხრეთ საქართველოს ეკლესიის საქეთმპყრობლებს: იშხნელ, ანჩელ, მტბევარ და სხვა მთავარებისკონსებს—მეფის კურთხევისა და დარბაზობის წესების მიხედვით.

⁴⁰ თამთანის სახელი 1508 წლის საბუთში ორგან ამოშლილი ყოფილა (ე. თაყაიშვილი, „საქართველოს სიძეელენი“, ტ. II, 1909, გვ. 400—401).



იშხნელი ეპისკოპოსის პატივი თავის დროზე იმდენად ფართხულა
იყო, რომ იგი, კათალიკოსის არ ყოფნის დროს, კათალიკიზმის
მოვალეობასაც კი ისრულებდა. იშხნელის პატივს უახლოვდებოდა
მაწყვერელის, ანჩელის, მტბევარის პატივი¹.

აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ტრადიციული
წესით არა თუ ეპისკოპოსებს, კათალიკოსებსაც კი „კურთხევის
წინ ჯერ სვეტიცხოველში უნდა აღთქმა და ფიცი მიეღოთ და
მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლებოდა არჩეული პირის მღვდელ-
მთავრად კურთხევა“².

მონლოლთა მფლობელობის პირობებში და ქართული ფეოდა-
ლური ინსტიტუტის შიგნით მომხდარი ცვლილებების შედეგად
შესუსტდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, დაქვეითდა
ეკლესია-მონასტრების მეურნეობის კულტურის დონე, გაძლიერდა
და მცხოვის საკათალიკოსოს სამონასტრო მამულების დატაცების
ტენდენცია.

ერთობლივი ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს ქმნა-
დობის პერიოდში ჩამოყალიბებული წესები, მათ შორის მცხეთის
საკათალიკოსოსთან დამოკიდებულებაც, XIV—XV სს-ში მოშლისა
და ცვალებადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სეპარაციის გზაზე დამდგარი
ჯაყელ-ციხისჯვარელნი ვერ შემოიტარებლებოდნენ მხოლოდ პოლი-
ტიკური დამოუკიდებლობის ძიებით. ის გარემოება, რომ საათა-
ბაგოს მდიდარი მონასტრების პატრონი იყო არა ათაბაგი, არა-
მედ საქართველოს მეფე და ქართლის კათალიკოს-პატრიარქი, მი-
ულებელი უნდა ყოფილიყო სრული ხელმწიფების მოტრფიალე
ათაბაგებისათვის.

ჯაყელ-ციხისჯვარელნი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა-
თვის ბრძოლის პარალელურად იბრძოდნენ სამხრეთ საქართველოს +
ეკლესიის მცხეთის საპატრიარქოსაგან ჩამოშორებისათვის. ქმ
ნიადაგზე აღმოცენებულმა უთანხმოებამ, როგორც ეს აკად. ივ.
ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, განსაკუთრებით მწვავე ხასიათი
მიიღო XV ს., ივანე ათაბაგის (1391—1444) დროს³.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 8—9.

² იქვე, გვ. 13.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 31—32.



ალის მონასტრის „სვინაქსრის“ (S: 1245) მინაწერებში, ამ ხელნაწერის პირველი გვერდების ნაპირებზე, მოთავსებულია ორი დღემდის უცნობი საბუთი. ოთხივე იხსენიებს პატრონს ივანეს:

„ვინც პატრონსა ივანეს შენდობა დააკლოს, ჩეენსა კანონსა შინამცა არს“. ვკითხულობთ ამ საბუთებში.

სამწუხაროდ, მხოლოდ ორ საბუთს შემოუნახავს მათი გამცემის ვინაობის აღნიშვნა; ესენი არიან იშენელი მთავარებისკოპოსი (სახელი აღნიშნული არ არის) და ანჩელი მთავარებისკოპოსი იმავე⁴.

ამგვარად, სამხრეთ საქართველოს ორი უმნიშვნელოვანესთაგანი სამწყსოს საჭეთმცყრობობელი პატრონის ივანეს მხარის დამცერი ჩანან და საეკლესიო კანონით ემუქრებიან იმათ, „ვინც პატრონსა ივანეს შენდობას დააკლებს“.

შენდობის დაკლება თუ მინიჭება მხოლოდ სასულიერო პირს (კათალიკოსს, ეპისკოპოსს, მოძღვარს) შეეძლო; აქედან ცხადია, რომ ივანე ათაბაგისადმი განწყობილებაში ამ დროს სამცხის საეპისკოპოსოების მეთაურთა შორის თანხმობა არ ყოფილა. უფლება გვაქვს ვივარაულოთ, რომ სამცხის სამღვდელოების ნაწილი ოპიზიციაში უდგა ათაბაგს და შენდობას აკლებდა მას. თუმცა ისიც ცხადია, რომ ათაბაგს, ნებით თუ უნდღიერ, მხარს უქერდა ზოგიერთი (უმნიშვნელოვანესი) საეპისკოპოსო კათედრის მეთაური: იშხნელი, ანჩელი.

როგორც ვიცით, ივანე ათაბაგის სეპარაციულ მისწრაფებებს აღექსანდრე დიდის (1412—1443) მტკიცე პოლიტიკამ მოუღობოლო. 1414 წელს კოხტას თავზე მომხდარ ბრძოლაში ივანე ათაბაგი დამარცხდა, მეფემ შეიკყრო ურჩი ათაბაგი და „შეწყალებული“ გაუშეა⁵. ამის შემდგომ, ვიდრე ყვარყვარე დიდის გაათაბაგებამდის (1451 წ.), ცენტრალურ ხელისუფლებასა და ათაბაგს შორის შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა.

უთანხმოებამ კვლავ მძაფრი ბრძოლის ხასიათი მიიღო ყვარყვარე დიდის ნახევარსაუკუნოვანი ათაბაგობისა (1451—1498) და გიორგი VIII მეფობის (1446—1466) პერიოდში.

სამცხის პოლიტიკური მდგრამარეობა უვარევარე დიდის დროს

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ჯერ კიდევ 1459 წ. „ქართველთა ათაბაგს ყვარყვარეს თავისი თავი იმდენად დამოუკი-

⁴ ალის მონასტრის საბუთები და აღაპები, გვ. 9.

⁵ თ. უთრ დანია, ქონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 221.



დებლად მიაჩნდა, რომ ევროპაში თავის საკუთარ დესპანს გჭირდებოდა და და უცხოეთთან გიორგი მეფისაგან დამოუკიდებელი დაკლიუმ მატიური ურთიერთობა... ჰქონდა... მას ჯარიც საკუთარი ჰყავდა. ის ცნობილი იყო უცხოეთში და ძლიერი მთავრის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გიორგი მეფე მას მოკავშირედ ინსენიებს⁶.

ამას უნდა დაკავშატოო ცნობილი ფაქტი, რომ ჯაყელ-ციხის-ჯვარელებმა თავიანთი სამფლობელოსათვის ჯერ კიდევ XIV ს. ჩამოაყალიბეს საკუთარი სამართალი. ცხადია, მათ დამოკიდებულებას საქართველოს ძალზე შესუსტებულ ცენტრალურ ხელი-სუფლებასთან რეალური საფუძველი შერყეული ჰქონდა; იგი (დამოკიდებულება) ფაქტიად უნდა ყოფილიყო ქცეული.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროს, როცა ყვარყვარე დიდმა პოლიტიკურ სარბიელზე ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია და სრულიად დამოუკიდებლად მოქმედობდა, საეკლესიო საქმეებზი დამოუკიდებლობის მოპოვების ცდები მას გაურთულდა. აქ ძლიერი ათაბაგი იძულებული გახდა უკან დაეხია და დროებით შერიგებოდა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის ავტორიტეტის ცნობას.

მცხეთის საბუთებში დაცულია არა ერთი აქტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სრული სიცხალით გავარკვიოთ ხსენებული ბრძოლის საგანი და ჯაყელ-ციხისჯვარელთა ამ ბრძოლაში დამარცხების მიზეზები.

ხსენებული საბუთების დიდი ნაწილი „ქრონიკების“ II წიგნში გამოაქვეყნა თ. ერმანიამ, სამწუხაროდ უმეტეს ნაწილად შემოკლებული სახით. ივ. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიის“ IV წ. შედგენისას ხელი ჰქონდა ეს გამოცემული საბუთები⁷.

ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფებში დაცულია მცხეთის აქტების დიდი კოლექცია; მათ შორის, „ქრონიკების“ II წიგნში გამოქვეყნებული საბუთების დედნებიც. ამ დოკუმენტების დიდი მნიშვნელობის გამო საჭიროდ დავინახეთ ზოგიერთი მათგანის ხელახლა სრული სახით გამოქვეყნება⁸.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 61–62.

⁷ იქვე, გვ. 54–60, შენიშვნები.

⁸ ამ დედნების მოქებნაში ენერგიული დახმარება გაგვიწია დარეჯან მეგრელაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.



საბუთების მიხედვით ძირითად სადაცო საგანს წარმოადგენა თუ ჯერადაც მიმართ გამოიყენება.

1. სამცხის ეპისკოპოსთა მცხეთის კათალიკოსისაგან კურთხევა.

2. სამხრეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში სამღვდელთა მსახურო პრაქტიკაში საქართველოს „მეფეთათვის მღვდელობა“.

3. ქართლის კათალიკოსის მოხსენიება და ზის მიმართ ერთგულება.

4. ანტიოქიის პატრიარქის მოუხსენებლობა და მისგან გამოგზავნილი კაცის შეუწყისერებლობა.

აქ აღნუსხულ სადაცო საკითხებს ამომწურავად ეხება აქადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი⁹. ჩვენ ამაშე აღარ შევჩერდებით. ალენიშვათ მხოლოდ, რომ აქტებში მკვეთრადაა ასახული ბრძოლის მთავარი საგანი—სამცხის საეპისკოპოსოების მხრით მცხეთის საეპიალიკოსო საყდრისაღმი მორჩილების, ერთგულების, დიქვემდებარების ცნობა, რაც, სხვათა შორის, „საფერხებებელის“ გაღებაში, წლითიწლად მეძღვნეობასა და სამახურშიაც უნდა გამოხატულიყო.

ჩამოთვლილ მუხლებთან ერთად საბუთების დენდებში ბევრგან ჩანს სამცხის ეპისკოპოსების ქართლის კათალიკოსისთვის „სამსახურისა“ და სხვა ძველთაგან დაწესებული ვალდებულების შესრულების ოლთქმა, რაც აქამდის აღნიშნული არ ყოფილა.

გერასიმე მაწყვერელის მიქელ კათალიკოსისადმი (მიქელ VI—1411—1425) „ერთგულების წიგნში“ ამ საგანზე ვკითხულობთ:

„არცა ოდეს საფერქნებელი დაგაქლო¹⁰ (საბუთი № 1 დაწერილია ივანეს ათაბაგობაში).

ლასურიძე-კუმურდოელის კათალიკოსის მიმართ პირობის წიგნში სხვა პირობასთან ერთად აღნიშნულია:

„ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მეძღვნენი და მოსამსახურენი¹¹ (საბუთი № 3, დაწერილი კვარყვარე დიდის ათაბაგობის პირველ წლებში).

გერასიმე კუმურდოელის პირობის წიგნში (№ 4) ვკითხულობთ:

⁹ ქართვ. ერის ისტორია, IV, გვ. 57—61, 166—172, 176—178.

¹⁰ გერასიმე მაწყვერელის „საერთგულო წიგნი“, № 1.

¹¹ ლასურიძე-კუმურდოელის პირობის წიგნი, № 3.

„თქეუნისა საყდრისა მტერისა მტერი ვიყუნეთ და მოყურისა
მოყუარენი და მლოცველნი და, ვითა წესად ძეს, წლითი შედების გადა
მედლუნენი და მოსამსახურენი“ (საბუთი დაწერილია 1500—
1503 წ.—მხეკაბუკის გამგეობის პირველ წლებში).

ზოსიმე კუმურდოელის საბუთში სრული გარკვეულობითაა
ნათქვამი:

„რაცა მცხეთისა საყდრისა წლითი შლად სამსახური გუმბარ-
თებს, როგორცა სხუათა სამცხისა ეპისკოპოზთა, რაც ოდენ ძლი-
გუედვას, არც ჩუენ დაგაქლოთ“¹² (საბუთი № 7 დაწერილია
1519—1529 წლებში).

ამგვარად, საბუთების ჩვენება ნათელყოფს, რომ ქართლის
კათალიკოსი არ კმაყოფილდება მეფეთათვის ლოცვას, კათალიკო-
სის მოხსენიებას, ანტიოქიის პატრიარქის მოუხსენებლობას. სა-
მცხის ეპისკოპოსთაგან იგი მოითხოვს „საფერენგელს“, ძლევნს,
სამსახურს. კათალიკოსი, როგორც სამცხის ეკლესია-მონას-
ტრების (საეპისკოპოსოების) მამულების პატრიონი,
მოითხოვს „წლითი შლად სამსახურის“ აღსრულებას,
„ვითა წესად ძეს“.

ამხანად ვერ გამოვუდგებით გარკვევას—რა წლითი შლადი სა-
მსახური მართებდა სამხრეთ საქართველოს საეპისკოპოსოებს. ეს
უნდა ყოფილიყო ხელშესახები, ნივთიერი სახის ძლევნი, რომლის
რაოდენობა საბუთის მიმღებისა და გამცემისათვისაც იმ დროს
იმდენად გარკვეული ჩანს, რომ იგი არც კი აღინიშნება. ნაკლე-
ბად გასაგებია გერასიმე მაწყვერელის საბუთში (Ad: 522) მოხსე-
ნებული ტერმინი საფერენგელი („არცა ოდეს საფერენგელი და-
გაქლო“). სახელდახელო ძიების შედეგად ვფიქრობთ, რომ საფერ-
ენგელი ფერწეასთან დაკავშირებული ძლევნი უნდა იყოს. ხოლო
ფერწეა, „ქათმის ფერწეა“, გურიის ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩარჩე-
ნილი ახალი წლის ანუ კალანდის დღესასწაულის მიხედვით¹³, სა-
ახალწლო ძლევნს უნდა გულისხმობდეს.

ამას გვაფიქრებინებს ვახუშტის „საქართველოს აღწერის“
ერთი ადგილი: „ახალწელს, ერთს იანვარს, უწინარეს ცისკრის
ლოცვისა, უკულევდა მეტეს კეყნდიდელი ჯვარსა და ხატსა და
სამკაულსა... და სანუკარსა შაქარსა...“¹⁴

¹² ზოსიმე კუმურდოელის საბუთი № 7.

¹³ „ქართველურ ენათა ლექსიკა“, გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი,
თბ., 1938, გვ. 68—69.

¹⁴ ვახუშტი, კალწერა, თბ., 1941, გვ. 21.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი „კულევა“ ან „ფერწერა“ და მასთან დაკავშირებული „საფერწერებელი“ კათალიკოსის საყდარზე მოვალეობა ზედაც იყო დაწესებული.

ყოველივე ამის ჩიხედვით საქართველოს კათალიკოსი საუკუნეებით არსებული, ხოლო XV ს. შელახული ფეოდალური უფლებების აღდგენას მოითხოვდა.

ბრძოლის გართულებას იწვევდა საათაბაგოს შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა მთელი კვანძი. როგორც ზემოთაც აღნიშნულია, მესხეთის ეკლესია-მონასტრების მიწა-წყალზე, რომლებიც ოდითგან მეფისა და საქართველოს კათალიკოსის „საქონებელი“ ყოფილან, დამკვიდრებული იყვნენ დიდი ფეოდალები, თავიანთი აზნაური-შვილებითა და გლეხებით: კავკასიონები, ფანისკერტელები, შალიკაშვილები, ბერნაშვილები და სხვ.¹⁵ ეს მძღვრი ფეოდალები, უმცველია, თავს ათაბაგების ყმებად არ გრძენობდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ მათ, რის გამო სამცხის ხელისუფალთა მისწრაფებას ათაბაგთა სამფლობელოს შიგნითაც, ფეოდალთა მხრივაც, მძღვრი მპოზიციური განწყობილება უნდა დახვედროდა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ჯერ კიდევ XV ს. 50—60 წლებში, ყვარყვარე დიდის დროს, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსს ათაბაგის თვითნებობის ასალაგმავად გადამწყვეტი ზომები მიუღია: „დამნაშავე სამღვდელო პირნი „უჯუარობითა“ და „შეუნდობლობით“ დაუსჯია და შეუჩენებია“¹⁶. საბუთების მოწმობით, შეჩვენება, ეკლესიიდან განკენება ვრცელდებოდა არა მარტო ეპისკოპოსებსა და სხვა სამღვდელო პირებზე, არამედ „შეჩვენებული“ სამღვდელოების მთელ სამწყსოზე, რადგან საქართველოს კათალიკოსისაგან „აქსნილობისა და შენდობის“ მიცემის გარეშე სამცხის სამღვდელო პირებს წირვა-ლოცვის წესის შესრულება ყვრძალებოდათ.

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი სამცხეში,
„საფარის თავზედა“ (XV ს. 50—60-იან წლებში)

ათაბაგების საუკუნოებრივი ბრძოლა მესხეთის ეკლესიის გამოყოფისათვის მცხეთის საბუთებში ასახულია მოპირდაპირეთა ორი მკვეთრი შეტაკების მომენტით. ამათგან, პირველი ყვარყვარე

¹⁵ დაწერილებით ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 57—58.

დიდის ათაბაგობის (1451—1498) პირველ წლებს (1453—1459) ემთხვევეა. ქერობინ ანჩელისა და ივანე ლასურიძე-კუმურდობის შემთხვევა „წიგნი და პირი“, მიცემული ქართლის კათალიკოს დავითისათვის, თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ერთმანეთს¹⁷. ერთგულობის, მეფეთა მლოცველობისა და ყოველ წირვა-ლოცვაში ქართლის კათალიკოსის მოხსენების აღთქმის გარდა აქაც ჩართულია:

„ვიყუნეთ, ვითა წესად ძეს, მეძლუნენი და მოსამსახურენი“-ო.

მაგრამ ეს ორი საბუთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მით, რომ ასახავს ყვარყვარე დიდისა და ქართლის კათალიკოსის ბრძოლის გარკვეულ მომენტს, როდესაც ძლიერი ათაბაგი იმდენად დამარცხებულა, რომ ანჩელი და კუმურდოელი ეპისკოპოსები ფიცს სდებენ: სანამ ყვარყვარე მცხეთის საყდარსა არ დაემორჩილება და კათალიკოსისაგან შენდობას არ მიიღებს, არც ჩვენ დავემორჩილებით მასო. *

ეპისკოპოსების ასეთი მეამბოხური განშუობილება გამოწვეულია მით, რომ ყვარყვარე უხეშად ჩარეცდა სამცბის ეკლესიის საქმეებში და უმცხეოოდ განუზრახავს ეპისკოპოსების წარდგენა საკურთხევლად (იხ. საბუთი № 4). *

მეტად საყურადღებოა ქართლის კათალიკოსის მოქმედება ყვარყვარეს ამ ნაბიჯის საპასუხოდ. ხსენებულ საბუთებში განმარტებულია, რომ ეს პირობის წიგნები დაწერილია

„მის უამისა შედეგად, ოდეს მაწყუჟერელი და სამცხისა ების-კოპოზი თქუენგან [დავით კათალიკოსისაგან] უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედაო“¹⁸.

ქართლის კათალიკოსს დავითს მკეთრად გაულაშქრია ყვარყვარე ათაბაგის საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით ხერხი, ფორმა, რომელიც მას ათაბაგთან ბრძოლაში გამოუყენებია. | დავით ქართლის კათალიკოსი, უეჭველია, შესაბამისი ცერემონიალის დაცვით, მცხეთიდან წასულა, გადაულახავს სამცხის საზღვარი და საფარის მონასტერში მისულა. აქ მას ჩაუტარებია ყვარყვარეს კანდიდატების მაწყუჟერელისა და სამცხის სხვა ეპისკოპოსების უჯვაროდ და შეუნდობლად გამოცხადება.

17 ქრონიკები, II, 267—268: ანჩელ არქიმანდრიტის „წიგნი და პირი“ და ივანე ლასურიძე-კუმურდოელის იმავე შინაარსის საბუთი (ჩვენს საბუთებში № 3), რომლებსაც თ უორდანია 1453—1459 წწ. ათარიღებს.

18 უჯვარობისა და შეუნდობლობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 57—58.

შაგრამ ეს აქტი კათალიკოსს შეუსრულებია არა საფარის მონასტრის ტაძარში, არამედ „საფარისა თავშედა“, ე. ი. პატარა დახურულ შენობაში, არამედ ლია ცის ქვეშ.

ამის მიხედვით უნდა ყოფილიყო ამ ცერემონიალის შესრულებისას თავმოყრილი ქართლის კათალიკოსის სამწყსოს, ე. ი. სამცხის მცხოვრებთა, დიდი სიმრავლე, რომელსაც, აღმართ, დახურული შენობა ვერ დაიტვიდა.

ძნელია უფრო შეტის თქმა ამ დიდად საყურადღებო ფაქტის გამო¹. მაგრამ ჩვენ ხელთ გვაძეს იმდროინდელი საბუთების უტეს-არი დედნები, რომლებიც მეტყველებენ ყვარელებარე თაბაგის დაც შარტხსა და ქართლის კათალიკოსის სრულ გამარჯვებაზე.

შიმენელია, მცხეთის საყდართან მრავალსაუკუნოვან კავშირს XV ს. 50—60 წლებში იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონია, რომ კათალიკოსის წყვევა-კრულვას უღრმესი შეძრწუნება გამოუწვევია სამცნის მორწმუნეთა შორის და ერთი დაკვრით ჩაუშლია ყვარყვარებს გეგმები.

ბრძოლის ბედი საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა არა მარტო ბსენებული ცერემონიალის მორწმუნეთათვის შემაძრწუნებელ სახეს და ორივე მხრის სამღვდელო პირთა ჭიდილს, არამედ მთელი სამხრეთი საქართველოს სამწყსოს განწყობილებას.

ჩევნ აღნიშნეთ, რომ სამშესოს ფართო წრეებში ათაბაგის ზომების მიმართ მოსალოდნელი იყო ოპოზიციური განწყობილება და არა უდრტევინელი მორჩილება და გულგრილობა. მხოლოდ ასეთი ასსნა შეგვიძლია მოვუძებნოთ ყვარეყვარეს დიდ ძარცხს ბრძოლის ამ ხაზზე XV ს. 50—60 წწ., სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მისი პოლიტიკური ძლიერება უმწვერვალეს წარმატებას უიძლოვდებოდა. ეს მოვალეობა განვითარებული იყო სამ

ყვარეულებები დიდის დამარცხება შესხეთის ეკლესიების საქართველოს საპატირიარქოსაგან, გამოთიშვისათვის ბრძოლაში იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მესხეთის ხელისუფალთ აზრად აღარ მოსელიათ ამ ბრძოლის განხლება. ეს მით უფრო ნიშანდობლივია, რომ 1466 წლიდან მოყოლებული (როცა ყვარეულებები დიდმა გიორგი VIII შეიძყრო),

¹⁹ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჩევინ გვაქვს ორი საბუთი ზედ-შიწყვენით ერთნიშნი შეინარჩუნა. საფიქრებელია, რომ მსგავსი ფიცის წიგნი სამარტის აკელა საპატიო/ოპოსიციანან იწნიბოდა დაშრობილი.

ვიდრე 1535 წლამდის (როცა იშერეთის მეფემ ბაგრატმა ნავ-კვალ-
ყვარე დაატყვევა) საათაბაგო შეუზღუდავი პოლიტიკური დაწილური
დებლობით სარგებლობდა.

შეეჭაბუკის საექლესიო პოლიტიკის მარცხი

მეორე მკეთრი ბრძოლა მესხეთის ეკლესიის მცხეთის საკა-
თალიკოსოსაგან გამოთიშვისათვის მზეჭაბუკმა გაშალა. „ქართველი
ერის ისტორიის“ IV წიგნში აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს
დაწვრილებით აქვს გარკეული სამცხის ამ მმართველის (1500—
1515) პოლიტიკა, განსაკუთრებით მისი ზომები, ჩატარებული „მეს-
ხეთის ეკლესიის გამოყოფისა და აწყურის საეპისკოპოსო საყდრის
განმთავრებისათვის“²⁰. ღვაწლმოსილი ისტორიკოსი იმ დროს
მის ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე დაასკვნის:

„ამ გზით მზეჭაბუკმა მესხეთსა და დანარჩენ საქართველოს
შორის ის კავშირიც გაწყვიტა, რომელიც ამ დაქსაქსულობისა
და განკერძოების უამს ჩვენი ქვენის ერთობის გრძნობასა და
ხსოვნას არ აქრობდა“²¹. ისტორიკოსი ფიქრობდა, რომ „მზეჭა-
ბუკის მიზანი მიღწეული იყო“²².

მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის თანხმობით და მისგან მა-
წყვერელისთვის „შეკრვისა და განჯვნის“ ხელმწიფებისა და სამცხის
ეპისკოპოსთა კურთხევის უფლების მინიჭებით ეს დიდი ბრძოლა არ
დამთავრებულა. უკანასკნელ წლებში მოპოვებული წყარო, სოილ
კოპასძის სახლში დაწერილი ათაბაგთა მოსახსენებული მოწმობს,
რომ საათაბაგოს ზეიადი მფლობელის—მზეჭაბუკის ბედი მცხეთის
საკათალიკოსო საყდართან ბრძოლის შედეგად ჯერ კიდევ მის
(მზეჭაბუკის) სიცოცხლეშივე უკულმა დატრიალებულა“²³.

ხსენებული ძეგლისა და სხვა მონაცემების ცნობების შექმე
მზეჭაბუკის გეგმები კატასტროფულად ჩაშლილა, რის გამო სა-
მცხის ეს მძლავრი ხელისუფალი იძულებული გამხდარა არა თუ
გასცლოდა პოლიტიკურ ასპარეზს, არამედ სამონაზენო ჩოხანი
შეემოსა და თავი მონასტრისათვის შეეფარებია.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, 1948, გვ. 164—172.

²¹ იქვე, 172.

²² იქვე, 171.

²³ მოსახსენებლები შეამჩნია და გამოაქვეყნა ხელნაწერთა ინსტიტუტის
მეცნიერმა თანამშრომელმა თამარ ბრეგაძემ: „ქართულ ხელნაწერთა აღწერი-
ლობა Q ფონდისა“, ტ. II, № 969, გვ. 381—383.

აი როგორ არის მოხსენებული მზექაბუკი კოპასძეთა ხელ-
ნაწერში:

„...ღთივ განზრდნობილისა, მენედ მექედღ[ისა] და მრავალთა
და ძლიერთა და სახელდებულთა ფალავანთა დამამჯობელისა და
ქედისა ზემშესრულელისა, საქრისტიანოსა ზღუდისა, სრულ[ი]სა
ჩიხოსნობისა და ანგელოზებრივისა სქემისა ღირსად მიღმებელისა
პატრიკიისა ჩრდილი მზეჭაბუკ-ყოფილისა იყობისი საუკუნიშცა
არს საქსენებელი და კურთხევაი მისი“.

მოსახსენებელის პირველი ნახევარი წარმოგვიღებულს მზექა-
ბუქს, როგორც მხნედ მხედარს, მრავალთა და ძლიერთა და სა-
ხელდებულთა ფალავანთა დამამჯობელს და ქედისა შემმუსრველს.
აյ წინ წარმოშეულია მზექაბუქის სამხედრო ნიჭი და ბრძოლებში
ფიზიკური გამარტინაცია, რის წყალობითაც იგი გამარჯვებული გამო-
დიოდა მრავალ სახელგანთქმულ ფალავანთან ორთაშუა ბრძოლაში.
მოსახსენებელის დამშერი ქვემოთ მზექაბუქს „საქრისტიანოს ზღუ-
დეს“ უწოდებს. ეს ეპითეტი მწარე ირონიად გაისმის შესხმითი
სტილით დაწერილ დახასიათებაშიც კი. ჩვენ ვიცით, რომ მზე-
ქაბუქის „საქმენი საგმირონი“ ძირს უთხრიდენ სწორედ იმის, რა-
საც იმ დროს საქრისტიანო ეწოდებოდა, ქართული ქრისტიანული
კულტურით გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს, რომელიც
უთანასწორო ბრძოლაში უპიროსპირდებოდა ე. წ. მაპმადიან სა-
მყაროს.

მაგრამ ყველაზე მოულოდნელი მოსახსენებელში მზექაბუკის შემონაზენების ცნობაა. მემატიანე იქაც ცდილობს დაიცვას შესხმითი სტილი და გამეცებისა და გახელმწიფოების ენით შეპყრობილი მზექაბუკის სამონაზენო ჩოხით შემოსვა დიდების მაღალ საფეხურზე ასევე დარმოგვიდგინოს („სრული ჩოხისნობისა და ანგელოზებრივისა სქემისათ მიმოებელისა“).

• ჩვენამდის მოღწეული აქტები, კერძოდ ანტოოქიის პატრიარქის მიმართვა მზექაბუკისადმი, იმის უტყუარი საბუთია, რომ საშეფო პორფირზე მეოცნებე მზექაბუკს აზრად არ მოსდიოდა თავისი ბრწყინვალე სახელის იაკონად შეკვეთა²⁴.

²⁴ 『მასალების』 პირველი ნაკვეთის დაწერის დროს ჩეგნ არ ვიცონობდით კოპასექთა მისაბასენებლოს და ყვარცვარე დიდის გარი იაკობ, მოხსენებული ქოთეონ-ქრისტინეს „სულთა მარიამში“, ყვარცვარე—დედისიმედის უცობ ვა- ჟად ჩატვალეთ. ეს იაკობი იგივე მხედვაბუკია. „მასალები“, 210—211.

პატრიარქის პატრიარქის ხსენებული არაბულად დაწერილი მიმართვა და ამ მიმართვაზე მიწერებული შეტად თავისული თარგმნილი ქართული ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტებში (Sd: 303).

ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამდებობელმა რუსულან გვარომიამ შეადარა არაბული დედანი ქართულ თარგმანს. შედარებამ გვიჩვენა, რომ არაბულ ტექსტი მზექაბუკი არ სად არც მეფედ, არც ხელმწიფედ არ იხსენიება. ეს ეპითეტები მოიპოვება მხოლოდ ქართულ თარგმანში („დიდისა მეფისა ჩუენისა ყოვლისა აღმოსავლეთისა გელმწიფისა პატრიონისა მზექაბუკისა“). ცხადია, თარგმანი შესრულებულია მზექაბუკის კარზე, მისი თეალყურის დევნებით²⁵. იგი (თარგმანი) ამჟღავნებს მზექაბუკის მეფურსა და ხელმწიფურ სულისკვეთებას.

ამქვეყნიური პატრივისა და დიდების უზომოდ მოყვარული, ხელისუფლების უკანონოდ მიმტაცებელი მზექაბუკი მხოლოდ იძულებით შეიძლებოდა „ჩოხოსნობის“ და „სქემის“ მიმღებელი გამხდარიყო. ყოველგვარ ეჭვს გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდი ყვარეყვარებ ეს მემკვიდრე ისევე და კიდევ უფრო მეტად დამარცხებულა ქართლის კათალიკოსთან ბრძოლაში, როგორც დამარცხდა მისი მამა თითქვის ნახევარი საუკუნის წინ (1453—59—1515 წწ.).

ამის შედევად მცხეთის საკათალიკოსო საყდარს არათუ არ ჩამოშორებია მესხეთის ტერიტორიაზე მდებარე საეპისკოპოსო მამულები და სხვა „საქონებელი“, არამედ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მას.

ამას მოწმობს წინამდებარე „შასალების“ მე-10 საბუთი—საბა მტბევარის საერთოულო წიგნი (Ad: 720), რომელიც 1556 წლით თარიღდება. ამ აქტის მიხედვით საათაბაგოს ეპისკოპოსები მცხეთაში იქურთხებოდენ ამასიის ზავის (1555 წ.) შემდევაც, როცა სამცხის დასავლეთი ნაწილი თურქეთის ხელში იყო გადასული. კურთხევასთან ერთად ისინი, როგორც წესი, „საერთოულო“ ფიცს დებდენ წერილობით:

„ესე... წიგნი მოგაქსენე მე, მტბევარმა საბა, თქუენ,...სამოციქულოსა საყდარსა და... ქართლისა კათალიკოზისა პატრიარქესა დომენტის—მას ეამსა, როდეს გუაკურთხეთ: თქუენისა საყდრის

²⁵ საბუთაის ქართული თარგმანი ის. ქრონიკებში, II, 317—318; ისაზრეოვე, ივ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, 169.

ერთგული და თქუნისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყვნეთ. რაცა ჩუ-
ენის კელისაგან გამოვიდოდეს, რჯულისა სიმაგრესაცა მოვიჭი-
როთ”...

საბუთის აქ მოტანილი ნაწილის უკანასკნელი ფრაზა მოწ-
მობს, რომ თურქეთისგან სრული ანექსიის საფრთხის წინაშე
მდგომი საშტაბის საეპისკოპოსოების მეთაურებს საერთოულო ფიციში
ერთი ახალი მუხლიც შეუტანიათ—რჯულის სიმაგრის დაცვის პი-
რობა. ეს სიმაგრე ამ დროს ძნელად დასაცავი ჩანს. ამიტომაც
დასხენს საბა ზტბევარი—“რაცა ჩუენის კელისაგან გამოვიდოდეს,
რჯულის სიმაგრესაც მოვიჭიროთო”.

მცხეთის საპატირიარქოს მუელითგან საქონებელნი და
სამწესონი სამცხეს თავადნი და [სო]ფელნი

აღმ. საქართველოს კათალიკოსის პრეტენზიები სრულად ასა-
ხულია იმ აქტში, რომელიც ფართოდაა ცნობილი დამტკრი ბა-
ქრისტის „აქარა-გურიაში მოგზაურობის“ გამოქვეყნების დრო-
იდან²⁶.

ეს ძეგლი არა ერთხელ არის გამოცემული. მისი დილი მნიშვ-
ნელობის გამო საჭიროდ დაეინახეთ ერთხელ კიდევ გამოვემვინე-
ბინა მისი ტექსტი, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დედნის
მიხედვით (A.M.: 91, ჩეკნ საბუთებში № 8)²⁷.

ეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამ შემთხვევაში
გვაინტერესებს, როგორც ორი მებრძოლი მხარის შეთანხმების
პირობების ერთ-ერთი ვარიანტთაგანი. უფრო სწორი იქნება თუ
ვიტყვით, რომ ეს არის დამარცხებული მხარის (ათაბაგების სახ-
ლის) სრული კაპიტულაციის აქტი.

საბუთს გარკვეული სათაური აქვს: „ქ: წ[დი]სა და ცათა მო-
ბაძევისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატირიარქო[სა მცხეთისა]
ეკლესიისა ძუელითგან საქონებელი და სამწყსონი სამცხეს თა-

²⁶ დ. ბაქრაძე, АПГА, სპბ., 1879, გვ. 79—82.

²⁷ ს. კაკაბაძე მას „მე-XIV—XVI საუკუნის მესხეთის თავადების სიას“
უწინდებს. საბუთი მართლაც შეიცავს ასეთ სიას. მაგრამ ეს არის მისი მხოლოდ
ერთი, დიდად მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ამოსწურავს
მის მნიშვნელობას. ს. კაკაბაძეს განხილული აქვს საბუთი სსენტული თვალსა-
ზრისით და გამოთქმული აქვს არა ერთი საყურადღებო მოსაზრება. იბ. სარგის
კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ,
თბილისი, 1920, გვ. 7—11.

ვაღნი და [სო]ფელ[ნი]⁴²⁸. ამ სათაურის ქვეშოთ ჩამოწერილი /
სამცხის იმ თავადებისა და მამულების ნუსხა (სულ 25 ერთობის მატერიალის რომლებიც მცხეთის საკათალიკოსოს „საქონებელსა და სამწყსოს“ წარმოადგენ).
წარმოადგენ.

სიმტკიცის ნიშნები № 8 საბურძა

მცხეთის ამ საბუთს ტექსტის ბოლოში სიმტკიცის ოთხი ნიშანი უზის (იხ. ტაბულა 1, 2 და 3). ამითვან პირველი (მარცხნიდან) რთული მონოგრამის სახით, მხედრული ასოებით შესრულებულ ხელმოწერას წარმოადგენს. ჩვენ მას ვკითხულობთ—მანუჩარ—დიდი ასოებით და ამავე მთლიანი ხელმოწერის ბოლო ნაწილში მომცრო ასოებით ჩართულია ისევ—მანუჩარ.

მანუჩართა ხელმოწერის გვერდით (მარჯვნივ) დასმულია მომცრო მრგვალი ბეჭედი, რომლის მხედრული წარწერის სამიოდე ასო ირჩევა მხოლოდ.

მრგვალი ბეჭედის გვერდით (მარჯვნივ) მესამე აღგილი უჭირავს კათალიკოსის ბეჭედს, რომლის ასომთავრული წარწერა ამოკითხული აქვს ს. კაკაბაძეს: „რლი განქსნით ქასა ზა ქსლნ იყოს ცათა ზა“²⁹. ჩვენი წაკითხვა არსებითად არ განსხვავდება ს. კაკაბაძის წაკითხვისაგან, მხოლოდ ერთი გამორჩენილი სიტყვა ემარტება მას—იგი: „რ-ლი გნქსნთ ქასა ზა, ქსნლ იყოს იგი ცათა ზა“, რაც უქარაგმოდ იქნება:

„რომელ[ნ]ი განიქსნით ქუცყანასა ზედა,
ქსნილ იყოს იგი ცათა ზინა“.

ამ ბეჭედის გვერდით, მეოთხე აღგილას (მარჯვნივ) კათალიკოსის მხედრული ხელმოწერა—კზი—მაკურთხეველი მარჯვენათურთ, ერთი მონოგრამის სახით (იხ. ტაბულები 2, 3).

როგორ უნდა გავიგოთ ამ ნიშნების აზრი? საბუთი, როგორც აღნიშნულია, წარმოადგენს სამცხის თავადებისა და მონასტრების 25 მუხლოვან ნუსხას, რომლის სათაურშიაც აღნიშნულია, რომ ეს (ფეოდალური) ერთეულები, მათი „შესავლითა“ და

²⁸ ჩვენს „მასალებში“ დაბეჭდილია ამ დოკუმენტის პარალელურად მცხეთის საბუთი № 9, რომელიც წარმოადგენს მცხეთის საკათალიკოსო მამულების ცენტრალურ ნუსხის ფრაგმენტს. ჩვენი დასკვნით ეს ორი საბუთი სხვადასხვა დედოფლად მიმდინარე უნდა იყოს (იხ. ტექსტი).

²⁹ ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი, თუ., 1920, გვ. 8.

აზნაურის შეკვეთითა, არიან „საპატირიაქოსა მცხეთისა ეკლესიების ძუელითგან საქონებელი და სამწყელინი“.

ამ აქტს, ხელს აწერს მანუჩარ (და „მანუჩარ“). ამით მანუჩარ მცხეთის საპატირიაქოს საქონებლივ და სამწყელი სცნობს საბუთში ჩამოთვლილ 25 ფეოდალურ ერთეულს, რითაც იგი სცნობს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის უფლებას ხენებულ მა- ძულებზე.

მანუჩარის ვინაობა

XV—XVI საუკუნის მიჯნაზე ცნობილია ყვარეყვარე დიდისა და დედისიმედის (I) მეექვე ვაჟი მანუჩარ. მისი სახელი მოხსენებულია ათონის მონასტრის ვრცელ აღაპში, რომელიც ყვარეყვარე დიდის მესამე ვაჟის — ბაალურის გარდაცვალების გამო (1474 წ.) არის. შეტანილი „ათონის კრებულის“ ფურცლებზე³⁰. მანუჩარ ყვარეყვარეს ძე მოხსენებულია XV—XVI სს. არა ერთ მინაწერში, როგორც სახელგანთქმული აწყურის ღვთისმშობლის ხატის და- მხსნელი „აგარიანთა ხელიდან“ (1486 წ.).

აყალ. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, ისტორიკოსი ხონდე- მირი თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ 1518 წელს შაპ-ისმა- ილთან შეთანხმების დროს, დავით მეფესა (1505—1525) და კახთ- ბატონ ლევანთან ერთად, სპარსეთის სარდალთან სადარბაზოდ მანუ- ჩარ ათაბაგიც მისულა³¹. საფიქრებელია, რომ მანუჩარი, ამ შე- მთხვევაში, სამცხე-საათაბაგოდან დიპლომატიური მისით იყო მოვლენილი. სხვაფრივ ძნელი ასახსნელია ამ დიდმნიშვნელოვანი დარბაზობის დროს მანუჩარის მისელა შაპ-ისმაილთან, აღმოსავ- ლეთ საქართველოს ორი დიდი პოლიტიკური ერთეულის (ქართ- ლისა და კახეთის) შეფე-პატირონებთან ერთად.

მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უმჭველიდ ანგარიშ- გასაწევია ს. კაკაბაძის ვარაუდიც მანუჩარის ექსორიად ყოფნის შე- სახებ³².

სწორედ ამ მანუჩარის ხელმოწერა ჩანს Ad: 91 საბუთის ბოლოს. მაგრამ რას ნიშნავს ორმაგი „მანუჩარ-მანუჩარ“?

საქმე ისაა, რომ მანუჩარ ყვარეყვარეს ძის ვაჟიც მამის სა- ხელს (მანუჩარ) ატარებდა. ამას გვაცნობს ქუთაისის მუზეუმში

³⁰ ათონის კრებული, გვ. 265—266.

³¹ იღ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, გვ. 227.

³² ს. კაკაბაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75.

დაცული ეტრატის სახარების ანდერბი: „უფალო ღმერთო, მო-
უკლებელ ყავ ქსენებაი პატრონის მანუჩარისი და ნათლობის შემოგება
დებულისა შვილისა (მისისა) მანუჩარის“³³.

ხელნაწერი დათარიღებულია 1506 წლით:

„სრულ იქმნეს წიგნი ესე ოთხთავნი. გათავდეს ქრონი-
კონსა რპიდ [194+1312=1506], თვესა ივლისსა, იდ“.

ამგვარად, შეთანხმების ამ საბუთს პირველ ადგილის ხელს
აწერს ათაბაგთა სახლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელ-
თაგანი—მანუჩარ ყვარველებს ძე, თავისი შვილით მანუჩარითურთ.
ამის შემდეგ ქართლის კათალიკოსი საგანგებო ბეჭდით ანიჭებს
„განსაგებელს“, საათაბაგოს ფარგლებში „შენდობასა“ და „აკსნი-
ლობას“.

მანუჩარი არის ამ იურიდიული აქტის მცნობი და ხელის მო-
წერით დამამტკიცებული ერთი მხარე. საბუთს კიდევ სამი ნიშანი
უზის. მანუჩარის ხელმოწერის გვერდით დასმულია მცირე ზოშის
მრგვალი ბეჭედი. საფიქრებელია, ეს იყოს ქართლის მეფის (და-
ვითის 1505—1524) ბეჭედი³⁴.

სიმტკიცის მესამე ნიშანის, კათალიკოსის ბეჭდის წარწერა
(იხ. ზემოთ) არის „ახსნილობისა და შენდობის ნიშანი“, რომლის
მიცემა მხოლოდ კათალიკოსს შეეძლო:

„რომელი განიქნენით ქუყანასა ზედა,
ქსნილ იყოს იგი ცათა შინა“.

ეს ბეჭედი მოწმობს, რომ მზექაბუკის ცნობილი ზომების სა-
პასუხოდ ქართლის კათალიკოსს, მსგავსად XV ს. 50—60 წლებში
საფარის თავს ჩატარებული კრულვისა, შეუსრულებია უჯვარობისა
და შეჩენების ცერემონიალი სამცხის ეპისკოპოსებისა და სამწყსოს
მიმართ; შეჩენების ახსნის ბეჭედი კი დაუსვამს კათალიკოსს № 8
აქტზე სამცხის მმართველის მზექაბუკის დაცემის შემდეგ, ათაბა-
გების სახლის ერთ წარმომადგენელთან, ათაბაგობის პრეტენ-
დენტთან, მანუჩარით.

³³ ქუთაისის მუნიციპის ხელნაწერი. № 379.

³⁴ მომცრო მრგვალი ბეჭედი, გაურკვეველი წარწერით, დასმულია ქართ-
ლის მეფის სიმონის მიერ 1583 წლის წყალობის სპარსული ტექსტის ბოლოში.
ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII საუკუნე-
ებში, თბ., 1959, გვ. 282. ცნობა მოტანილია ვლ. ფუთურიძის ქართულ-სპარ-
სული ისტორიული საბუთებიდან.

მანუჩარის მეორე საბუთი

Ad: 91 საბუთთან მციდრო კაცშირი აქვს მანუჩარ ათაბაგის ქართლის კათალიკოს ბასილის (1511—1528) მიმართ საბუთს (S: 549), დაწერილს „მას ეამსა, ოდეს სჯულისა საქმეზედა“ პატ-რონი მანუჩარ კათალიკოსსა და მის „საყდრიოშვილთ“ „კარზედ მიღობმია“.

ამ საბუთით მანუჩარ პირობას ს დებს:

„იპრიანოს ღმერთმან და ჩუენი საბატონო მამული ჩუენ და-
 ვიქიროთ და ჩუენვე დაგვრჩეს, ორგორაცა ძუელითგან მცხეთისა
 საყდრისა მამული ყოფილიყუნენ და ეპისკოპოზნი, და მაწყუერე-
 ლი თქუენგან საკურთხეველი ყოფილა და სხუანი სამცხისა ეფის-
 კოპოზნი ყოველნივე, ისრე თქუენი სამწყსონი იყუნეს და ისრე და-
 გამორჩილნეთ და საღმრთოა და სჯულიერითა საქმითა თქუენისა
 ბრძანებისა მორჩილნი ვიყუნეთო“.

„რაცა საათაბაგოშიგა მცხეთისა მამულნი იყუნენ, არცა ისი
 დაგიჭიროთ და მოგანებოთო“.

სხენებული საბუთი მოწმობს, რომ მზეჭაბუკისა და ქართლის
 მეფე-კათალიკოსის დიდი კონფლიქტის დროს სწორედ მანუჩარ
 ათაბაგის, საათაბაგოში „გაბატონების“ ერთ-ერთი პრეტენდენ-
 ტის ხელმოწერა გვაქვს Ad: 91 აქტზე.

ცხადია, აგრეთვე, რომ „სჯულის საქმის“ გარშემო ატეხილ
 დიდ დავას, რომელმაც ძირიანალ შეარყია მზეჭაბუკის ბრწყინვალე
 პოლიტიკური კარიერა, ამავე დროს ათაბაგების სახლის სხვა
 წევრებშიაც ხელისუფლების დაპატრონების მაღა აღუძრავს.

საქართველოს მეფესა და კათალიკოსთან ბრძოლის წაგების
 შედეგები საათაბაგოს კანონიერი გრლისუფლის—ყვარეყვარე ქაი-
 ხოსროს ძის ერთ აქტშიაც ჩანს. საბუთში ვკითხულობთ: „მივა-
 ნებეთ კათოლიკე (საყდრისა) კათალიკოზა, „სამცხის საეპისკოპო-
 სონიო“, რავუარაც ამას წინა ყოფილა“, ეპისკოპოსნი „ისე იქუ-
 რთხებოდეს“ და რაცა ჩუენსა საბატონოშიგან მცხე-
 თის საყდრისათვის შეწირული ყოფილი—ანუ პარბ-
 ლის მონასტერი და ანუ სხუა მამული და გლეხნი, რა-
 გუარაცა ძუელად ყოფილა, ისიცა იმავე წესითა
 მოგვკვენებია და შემოგვწირავ სო“³⁵.

ეს საბუთიც კაპიტულაციის უდავო ნიშნებს ატარებს. იგიც
 წაგებული ბრძოლის შედეგადაა დაწერილი.

³⁵ თ. ეთ დანია, ქრონიკები, II.

“మ్యస్ట్రెచరిడ్ మార్కెటింగ్” ర్యాఫాన్

మ్యస్ట్రెచరిడ్ మార్కెటింగ్ నృసా (అధ్యేతింపు)

S : 947 హలాల్డిస్ బెల్నాట్జెరోస్; ఒగి మింట్రో నొమిస్ (17×12) అప్రాపాట్జెర్లింగ్ ట్రోచెమ్బెన్త్ర్స్ కొర్మింపాఫ్రెన్స్; ఎంజాబీద్ ర్యెస్ట్రోయ్రింగ్-బ్యూల్షిం డా మ్యూపాస్ ప్రోఫీల్ కొసమ్ముల్లిం; డాఫ్టోరింల్లిం న్యూస్ట్రోచి బ్యెల్లింత; సాగాల్మంబ్లెప్పుబ్బిస్ ట్రోచెమ్బెన్త్ర్స్ ట్రేస్స్ట్రోప్పెడ్ సాతాయ్యుర్జెబ్బి డా స్ట్రోఫ్యుబ్బిస్ డాసాప్పుబ్బిస్ ఆస్ట్రోబ్బి గామిప్పుఫ్లోల్రింగ్ సింగ్చుర్రింత, మింగ్చుర్రుల్లి ఆస్ట్రేబ్బింత. ఏగ్గుల్లి అమించినొ డిమింట్రో బాఫ్టామ్చెమ్ ప్లాట్రోన్ నొస్యెల్లిందినొ అర్జీవ్చెం.

“ఫ్సాల్మిట్టునొస్” ట్రేస్స్ట్రో, రోమ్మెల్సాప్ గాబ్బుశ్ట్రో తాగొస్ నొశ్రింమ్మొ నొస్యెర్రోబ్బిస్: “డాగొంతొ మేస్ట్రోచి, బ్యూట చ్యోగ్నాడ్ గామ్పుఫ్లోల్లిం” న్యెల్లెంబ్యూర్చిం ఎలార్ మింపుచ్చెబ్బా. న్యోగ్నామ్మె మింప్పెశ్యుల్లిం మెంపుండ సాగాల్మంబ్లెప్పి, రోమ్మెబ్బిప్ న్యోశ్యుల్లెబ్బిప్ డాహిత్యుల్లి ఎంబ్బె బెంలిమ్ త్యాగాల్మిశ్చునొ.

బ్యెర్రెబ్యుల్లిం సాగాల్మంబ్లెప్పిస్ తాగ్నాప్లుల్లిం ట్రేస్స్ట్రో నొప్పుచ్చెబ్బా: “అప్పుర్తస్యోవ్యాంత ప్యుప్పుల్ని సాజ్మెనొ చ్చుస్నొ”, 1 గ్గ.

సాగాల్మంబ్లెప్పిస్ సింగ్చుర్రింత డాఫ్టోరింల్లిం సాతాయ్యుర్జెబ్బి ఆస్ట్రోగా: “గాల్మంబాడ చ్చుసా ల్రతిసమింపుబ్లోసాడ: గాల్మంబాడ త: ఎందా”. 2 గ్గ.

“చ్చుసా[చ్చుసా]చ్చుసార్మెంపుశ్మెల్లెబాడ శాఫ్టార్రింగాసిసొ, మాంసా చ్చుసామింపుబ్బెల్లింసాడ”. 5 గ్గ.

“ఫ్సాల్మిట్టునొస్” ఎమ డామింట్రోబ్బిస్ ట్రేస్స్ట్రో తాగ్ఫ్రెబ్బా: “డాకొర్మార్టోబాడ ట్యేర్జుతా కీన్తా గ్ంతాసా మింపుబ్లోసాసా”, రొసాప్ చ్చుమ్ముండు మిస్ట్రోబ్బిస్ గింపుగ్గి మింగ్చుమ్మిండ్యెల్లిస్ ఎండ్యెరిందిస్ డాసాప్పుబ్బిసొ నొప్పింల్లిం:

“చ్చుసిదాన్ డా ల్మెర్తిశ్మేమొసిల్నిం మామింగ్ డా నొమింగ్. రోమ్మెల్లింగ్ ఎమిం చ్చుమిదాతా డాగొంతా మింగ్చుమ్ముబ్బిస్, గ్స్యే సాగ్నుబ్బు ప్యుప్పు[చ్చుప్పు]తా—ర్ ట్రోచింగ్ డా నొస్యెల్లింగ్ చ్చుమిదాతా డా స్యుల్లింగ్ మామిం కీమిదాతా వ్యతార్గమ్మెన్ గ్స్యే డాగొంతా ఎంలాడ భేర్ముల్లింసాగాన్

ქართულიდ, მე, გლოხაქმან გ[ეორგ]ი, ულირსმან სუცესმონაზონიდან
მან, ფრიადითა ჭირითა და რუდუნებითა. თვის იცის ლმერთმან,
მრავალთა ბერძულთა დედათა და დავითისა თარგმანთაგან [შე-
გვწიაზებია¹] ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა.. აწე
შეუტ გვედრები ყ[რეველ]თა, რომელიც მიემთხვეოთ წ'თა ამით
დავითთა, რ[ათ]ა ჩინთას ლოცვა ჰყოთ. და ვინ სწერდეთ, ვითა
აქა პბოთ, ეგრეთვე შეუცალებელად დასწერეთ: ნუცა ჩატო-
თავთ, ნუცა დააკლებთ. ჩ'ნ, რომელი ჯერ იყო, ჩავკრთავს, და
რომელი ჯერ იყო დაგკულია, ვითა ჩ'ნსა ენასა მოვიდოდა და წესი
საქმისა ეძიებდა. ნუცა“... გვ. 7—8.

აქ წყდება გიორგი მთაწმილელის ანდერძი და ამ ადგილის
ხელნაწერს ფურცლები ჰკლია.

მომდევნო (9) გვერდზე იწყება „მესხური ქრონიკის“ თავ-
ნაკლული ტექსტი, რომელიც წყდება უკანასკნელ (30) გვერდზე-
პაგინაცია. ჩვენამდის მოლწეული ნუსხა (S: 947), როგორც
იღნიშნულია, ოცდაათგვერდიანი ფრაგმენტია. იგი პაგინირებუ-
ლია გვერდობლივ, არაბული ციფრებით, დიმიტრი ბაქრაძის ხე-
ლით. ეპეს გარეშე, რომ ხელნაწერს თავდაპირველად რვეულებ-
რივი აღრიცხვა მაინც ექნებოდა, მაგრამ კიდევბის შემოცვეთის
გამო ფრაგმენტს ეს აღრიცხვა არ შერჩენია.

გვერდების ქვემო ნაპირებზე ამჟამად შეიმჩნევა სომხური
ასოებით შესრულებული რვეულებრივი პაგინაცია. ჩანს, ხელნაწე-
რი ერთ დროს მწიგნობარი სომხის ხელში მოხვედრილა; მას
რვეულებრივ აუნუსხავს ფურცლები და რვეულების შედგენილო-
ბაც.

ხელნაწერის მე-9 გვერდზე, ქვემო ნაპირზე ვხედავთ სომხურ
ასოებს— 37 რიცხვს. ამ 37-ე რვეულის პირველი გვერდიდან
იწყება „მატიანის“ ჩვენამდის მოლწეული ტექსტი. ამის მი-
ხედვით თვით ხელნაწერი ფსალმუნი თავის დროზე 36 რვეულის
შემცველი უნდა ყოფილიყო.

37-ე რვეულის 11 ფურცელი (9—30 გვ.) მთლიანიდ „მატი-
ანის“ ცნობებს უჭირავს. სამწუხაროდ, შედარებით ძველი (სომ-
ხური) პაგინაციაც ვერ გვაძლევს სრულ წირმოდგენას „მესხური
ქრონიკის“ ფურცლების თავდაპირველ რაოდენობაზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ 37-ე რვეული (9—30 გვ.) ამჟამად 11
ფურცელს შეიცავს. ტექსტის ბოლონაკლულობა და ის გარე-

¹ ეს სიტყვა გადამწერს გამორჩენია.



მოება, რომ „რვეულის“ ფურცლები იშვიათად თუ არის არა რაოდენობისა, გვაფიქრებინებს, რომ 37-ე (უკანასკნელ) რვეულში თორმეტი ფურცელი შაინც უნდა ყოფილიყო და „ქრონიკა“ მე-თორმეტე ფურცელზედაც უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ამ ვარაუდს ყოველგვარი ეჭვის გარეშე აყენებს ის ფაქტი, რომ მეთერამეტე საუკუნეში გადაწერილ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებს შემონახავს დაკარგული მე-12 ფ. ტექსტის ნაწილი².

„მატიანეს“ დასაწყისიც აკლია. ცხადია, ეს დასაწყისი წინა 36-ე რვეულის ფურცელზე უნდა ყოფილიყო დაწერილი. 37-ე რვეულის წინ, ფრაგმენტში ამეამად სულ ოთხი ფურცელი გვაქვს (დ. ბაქრაძის პავინაციათ 1—8 გვ.). ამ ფურცელსაც აქვს დ. ბაქ-რაძის პავინაციაზე აღრინდელი ფურცლობრივი აღრიცხვა: (2,3,4,5), ასე რომ 36-ე რვეულიდან შემონახულია II—V ფუ და მას (36 რვეულს) ნამდვილად იქლია I და VI ფუ.

მაგრამ, ვინაიდან 37-ე რვეული თორმეტფურცლიანი უნდა ყოფილიყო, ძნელი წარმოსალგვენია, რომ წინა 36-ე რვეული რვა-ფურცლიანი მაინც არ იქნებოდა.

ამის მიხედვით ვფიქრობთ, რომ ჩეგნი ფრაგმენტის 8—9 გვ. შეუა მდებარე ფურცლების რაოდენობა სამშე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. აქედან მეტეს ფურცლის ორივე გვერდი გიორგი მთაწმიდელის ანდერძის ჩეგნამდის არ მოღწეულ ნაწილს უნდა დაეჭირა, ხოლო დანარჩენი ორი ფურცლის ოთხი გვერდი „მატიანის“ ცნობების დასაწყისი ნაწილით უნდა ყოფილიყო დაფარული.

ამ ვარაუდს, თათქმას, მატიანის ტექსტის მოღწეული ნაწილის ანალიზიც უჭერს მხარს.

შატიანის ნაკლულობა. თავბოლონაკლული მატიანე, მოთავსებული 9—30 ფუ., იწყება ერთ-ერთი დაკარგული ცნობის ნაწყვეტით: „ია მთერისასა“.

ამის მომდევნო სტრიქონებზე კი ჩაწერილია ქაიხოსრო-დედისიმედის ასულის თამარის 1561 წლის პპრილის 18-ს დაბადების ცნობა.

ვალეს ეკლესიის დედისიმედისეული წარწერის წყალობით ჩვენ ვიცით, რომ თამარი ქაიხოსრო-დედისიმედის მეტეს შეიძლია

² S:25, ე. წ. „ბარათაშვილისეული ქართლის ცხოვრება“, გვ. 672—673; „პარიზის ქრონიკა“ ანუ „ცხოვრება საქართველოისა“, გვ. 27.



კოფილა — ყვარყვარეს, მზექაბუკის, მანუჩარის, თვალშეენიერ-მარკაზეა
ნესა³ და ოდრევე გარდაცვლილი ასულის — ელენეს შემდეგ⁴.

ყოველ ეპის გარეშეა, რომ თამარის დაბადების ცნობას წინ
უძლოდა მისი სუთი უფროსი და-ძმის დაბადების თარიღების ისე-
თივე სიზუსტით აღნიშვნა, როგორიც ახასიათებს თამარისა და
მის მომდევნო ძმების დაბადების ცნობებს. მარტო ამ ცნობების
ჩაწერას ერთი გვერდი მაინც მოუნდებოდა.

მაგრამ ჩევნ ვიცით, რომ „მესხური მატიანე“ ქაიხოსრო-
დედისიშედის ათაბაგობის პერიოდში მომხდარი პოლიტიკური
ამბების ცნობებსაც შეიცავს. ასეთივე უნდა ყოფილიყო „მატი-
ანის“ დაკარგული ნაწილის შინაარსიც. შეუძლებელია არ ყოფი-
ლიყო ფიქსირებული ამ ნაწილში ქაიხოსრო-დედისიმედის და-
ქორწინების დროიდან, ამ დაქორწინების პირველ წლებშივე, მომ-
ხდარი დიდი ამბები: ტაოს დაბყრობა ისმალთაგან, რაც, ვა-
ხუშტის ცნობით, მანუჩარის დაბადების წელს დაემთხვა (1550) და
სხვ., საათაბაგოსათვის არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ საბე-
დისწერო ამბებიც (1550—1561 წლ.).

ამ ამბების სულ მრკლედ აღნუსხვაც ორიოდე გვერდს მაინც
მოიცავდა. ასე, რომ ამ იდგილას (8—9 გვ. შუა) „მატიანის“
ტექსტს უნდა იკლდეს არანაკლებ 3—4 გვერდისაც.

„მესხური მატიანის“ ხელი

„მესხური მატიანის“ ჩევნამდის მოლწეული ტექსტი თავიდან
ბოლომდის ნუსხური დამწერლობით არის შესრულებული. მაგრამ
ეს ხელი ერთისა და იმავე პირის არ არის. როგორც ე. თაყა-

³ თვალშეენიერ-ივანე ერთი პიროვნების ორი ხახულია: ერთი — საშინაო,
მეორე — ნათლობისა და არა ორი სხვადასხვა. ე. თ. დაუსაბურებლად აიგივებს
ივანესა და იანქოს (იხ. რუს. გ-მა, გვ. 209, შენიშვნა 3; 1890 წ. გამოცემის X
გვერდზე).

⁴ ვალენ ეკლესიის წარწერა იკითხება: ნებითა ლუთისათა, მე, ლუთივ-
გვირგვინოსის იესიან-დავითიან-სოლომიონიან ბაგრატონიანისა ქართველთ მეტე-
მეტის კოსტანტინეს შვილის შვილმან, მეტის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ-ამირ-
სპასლარის სახლის რძალმან დედისიმეტმნ მეორედ აღვაშენე წმიდა ეს
ჟყლესია... ვალისა ღუთისმშობლისა, რათა მცველ-მფარველ გვექმნა... მე და
თანამეცხედრება ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს და ძენი ჩევნი: ყვარყვარე მხე-
ჭაბუკ, მანუჩარ, თუალშეენიერ-ივანე და თამარი დღეგრძელობით დაიცვინ,
ამინ. დასა მათს ელენეს სასულევლი დაუმკუდრე! (ე. თ. 1890 წ. გ-მა, გვ.
XXXIX).

⁵ ე. თ. ვარაუდით არა ნაკლებ 2 გვ.



იშვილი აღნიშნავს, პირველ გვერდებზე რამდენიმე სხვადასხვა სფეროებით შეიძინება.

მუხრანბატონების მოსახსენებლები (გვ. 10—11) დაწერილია მომრგვალო, ლამაზი; მკაფიო ნუსხურით; მატიანის დანარჩენი ნაწილების ტექსტის ხელთან შედარებით ისოების უფრო ვერტიკალური ხაზებით, ზაფი ნელნით. ეს ხელი, როგორც ე. თაყაიშვილმა აღნიშნა, წააგვის „ფსალმუნის“ ფრაგმენტის ხელს (გვ. 1—8). ამავე ხელითაა დაწერილი გვ. 9 გვერდზე ქაიხოსროდებისიმების ერთ-ერთი შეილის (თვალშეცნებრ-ცეცხლს) დაბადების ცნობის ორი უკანასკნელი სტრუქტური: „და წატეხისეთა“ და ასევე ნუმბრების ქალის — თამარის დაბადების ცნობა (ვ. გვ.).

ეს ხელი ქრონიკის დანარჩენ ნაწილში იღება ჩანს. ჩეენ მას პირველ ხელს ვუწიდებთ.

მეორე ხელით, ზაფი შეღწით, დაწერილია იანქოს დაბადების ცნობა (9 გვ.). ამ წვრილ ხელს, სხვებთან შედარებით, მეტი ხევულობა ათასიათებს. დამწერის მართლწერაც განსხვავებული ჩანს. თამარის დაბადების ილმნუსხეველი სწერს აწყვერს, იანქოსი კი აწყურს; თამარი მოხსენებულია უბრალოდ: „დაიბადა თამარ“, მხოლოდ სახელწოდებით, საბა-იანქოს დაბადების ილმნუსხეველი მას პატრონობით ისხვიებს („დაიბადა პატრონი იანქო“). ცხადია, ამ ცნობების ჩამწერი არის არა ერთი, არამედ ორი სხვადასხვა პირი (გვ. 9).

მესამე ხელით, მკრთალი მელნით, დაწერილია ტყუპების ბასილისა და ბექას დაბადების ცნობა. წინა ცნობის დამწერის ხელთან შედარებით ეს უფრო მომსხო, უფრო სწორი, ვერტიკალური ხაზებით შესრულებული ნუსხურია. ამ მწერლის მართლწერაც განსხვავდება წინა ტექსტების მართლწერისაგან. თუ ისიც ახალდაბადებულს უბრალოდ და არა პატრონობით ისხვიებს — „დაიბადნეს ბასილი და ბექაი“ — სიტყვა მოვარეს დამწერლობაც სხვაობს — იქ — მთუარისას, აქ — მთოვარესა (გვ. 9).

მსგავსივე ხელითა და სწორედ ასეთივე მკრთალი მელნითაა ჩამწერილი ქაიხოსრო ათაბაგის ყაზვინს წაბრძანების ცნობა, უშუალოდ ტყუპების (ბასილისა და ბექას) დაბადების ქვემოთ (გვ. 9).

ამავე ხელით უნდა იყოს დაწერილი არჩილ მუხრან-ბატონის ვაჟის ერეკლესი და ვახტანგ მუხრანბატონის ვაჟის ბაგრატის დაბადების ცნობა (გვ. 11).

⁶ ე. თაყაიშვილი, რუსული გამოცემა, გვ. 183, თბილისი, 1900, გვ. 183-



მეოთხე ხელად მიგვაჩნია ის ხელი, რომლითაც მე-13 გვერდის გვარის სტრიქონებზე დაწერილია დედისიმედის საყვარელშედებულება ვაჟის 12 წლის იანქოს სიკვდილის ცნობა. ეს ხელი უახლოედება ხელნაწერის ფრაგმენტებისას და მუხრან-ბატონების მოსახლენებლების დამწერის ხელს, თუმცა მათი სრული იგივეობა მაინც საეჭვოა.

მეხუთე ხელად უნდა ჩაეთვალოთ ის ხელი, რომლითაც ჩამატებულია მე-9 გვერდზე ქაიხოსრო ათაბაგისა და დედისიმედის უფროსი ვაჟის—ყვარეყვარეს ოდიშს დაქორწინებისა (1564) და ყვარეყვარეს მეუღლის მარეხის წყაროსთავს მოყვანის ცნობა.

იმავე მეხუთე ხელითაა დაწერილი მზექაბუკის ნეკროლოგი 9—10—11 გვ. ქვემო არებზე.

ამავე ხელითაა დაწერილი 11—12 გვ. ახალციხეს წასვლისა და თვალშევნიერის საყაზმისოდ წაყვანის მმაგი (1:73 წ.).

ამავე ხელით, მავრამ ვაცილებით უფრო მსხვილად და მკაფიოდაა დაწერილი ქაიხოსრო ათაბაგის მოსახლენებელი და მისი გარდაცვალების ცნობა (1573) 12—13 გვ. ეტყობა ერთდროულად ჩაწერილია აქვე, 13 გვ. პატრიანი არჩილის შირაზს გაგზავნის (1573 წ.) ცნობა.

ეს მეხუთე ხელი მატიანის ტექსტში ყველა დანარჩენს ჭარბობს. თუ 9—11—13 გვერდებზე იგი მთლად არ არის გაბატონებული, 12, 14—26 გვერდებზე ცნობები მხოლოდ ამ ხელით იწერება. ასე რომ მეთოთხმეტე გვერდიდან ეს ხელი უწყვეტლივ ჩანს 26 გვერდის უკანასკნელ სტრიქონამდის.

ექვთიმე თაყაიშვილს „მატიანის“ რუსული თარგმანის გამოცემაში აღნიშნული აქვს, რომ ქაიხოსრო-დედისიმედის შეილი-შეილის, ყვარეყვარეს ძის—ქაიხოსროს დაბადების ცნობის გასწვრივ, მარცხენა ნაპირზე, ტექსტის ხელით მიწერილია:

ზ[ა]ქარია

ეს ზაქარია ე. თაყაიშვილს ამ ჩანაწერის ავტორად მიაჩნია?. ამ შენიშვნისათვის ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ერთი კი უნდა ითქვას: შეუძლებელია ეს მინაწერი შემთხვევით იყოს მოხვედრილი 14 გვერდის თვალსაჩინო აღვილას (ი. ფოტო-პირი №...).

ზემოთ აღნუსხული გვ. 9, 10, 11, 13-ისა (ნაწილობრივ) და 12, 14—26 გვერდის (მთლიანად) ჩამწერი, უმჭველია, ზაქარია

⁷ „Против этого параграфа (§ 14) в рукописи на поле написано рукою текста: ЗАХАРИЯ. Не он ли автор этой записи?“ რუს., გვ. 191, შენიშვნა 1.



არის. მისი სწორი ნუსხურით დაწერილი ყოველი გვერდის სტრიქონული ქონების სათვალია თანაბარია—ოცდაოთხ—ოცდაოთხი. ეს წესი ირღვევა 27 გვერდიდან (30-მდის). აქ ვამჩნევთ ზაქარიას ხელის მსგავს ხელს, რომელსაც თავისი განშესვავებელი ნიშნები აქვს.

ეს მწერალი არ იცავს ყოველ გვერდზე სტრიქონების თანაბარი რაოდენობის წერის წესს. იმ დროს, როცა ზაქარიას 24—24 სტრიქონით აუვსია ყოველი გვერდი, ამ მწერალს თითოეულ გვერდზე ხან 21, ხან 23, ხან 20 სტრიქონი მოუთავსებია.

ასე რომ მატიანის ტექსტში (8: 947—ხელნაწერი) ექვსი სხვადასხვა ხელი მაინც შეიმჩნევა.

მატიანის ხელის ასეთი ნაირობა უძველად მნიშვნელოვანია მატიანის ავტოგრაფულობის (8: 947) საკითხის გადაჭრისათვის.

„მექიური მატიანის“ ცნობები ვახუშტის ისტორიაში

1742—1745 წწ., როცა ვახუშტი თავისი მთავარი ნაშრომის, საქართველოს ისტორია-გეოგრაფიის ისტორიულ ნაწილს წერდა, მას ხელთ ჰქონია საქართველოს ისტორიის „დედანინი“ „არა ერთი, არამედ მრავალი“⁸.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ვახუშტის (სხვათა შორის) ხელთ ჰქონია ეგნატაშვილი ბერის ქართლის ცხოვრება „ჰავხელად დაწერილი სახით“ (ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცტ-ბა, გვ. XIV).

ეგნატაშვილი ბერისეული ქართლის ცხოვრება კი სწორედ ის წყაროა, რომელსაც ჩვენამდე მოღწეულ ვახტანგის დროინდელ ყველა საისტორიო ძეგლზე უფრო სრულად შემოუნახავს 1535—1587 წწ. საქართველოს ისტორიის შემცველი ცნობები.

საყურადღებოა, რომ ეგნატაშვილი ბერისეულ ამ ისტორიაში სრულებით ვერ ეპოულობთ „მესხური მატიანის“ გამოყენების კვალს. ცხადია, სამხრეთ საქართველოს XVII ს. ისტორიის ეს მდიდარი ცნობების შემცველი ძეგლი ავტორისა (თუ ავტორები-სათვის) უცნობი ყოფილა.

⁸ როგორც ერთს ჩვენს გამოუქვეყნებელ გამოცვლევაში ვცდილობთ დავამტკიცოთ, ვახუშტის 1742—1745 წელს უმუშავნია მხოლოდ თავისი მთავარი ნაშრომის ისტორიულ ნაწილზე, განსაკუთრებით XV—XVIII ს. ისტორიას. იხ. „გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ხედა ვიშრომეთ კინდა წელი სამწი, მათადის წერითა, გამოძიებითა, „მატიანებთა და ცხორებათა ძიებითა...“ ვახუშტი, „აღწერა“... გვ. 9.

ვახუშტი, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა სწავლულ კაცთა ნაჭირნანასულევი, როგორც ცნობილია, იყენებს მათი ნაშრომის უფრო სარწმუნო ნაწილს; მაგრამ საჭიროდ თვლის ძირითადად და დაემყაროს ახალ, სწავლულ კაცთათვის უცნობ წყაროებს. თავისი „უწყებულების“ ერთ ადგილის იგი XVI ს. ისტორიაზე მუშაობის შესახებ ამბობს: „მეფის ლუარსაბის ზოგი ცხოვრება და სიკუდილი მისი საჩინოდ არს ქორონიკონთა შინა“ — და ქვემოთ: „ხოლო დიდის სეიმონ მეფისა და გიორგისა და დაუთხანისა და კვალიდ მისივე სეიმონ მეფისა... და გიორგისა, ძისა მისისა და ლუარსაბისა, გიორგის ძისა... სრულიად ჩევნსა ქორონიკონებთა, სპარსთაგან და გუჯართა და სიგელთაგან გვიმნიეროთ“⁹.

ქართლის მეფების — ლუარსაბის, „დიდის სეიმონ მეფისა, გიორგისა, დაუთხანისა და კვალიდ მისივე სეიმონ მეფის“ ზეობის წლები ემთხვევა „მესხური მატიანის“ შედგენის ქორონოლოგიურ ფარგლებს (1550—1587). თავისთავად ცხადია, რომ ის, რასაც ვახუშტი აქ ქართლის სამეფოს ისტორიის წყაროებისათვის გვეუბნება, სავსებით შევეიძლია შევუფარდოთ ამ პერიოდის „სამცხე-კლარჯეთის ცხოვრებასაც“.

ვახუშტი ამით გვამცნობს, რომ თავისი შრომის გარკვეული ნაწილი, სახელდობრ, საქართველოს ისტორიის XVI ს. პერიოდის ამბების შემცველი თხრობა, მან საგანგებოდ გამოიკველია „ჩევნთა ქორონიკონებთა, სპარსთაგან და გუჯართა და სიგელთაგან“.

ვახუშტისავე ნაშრომი გვაძლევს მისგან გამოყენებულ „ქორონიკონთა“ ნუსხას, რომელშიაც მეორე ადგილის იხსენიება „დავითი მესხური, ხუთ წიგნად განყოფილი“¹⁰.

უფლება გვაქეს ვივარაულოთ, რომ ვახუშტი პირველი ისტორიკოსია¹¹, რომელმაც ფართოდ გამოიყენა „მესხური მატიანის“ ტექსტი. საყურადღებოა, რომ „მატიანის“ ცნობებს ვხედავთ არა-თუ ვახუშტის „სამცხე-კლარჯეთის-ცხოვრებაში“, არამედ ქართლის, იმერეთისა და კახეთის (შედარებით უფრო ნაკლებად) ისტორიაშიც. ასევე ფართოდ იყენებს „მატიანის“ ცნობებს ვახუშტი თავის „ქორონიკონებშიაც“.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის აზრით ვახუშტის ხელთ უნდა ჰქონდა „მესხური მატიანის“ უფრო სრული დედანი¹². მართლაც,

⁹ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913, გვ. 12—13.

¹⁰ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 360.

¹¹ ვგულისხმობთ ისტორიკოსს და არა ქორონოლოგიური ცნობების შემკრებს, როგორიცაა, მაგ., „პარიზის ქორონიკის“ შემკრებელი.

¹² ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 216.

ხელნაშერის ძირითადი ნაწილი, ფსალმუნის ტექსტი, ვახუშტი /
დროს, ეტყობა, დაუზიანებლად ყოფილა დაცული. ამას განკუთხებული
ვახუშტის ცნობა, რომლის მიხედვითაც ისტორიკოსს ხელ ჰქონ-
ნია „დავითი მესხური, ხუთ წიგნად განკუთხილი“¹².

ბიბლიური ტექსტების მკვლევარმა, ხელნაშერთა ინსტიტუ-
ტის თანამშრომელმა მშექალა შანიძემ სპეციალური გამო-
კვლევა უძღვნა ვახუშტის ამ ცნობის განმარტებას. „მესხური მა-
ტიანის“ შესწავლისათვის მ. შანიძის ამ პატარა ნაშრომს არამცი-
რედი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროდ დავინახეთ მთლიანად
გამოვაქვეყნოთ აქ ხსენებული გამოკვლევა:

„და სახელნი წიგნებთა არიან ესენი—იმერული ძველი გა-
რიგების წიგნი, დავითი მესხური ხუთ წიგნად განკუთხილი“.

ვახუშტის ცნობაში, შესაძლოა, იგულისხმება თეოლოგიურ
ლიტერატურაში კარგად ცნობილი ფაქტი: ფსალმუნთა წიგნი
ხუთი ნაწილისაგან შედგება: 1) ფს. 1—40, 2) ფს. 41—71, 3) ფს.
72—88, 4) ფს. 89—105, 5) ფს. 106—ბოლომდე.

ეს დაყოფა გვხვდება ზოგიერთ ენაზე თარგმნილ ტექსტში,
შაგალითად, ბერძნულში. ქართულ ქრისტიანულ მშერლობაშიც ცნო-
ბილია ფსალმუნთა წიგნის ხუთად განკუთად. ამის შესახებ ერცელი
მსჯელობაა მოცემული ორ ძველ ხელნაშერში A:38 და S:1141.

A:38-ში (თხზულებაში, რომელიც თათანასე ალექსანდრიელს
მიეწერება) ნათქვამია: „წიგნსა მას ფსალმუნთასა ესრე სახედ
აქუს განკუთად, ვითარცა-იგი კეშმარიტთა მათ ებრაელებრთა სა-
ხეთა შინა წერილა... ხუთად წიგნად განცყოფენ იგინივე ებრა-
ელთა ყრმანი...“ შემდეგ ჩამოთვლილია თუ სად იწყება და სად
თავდება თითოეული წიგნი, თან მოცემულია ფსალმუნთა ებრა-
ული დასაწყისების ქართული (ძალზე დამახინჯებული) ტრანსლი-
ტერაცია, მაგ.: „ხოლო მეორედ წიგნად შა ფსალმუნითგან, რომ-
ლისაც თავი ესე არს: ქაიალთა არუბალა ფიკიმან, რომელ არს:
ვითარც სურინ ირემსა...“ და ა. შ¹³. ასეთსავე მსჯელობას ვხვდე-
ბით S:1141-ში, იმ ნაწილში, რომელსაც სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში „შატერდის კრებულის სასწავლო წიგნი“ ეწოდება.
იქაც არის ფრაგმენტი¹⁴, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით

¹² ვახუშტი ტ. ი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 360.

¹³ იქ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მ. შანიძემ, 1960, I, გვ. 458—460.

¹⁴ ს. ვაჟაშვილი შეილი, შატერდის კრებულის სასწავლო წიგნი, ტფ. უნ. მ. III, გვ. 175.

ემთხვევა A : 38-ს მსჯელობის ფსალმუნთა დაყოფის შესახებ¹⁶. შატბერდის „სასწავლო წიგნის“ გამოცემაში მ. ჯანაშვილს შრომით უდობა იქვს დაშვებული: მთავრული ე მას ი-დ წაუკითხავს. ასე რომ მისი გამოცემის მიხედვით გამოდის, თითქოს ლაპარაკია ფსალმუნთა წიგნის ოთად და ირა ხუთად გაყოფის შესახებ¹⁷.

ამრიგად, ქართული ხელნაშერების ჩვენება მოწმობს, რომ ფსალმუნთა წიგნის დაყოფა ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურაში კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო. საკუთრივ ფსალმუნთა ხელნაშერებში ეს დაყოფა იღნიშნული არ არის ხოლმე, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ რომელიმე (ერთ ან რამდენიმე) ხელნაშერში ასეთი დაყოფა გატარებული იყო. შესაძლოა, ასე იყო სწორედ შესხურ დაგითნიაც (ამერად იმის გარევევა შეუძლებელია, რადგან ძირითადი ნაწილი ტექსტისა დაკარგულია. ხელნაშერში (S : 947) შემორჩენილია მხოლოდ გალობები, რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვის თან ერთვის ხოლმე ფსალმუნის ხელნაშერებს). სავარაუდებელია, რომ ისტორიკოსმა ყურადღება მიიქცია ქართული პრაქტიკისათვის უწევეულო დაყოფას და, როგორც განმასხვევებელი ნიშანი მის მიერ ნახმარი წიგნისა, საგანგებოდ აღნიშნა იყო: „მესხური დაგითნი, ხუთ წიგნად განყოფილი“, ზუსტად ისევე, როგორც მეორე შემთხვევაში გამოყო მეორე წყაროს დახასიათებისას „იმერული ძველი გარიგების წიგნიო“¹⁸.

ყოველიც ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ „ხუთ წიგნად განყოფილი“ ყოფილა არა ფსალმუნის ტექსტისთვის დართული მატიანე, არამედ თვით ის ფსალმუნი, რომელიც ვაუშერის ჯერ კიდევ სრულად ჰქონის ხელში. „მესხური ქრონიკის“ მოცულობისა და შედგენილობისათვის კი ვანუშერის ცნობა სრულიად არაფერს გვეუბნება.

16 მ. შანიძე, ებრაული ანანის გადმოვკემის შემთხვევები ძველი აღთქმის ქართულ ხელნაშერებში. ენათმ. ინ-ტის შრ., II, გვ. 168, შენ. 2.

17 მ. ჯანა შვილი, „აღვადგინე“, 1891 წ., გვ. 128.

18 ამ განმარტებისათვის მნექალა შანიძეს უდღებს მაღლობას მოვახსენებ. წინამდებრე გამოკვლევა დამთავრებული და წაკითხულიც იყო მოხსენების საპით ხელნაშერთა იმსტატუტში, როცა ასაშერ ხელნაშერებს შემაობის დროს გაეცემით S : 2602 უთარილო, მეტად ნაკლულ ფსალმუნის. ხელის მიხედვით იყი XVI ს. ვეუფენის. მიუხედავად ნაკლულოვანებისა, აქ სამ ადგილა ჩინებულად არის დაცული ფსალმუნის წიგნებად დაყოფის ნიშნები:

1 „დაესრულა მეორე წიგნი ფსალმუნისა“ — ტექსტის ხელით, 33v.

2 „მესამე წიგნი ფსალმუნისა“, 34r.

3 „დაესრულა მესამე წიგნი ფსალმუნისა. მეორე წიგნი ფსალმუნისა იწყე აქათ“. — 52v.

აკად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი ნაწილობრივ მაინც გართლიანია¹⁹. ჩემს დრომდის თავბოლონაკლული სახით მომზადებული მატიანე, რომელიც ფსალმუნის ტექსტს ჰქონდა დართული, ამ ორნახევარი საუკუნის წინ უმცველად უფრო კარგად ყოფილა დაცული. ამას მოწმობს ვახუშტის „სამცხე-კლარჯეთის ცხოვრების“ შემდეგი აღილი: „დაიპყრეს (ოსმალთ) ქვეყანა ტაოსი სრულიად ქორონიკონსა ჩინ... ამავე წელსა უშვა დედისიმედმან ქაიხოსროს ძე ნინუჩარ“²⁰.

ეს ცნობა უნდა მომდინარეობდეს „მესხური შატიანის“ ვახუშტის-დროინდელი ტექსტიდან, რაღაც სხვა წყაროებში მანუჩარ ქაიხოსროს ძის დაბადების თარიღი შემჩნეული არ არის. ქაიხოსრო-დედისიმედის 1550 წელზე ადრე გამოილი შვილების დაბადების ცნობებს ვახუშტი არ გვაძლევს. ძნელი წარმოსალგენია, რომ ისტორიკოსს ხელთ ჰქონდა მანუჩარის უფროსი ძმების დაბადების შესახებ ცნობები და არ შეეტანა ისინი სამცხე-კლარჯეთის ისტორიის ტექსტში; განსაკუთრებით ქაიხოსრო-დედისიმედის უფროსი ვაჟის—მამის სიკვდილის შემდეგ (1573) გათაბაგებული ყვარეყვარეს დაბადების ცნობას ვახუშტი გვერდს უერ აუვლილა.

ექედან შევვიძლია დავასკვნათ, რომ „მატიანის“ ვახუშტის დროინდელი ტექსტიც ნაელულოვანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ აწინდელთან შედარებით იგი მაინც უფრო სრული ყოფილა. თუ უძველესი თარიღიანი ცნობა დღეს არის თამარის დაბადება 1561 წელს, ვახუშტის დროს მატიანეში დაცული ყოფილი 11 წლით ადრე შეტანილი ცნობებიც.

ამ ვარაუდის საფუძვლიანობას მოწმობს ვახუშტის ისტორიაში შეტანილი 1552 წლის ამბები, განსაკუთრებით მათი დაბოლოება:

„შემდგომად კვალად მოვიდნენ ოსმალი და დაიპყრეს არტანუჯი არსიანმდე; კვალად დაიპყრეს ფარავანი და სრულიად არტანი და ალაშენეს ფარავანი... არამედ სამცხეს უერ გარდოვიდნენ, ძალითა აწყვრისა ღრთისმშობლისათა“.

აწყვრის ღვთისმშობლის ძალით ოსმალთ სამხედრო ძალების წინსელის დაბრკოლების აზრი „მატიანის“ გავლენის კვალს ამეღლავნებს. ცნობილია, რომ ვახუშტისათვის უცხო იყო ე. წ.-პროვიდენციალიზმი“ (ვ. გაბაშვილი).

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 275.

²⁰ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 246.

ჰქონდა თუ არა ვახუშტის სელთ „მესხური მატიანის“ უფრო სანდო ნუსხა

„მესხური მატიანის“ აფტორის ვინაობისათვის მსჯელობის დროს აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ თვალსაჩინო განსხვავებას, რომელიც შეიძნება ჩვენამდის მოლწეულ XVI ს. ხელნაწერის S: 947 ტექსტის (ე. თაყაი-შვილის გამოცემის მიხედვით) და ვახუშტის ისტორიაში ჩართულს „მესხური მატიანის“ შესატყვის ნაწყვეტებს შორის.

ეს განსხვავება იყ. ჯავახიშვილმა იმდენად მნიშვნელოვნად სცნო, რომ ამასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებაც წამოყენა: ხომ არ მომდინარეობს ვახუშტის ისტორიაში შეტანილი ტექსტი უფრო სანდო დედნიდან, ვიდრე „მესხური დავითნის“ S: 947 ნუსხა? ისტორიკოსმა აღნიშნა ამ ორი ტექსტის გამოწვლილვით შედარების საჭიროება მატიანის აფტორის ვინაობის გამორკვევისათვის.

თვითონ აკად. ივ. ჯავახიშვილმა ნაწილობრივ ჩაატარა ასეთი შედარება²¹. „მატიანის“ ტექსტისა და ვახუშტის ისტორიაში ჩართული ნაწყვეტების სენილი ნაწილის შედარებას ჩვენ, რა თქმა უნდა, აღარ გამოვუდგებით. აღარ შევჩერდებით აღარც იყ. ჯავახიშვილის მიერ მითითებული სხვაობის მაჩვენებელ ნიშნებზე²².

ვახუშტი „მატიანის“ მასალას ორგვარი წესით იყენებს. მატიანის თხრობის გარკვეულ ნაწილამდის ისტორიკოსს სენილული მასალა გადამუშავებული სახით შეაქვს თავის ნაშრომში. გარკვეული ნაწილიდან მოყოლებული კი ამ წესს იგი აღარ მისდევს.

მივყვეთ ქრონილოგიურ რიგს და იღვნიშნოთ შემჩნეული სხვაობანი. მაგალითად, ქაიხოსრო ათაბაგის (1522—1573) უფროსი ვაჟის შეუარყვარეს ოდიშს დაქორწინების ცნობა, 1564 წ.:

მატიანეში

ვახუშტის ისტორიაში

(1564 წ.)

ქ'ქსა სეჩ, ივნისსა ვ, დღე- წარიგლინა ქაიხოსრო ათა-
სა სამშაბათსა, კ მთუარისასა, ბაგმან ყვარებულე, ძე თვისი,

(1564 წ.)

²¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 273—275.

²² იქვე, გვ. 275.

შეწევნითა ლ'ისათა და წ'ის ოდიშს. მოსცა ლევან დადიშნმან
ნიკოლოზისათა, პატრინმან ყუ-
არყუარე ქორწილი ქნა ოდიშს
დადიანის ქალს მარებთანა.

მარების წყაროსთავს მოყვანის ცნობა:

(1565)	(1565)
ქ'ესა სნგ, ივლისსა ჸ. ქ-	და წელსა მეორესა მოიყვანა
რას დღეს მოიყუანეს ბატონი ყვარყვარემ ცოლი თვისი სამცხეს.	მარებ წყაროსთავს.

ყვარყვარე ქაიხოსროს ძისა და მარების ვაჟის ქაიხოსროს
დაბადების ცნობა:

შატიანით:

(1573)

ნებითა ლ'ისათა და შე-
წევნითა აწყურისა და ვარძიისა
ლ'ისეშმობლისათა, დაიბადა
პატრინის ყუარყუარეს ძე, პა-
ტრინი ქაიხოსრო აწყურს,
გიორგობისთვის ცხრა, ორშა-
ბათი დღე განთენდებოდა, ქ-
ომის ყიულ, მთუარესა იდ,
ქ'ესა ხდა.

როგორც ვხედავთ, ყვარყვარეს ძის ქაიხოსროს დაბადების
ვახუშტიისეული დათარილება მთელი რვა წლით (1573 // 1565)
განსხვავდება S: 947 ხელნაწერში უდიდესი ზედმიწევნილობით
აღნიშნული თარიღისაგან. რომელი ამ ორ თარიღთაგანი უნდა
ჩავთვალოთ უფრო სწორად, ამაზე მსჯელობა ზედმეტია: ვახუშტიის
დათარილება უეჭველად მცდარია.

ქაიხოსრო ათაბაგის ყაზვინს წასელის (1570) ცნობა:

შატიანით

(1570)

წაბრძანდა პატრინი ქაი-
ხოსრო ყაზვინს ყი[ე]ნის წი-
ნოსრო, გარნა ტაო, შავშ-

გახუშტიის ისტორიით

(1565)

იმავ (1565) წელსა უშვა მა-
რებ ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო.

ნაშე მარტს გ, დღესა პარასკევი-
სა მგელციხიდამან, ქუსა სენ. კლარჯინი ეპურათ ოსმალთა და
ხედვიდა ქაიხოსრო მძლავრზე მარტინი
ბასა მათგან ქვეყანათათა და ვერა
რისა შეწევნისა მპოველი ვნებად
მათდა, ამისთვის ჭარვიდა ჭინაშე
შას-თამაზისა, რათა მოიცეს ძალი
შისგან, ქს ჩფო—სენ, შისრული
ყენმან პატივით შეიწყნარა და
იყოფებოდა მუნ...ხოლო ქაი-
ხოსროს ათაბაგისთვის აღეთქვა
შასთამაზის შეწევნა და ნიჭვიდა
ნიჭთა დიდ-დიდთა.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი აქ სწორად იცავს ქაიხოსრო
ათაბაგის ყაზვინს გამგზავრების დედნისეულ თარიღს. მაგრამ
ისტორიკოსი არ კმაყოფილდება საათაბაგოს პატრონის ყენთან
წასვლის ფაქტის მშრალად აღნიშვნით. იგი (ვახუშტი) თავის გან-
მარტებას ურთავს ამ ისტორიული ფაქტის (ათაბაგის საათაბაგო-
დან ირანს დიდი წინით წასვლის) ცნობას, რომ შასთამაზი ქაი-
ხოსროს „ნიჭვიდა ნიჭთა დიდ-დიდთა“ — ვახუშტის ეს ცნობა,
უკველია, სპარსული წყაროებიდან მომდინარეობს.

ქაიხოსრო ათაბაგის ყაზვინს 1573 წ. გარდაცვალების ცნო-
ბას, რომლისთვისაც „მატიანეში“ ნახევარ გვერდზე მეტი ად-
ვილია მიძღვნილი, ვახუშტი სულ მოკლედ გადმოგვცემს:

„არამედ ყაზმინს ყოფასა შინა მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი
ქს ჩფოგ, ქრ ხეა.“

საყურადღებოა, რომ ვახუშტის საჭიროდ მიაჩნია ქაიხოსრო
ათაბაგის გარდაცვალების ცნობასთან ერთად გვამცნოს მისი სი-
კვდილის შემდეგ დარჩენილი შეილების სახელები:

და დაუტევა (ქაიხოსრომ, 1573 წ.) ძენი: ყვარყვარე, მანუ-
ჩარ და ბექა“.

ვალეს ეკლესიის ჭარწერის წყალობით ჩეენ გვაქვს ქაიხოსრო
ათაბაგისა და დედისიმედის შეილების სრული ნუსხა. ვახუშტის-
თვის, უკველია, უცნობი ყოფილა ეს ჭარწერა. მაგრამ ისტორი-
კოსის ხელთ უნდა ყოფილიყო „მესხური მატიანის“ ტექსტის ცნო-
ბები მანუჩარის 1550 წ. დაბადების დროიდან. ამ ცნობების ში-
ხედვით ვახუშტის უნდა სცოდნოდა, რომ 1573 წ. ენკენისთვის
29-ს მისგან დასახელებულ ყვარყვარესა, მანუჩარისა და ბექას
გარდა ცოცხლები იყვნენ ყაზვინს მამის აღილას საგანგებოდ გა-
მგზავრებული თვალშევნიერ-ივანე, იანქო და ბასილი.



მზექაბუკ ქაიხოსროს ძის ცოლის—როდამის მამიშვილიშვილის
ცნობა „მატიანესა“ და ვახუშტის ისტორიაში:

მატიანეში

ვახუშტის ისტორიაში

„პატრონმან მზექაბუკ, ძემან ქაიხოსროსმან მზექა-
წლისა კბ-ისამან იქორწინა და ბუკ იქორწინა გურიელის გიორ-
მოიყვანა ასული როსტომ გუ- გის ასულ როდამსა ზედა.
რიელისა პატრონი როდამ.

თუ მოულოდნელი და საოცარია ვახუშტის მიერ მცდარი
თარიღების შეტანა „სამცხე-კლარჯეთის ცხოვრებაში“, კიდევ
უფრო ძნელი ასახსნელია „მატიანის“ გარევეული ცნობის შეცვლა:
ერთი ისტორიული პირის სახელის (როსტომ) მავიერ მეორე
ისტორიული პირის სახელის (გიორგი) დაწერა. ეჭვს გარეშეა,
რომ ვახუშტის შემთხვევით არ არევია ეს ორი სახელი. დე-
დანში მოცემული თარიღები ამ შემთხვევაში ვახუშტის სწო-
რად აქვს შეტანილი ისტორიაში. ვახუშტიმ იცის, რომ მზექა-
ბუკისა და როდამის დაქორწინება მოხდა 1570 წლის ნოემბერში;
ისტორიული იცის აგრეთვე, რომ ამ დროს გურიელია იყო
1564 წელს გარდაცვლილი გურიელის როსტომის ვაჟი გიორგი²³.
ვფიქრობთ, ამ მიზეზის გამო მოსდის ლაფსუსი ვახუშტის „მოსწ-
რაფე“ ხელს.

(„მესხური მატიანის“ ტექსტი შედარებულია ვახუშტის აფ-
თოვგრაფთან).

ვახუშტისეული „სამცხე-კლარჯეთის ცხოვრების“ შემდეგი
ადგილი, რომელიც უმეტესად „მატიანიდან“ მომდინარეობს,
არის ათაბაგთა წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების გამომ-
ულავნებისა და, ამასთან დაკავშირებით, ატეხილი ხანგრძლივი
შინაური უთანხმოებისა და ბრძოლის ეპიზოდების გადმოცემა.

საყურადღებოა რომ ვახუშტი აქ გვერდს უვლის იმ ამბებს,
რომელიც „მატიანის მიხედვით“ წინ უძლოდა ხსენებულ შეთქმუ-
ლებას: 1572—1573 წწ. (თვალშევნიერის ყაზენის გამგზავრება
1572 წ., იანქოს სიკვდილი 1575 წ., შაპ-თამაზის სიკვდილი და

²³ თ. სთხელია, ფეოდალური საქართველოს დაშლის ისტორიიდან,
„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ.,
1954, გვ. 135.



ამ ამბით გამოწვეული არეულობა, ირანში, 1576 წ. ელჩის გაგზავნა ყავნაში და განვითარება მისი მიზანი იყო ამ დროს, როცა „მატიანეში“ მესხეთის დიდებულების შეთქმულება უშუალოდ მისდევს ყავნათან ელჩის გაგზავნის ამბავს და ამით უკავშირდება მას (სწორედ ეს ამბავი — ათაბაგის სახლის წევრების წასკა ყავნათან ელჩის გასამგზავრებლად მგელციხეს-აცნობა იასონ ბედანიშვილმა შეთქმულების მეთაურს კოკოლა ვა-რაზაშვილს). შეთქმულების საბაბად ვახუშტის დასახელებული აქვს კოკოლა ვარაზაშვილისა და ზოგიერთი სხვა მესხი დიდებულის ხონთქართან კავშირის გაბმა („არამედ ვარაზას ძემან კოკოლაშ და ვიეთთამე მესხთა უწყეს ზრახვა ხონთქარსა“).

გარემოებათა სწორედ ეს ხლართი გამხდარა შეთქმულების საბაბად ვახუშტის მიხედვით: „ხოლო ესენა (ეს ამბები)... შედანი-შვილმან იასონ აუწყა ვარაზას ძეს კოკოლის“.

ამ შემთხვევაში ვახუშტის „მესხური მატიანის“ გარდა, უმცველია, ხელთ ჰქონია დამატებითი ცნობები რომელილაც სხვა წყაროდან, რის მიხედვითაც ის შეთქმულების უშუალო საბაბად მესხ დიდებულთა ხონთქართან კავშირს მიიჩნევდა (ვახუშტის ისტორიის ეს ადგილი „მატიანეში“ შესატყვისს ვერ პოულობს).

„მესხური მატიანის“ მოელი მასალა 1576 წლის ივნისის შეთქმულებამდის ვახუშტის გადმოცემული აქვს თავისი სიტყვით, სხვა წყაროებიდან შეესებით, ისტორიულ ამბებთა შორის კავშირის დამყარებით და ოთა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როგორც მატიანეშია ჩატერილი. გასაგებია, მასალის ამგვარად გამოყენებისას ვახუშტი არ მიისწრაფვის სიტყვა-სიტყვით შეიიტანოს თავისს საისტორიო ნაშრომის ის დღიურისებური თხრობა, რომელიც დამახასიათებელია მატიანისთვის.

მაგრამ შეთქმულების ამბების დასაწყისიდან, უკეთ რომ ვთქვათ, მისი გარკვეული მომენტიდან მოყოლებული ვახუშტი სხვა მეთოდს მიმართავს — ისიც მატიანისებურად იწყებს ამბების გადმოცემას. ეს ცვლილება შეიმჩნევა ვახუშტის ისტორიაში 1576 წ. 30 ივლისის ამბების გადმოცემიდან.

აქამდის შეთქმულება და ათაბაგების მომხრე ხალხსაც ისტორიკოსი ერთნაირად მესამე პირებიდ იხსნიებს. მაგ., მატიანეში ვკითხულობთ: „სამწუბთ ლელეში დავდევით“, ვახუშტი კი წერს: „თვით (ათაბაგთა მომხრენი) მოვიდნენ და დასდგნენ სამწუც ლელესა შინა“ და სხვა ამგვარი. 30 ივლისის ამბებიდან მოყოლებული კი საკმაოდ დიდ მანძილზე ის პირველი პირით გადმოგვცემს ათაბაგების მომხრეთა მოქმედებას.



ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც პირველად შეამჩნია ვაჟა-ქუამი ტის ისტორიაში ეს ფაქტი (ამბების პირველი პირით გადმოცემი), ამზობს: „განმაციფრებელი და სრულებით მოულოდნელია ის გარემობა, რომ ზოგან ვახუშტის ისტორიის მოთხოვნაში მესხური მატიანის პირვანდელი სახე და დედანი უკეთესად არის შენახული, ვიდრე იმ ხელნაწერში, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია და რომელიც ოვით თავდაპირველ დედნად ითვლებათ“. ამ აზრის ნათელ-საყოფად ისტორიის თავისი „საისტორიო მწერლობის“ 273—275 გვერდებზე პარალელურად მოტანილი აქვს ვახუშტის ისტორიისა და „მესხური მატიანის“ შესატყვისი აღგილები და დაასკვნის, რომ „მესხური დავითის ხელნაწერი შეუძლებელია ვახუშტის წყაროდ ჰქონიდა, არამედ მას სხვა, უფრო სრული და წიგნებად დალაგებული ხელნაწერი ჰქონიათ“.

„მესხური მატიანის“ წიგნებად დალაგებულობის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. მ. შანიძის გამოკვლევით, წიგნებად დალაგებული უნდა ყოფილიყო დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნის“ ტექსტი და არა მესხური ქრონიკა. ასე რომ, ამაზე აქ იღარ შევჩერდებით.

მეორე, რასაც ყურადღება მიაქცია ყვალემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა, არის თვალსაჩინო განსხვავება მესხური მატიანის (S:947) ტექსტსა და ვახუშტის ისტორიაში თითქოს „სიტყვისიტყვით მოყვანილ“ ამონაწერებს შორის. ამის შესახებ ისტორიის იმზობს: „ცხადია, ალბათ თვით ვახუშტის მესხურ დავითის მატიანის დედანში ასე უნდა წერებულიყო, თორებ რო დასჯერებელია, რომ მას მოსაუბრის კილოთი დაწერილი დედნის ტექსტი შეეცვალა და იმდენად გადაეცეთებინა, რომ წემატიანე მონაწილედ გამოსულიყო“. „მაშასადამე, განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, ირკვევა, რომ ვახუშტის მესხურ დავითის მატიანის დედნითგან ზოჯვერ უფრო მეტი ცნობები აქვს, ვიდრე თვით შენახულ დავითის ხელნაწერშიათ“ (გვ. 274).

ასეთ დასკვნამდის ღვაწლმოსილი ისტორიები ვახუშტისადმი განუსაზღვრელმა ნდობამ მიიყვანა.

რაკი გამოთქმულია გარკვეული დაეპევბა ხელნაწერის S:947—„მესხური მატიანის“—ნუსხის დედნად ცნობის მიზართ და ჭამოყენებულია ვარაუდი სხვა, უკეთესი და, მაშასადამე, ნამდვილი დედნის არსებობის შესახებ, საჭიროდ დავინახეთ მესაძლებელი ყურადღებით. შეგვედარებია ერთმანეთისთვის S:947 და ვახუშტის ავტოგრაფაში ჩართული პირველი პირით მოტანილი ტექსტი.



ზემოთ აღნიშნული გვქონდა ოამდენიშე შემთხვევა, საკუთრივი განვითარების მიზანის ფაქტების აღნიშვნაში (თარიღები, საკუთრივი სახელები და სხვ.) განსხვავდება „მატიანის“ ტექსტისაგან. ეს განსხვავდანი სრულებით არ მეტყველებს ვახუშტის სასარგებლოდ.

განსაკუთრებით თეალსაჩინო განსხვავება სწორედ იმ ნაწილში, სადაც ვახუშტის თავის ისტორიაში პირველი პირით აქვს მოთხოვილი 1576 წლის მიხები. არ შევუდგებით ტექსტების მთლიანად შედარებას; აღვნიშნავთ მხოლოდ განსხვავებას გეოგრაფიული სახელშოდებებისა და პიროვნებითა საკუთარი სახელების გადმოცემაში:

მატიანე

ვახუშტი

„აცნობა თლადის ქუაბი-
დამა ბედანიშვილმა იასონ ბიდაშ შედანიშვილმან იასონ
ვარაზაშვილს კოკოლასა და მის აცნობა ვარაზას ძეს კოკოლას
ძმასა ლაშეკრასა და მის ბიძას და ძმასა მისსა და მის ბიძას
გურგაქსა.“.

„ხოლო ესენი თლდამის ქვა-
დამა ბედანიშვილმა იასონ ბიდაშ შედანიშვილმან იასონ
ვარაზაშვილს კოკოლასა და მის აცნობა ვარაზას ძეს კოკოლას
ძმასა ლაშეკრასა და მის ბიძას
გურგაქს და ლაშეკრთა“.

არ შევჩერდებით ვახუშტის წყიოთხვაზე: შედანიშვილმა. ამ სახელის დასაწყისი ასო „მატიანის“ ტექსტში (გვ. 15) მართლაც უფრო შ-ს წააგავს, ვიღრე ბ-ს, თუმცა ვახუშტის მომდევნო XVIII ს. ისტორიკოსები და ე. თაყაიშვილიც ამ სიტყვას ბედა-
ნიშვილად კითხულობენ (რაც მართებული ჩანს—სახელი ბედან
დღესაც ცოცხალია).

ოლადის ქუაბის თლდამის ქვაბად შეცვლა უმცველი შეცდო-
მა. პროფ. ს. ჯიქია თავისი კაპიტალური შრომის III ტომში
ისენინებს ოლდანის (ოლდამის) ქვაბს ხერთვისის ლივაში, ხოლო
ოლადას ქვაბს ჩრდილის ლივაში. ცხადია, ეს ორი სხვადასხვა
ადგილის ნდებარე სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილია²⁴. ისიც ნა-
თელია, რომ 1576 წლის შეთქმულების სამოქმედო არეში ზემა-
ვალი უნდა ყოფილიყო სწორედ მგელციხის ახლოს მდებარე ოლა-
დის ქუაბი.

კიდევ უფრო უცნაურია ვახუშტის ტექსტში კოკოლა [შა-
ლიკაშვილის] ვარაზაშვილის ძმის სახელის ლაშეკრას დაკარგდა და
გაჩენა ცნობის, თითქოს შეთქმულების დასაწყისში არა თუ მესხი

²⁴ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958,
გვ. 414 და 290, 291.



დიდებულების ზოგიერთ წარმომადგენელს (უმთავრესად ვარაზმისაც არის განკუთხული) აცნობეს შეთქმულების მეთაურებმა, არამედ აცნობეს **ლაშ-**
ქართაც. ცხადია, ადამიანის სახელი ლაშქარა აქ „ლაშქართა“-დ არის
შეცვლილი და მით „ნესტური მატიანის“ გარევეული ცნობა გიყალ-
ბებულია.

მაგრამ ჩავყვეთ ქვემოთ:

მატიანე

ვახუშტი

„დაეკაზმენს ხუთასამდე შეკაზმულნი და კაცი (შე-
კაცი და წამოვიდეს და ორთ- თქმულები) ორთვალის ხიდს, ბო-
ვალთვიდს გამოვიდეს; ბორგა გარს გამოვიდნენ“. მო-
ვოვიდეს“.

„მატიანის“ ბორგი გეოგრაფიული ადგილია. იგი აღნიშნუ-
ლია „გურჯისტანის ვილაიეთის“ III ტომისთვის დართულ რუ-
კაზე, როგორც არტაანის ლივის აღმოსავლეთ მიჯნაზე მდებარე
„ბორჯი“ (და „ზემო ბორჯი“). ვახუშტისთვის უცნობი ამ გეოგრა-
ფიული ადგილის სახელი მის თხრობაში დამახინჯებით ბოგირად
(ხიდს—ბორგის) არის გადმოცემული²⁵.

ასევე არ ეთანხმება „მატიანის“ ტექსტის „დარღვეულთ ხი-
ზანს“ ვახუშტის „რღვევის ხიზანი“; „მატიანის“ „ზემბადის შეის
ვახუშტის „ზემბრის ძე“, „მატიანის“ „შერანშაიანთ წყაროს“ ვა-
ხუშტის „შერმაზანის წყარო“, „მატიანის“ ვარნეთის ციხეს—ვა-
ხუშტის „ვარენთის ციხე“.

ბოლოს შევწერდებით „მატიანის“ ცნობისა და ვახუშტის
გადმოცემის კიდევ ერთ თვალსაჩინო განსხვავებაზე.

„მატიანის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტის უკანასკნელ (30)
გვერდზე ვკითხულობთ თაბაგების ერთ-ერთი მოწინააღმდეგის
ელია დიასამიძის მიერ დემოთიას ციხის ღალატით აღების ცნო-
ბას. ეს ცნობა ვახუშტის სულ სხვაგვარად აქვს გადმოცემული:

მატიანე

ვახუშტი

„დიასამიძემ ელია დემო- „დიასამიძე ელია დემოთის
თიას ციხეს საფალინშვილი სა- ციხეში საფალიშვილოს შეუყი-

²⁵ მედლიცის, ოლადა (დავთრის „ოლოდა“), ბორგი (დავთრის „ბორჯი“) შეთქმული მესხების მოქმედების არედ ჩანან, ისინი ერთმანეთის სიახლოეს მდებარეობენ. იხ. „დავთარი“, III, გვ. 414, 426, 535 და რუკა.

ღალატოდ შეუყენა. უღალა-
ტეს, ციხე წართუეს და ბევრი მრავალი და საფაროც დაიჭირა და
საქონელი და სალარო დაიჭი-
რეს".

როგორც ვხედავთ, აქ თავიდან ბოლომდის ყველაფერი შე-
ცვლილია. პირველი, რაც თვალში გვხვდება, შეცვლილია ფრაზის ლო-
გიკური აზრი: „მატიანის“ მიხედვით დემოთის ციხის ღალატით
აღების ინიციატორი არის ელია დიასამიძე; ის გზავნის თავის
კაცს, სავალინშვილს ციხის საღალატოდ.

გამუშტის გადმოცემით კი (ვიღაცებმა) „დიასამიძე ელია დე-
მოთის ციხეში სავალიშვილოს შეუყენეს“. სავალიშვილო, რომე-
ლიც ვამუშტისთვის ცნობილ ავალიშვილთა სამფლობელოდაა აქ
ნაგულისხმევი, „მატიანეში“ აქ არ ისენიება. ცხადია, ეს „გეოგ-
რაფიული“ სახელწოდება წარმოადგენს „მატიანეში“ მოხსენებუ-
ლი გვარის სავალინშვილის გადაკეთებას, უკეთ რომ ვთქვათ,
დამახინჯებას: „გურუჯისტანის ვილაიეთში“ ცნობილია გეოგრა-
ფიული სახელები (და ადგილი) სავანელის სახელწოდებით, ალ-
ნიშნული „გილაიეთის“ რუსაზე პეტრეს ლიკაში, შიდა ქართლის
მიჯნასთან. საფიქრებელია, რომ ამ ადგილის სახელისაგან უნდა
ყოფილიყო წარმოადგარი გვარი სავანილშვილი (სავანლიშვილი).

საყურადღებოა ამ პატარა ცნობის კიდევ ერთი დამახინჯე-
ბა — სალაროს ნაცვლად საფაროს მოხსენიება. ამ შემთხვევაში ნა-
თელია, რომ საფაროში ფ გაჩნდა სალაროს ლ-ს ადგილას. ნუ-
სხური ლ აღმეტულია აქ როგორც მისი შეგვესი ნუსხურივე ფ.

არ შეიძლება ორი აზრი გამოითქვას იმაზე, თუ ამ ორი
ტექსტიდან რომელი არის სწორი და რომელი წარმოადგენს აშ-
კარა დამახინჯებას.

დასკვნა

ვახუშტის სამცხე-კლარჯეთის ისტორიაში შესული მესხური
მატიანისეული ცნობებისა და თვით მესხური მატიანის ტექსტის
დამირისპირების შედეგად გამოირკვა:

ვახუშტის ისტორიის მატიანისეული მასალა, როგორც ეს
აკადემიკოსმა იყ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, განსხვავდება ცნობილი
დედნის, 8:947 ნუსხის მასალისაგან. შედარებაშ ცხადეყო, რომ
ვახუშტის ტექსტში მცდარადაა გადმოცემული პირთა და გეოგრა-
ფიული სახელწოდებანი; არ არის აგრეთვე სისტორით შეტანილ
ზოგიერთი თარიღი და ისტორიული ფაქტი.

S:947 ხელნაწერის მასალისა და ვახუშტის ისტორიის გვერდზე დატყვევის აღვილების დაპირისპირებამ გვიჩვენა დედნად ცნობილი ტექსტის უდავო უპირატესობა. ხელნაწერი და ვახუშტის ტექსტის შეტანილი ნაწყვეტები შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც პირველი წყარო ცუდად გადმომდებულ პირს.

ვახუშტის შრომაში შეპარული შეცდომების მიხედვით ცხადია, რომ სამცხე-კლარჯეთის ცხოვრების წერის დროს ისტორიკოსს არ უნდა ჰქონოდა ხელთ „მესხური მატიანის“ დედანი. ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ვახუშტის ცნობა (ავტოგრაფულ ნუსხაში), რომელიც მოწმობს, რომ ვახუშტის ნამდვილად უნახავს „დავითინი მესხური“, ხუთ წიგნად განყოფილი²⁶. როგორ უნდა შევუთანხმოთ ეს ცნობა ვახუშტის ტექსტის ასეთ დაშორებას S:947 დედნისაგან?

ამ შემთხვევაში იძულებული ვართ ვარაუდის გზას დავადგეთ.

ვახუშტის, უმეველია, უნახავს „მესხური დავითინი“ და მისთვის დართული ქრონიკა საქართველოში ყოფნის დროს. შესაძლოა ისტორიკოსს მაშინვე ამოეგრიფოს ამ წყარლადან ქრონოლოგიური ცნობები, რომელიც მნი თავის ძირითად ნაშრომს დაურთო. მაგრამ „მესხური ქრონიკის“ დედანი (S:947) ვახუშტის მოსკოვს ყოფნის დროს ხელთ არ ჰქონია.

ყველასათვის, ვინც ვახუშტის ისტორია-გეოგრაფიას უცნობს, ცხადია, რომ ისტორიკოსი იყენებს მდიდარ მასალას, რომლის ძირითადი ნაწილი პირადად მას ჰქონდა შეკრებილი საქართველოში ცხოვრების დროს.

მაგრამ, რაღაც ვახუშტის განზრაბული ჰქონდა ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა 1744 წლამდის მიეტანა, თვითონ კი საქართველოს მოშორებული იყო, 1724—1744 წწ. მასალებს ივი საქართველოში დარჩენილი პირებისაგან იღებდა. ამ მშეოთვარე ოციოდე წლის ამბების იღწევა ვახუშტის შრომაში განმაცვითებელი სისრულითა და სისწორითა წარმოდგენილი. ეს გარემოება მოწმობს, რომ ვახუშტის სანდო ინფორმაცია მოსდიოდა არა თუ ქართლ-კახეთიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან და ახალციხის საფაშოდანც.

ბუნებრივია, რომ ვახუშტი რომელიმე კორესპონდენტს დაივლებდა მისთვის ნაცნობი „მესხური დავითინისათვის“ დართული

²⁶ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 360; ვახუშტი, ბერძნიშვილის შესავალი, გვ. XXII.

მატიანის გადაწერას და მოსკოვს გადაგზავნას. ვახუშტის ტექსტის ტექსტის
შეპარული შეცდომები არ შეიძლება იყოს დიდი ისტორიკომასიათა
შეცდომები. ისინი, უკეთესად, მომდინარეობენ ძეგლის ცუდად
გადმოდებული პირიდან.

ამგვარად, ჩვენ იძულებული ვართ გადაჭრით უარესოთ ის
აზრი, თითქოს სამცხე-კლარჯეთის ცხოვრებისათვის ვახუშტის ხელთ
ჰქონდეს „უკეთესად შენახული დედანი“ და თითქოს ისტორი-
კოს იმ „დედნის ენაც ხელუხლებლივ“ შეენახოს.

მთხედავად „ისტორიაში“ დაუდევრად გადაღებული პირის
წყალობით შეპარული შეცდომებისა, ვახუშტის დიდი დამსახურება
მთებლების სამხრეთ საქართველოს XVI ს. ისტორიის ცარიელ
ფურცლებზე მატიანისეული მასალისა და სხვა სარწმუნო ცნობე-
ბის უხვად შეტანის საქმეში. ამ მხრივ მან სრულიად უვალი გზა
გაკათა.

ვახუშტის მომდევნო ისტორიკოსები XVIII ს. 60 წლ. კვალ-
დაკვალ მიყვნენ მას და რაკი მათ, სამშობლოში მომუშვეთ, შე-
საძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ გამოეყენებიათ მატიანის დე-
დანი, თითქმის შეუცდომლად დაიცვეს S:947 ხელნაწერის ტექსტი.

დასასრულ, უნდა ვთქვათ, რომ მთელი ეს შედარებისა და
დაპირისისირების მუშაობა არ შეგვეძლო თავიდან აგვეცილებინა,
რაღან არსებობდა დიდად ავტორიტეტული ისტორიკოსს გა-
რევებით გამოთქმული დაეჭვება: არის თუ არა ხელნაწერი S:947
მესხური მატიანის ერთადერთი დედანი, თუ დედნად უნდა ჩა-
ვთვალოთ სხვა ნუსხა, რომელიც ხელთ ჰქონია ვახუშტის მოსკოვს,
1742—1745 წლ.

ვინ არის „მესხური მატიანის“ ავტორი

საქართველოს ისტორიის მეცნიერებართაგან პირველად თ. ქორ-
დანიამ გამოთქვა აზრი „მესხური მატიანის“ ავტორის ვინაობაზე.
„მუხრან-ბატონის გვაროვნობითი შტოს“ ტაბულაზე (ქრონიკები,
II, გვ. 527) მას ოღნიშნული აქვს:

„დედისიმედი, აღმწერი „მესხურის დავითნის ქრონიკისა“,
გათხოვდა ქაიხოსრო ათაბაგზე 1545 წ. და ცოცხალი იყო
1587 წ.“.

თ. ქორდანიას ამ აზრის დასაბუთებისათვის არის მიძღვნილი
ს. კაკაბაძის პატარა ნარკევევი „ვინაობა მესხური დავითნის ქრო-
ნიკის ავტორისა“ (თბ. 1912).

ე. თაყაიშვილი, რომელმაც ორჯერ გამოსცა მატიანის ტექსტი (1890 წ. ქართულად, 1900 წ.—რუსულად, მრავალი ქრისტიანი ნიშვნით), კატეგორიულ დასკვნას თავს არიდებს და მთხუალდ ერთგან, ხელნაშერის 14 გვ. მარცხენა ნაპირზე მიწერილი სახელის: „ზაქარია“-ს შესახებ ფრთხილად შენიშნავს „He он же автор этой записи?“ (ე. თ., რუს. გ-მა, გვ. 191).

მესამე, ასეთივე არაკატეგორიული ვარაუდი გამოთქმული აქვს ივ. ჯავახიშვილს: მას შესაძლებლად მიაჩინა, რომ მეტატიანე იყოს ქაიხოსრო თაბაგისა და დედისიმედის შეილისშვილი ქაიხოსრო ყვარყვარეს ძე („მესხური დავითნის მატიანის ავტორად, უკანასკნელი ნაწილისა მაინც, ქაიხოსრო ყოფილა, ყვარყვარეს ძე“)²⁷.

არსებობს აგრეთვე მესხური მატიანის ყველა მკვლევრის ზოგადად და ერთმანეთთან თანხმობით გამოთქმული აზრი (დ. ბაქრაძის—1889 წ., თ. უორდანიასი—1890 წ., ე. თაყაიშვილისა—1890 წ., ს. კაკაბაძის—1912 წ., ივ. ჯავახიშვილისა—1918—1920), რომ „ავტორი თანამედროვე ყოფილა, ამასთანავე თვით სამცხის ათაბაგების გვარისშვილი“²⁸.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ხსენებულ ავტორთა ვარაუდი.

ამჟამად ზედმეტია იმ საყოველთაოდ მიღებული აზრის დასაბუთება, რომ „მატიანის“ ავტორი უეჭვილად უნდა იყოს აღწერილი ამბების თანამედროვე და, ჩენ დავუშატებდით, ხშირად მონაშილეც.

რაც შეეხება მის „სამცხის ათაბაგების გვარიშვილობას“, ამაზე ქვემოთ გვიქნება საუბარი.

დავიწყოთ უპირველეს ყოვლისა ისტორიკოს თ. უორდანის მოსახრებიდან, რომ „მესხურის დავითნის ქრონიკის“ აღმწერი დედისიმედი უნდა იყოს.

მატიანის ისტორიული ამბების გადმოცემისას თითქმის ყველან ჩანს პირველი პირით მოსაუბრე ადამიანი, რომელიც ზოგან ამ ამბების მონაშილედაც გამოდის. შეიძლება თუ არა იყოს ის ქაიხოსრო ათაბაგის (გარდაიცვ. 1573) შეულევ დედისიმედი?

დედისიმედის ავტორობა თითქოს უეჭვილი ხდება „მატიანის“ იმ ადგილებიდან, რომელიც ს. კაკაბაძეს აქვს მითითებული, განსაკუთრებით შემდეგი ორი ადგილიდან: ქაიხოსრო-დედის-

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, „მესხური დავითნის მატიანე“, გვ. 276.

²⁸ იქვე, გვ. 272.

იმედის ვაჟი თვალშევნიერი „საყაზმისოდ“ მიჰყავთ. ს. ვანაზიანი
დის მას აცილებენ დედა და ძმები: „ვანაზიიდამ გავიყარენ ქადაგითაც
დედა-ძმანი და ლაშქარნიო“ — ამბობს მემატიანე (გვ. 12). თუ ამის
თქმა ერთნაირი უფლებით შეგვიძლია მივაწეროთ არათუ დედას
და ერთ-ერთ ძმას, არამედ ლაშქარში მყოფად ნაგულისხმევ მე-
სამე, უცნობ პიროვნებას, მატიანეში მაინც რჩება ერთი ადგილი,
სადაც აეტორად მხოლოდ დედისიმედი უნდა ვიგულისხმოთ. მა-
ტიანის 29-ე გვერდზე გვითხულობთ:

„ამავე ქრონიკას [159] მარიამბისთუმს ოთხს პატრონი
არჩიოლ მობრძანდა აწყუშს. დიდის ხნის უნახვნი და-ძმანი შევი-
ყარენით. ლვინობისთუმს წაბრძანდა“.

აქ ორი პიროვნებაა მოხსენებული: დედისიმედი და მისი
„დიდისნის უნახვი“ ძმა არჩიოლ მუხრანბატონი.

პირველი პირით ნათქვამი „დიდიხნის უნახვნი და-ძმანი შე-
ვიყარენით“ უნდა ეკუთვნოდეს ან დას — დედისიმედს, ან ძმას —
არჩიოლს. მაგრამ ამის თქმა სრულებით არ შეგვიძლია მივაწეროთ
არჩიოლ მუხრანბატონს, რომელიც მთელი ათეული წლის განმავლო-
ბაში ირანს იმყოფებოდა. საათაბაგოს ამბების მემატიანობას, იგი,
რა თქმა უნდა, ვერ გასწევდა. თვით მომდევნო ტექსტიდან ჩანს,
რომ არჩიოლი მესამე პირია და არა პირველი: „ლუინობისთუმს
(არჩიოლ) წაბრძანდა“ — ვკითხულობთ მატიანეში (გვ. 29). ხოლო
ქვემოთ, უშუალოდ ამ ფრაზის შემდეგ, ჩაწერილია არჩიოლის გარდა-
ცვალების ცნობა 1581 წლის თარიღით.

მატიანის ეს ადგილი სრულიად სამართლიანად გამოყენებუ-
ლია როგორც დედისიმედის აეტორობის დამადასტურებელი ექვ-
მიუტანელი ცნობა²⁹.

დედისიმედის აეტორობის სასარგებლოდ მატიანეში სხვა
ნიშნებიც მეტყველებს: ქაიხოსრო-დედისიმედის ერთი უფროსი ვაჟ-
თაგანის — მზეჭაბუკის — გარდაცვალების ცნობა მატიანეში ვრცელ-
დაა მოთხოვილი; იგი (ცნობა) მზეჭაბუკის ერთგვარ ნეკროლოგს
წარმოადგენს. აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „იანეარსა ია.
დღესა პარასკევსა, დღისით, ეამსა ვ გარისხდა ღმერთი მისის
მშობლისათვის და პატრონი მზეჭაბუკ მიიცვალა ამიერ სოფლით“.
ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს სიტყვები — „გარისხდა ღმერთი
მისი მშობლისათვის“ — სხვას ვისმე ეთქვას და არა თვით მზეჭაბუ-

²⁹ ს. კაკაბაძე, ვინაობა მესური ქრონიკის ავტორისა, ტფ., 1912,
83. 4.

კის დედას—დედისიმედს. „ღვთის რისხვა“ იმდენად მკვეთრ გამონათქმაში წარმოადგენს, რომ ათაბაგის ამავ მეულლესა და კურონის მეფების ჩამომავალ დედისიმედს ამას ცერავინ ჰყადრებდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა დედისიმედის მეორე ვაჟის, თორმეტი წლის იანქოს გარდაცვალების ცნობა, შეტანილი მატრიანის მე-13 გვერდზე²⁰: „მარტის კ, დღესა კურიაკესა, უამსა მწუხრისასა, ქუსა სხვ (1575), მთუარესა ცხრასა, გარისხდა ლმერთი ცამდი ამალებულისა კელმწიფის შვილისა, დაკარგულის დიდის ათაბაგის შვილისა, თუალ-პირ-სამოთხისა, ლამაზად შესახედავ-წარმოსადგეისა, [ახლისა] სამოთხის ყუავილისა, ორის სახელ-მწიფოს შვილისა, პატრიონის იანქოსაგან ლმერთი გარისხდა და დაუდგეს მის მშობელს დად[ა]გ[ული] თვალები...“.

ამ ჩანაწერში გარკვევით ისმის საყვარელი შვილის დაკარგვით გულმოკლული დედის მწარე მოთქმა („დაუდგეს მის მშობელს დადაგული თვალები“).

ამავე დროს ჩანაწერში მეღავნდება დედისიმედისათვის დამახასიათებელი სიამაყე და გულზიადობა, რომლის ნიმუშსაც წარმოადგენს მატრიანის გვერდებზე (10—11—12) მოთავსებული მოსახსენებლები—მუხრან-ბატონებისა, დედისიმედის მამა-ბიძათა და დედისიმედის ქმრისა—ქაიხოსრო ათაბაგისა. ასეთივე სტილით (შესხმით, ზეიადი სტილით) არის დაწერილი დედისიმედისული წარწერა ვალეს ეკლესიის კედელზე.

ცხადია, ყველა ეს ჩანაწერი და წარწერა დედისიმედის შთაგონებით ან პირდაპირი კარნახით დაწერილად უნდა ჩიეთვალოთ.

„მატრიანეში“, საერთოდ, ჩაღად ჩანს დედისიმედის ენერგიული პიროვნება. 1561 წლიდან მას ეხედავთ მრავალშვილიან დედად, რომელიც განაგრძობს შვილოსნობას და 1561, 1563, 1564 წლებში კიდევ თასი ვაჟის მშობელი ხდება.

დედისიმედი მზრუნველი დედაა. მოვიგონოთ „ცხელებით“ ავადმყოფი დედისიმედის [მოაბით] გამზგავრება საფარას საბურთეს ამავე მოარული სენით დაავადებული შვილის, ბერის ბასილის მოსავლელად და მისი ლრმა მწუხარება შვილების დაკარგვის გამო.

მაგრამ დედისიმედი არ სჯერდება მზრუნველი დედის როლს. იყი პოლიტიკური ამბების მონაწილეც არის და ზოგჯერ დამოუკიდებლად აწარმოებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მო-

²⁰ ამ ცნობის ზოგიერთი სიტყვა, ტექსტის დაზიანების გამო, აღარ იკითხება. ჩვენ, აზრის მიხედვით, აღვადგინეთ ეს სიტყვები. იხ. ტექსტი, გვ. 13.

ლაპარაკებას (ლალა-ფაშასთან, გვ. 25). როცა ლალა-ფაშა გა
იტყუებს დედისიმედის უფროს ვაჟს ყვარყვარე ათაბავს და მრავალი ცხადი
ტყებით სტამბოლამდის მიმყავს, დედისიმედი ამ ამბავს მხნედ
შეხვდება: „წიუღა პატრონი დედისიმედი, ჯაყამდის სდია (ყვარ-
ყვარეს); ვერ მიეწია; აზნაურიშვილები წაუყენა, ვეღარ დაბრუნვა“
ვკითხულობთ მატიანეში (გვ. 25).

როცა ლალა-ფაშას დიდი ლაშქრობის შედეგად სამცხის ბედი
მთლად მიიწურა, დედისიმედი თავის შვილიშვილთან, ქაიხოსრო
ყვარყვარეს ძესთან ერთად სულ ბოლომდის მარტოდმარტო რჩება.
საათაბაგში და უკანასკნელი ტოვებს სამცხეს.

ქმრის სიკვდილის შემდეგ შემონაზენებული დედისიმედ-ყო-
ფილი დებორას მხნეობა იქამდის მიღის, რომ სამცხის დიდებუ-
ლების ცნობილი აჯანყების დროს (1576—1578 წწ.) იგი პირადად
აწარმოებს სამხედრო მოქმედებას თავისი თორმეტი წლის შვილ-
თან, ბექასთან ერთად: „პატრონი დედისიმედი და ბატონი ბექა
ყუშლს მოადგეს“ ვკითხულობთ „მატიანეში“. დედისიმედის ეს სა-
მხედრო ოპერაცია წარმატებით მთავრდება: მესამე დღეს დედის-
იმედმა და ბექამ ყველი წართვეს მოწინააღმდეგეთ (გვ. 19).

დედისიმედი სურსათ-სანვაგით ამარაგებს ათაბაგებისაგან
დაპყრობილ თმოვვის ციხეს (გვ. 20) და ამავე დროს ყაზვინს
მყოფ თვალშევნიერთან სასწრაფოდ გზავნის ელჩის ხელით სა-
ინფორმაციო ცნობებს.

ყოველივე აქ თქმული მოწმობს, რომ დედისიმედი, რომე-
ლიც ისტორიკოსის მიერ დახასიათებულია, როგორც „ამაყი,
გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი“ (ვახშტი, გვ. 248), მიუხედა-
ვად ამ უარყოფითი თვისებებისა, თავისი ენერგიითა და გაბედუ-
ლებით უშეველად შესანიშნავი ქალი ყოფილა. ბუნებრივი იქნება
ვირწმუნოთ, რომ მატიანეში მისი სახელით ჩაწერილი
ცნობები ან თვითონ მას უნდა ჩაეწერა, ან მისი პირადი მონა-
წილეობით და კარნახით შეეტანა მწერალს.

შესხური მატიანის მწერალი. როცა მესხური მა-
ტიანის ტექსტის ხელზე გვეკონდა მსჯელობა, აღნიშნული იყო,
რომ მატიანის ჩვენამდის მოღწეული ტექსტი თავიდან ბოლომდის
ნუსხური ხელით არის დაწერილი. მაგრამ ეს ნუსხური ხელი ერ-
თისა და იმავე მწერლის ხელი არ არის. გამოირკვა, რომ ცუდა-
ექვსი წლის განმავლობაში მატიანის ჩამწერნი ექვსჯერ მაინც შე-
ცვლილა. ტექსტის ჩანაწერზე ექვს გადამწერზე არანაკლებს უმუ-
შავნია. როგორც ზემოთ ვთქვით, მატიანის ხელის ასეთი ნაირობა

უეპველად მნიშვნელოვანია მისი ავტოგრაფულობის საკითხის გა-
დაქრისათვის. ჩვენ ძალაში ვტოვებთ ე. თაყაიშვილის დაქავშირებული-
მატიანის ტექსტის დედნობის შესახებ და ამასთან დაკავშირებული-
დასაბუთებაც სავსებით მისიღებად მიგვაჩნია. მაგრამ, „მესტური
მატიანის“ ხელის ნაირობა უდავოდ იმის მაჩვენებელია, რომ ცნო-
ბების ჩამწერი ერთი და ივივე პირი არ ყოფილა.

რაյო ჩვენ დავადგინეთ, რომ მატიანის გარკვეული მასალა დე-
დისიმედის მონაწილეობისა და, შეიძლება ითქვას, ივტორობის უქმ-
ველ კვალს ატარებს, გასარკვევია: „შევიძლია თუ არა „მატიანის“
ყველა ნაწილის ივტორიდ, ანუ მატიანეში შეტანილი ყველა ცნო-
ბის ავტორად ჩავთვალოთ დედისიმედი?

უნდა ითქვას, რომ მატიანის ტექსტში მოიძებნება არა ერთი
ადგილი, რომლის ავტორობა არ შევიძლია მიეძრეროთ დედის-
იმედს. მაგალითად, ავილოთ დედისიმედის ვაჟების ყვარეყვარესი
და მანუჩარის და მათი ბიძაშვილის ერეკლე მუხნარ-ბატონის
ყენთან ელჩის გასაგზავნად მგელ-ციხეს გამგზავრების, მესხ
დიდგვარიანთა ამასთან დაკავშირებული შეთქმულების გამო-
მულავნებისა და მომდევნო ხანგრძლივი შინაური შეოთის ამბები,
მოთავსებული 14--26 გვ.

აქ დასაწყისიდანვე ჩანს, რომ პირადად დედისიმედი არ მო-
ნაწილეობს მგელციხეს გამგზავრებასა და შეთქმულებთან ბრძო-
ლის პირველ ამბებში. მემატიანე სახელდებით აღნიშნავს საპატიო
პირებს—„ათაბაგი პატრონი ყ[უ]არყყ[უ]არე და მმა მათი პატრონი
მანუჩარ და ბიძაშვილი მათი მეფის შეილი (!) პატრონი ჰერ[ი]კლე
მგელციხეს წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნელადო“. ძნელი სა-
ფიქრებელია, რომ ამ ლაშქრობაში დედისიმედსაც მიეღოს მონა-
წილეობა და ეს გარემოება არ ყოფილიყოს აღნიშნული მისი სა-
ხელის მოხსენიებით ყვარეყვარეს, მანუჩარისა და ერეკლე მუხნარ-
ბატონის სახელის გვერდით.

შემდგომი ჩანაწერებიც, როგორც ქვემოთ დაინიაზათ, მხარს
უჭერენ ამ მოხაზრებას. საყურადღებოა, რომ თვითონ მემატიანე,
რომელსაც აუწერია (და დაუწერია) ეს ამბები, პირადად მონა-
წილეობს ამ ამბებში. მატიანის სწორედ ამ ნაწილს იმოწმებენ
მეკლევარნი იმის დასამტკიცებლად, რომ ავტორს „თვით მიუღია
მონაწილეობა მის მიერ მოთხოვობილ საქმეებში“ (ე. თაყაიშვილი).
მართლაც, აქ მრავალ იდგილას მეღლავნდება მემატიანის მონაწი-
ლეობა მიმღინარე ამბებში: „სამწუბთ ლელეში დავდეგით“, „მი-
ვედით ზედა-თმოგუს და თმოგუის ქალაქი მოვარბიეთ“. ეჭვს გა-

რეშეა, ავტორი ამ ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილეა, მაგრამ ამბების თხრობის სწორედ ამავე ადგილას სრული სიცხადით ჩანსკორეზეა რომ ეს ავტორი დედისი მედი არ არის. მემატიანე მოგვითხრობს: „მივედით ზედა თმოგუს და თმოგუს ქალაქი მოვარბიეთ და იქივე ზედა-თმოგუს ამოვედით და პატრონი დედა მათი, დედისიმედ-ყოფილი დებორა იქ მოვიდა“.

საქე ის კი არ არის, რომ ამბის მთქმელი დედისიმედს აქ მე-სამე პირით იხსენიებს („დედისიმედ-ყოფილი დებორა იქ მოვი-და“), ასეთი მანერა—თავისთავზე შესამე პირით მოთხრობა—შე-იძლება თვით ავტორსაც ჰქონოდა. საქმე ისაა, რომ სხვა ჩანს ამბის მთქმელი და სხვაა დედისიმედი. როცა მემატიანე ყვარყეა-რესთან, მანუჩარსა და ერეკლესთან იმყოფება და, როგორც მთელი ამ ლაშქრობის მონაწილე, მოგვითხრობს „მივედით“, „მოვარ-ბიეთ“, „ზედა თმოგუს ამოვედითო“, იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბატონების დედა „იქ მივიდა“.

ქვემოთ გრძელდება თხრობა, რომელიც ათაბაგთა ბრძოლის წარმატებით მიმდინარეობას გაღმოვცემს. აქაც მრავლადა გა-ბნეული პირველი პირის ზმები: „იერიშით ივიღეთ“, „ავიყარე-ნით“, „ჩაუდეგით“, „შემოვიწყუშნით“, „ამოვედით“, „კარჭას დავდეგით“, „ჰერაკლე შევკაზეთ“, „ჩაუხედით“, „დავწვით“, „ამოვსწყუიდეთ“ და მისთანანი, რაც უმჭველად გვიჩვენებს მემა-ტრანის მონაწილეობას მიმდინარე ამბებში—და აი აქ, ერთ აღგი-ლას (გვ. 20) ავტორი ამბობს:

„ბატონი ყრყურე და ბატონი მანუჩარ ახალციხეს წამოვი-და“. (კხადია, თვით მთქმელიც (თუ დამწერი) ან ყვარყეარესა და მანუჩართან ერთად „წამოსულა“ ახალციხეს ან ახალციხეს მყოფი ჯვეუბნება ამას—წამოვიდათ და ამავე დროს დასძენს:

„და ბატონი დედისიმედი თმოგუს დალგა“ (გვ. 20).

აქ დედისიმედი და მემატიანე ერთდროულად სრულიად სხვა-დასხვა აღვილს შეოფად წარმოვგიდგება: მემატიანე ახალციხეს ან ახალციხის მიმართულებით იმყოფება და სწორედ ამ დროს დედის-იმედი თმოგეს არის დამდგარი.

მემატიანისა და დედისიმედის, ასე ვთქვათ, გათიშვა კიდევ უფრო უმჭველი ხდება რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ, საღაც ვკითხულობთ: „პატრონი დედისიმედი ახალციხეს შვილებთან მო-ვიდა“ (გვ. 20).

ასე რომ, „ქრონიკის“ გარკვეული აღგილების მიხედვით, მე-მატიანე და დედისიმედი სხვადასხვა პირები არიან; ისინი სხვა-

დასხვა აღგილის იმყოფებიან და მოქმედობენ. ეს გარემოება ფერის ტიპის მატიანე მარტო ერთი პირის არა რეალური რობით დაწერილი ქრონიკა არ არის.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა თუ ვისი ხელით, ან ვისი ავტორობით არის ჩაშერილი ქრონოლოგიური ცნობები ათაბაგების სახლში დაბადებულ ან გარდაცვლილ ქალვაეთა შესახებ. ეს ცნობები დიდი ხნით გამტკიცებული წესით იწერება დაბადების აღგილის, წლის, თვის, დღის, შვიდეულის დღის, დღის უამისა (დღისით დაიბადა თუ ლამით) და საათის აღნიშვნით.

სულ სხვაა გარკვევა—ვის ეკუთხის ისტორიულ პიროვნებათა დახასიათება და ისტორიული ამბების გადმოცემა.

„მატიანეში“ შეტანილია ქიხებოსრო-დედისიმედის ორი ვაჟის—მზეპაბუკისა (გარდ. 1572) და საბა-იანქოს გარდაცვალებასთან (1575) და ევშირებით ჩაშერილი მოსახსენებლები, რომელთაც ჩვენ ნეკროლოგები ვუწოდეთ.

როგორც აღნიშნული იყო, ერთიც და მეორეც დედისიმედის ავტორობის კვალს ატარებს. ამავე დროს ამ ორი ნეკროლოგის ტექსტი სხვადასხვა ხელითაა დაწერილი. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვითიქროთ, რომ „მესხური მატიანის“ ტექსტი, სადაც ექვსი სხვადასხვა (ნუსხური) ხელი შეიმჩნევა, მხოლოდ გარკვეული შეზღუდვით თუ ჩაითვლება ავთოგრაფად. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ჩანაშერი ერთგვარი რედაქტირითაა შეტანილი მატიანეში; ეს „რედაქტორი“ (ზოგჯერ მოკარნახე) უცვლელად ათაბაგების თვალსაზრისისა და ინტერესების მოდარაჯე-ჭარმომადგენელია. იგი 1561 წლიდან (ჩვენამდის მოლწეული ტექსტის პირველი ჩანაშერის თარიღი) 1587 წლამდის, ე. ი. „მატიანის“ ბოლომდის მისდევს ტექსტში ამბების შეტანას.

როგორც ეს ე. თაყაიშვილმა აღნიშნა, ამბების შეტანა „მატიანეში“ ჭარმოებს დღიურისებურად, მათი მიმდინარეობის კვალობაზე. მაგალითად, ე. თაყაიშვილი მიგვითოებს, რომ თვალშვერის ყაზინის გაგზავნის მოთხრობის გადმოცემის ბოლოს მემატიანე ამბობს: „ამას უკანანდელი საქმე ღმერთზე ჰკიდია“ და დაასკვნის—ამბები უშუალოდ მათი მსვლელობის პროცესში იწერებათ. გამონაკლისის სახით გვაქვს რიგი შემთხვევები, როცა ამბავი სამსრეთ საქართველოს გარეთ (ოდიშს) ან შორეულ უცხოეთში (ყაზინი, კონსტანტინოპოლი, ხუარასანი) მომხდარა და მოგვიანებით აღწევს მემატიანემდის. ამის გამო, ქრონოლოგიური

შესის დაცვის მიზნით, ისინი სტრიქონებს შუა ან ხელნაწერის გვერდების კიდეებზე იწერება.

საეჭვოა, რომ თავიდან ბოლომდის ნუსხური ხელით შესრულებული მატიანის რომელიმე ნაწილის ჩამწერი დედისიმედი იყოს. საჭმე ის არის, რომ XV—XVI სს. არისტოკრატიულ ოჯახებში გამეფებული იყო მხედრული დამწერლობა, ხოლო ნუსხური („ხუცური“) ხელით წერა მხოლოდ სამღვდელოების საქმედ იყო ქვეული. თვით საქართველოს კათალიკოსებიც კი მხედრული ასოებით აწერენ ხელს მნიშვნელოვან საბუთებს. ჩვენ ეხედავთ, რომ მცხეთის XV—XVI სს. საბუთების დიდი ნაწილი მხედრული ხელითაა დაწერილი. მხედრული და ნუსხა-ხუცური ხელი მკვეთრადაა გამიჯნული. ეს უკანასკნელი ერისკაცთა წრეში უფრო ხშირი და მთლად დავიწყებულია.

ხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებას თავისთავად მივყევართ იმ დასკვნამდის, რომ მატიანის ცნობების ჩაწერას აწარმოებდენ ათაბაგთა სახლის კარზე მყოფი სამღვდელო პირები. ჩვენ ვიცით, რომ არა მარტო ათაბაგთა, არამედ სხვა, უფრო მომცრო ფეოდალთა სახლშიაც, როგორც წესი, წარმოებდა სახლის წევრების დაბადება-გარდაცვალებისა და, ზოგჯერ, სხვა ღირსშესანიშნავი ამბების აღნუსხვა. ამ წესმა XIX საუკუნემდის მოაღწია; იგი ამ საუკუნის I ნახევარშიაც არ იყო მოშლილი, რასაც მოწმობს ათეული ხელნაწერების მინაწერები. აღრინდელი საოჯახო ქრონიკები ჩვენ დრომდის უმეტეს ნაწილად მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი ფრაგმენტების სახითაა მოლწეული.

საყურადღებოა, რომ ორი ასეთი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი—ათაბაგთა სახლის ქრონიკა—„დავითნის“ ბოლოში საგანგმოდ დაუშერელად დატოვებულ ფურცლებზეა მოთავსებული (H: 1717 და S: 947). ერთიც და მეორეც — ყვარყვარე დიდის სახლის წევრთა ქრონიკაც და ქაიხოსრო-დედისიმედისა და მთლად საათაბაგოს 1550—1587 წწ. მშეოთვარე თავგადასავალიც დაწერილია ნუსხა-ხუცური ხელით. ჩანს, ესეც საუკუნეებით დამკვიდრებული ტრადიცია ყოფილა. მაგრამ ჩაწერისათვის თვალყურის მაღევარობა, ზოგჯერ მოკარნახეობაც კი, ყველა ნიშნით, თვით სახლის წევრს ჰკუთნებია. ამის მაჩვენებელია ის აღგილები, სადაც თხრობა დედისიმედ-ყოფილი დებორას სახელით წარმოებს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩამწერის პიროვნება მთლად უმნიშვნელო და პასიური ყოფილიყოს. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ზაქარიას შესახებ, რომლის სახელიც მატიანის მე-14 გვერდის

ზემო ნაწილში, საქართვისად ფართოდ დატოვებულ მარცხენა ნაპირზე, მომსხო, მკაფიო ნუსხურით არის მიწერილი. ორგვერი ითქვა, ამ ზაქარიას ხელით დაწერილია მატიანის 21 (9—30) გვერდის დიდი ნაწილი. ეს ხელი ჩანს თითქმის ყველა გვერდზე, 10, 28—29—30 გვ. გამოკლებით; მთლიანად ამ ხელით არის დაწერილი 12—27 გვ. და 28 გვ. პირველი სტრიქონის დასაწყისი ორი სიტყვაც: [მახარ]ობელი მოვიდა.

მთელი ჩვენი მსჯელობა ნუსხური (ხუცური) ხელის ხმარების ვიწრო, სამღვდელო-საეკლესიო ფარგლების შესახებ გვაიძულებს ზაქარიას ვინაობა სამღვდელოთა შორის ვეძიოთ; ამას უჭერს მხარს მისი სახელის „ზაქარია“ კენტად, ყოველგვარი ტიტულატურის გარეშე მოხსენიება.

საკითხავია, შეიძლება თუ არა მივაკუთვნოთ ზაქარია ათა-ბაგების სახლს? ვფიქრობთ, რომ არა. თვითონ ის თავის თავს „ბატონებსა“ და „პატრონებში“ არ რეცს, თუმცა, თითქმის, განუყრელად ახლავს მათ ყოველ ექსპედიციასა („ყავნითან ელჩის გასაგზებელად“ 1576 წლის ივნისში) და ლაშქრობაში.

როგორც ვიცით, ყანდურალი დოლენჯიშვილმა ათაბაგების საწინააღმდეგო შეთქმულების ამბავი აცნობა ათაბაგს ყვარყვარეს, მის ძმას—მანუჩარსა და ბიძაშვილს ერეკლე მუხრანბატონს, რომ-ლებიც სამწუბთ-ლელეში იდგნენ (გვ. 14). ამ დროს აქ მათთან ერთად მემატიანეც იმყოფებოდა („სამწუბთ ლელეში დავდეგით“). მემატიანე ამბობს:

„წამოვიდა ყანდურალი, აცნობად ბატონებსა“, „ადგეს ბატონები და, ვინც იყო, დაეკაზმეს, ოცამდე შეკაზმული კაცი იყო. ბარგი აჰკიდეს; დიდხან იქივ იზრუნეს...უკმოდგეს ოჯერთ თავს სიმაგრესა“. „გაემართნეს პატრონი ყუარყუარე და პატრონი მანუჩარ და ჟერაკლე... და მივედით თმოგუს“.

ასე მიმდინარეობს ამ ექსპედიციისა და შემდეგ ლაშქრობის ამბავი ბოლომდის. მემატიანე პარეგელი პირით მოგვითხოვს, ხა-დაც ზოგადად გადმიგვცემს ათაბაგებისა და მათი მომხრე ლაშქ-რისა თუ ადამიანების მოქმედების აზგებს, შაგრამ ბატონებს ყველებან მესამე პირით იხსენიებს.

ზემოთქმულის მიხედვით ზაქარია უნდა ჩაეთვალოთ ათაბა-გების სახლთან მეტად ახლოს მდგომ სასულიერო პირად, რომე-ლიც ჭირსა თუ ლხინში თითქმის განუყრელად ახლავს მათ (ყვარ-ყვარეს, მანუჩარს; განსაკუთრებით, დედისიმედს) და სხვა, ჩვენ-თვის უცნობ მოვალეობათა შესრულების გარდა მდივნისა და მე-მატიანის მოვალეობასაც ასრულებს.

ქრონიკოგიურ-გენეალოგიური შენიშვნები

1. უვარევარე II-ის ათაბაგობის წლები ვახუშტის მიხედვით

აყადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნში აღნიშნავს: „[ვახუშტის] ქრონიკოგიური ცნობები ამ დროს (იგულისხმება 1466—1502 წწ.—ქ. შ.) სამცხის ათაბაგთა შესახებ ათონის [კრებულის]... [აღაბების] უტყუარ წყაროს სრულებით არ უდგება“¹ (გვ. 147, 1948 წ. გ-მა).

მართლაც, დავიწყოთ ყვარყვარე II-თი², რომელიც ვახუშტის მიხედვით იყო ბიძა, თ. ეორდანიას მიხედვით კი ძმა 1451 წ. გარდაცვლილი აღმულა ათაბაგისა (აღმულა II-ის). ვახუშტის ცნობით ყვარყვარე გაათაბაგდა (1451 წ.) უკანონოდ, აღმულას ძის— ყვარყვარეს ნაცვლად:

„მოკუდა რა ათაბაგი აღმულა... ბიძამან აღმულასამან ყვარყვარემ მოიბირნა მესხნი და ვაზირნი გიორგი მეფისანი და იქმნა გიორგი მეფისაგან, შეწევნითა ვაზირთათა, ათაბაგად“³—1451².

ვახუშტისავე მიხედვით ეს ყვარყვარე, თითქოს, 1466 წ. გარდაიცვალა:

„მოკუდა ყვარყვარე ქს ჩუხე“ (ვახუშტი, გვ. 235).

ყვარყვარე II-ის 1466 წ. სიკვდილის ცნობა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არის ვახუშტის პირველი შეცდომა, რომელსაც მისდევს მისი მეორე, მესამე და სხვა მცდარი ცნობა ათაბაგების თანამიმდევრობისა და მათი გაათაბაგების თარიღების შესახებ (1466—1502 წწ.).

იმავე ვახუშტის ცნობით, 1466 წ. გარდაცვლილი ყვარყვარე II-ის შემდეგ დაჯდა ძე ყვარყვარესი ათაბაგად ბაადურ (1466 წ.)³.

ყვარყვარე II-ის ძის ბაადურის სიკვდილის ვახუშტისეული თარიღი მხოლოდ ერთი წლით განსხვავდება ყვარყვარე ათაბაგის ამ მესამე ვაჟის (არა ათაბაგის) გარდაცვალების ნამდვიდლი თარიღისაგან:

¹ აქ არაფერს ვამბობთ სარგის II (გარდაიც. 1334 წ.) ძის ყვარყვარე I-ლის შესახებ. ეს ყვარყვარე ჩვენი ქრონიკლოგიური მიჯნის იქით არის.

² ვახუშტი, ისტორია, II, 1913, გვ. 234.

³ იქვე, გვ. 236. საყურადღებოა, ვახუშტიმ იცის, რომ ბაადური ყვარყვარე II-ის ძე არის.



„მოკუდა... ბაადურ ათაბაგი წლისა ქა, ქს ჩუოე“ (1475) და „შემდგომად ბაადურისა დაჯდა ათაბაგად მანუჩარ, ძე ყვარლყვა-რესივე და ძმა ბაადურისა“ (1475)¹.

მანუჩარის სიკვდილის (ჩვენთვის უცნობ) თარიღად ვახუშტის სრულიად ნებისმიერად დასახელებული აქვს 1487 წელი²:

„მოკუდა მანუჩარ ათაბაგი ქს ჩუპზ“ (1487).

ამ, ვითომდა ათაბაგის, მანუჩარის შემდეგ, ვახუშტის მიხედვით,

„დაჯდა შემდგომად მანუჩარისა (ვითომდა 1487 წ.) ათაბაგად ძე აღმულა ათაბაგისა ყვარლყვარე, წლისა ნო“ (59).

„ამან დაიპურა სრულიად საათაბაგო—“ და სხვა³.

ვახუშტის თხრობით ეს იყო „ყვარლყვარე გ“, ესე იგი ყვარლყვარე მესამე⁴. ვახუშტისავე ცნობით ამ ყვარლყვარე მესამის 13 წლის ათაბაგობისა და გარდაცვალების შემდეგ (ვითომც 1500 წ.) „დაჯდა ათაბაგად ძე (მისი) ქაიხოსრო“ 1500 წელს... „გარნა მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი წლის ნე, მაისს გ, ქს ჩფზ“ (1502)⁵. ვახუშტის ქრონიკოგითა და გენეალოგითა, და გენეალოგითა,

„ამის, ქაიხოსროს, შემდგომად დაჯდა ძე ამისი (!) ათაბაგად დიდი მზექაბუკ (1502 წ.)“.

მზექაბუკის შემდეგ (მისი გარდაცვალების თარიღად ვახუშტის 1516 წ. მიაჩნია) ვახუშტი სწორად ასახელებს მის მემკვიდრედ ყვარლყვარეს (მისი აზრით ყვარლყვარე მეოთხეს), რომელიც მას მზექაბუკის ძედ მიაჩნია:

„დაჯდა შემდგომად მზექაბუკისა ძე ამისი (!) ყვარლყვარე ათაბაგად“ (1516)⁶.

2. ათაბაგთა ვახუშტისეული გენეალოგია- ქრონიკოგის ძეცდომები

თავისი „ისტორიის“ IV წიგნში ივანე ჯავახიშვილი გადმოგვცემს „მოკულე ბიოგრაფიულ ცნობებს ათაბაგის სახლის წევრთა

¹ ვახუშტი, ისტორია, II, გვ. 237. აქაც, ვახუშტიმ იცის, რომ მანუჩარი, ყვარლყვარეს 11 ვაჟი, ბაადურის ძმა არის.

² როგორც ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, მანუჩარ ცოცხალი ყოფილა 1518 წელშიაც (ისტორია, IV, 1948 წ. გვ. 227). წინამდებარენაშრომში თავის ადგილას აღნიშნულია, რომ მანუჩარის ხელწერა გვაქვს 1515 წ. საბუთზე.

³ ვახუშტი, ისტორია, II, გვ. 238.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 241.

⁶ ვახუშტი, ისტორია, II, გვ. 241–242.



შესახებ“ და აღნიშნავს, რომ „ქრონილოგიურ ცნობათა შორის უპირატესობა ათონის აღაპებს უნდა მიენიჭოს“ (გვ. 109—111, 1948 წ.).

ვახუშტის ცნობების შეცდომებს ეხება „საქართველოს ისტორიის მასალების (XV—XVIII სს.)“ ერთი თავი „ათაბაგთა ქრინიკა და ვახუშტის ისტორიული თხრობა“ („მასალები“, ქრ. შარაშიძის გ-მა, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი 30, გვ. 203—205).

საკითხის სრული გარევეულობისათვის საჭიროა სათითოოდ განვიხილოთ ვახუშტის ცნობები და შევეცადოთ ხსენებული პერიოდის (1466—1502 წ.). ათაბაგთა თანმიმდევრობისა და მესხეთის ყოველი მმართველის გამგებლობის სწორი ქრონილოგიური ფარგლების დაღვენა.

სპეციალურ გამოკვლევაში, ახალ მონაცემებზე დამყარებით, აღნიშნულია, რომ 1474 წელს გარდაცვლილი „ბაადურ ათაბაგად არ ყოფილა“, რომ „ათონის 1074 ხელნაწერის აღაბის მიხედვით ბაადურმა თავისი მამა, ათაბაგი ყვარყვარე ცოცხალი დატოვა“, რომ ეს „დიდი და სახელგანთქმული“ ყვარყვარე, მამა ბაადურისა, გარდაიცვალა არა 1466 წ., როგორც ვახუშტი მოვკითხობს, არამედ 1498 წელს—„წლისა ოთხმოცდაორისა“, არა სრულად: „დღე ყვლდა ორმოცდათხუთმეტი“¹⁰.

ეს არის ყვარყვარე II, რომელიც ქრონიკების ცნობით 1447 წელს, როცა იგი (ყვარყვარე II) 31—32 წლის იყო, აღბული II-ს ათაბაგობას ეცილებოდა, შეება მას და კიდევაც გაემარჯვა. ამ დროს, იმავე ქრონიკების ცნობით, ამ ყვარყვარემ მხოლოდ სრულიად საქართველოს მეფის გოორგი VIII-ის ჩარევის შედეგად დათმო ათაბაგობა. 1451 წელს, აღბული II ათაბაგის სიკედილის წელს, იმავე გოორგი მეფის დასტურით გაათაბაგდა ყვარყვარე.

ამ ყვარყვარე II-ს 1451 წლიდან სიკედილამდე არ გაუშეია ხელიდან მესხეთის ხელისუფლება; იგი „საქართველოებს“ შორის ჰეგემონობასაც კი ჩემულობდა, წარმატებით უტევდა სრულიად საქართველოს მეფეს გოორგის (VIII-ს), დაატუვდა ეს მეფე ფარვინის თავზე 1465—66¹¹ წ., მიათხოვა მას ცოლად თავისი ასული

¹⁰ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, 1, გვ. 200, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1948, გვ. 97.



თამარ და ამ შეუღლების შედეგად შობილი შეილიშვილი აფანასიანი ტანგ ქართლის ტახტზედაც კი დასვა 1484 წ.¹².

ამგვარად, ყვარყვარე II განუწყვეტლად ათაბაგობდა 1451—1498 წლის მდინარეს. არც ამ ყვარყვარეს მესამე ვაჟი ბაალურ (1453—1474 წ.), არც ამავე ყვარყვარეს მეექვსე ვაჟი (ძველი ბაალურისა) მანუჩარ ათაბაგებად არ ყოფილან. შესაძლებელია რომელიმე ქრონიკიორი მათ ათაბაგებად იხსენიებს—ეს, უკველია, შედეგია ათაბაგობის ჯაყელ-ციხისჯვარელთა საგვარეულო წოდებად გადაქცევისა ამ ხანებში.

რაც შეეხება საკუთრიად მანუჩარს, იმაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

3. უვარევარე II-ის ცოლშეიღვილი

ყვარყვარე II-ის პირველი მეუღლე, როგორც ეს „ათონის ხელნაწერის“ ოლაპებიდან ვიცით და ივ. ჯავახიშვილსაც აქვს დადასტურებული, იყო დედისიმედი (I), რომლის გარდაცვალების თარიღი არის არა 1491, არამედ 1489 წელი¹³.

ყვარყვარე II-სა და დედისიმედის მრავალრიცხოვანი მოდგმა ჰყოლიათ. გარდა მათი ასულის თამარისა, რომელიც ყვარყვარემ დატვირთებულ გიორგი VIII-ს მიათხოვა, მათ ყავდათ ვაჟები. „ათონის კრებულის“ ოლაპებში, მათი უფროს-უმცროსობის ქვალობაზე, ჩამოთვლილი არიან:

1. პირმშო ძე ქაიხოსრო (1447—1500), ათაბაგობდა 1498—1500.
2. მზეჭაბუქ (გარდაიცვალა იაქობის სახელით შემონაზვნებული 1515), განაგებდა სამცხეს 1500—1515.
3. ბაალურ (დაიბადა 1453—გარდაიცვალა 1474 წ.).
4. იანქო (გარდაიცვალა 1505 წ.)¹⁴.
5. ორავეანდა.
6. მანუჩარ (ცოცხალი იყო 1515—1518 წლებშიაც)¹⁵.
7. მართალიხონ.

¹² ქრ. შარა შიძე, საქართველოს ისტორიის მასალები XV—XVIII ს გვ. 232—234: ვახტანგ გიორგის ძე—ქართლის უცნობი მეფე (1484).

¹³ ქრ. შარა შიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 200—201.

¹⁴ იქვე, გვ. 2091,

¹⁵ ივ. ჯავახი შვილი, „ისტორია“, IV, გვ. 227 და წინამდებარე „მასალები“, გვ. 99—100.

ერთ-ერთი უკანასკნელი გამოკვლევის თანახმად, პირველი
ცოლის—დელისიმედის სიკვდილის (1489) შემდეგ, 73 წლის ყვარელისა-
ყვარე II ვინმე ნესტანდარეჯანზე დაქორწინებულა. ამ მეუღლისა-
გან ყვარეყვარე II-ს დამატებით არანაკლებ ოთხი შვილისა ჰყო-
ლია. ამათვან ყვარეყვარე ნესტანდარეჯანის ასული (სახელი უცნო-
ბია) ქართლის მეფის დავითის (1505—1525) თანამეცხედრედ გა-
მხდარა.

საბუთების შეკალობით ცნობილია ყვარეყვარე II-ს ვაჟების სა-
ხელებიც (ნესტანდარეჯანისაგან): თამთან, საზუერელი და სალუ-
კაზან.

ყვარეყვარე II-ის სიკვდილის შემდეგ (1498) ნესტანდარეჯანი
შემონაზენებულა ნინოს სახელით და თავისი სიძის, ქართლის მე-
ფის დავითის სამფლობელოში გადასულა საცხოვრებლად¹⁶.

4. ათაბაგი ქაიხოსრო I (1447—1500)

ყვარეყვარე II-ს სიკვდილის შემდეგ (1498) სულ ორიოდე
წლით გაათაბაგდა მისი პირშო ძე 51 წლის ქაიხოსრო, რომე-
ლიც გარდაიცვალა 1500 წ. მისი ოჯახის წევრთაგან ისტორიაში
ცნობილია ათაბაგი ყვარეყვარე მესამე (იხ. ქვემოთ).

5. მზეჭაბუკი, სამცხის მმართველი (1500—1515)

ქაიხოსრო I-ლის სიკვდილის შემდეგ ათაბაგობა მის ვაჟზე —
ყვარეყვარე ქაიხოსროს I-ის ძეზე უნდა გადასულიყო; მაგრამ, რო-
გორც ცნობილია¹⁷, სამცხის ხელისუფლება მიიტაცა ყვარეყვარეს
მეორე, ქაიხოსროს მომდევნო ვაჟმა, მზეჭაბუკმა. იგი განაგებდა
საათაბაგოს — 1500—1515 წწ. უნდა ვითიქროთ, რომ ამ ენერგიული
მმართველის ქართლის მეფესთან და კათალიკოსთან საექლესიო
ბრძოლაში დამარცხებამ გამოიწვია მისი შემონაზენება იაკობის
სახელით და, შესაძლებელია, ამ მთავრობის მოყვარე ძლიერი პო-
ლიტიკური მოღვაწის სიკვდილიც დააჩქარა¹⁸.

¹⁶ იხ. აქვე, ამ ნაშრომში „რომელი ყვარეყვარეს ცოლია ნესტანდარეჯან-
ყოფილი ნინო“.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, 1948 წ., გვ. 164.

¹⁸ იხ. ამ ნაშრომის გვ. 94.

6. ათაბაგი უვარუევარე III (ათაბაგობდა 1516—1535) და მისი ცოლშვილი



მზექაბუკის სიკედილის (1515) შემდეგ ათაბაგობა მის ძმის-წულზე, ქაიხოსრო I-ის ვაჟზე, ათაბაგობის კანონიერ მემკვიდრეზე—უვარუევარე III-ზე გადადის [1516 წ.]¹⁹.

ორი წყაროს—„მეწიეთის მარხვანისა“ და „კოპასძეთა ხელნაწერის“ მოსახსენებლების წყალობით, ეჭვმიუტანელად გარკვეულია, რომ უვარუევარე III-ს ცოლად ჰყოლია „ღვთივ გვირგვინოსანი“ ანნა. ცნობილია უვარუევარე III-ისა და ანნას ვაჟების სახელებიც. მათი უფროსი ძე იყო მზექაბუკ, ხოლო უმცროსი ქაიხოსრო²⁰, შემდეგში ათაბაგი ქაიხოსრო II 1545—1573წ. უფროსი ძმა მზექაბუკ, ჩანს, ადრევე გარდაცვლილა.—იგი წყაროებში 1535 წელს აქვთ აღარ იხსენიება.

უვარუევარე III ათაბაგობდა 1515—1535 წწ. ცნობილი მურჯახეთის ომის შედეგად იმერთა ნეფებ ბაგრატიმა დაიპყრა სამცხე და ტყველ წაიყვანა უვარუევარე III²¹; ამ ტყვეობაში უვარუევარე გარდაცვალა—საფიქრებელია, იმავე 1535 წ.²².

7. ათაბაგი ქაიხოსრო II (დაბ. 1522—გარდ. 1573,
ათაბაგობდა 1545—1573) და მისი ცოლშვილი

უვარუევარე III-ის (ქაიხოსრო I-ის ძის) დატყვევებისა (1535) და გარდაცვალების შემდეგ ათაბაგობის ერთადერთ პრეტენდინტად მისი უმცროსი ვაჟი—ქაიხოსრო ჩანს. „მესნურ ქრონიკაში“ გვაქვს ქაიხოსრო II-ის ყაზვინს 1573 წ. გარდაცვალების ზედმიწევნითი თარიღი, მისი წლოვანების აღნიშვნით (მხ. 20). ქაიხოსრომო, ვკითხულობთ აქ,

„დაუტევა მდენი ესე საწუთო ენკენისთუმს კთ (29), დღესა სამშაბათსა, ცხრა ეამს, მთუარესა ბ და მიიცვალა, წლისა ნა (51) ფეხერვალსად იგ (13) გათავდებოდა“... „ქუნა ხეა (261)“.

¹⁹ ე. წ. „კოპასძეთა მოსახსენებელში“ უვარუევარე III, ქაიხოსრო I-ის ძე და მზექაბუკის ძმისწული, ნავ უვარუევარედ იხსენიება.

²⁰ „კოპასძეთა ხელნაწერის მოსახსენებლები“, წინამდებარე „მასალები“, მხ. 12—14, „მეწიეთის მარხვანის მოსახსენებლები“, იქვე, მხ. 17—18.

²¹ ივ. ჯავახიშვილი, IV, გვ. 245.

²² ვახუშტი, ისტორია, II, გვ. 243.

ამის მიხედვით, სიკედილის ქამს—1573 წლის სექტემბრის
29-ს—ქაიხოსრო სრული 51 წლის აზ ყოფილა; იგი მომდევნობდა
1574 წლის ობერვლის 13-ს „გათავდებოდა“ ანუ შესრულდებოდა
51 წლის. მაშასადამე ქაიხოსრო II 1522 წლის ობერვლის 13-ს
დაბადებულა.

ვახუშტის ცნობით ქაიხოსრო გაათაბაგდა 1545 წ., თურქე-
ბის მხარის დაჭერით (გვ. 244).

დაახლოებით ამავე ხანებში (1545—46), ვახუშტის ცნობითვე,
ქაიხოსრო ესიძა ვახტანგს, მუხრანის ბატონსა და მოიყვანა დად-
მისი დედისიმედი“ (ვახუშტი, გვ. 244).

დედისიმედის დაბადება-გარდაცვალების წლები უცნობია.
ვიცით მხოლოდ, რომ ეს ენერგიული ქალი 1587 წელსაც ცოცხალი-
იყო („მესხური ქრონიკა“, მა. 102).

ქაიხოსრო-დედისიმედის შეოლები

ათაბაგი ქაიხოსრო II-ის შეილების ასაკობრივი თანამიმდე-
ვრობისა და ზოგიერთი მათგანის დაბადება-გარდაცვალების თა-
რიღების დადგენა ხერხდება ს. ვალეს ექლესიის დედისიმედისე-
ული წარწერისა და „მესხური მატიანის“ ტექსტების საფუძველზე.
„ვალეს წარწერა“ ცნობილია მ. ბროსეს (Voyage arch. p. 129),
თ. ეორდანიასა (ქრონიკები, II, გვ. 391) და ე. თაყაიშვილის
პუბლიკაციებით. აქ ვსარგებლობოთ ე. თაყაიშვილისეული ტექსტით²⁸.

როდინდელია „ვალეს წარწერა“?

წარწერაში დედისიმედი, სხვათა შორის, ჩამოთვლის თავისს
შეილებს ქაიხოსრო II ათაბაგისაგან (უფროს-უმცროსობის თან-
მიმდევრობის დაცვით). აქ იხსენიებიან:

1. ყვარყვარე.
2. მწევაბუქ.

²⁸ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ აქ ხსენებული წარწერა უმნიშვნელო
შემოყენებით:

„ნებითა ღუთისათა, მე, ღუთივ გვრგვნოსნი... ქართველთ მეფეთ მეფის
კონსტანტინეს შეილისშეილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ-აშირ-სპასა-
ლარის სახლის რძალმან მეორედ აღვაშენე... ესე ეკლესია... ვალისა ღუთის-
შშობლისა, რათა მცველ-მეტარეველ გვექმნა... მე და თანამეცხედრესა ჩემსა ათა-
ნაგსა ქაიხოსროს და ძენი ჩვენი—ყვარყვარე, მზეჭაბუქ, მანუჩარ, თუალშუ-
ნიერ ივანე და თამარი დლეგრძელობით დაიცვენ, ამინ. დასა მათსა ელენეს სა-
სუფლებლი დაუმკვიდრე“. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, გვ.
CXXXIV, ტუ., 1890.

3. მანუჩარ.

4. თვალშვენიერ-ივანე²⁴.

5. თამარ.

ხუთი ცოცხალი შეილის გარდა წარწერაში ცალკე, მიცვალებულად, იხსენიება ქაიხოსრო-დედისიმედის ასული ელენე. ამ ნუსხის წყალობით შეგვიძლია დაასლოებით მაინც დაეთარიღოთ „ვალეს წარწერა“.

ცოცხალ ხუთ ქალ-ვაჟთა შორის უკანასკნელი ადგილი თამარს უკითხავს. იგი წარწერის შესრულების დროს ყველაზე გვიან დაბადებულია. „მესხური ქრონიკის“ უტყუარი, ზედმიშევნილი ცნობით „დაიბადა თამარი აშყურს, აპრილსა იტ (18), დღისით, ემსა ვ (6)... ქ' ესა სმთ“ (249+1312=1561). რაკი წარწერის შესრულების დროს თამარი დაბადებული ყოფილა, ცხადია, წარწერა 1561 წლის აპრილის 18-ის, თამარის დაბადების შემდეგ, ყოფილა შედგენილი.

წარწერაში არ არის მოხსენებული 1563 წლის აპრილის 29-ს დაბადებული საბა (იგივე იანქო, მხ. 4).

ამის მიხედვით წარწერა შესრულებულია 1561 წლის 18 აპრილის შემდეგ, 1563 წლის აპრილის 29-ზე ადრე.

ათაბაგი ყვარყვარე IV (დაიბ. 1546—47)—გარდ. 1581, ათაბაგობდა 1574—1581.

„მესხურ ქრონიკას“ არ შემოუნახავს ქაიხოსრო II-სა და დედისიმედის პირმშო ვაჟის დაბადების თარიღი. ვიცით მხოლოდ, რომ იგი დაბადებულია 1549 წელზე ადრე, 1549 წელს დაბადებულ მხეკიაბუზე. უწინარეს²⁵. მეორე მხრით ვგაქვს ვახუშტის ცნობა ქაიხოსრო II და დედისიმედის 1545—46 წწ. შეუდლებისათვის (ვახუშტი, გვ. 244). ამ ორ ცნობაზე დამყარებით (ამათვან „მესხური მატიანის“ ცნობა სრულებით უკველია) უნდა ვიფიქროთ, რომ ყვარყვარე დაბადებულა 1547-სა თუ 1548 წელს.

„მ. ქრონიკის“ ერთი ცნობით 1564 წელს ყვარყვარე დაქორწინებულა მარებ დადიანზე. ძნელი წარმოსალგენია, რომ ამ დროს იგი 16—7 წლისაზე უმცროსი ყოფილიყოს. ესეც მხარს უჭრს მისი დაბადების საერაუდო თარიღს (1547—48).

²⁴ ამ ორი სახელის—თვალშვენიერ-ივანე—შერწყმით, ერთ პიროვნებად სხვნებისათვის იხ. ქვემოთ.

²⁵ „ვალეს წარწერის“ ნუსხა და მესხური ქრონიკის“ მხ. 9.

ამ ყვარყვარება და დადიანის ასულის მარქის მოღვაწიდან ჩვენ
ფიცნობთ 1573 წლის გიორგობისთვის ცხრას დაბადებულ ქართველ ხაზის ხაზის
ხოსროს (მხ. 22)²⁶.

„მესხური ქრონიკის“ 102 მუხლში იხსენიება „პატრონის
ყრყრეს“ შეილი 14 წლის ქაიხოსრო, რომელიც 1587 წელს თა-
ვის ბებიასთან, დედისიმედთან ერთად უამთა სიავის გამო საკანა-
ფის ციხეში დგას და შემდეგ, იმავე 1587 წ. მარტის შუა რი-
ცხვებში, მოღალატეების მოქმედებით იძულებული, ბებიასთან
ერთად ახალდაბას მიდის.

ყვარყვარე IV-ის გაათაბაგების წლად 1574 წ. დასაწყისი
უნდა ჩაეთვალოთ. ათაბაგი ქაიხოსრო II 1573 წლის სექტემბრის
29-ს მიიცავალა (მხ. 20). მაგრამ შორეული ყაზვინიდან ამ ამბავს
საათაბაგომდის, უკეთეს შემთხვევაში, 1573 წლის მიწურულამდის
არ შეიძლებოდა მიეღწია. ეს რომ სწორედ ასე ყოფილა, ამას
ისიც მოწმობს, რომ ქაიხოსრო ათაბაგის 1573 წ. სექტემბრის
29-ს გარდაცვალებისა და არჩილ მუხრან-ბატონის 1573 წლის
ნოემბრის 22-ს ყაზვინიდან შირაზს გადაგზავნის ამბავი „მესხურ
ქრონიკაში“ ერთდროულად არის ჩაწერილი (მხ. 20—21).

ყვარყვარე ქაიხოსროს აე 1581 წ. გარდაიცვალა. „მესხური
ქრონიკის“ დედის 29 გვერდზე (მხ. 94) ვკითხულობთ:

„ქან ხეთ (269+1312=1581), გიორგობის თუშს კე (25)
პატრონის ყრყრეს და პატრონის არჩილისგან ღმერთი გა-
რისხდა“.

„მესხური ქრონიკის“ ტექსტში ჩართული ნეკროლოგებისა
და სხვ. წყაროების მიხედვით ვიცით, რომ „ღმერთი გარისხდა“—
გარდაცვალებას გულისხმობს.

ვინაიდან „მესხური ქრონიკა“ ყველგან განუხრელად იცავს
ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას და წელთა აღრიცხვაში ეს
თანამიმდევრობა არსად დაეჭვებას არ იშვევს, ვახუშტის ცნობა
თითქოს „მოკუდა ყვარყვარე ათაბაგი ქრისტეს აქეთ“ ჩიფა (1582),
ქრისტიანების ხო (270)²⁷. მცდარად უნდა ჩაითვალოს.

²⁶ „მესხურ ქრონიკაში“ ხეთ (1579 წ.) მაისის თარიღით (მხ. 80) ჩაწერი-
ლია „პატრონის ყრყრეს“ შეილის ხოსიტას გაცხელების ცნობა. საფიქრებე-
ლია, რომ ხოსიტა 6 წლის ქაიხოსროს ქნინობითი სახელი იყოს. ყოველ შე-
მთხვევაში „ქრონიკის“ დანარჩენ გვერდებზე ათაბაგების სახლის არც ერთი
წევრი ამ სახელით არ ჩანს.

²⁷ ვახუშტი, ისტორია, II, 1913, გვ. 253.

ამგვარადვე მცდარია მანუჩარის 1582 წ. გაათაბავებდნ ცენტრალული ცნობა²⁸. უქველია, მანუჩარი უფროსი ძმის სამართლებრივი ლისთანავე არ დააყოვნებდა ათაბავობის პრეზოგატივის, ახლა კი სრული უფლებით, მითვისებას²⁹. ამის გამო მანუჩარის გაათაბავება 1581 წელშივე უნდა მომზდარიყო.

შეეჭაბუქ ქათოსრო II-სა და დედისიმედის რიცხვით მეორე ძე, დაიბ. 1549 წლის მარტში, გარდაიცვალა 1572 წლის იანვრის 11 (მხ. 9, შენიშვნა 1).

მანუჩარ მზეჭაბუქის მომდევნო ძმა იყო. ვახუშტის ცნობით რომელიც, ეტყობა, „მესხური ქრონიკის“ უფრო სრული დედნი, დან უნდა მომდინარეობდეს, მანუჩარ 1550 წელს დაბადებულა (ვახუშტი, გვ. 246). ვახუშტისავე ცნობით მანუჩარ 1614 წელს გარდაცვლილა (გვ. 254).

როგორც ზემოთ გითირკვა, მანუჩარ ათაბავობდა 1581 წლიდან გარდაცვალებამდე (—1614 წ.).

თვალშევნიერი.

„ვილეს წარწერაში“ ერთმანეთის გვერდით ამოტვითრული ორი სახელი „თვალშევნიერ ივანე“ ჩვენ ერთისა და იმავე პირის ორ სახელად მიგვაჩნია, ისე, როგორც ერთი და იგივე პირის სახელებია საბა-იანქო (მხ. 4) და ბექა-პავლე (მხ. 6). ივანე, უეპველია, ნათლობის სახელია, ხოლო თვალშუტნიერი ივანეს საშინაო სახელი.

ჩვენი ვარაუდი დამყარებულია შემდეგზე: ივანეს სახელით საქვლევ წლებში (1545—1616) ათაბაგთა სახლის არცერთი წევრი არ ჩანს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თვალშევნიერის მომდევნო ძმა ივანე 1561 წელზე ადრე (ამ წლიდან არის შემონახული ქიბოსრო-დედისიმედის შვილების დაბადება-გარდაცვალების თარიღები „მესხურ ქრონიკაში“) გარდაცვლილი პირია.

²⁸ ექვე.

²⁹ ფაქტიურად ვამაკმადიანებული მანუჩარ ჯერ კიდევ 1577—78 წლებიდან აშკარად ეცილებოდა ათაბაგობას თავის უფროს ძმას ყვარცვარეს. თურქების შემოტვის დროს იგი სძლენობდა შტერს სამცხე-ჭავახეთის ციხე-ბურჯვებს (მხ. 50) და ლალა-ფაშასთან ფარული კავშირით ათაბაგობის მინიჭებას თხოულობდა. ამის სანდაურად მანუჩარ ისმალთა მხარეზე ბრძოლას და მათ სასარგებლოდ საათაბაგოში ხარჯის აკრეფას სთავაზობდა. მ. სვანიძე, „სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან XVII ს. 1 ნახევარში“. (სადისერტაციო შრომა), თბ., 1953, გვ. 60, 63.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „ვალეს წარწერაში“, რომელიც 1561 წლის პარილის 18-ის შემდეგ არის დაწერილი, იხსენიება ათასობის ბაგების 1561 წელზე აღრე გარდაცვლილი ასული ელენე. ვთქვათ ივანეც აღარ იყო ცოცხალი, როცა „ვალეს წარწერა“ იწერებოდა. მაშინ წარწერაში ეს ივანე, ელენეს მსგავსად, მიცვალებულად მაინც იქნებოდა მოხსენებული.

ვთქვათ, ივანე, მიიცვალა არა ხსენებულ 1561 წლის პარილის 18 რიცხვამდის, არამედ უფრო გვიან. ამ შემთხვევაში ივანეს სახელი აუცილებლად იქნებოდა „შეტანილი „მესსურ ქრონიკაში“, რომლის ჩენაშდის მოღწეული ტექსტის პირველი სტრიქონები 1561 წ. პარილის 18-ის შემდეგ იწერება.

ვინაიდან ხსენებულ ცნობას (ივანეს მიცვალებულად მოხსენიებას) არც „ვალეს წარწერაში“ და არც „მესსური ქრონიკის“ (1561—1587 წწ.) ტექსტში არ ვხდავთ, ცხადია, „ვალეს წარწერის“ ივანე (თვალშევნიერ ივანე) იგივე პიროვნებაა, რომელიც „მესსურ ქრონიკაში“ მხოლოდ თვალშევნიერის სახელით არის მოხვედრილი (მხ. 11, 37, 38, 43, 62, 63, 79, 96, 110).

თვალშევნიერის დაბადების თარილი უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ 1550 წ. დაბადებული მანუჩარის ეს მომდევნო ძმა 1561 წ. დაბადებულ თამარზე უფროსი ყოფილა. ასე რომ თვალშევნიერი 1551—1561 წწ. შუა დაბადებულა. დროის ეს საქმარისად ფართო მონაკვეთი „მესსური ქრონიკის“ ტექსტის საფუძველზე შეგვიძლია უფრო ვიწროდ შემოვფარგლოთ.

1572 წლის მაისიდან მოყოლებული 1587 წლამდის თვალშევნიერს ფართო და პასუხსავებ დიპლომატიურ პოსტზე ვხდავთ, 1572 წ. მაისიდან ამავე წლის 20 ნოემბრიმდის მან გაიარა იმ დროს მეტად სახიფათო გზა აწყურიდან ერევნამდის და შემდეგ ერევნიდან ყაზვინამდის. ყაზვინს მყოფი ათაბაგი ქაიხოსრო II-ს გარდაცვალების შემდეგ (1573 წ.) თვალშევნიერი მეტად რთულ პირობებში მარტო უძღვებოდა საქმეებს 14 წლის განმავლობაში. ყაზვინს გამგზავრებისას 1550 წ. დაბადებული მანუჩარის მომდევნო თვალშევნიერი 20 წლის მაინც უნდა ყოფილიყო (მანუჩარი ამ დროს 22 წ. იყო).

თუ ეს ვარაუდი სწორია, თვალშევნიერის დაბადების სავარაუდო წლად 1552 წ. უნდა ჩავთვალოთ. თვალშევნიერის სიკვდილის თარილი უცნობია. იგი 1587 წ. ცოცხალი იყო.

თვალშევნიერის მომდევნოდ უნდა ვივარაუდოთ ელენე, რომელიც „ვალეს წარწერაში“ მიცვალებულად იხსენიება. იგი 1552—1561 წწ. შუა უნდა ყოფილიყო დაბადებული.

1561 წლის აპრილის 18-დან „მესხური ქრონიკის“ ტექსტი
ზედმიწევნილ ცნობებს გვაძლევს ქაიხოსრო II-ისა და დედობირიშვალ
დის უმცროსი შვილების დაბადების შესახებ:

თამარ დაიბადა 1561 წ. აპრილის 18. 1578 წ. ივი (საფიქრე-
ბელია, მანუჩარის სურვილით) მიათხოვეს ჯაყელ-ციხისჯვარელთა
ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელს, ათაბაგის ქაიხოსრო II-ის პა-
პის შვილის—ორავეანდას ნაშიერს („მესხური ქრონიკა“, მხ. 2,
60)³⁰. „მესხური ქრონიკა“ და „ვალეს წარწერა“ თამარის შესა-
ხებ სხვა ცნობას არ გვაძლევს.

საბა, იგივე იანე დაიბადა 1563 წ. აპრილის 29-ს (მხ. 3).
გარდაიცვალა 1575 წლის მარტის 20-ს (მხ. 23).

ტყუპები ბასილი და ბექა-პაგლე დაიბადენ 1564 წლის
აგვისტოს 12-ს (მხ. 6). ამათგან ბასილი, ბავშვობილანცე ბერი,
გარდაიცვალა 1579 წ. ეპიდემიის დროს „საფარის საბურთეს“,
სექტემბრის 3 (მხ. 83).

რაც შეეხება ბექას, ვახუშტის ცნობით იგი 1635 წელს გარდა-
ცვლილა (ვახუშტი, II, გვ. 255—256).

³⁰ ორავეანდა მოსსენებულია „ათონის კრბ“. ცნობილ აღაშვილ უვარევარე
II-ისა (1416—1498) და დედისიმედის შესულე ვაზად. „ათონის კრბ.“, თბ., 1901,
გვ. 265—268.

დასკვნითი შენიშვნები

სამცხის გამოყოფა საქართველოდან

„განდგა თავადად ათაბაგი“. „განდგა იმერთავან თავადად დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანი“. „ვიდრე აჭამდი არღარა იქმნა შეკრება მისი, არამედ უფროსად დაკანინებანი“.

ვახუშტი.

სამხრეთ საქართველოს გამოყოფას საფუძველი მონღოლთა პერიოდში ჩაეყარა. დამპყრობლების მხარის დაჭრით, სარგის ჯაყელის მეთაურობით გამოყოფილი სამცხე 1266—1334 წწ. „ულუსიანი“ იყო.

ისტორიისთვის ჩვეული უკუღმართობით საქართველოს დაშლა სწორედ იმ კუთხიდან დაიწყო, სადაც საუკუნეების წინ ქართველი ხალხის დიდი გამაერთიანებელი მოძრაობა იყო გაჩაღებული. ფართოდ გაშლილი ტერიტორია („ტაშისკარიღგან ვიდრე ერზერუმამდე“, ოდესაც ბედნიერი გეოგრაფიული მდებარეობა, ზღაპრულად მდიდარი ბუნება, იშვიათი კლიმატური პირობები, ხუროთმოძღვრების უდიდესი ძეგლების მცირები ქსელი. აყვავებული სასოფლო მეურნეობა, განვითარებული ხელოსნობა და ხელოვნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ მხარეს.

ხშირად ამბობენ, რომ ე. წ. საათაბაგო მთელი საქართველოს მესამედს წარმოადგენდათ. კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური წონით ეს მხარე გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის იყო.

როგორც ცნობილია, მონღოლთა პირველ შემოსევებს საქართველოში მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფეოდალური მონარქია დახვდა. ამ დროიდან (1235—1240) მოქიდებული ახალ-ახალი, თითქმის განუწყვეტელი ომების ცეცხლი ატყდებოდა თავს საქართველოს,

ძირის უთხრიდა ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებას და ფინანსურის დაშლის მოქავშირედ გამოდიოდა!

မაგრამ အთასწლოვანი კულტურით და მრავალი საუკუნით დასკვლის ძილზე საერთო პოლიტიკური ბედილბლით შედუღაბებული სახელმწიფო დიდ ხანს ინარჩუნებდა მიმზიდველობას და გარეშე მტრებთან ბრძოლაში საოცარ გამძლეობას იჩენდა. ქართველი ხალხი ისევ და ისევ იყვროდა ერთიანობის კავშირით ახალ თავითანხმდობის.

ასე მოხდა, მაგ., გიორგი V („ბრწყინვალის“) დროს—1314—1346 წწ., როცა „XIV ს. დამდეგს მონღოლთა უზარმაზარმა სახელმწიფომ თავისი დღენი დალია“ (ივ. ჯიგაზიშვილი). ძლიერმა ხელი-სუფალმა—გიორგი V-მ შემოიკიდა სრულიად საქართველო, ჯაყელისხმის სამყლობელოს ჩართვით; მან ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებას მიაღწია, სამართლის ნორმების მოწესრიგებას შეუდგა, ქართული ფულის სისტემა განამტკიცა და საქართველოს ოდინდელი საერთაშორისო მნიშვნელობაც აოაზინა.

თემურ-ლენგის მრავალგზისმა ლაშქრობამ (1386—1403) სა-
სიკვდილო ლახვარი ჩასცა აღმშენებლობით მუშაობას. ქართველი,
ხალხის შეურიგებელ წინააღმდევობას უმაგალითო, დაუნდობელი
განადგურება მოჰყვა შედევგად. მტერმა გადათხარა საქართველოს
მთა და ბარი, გაავერანა ბალ-ვენახები, გადაბუგა და დაანგრია საუ-
კეთესო ნაგებობანი, გაელიტა მცხოვრებთა დიდი რაოდენობა. „700
სოფელი და ქალაქი მიწასთან იყო გასწორებული“. თვით თემურ-

1 თანამედროვე საისტროი მეცნიერებაში ერთმანეთის გვერდით არსებობს ორი აზრი. პირველი, რომ ცალკე გამოყოფილი სამცხე განცალკევების საკმარისად ხანგრძლივი პერიოდით, სამართლის ნორმების საკუთარი კოდექსის შექმნით, საკუთარი საგარეო პოლიტიკითა და სხვ. საქართველოსავან საცხოვით ჩამოშორებული იყო და დამოუკიდებელ უკიდურესობის წარმოადგენდა მეორე მხრით აღნიშნულია აგრეთვე, რომ საქართველოსა და მესხეთს შორის პოლიტიკური კავშირი ულუსიანობის დროსაც არ ყოფილა შეწყვეტილი, რომ ამ კავშირის დამადასტურებელია თუნდაც ბეჭა I-ის და აღბულა I-ის მანდატურთუნების მიხედვით.

მართლაც, თუ ჩვენ მოელი კატეგორიულობით მივიღებთ იმ აზრს, რომ ჯაყულ-ცილისჯვარელთა საკარისისაც პატივი საქართველოს მეფის კარზე XIII—XIV სს. მხოლოდ ნომინალური ტიტული იყო, მაშინ კულტურული გარიგებაშიაც“ ფაქტურურად გაუქმდებულად უნდა ვიგულისსმოთ ამინაპასალარობა, მანდატურობულცესობა, მეცურებულობულცესობა და სხვ. სინამდვილეზი ეს ასე არ ყოფილა და სამცხის სრული დამსუქიდებლობა მხოლოდ გარევეულ ისტორიულ პერიოდში იყო ძალაუნდებურად შეწყარებული (მაგ., 1266—1334 წწ.; შემდეგ გიორგი VIII-ის დატვირების დროიდან, ანუ ყვარეყვარე II-ის დროს—1465—1498 წწ.).

ლენგის ისტორიულის სიტყვით, თემურს ინდოეთშიაც არ დაუნგზე რეება იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოში (ვ. ჯავახიშვილის „საშინელი განსაკლელის შემდეგიც ქართველ ხალხს კიდევ შერჩა სიცოცხლის ნებისყოფა და შემოქმედებითი უნარი. განმახსოვრებელი მუშაობა ფართოდ გაიშალა ალექსანდრე მეფის დროს (1412—1443).

მაგრამ პოლიტიკური დაშლა, როგორც ვიცით, მხოლოდ გარეშე ძალების მოქმედების შედეგი არ ყოფილა. „13—14 სს. განმავლობაში საქართველოს სოციალურ წყობილებაშიცა და შედგენილობაშიც დიდი და ღრმა ცვლილება მოხდა. ბევრი ძევლი საგვარეულო ან სრულებით ამოწყდა, ინდა ჩამომცრობის გამო პოლიტიკურ ცხოვრებაში და საისტორიო ასპარეზზე გაქრა“ და მათი ადგილი ახლებმა დაიკავეს (ვ. ჯავახიშვილი)².

ამ ცვლილებების პროცესი ხანგრძლივი და მტკიცნეული უნდა ყოფილიყო. მისი განვითარების მსვლელობის სურათის აღდგენა მეტად ძნელია. ვიცით მხოლოდ, რომ XV საუკუნის დასაწყისშივე პირველი აშეარა ურჩიბა საქართველოს მეფეს სამცხეს მმართველმა ივანე ათაბაგმა, აღმულას ძემ, გაუწია. ალექსანდრე მეფემ სასტიკად დაამარცხა და კოსტის ოვს ტყვედ წაიყვანა ივანე აღმულას ძე (1415 წლის დამდეგს). მეფე „შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორიაპყვნა ურჩინი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხა ერისთავნი თვისნით“ — ამბობს ვახუშტი³. ამჯერად ალექსანდრემ „შეიწყნარა“ ურჩი ივანე აღმულას ძე და ათაბაგობა მასვე შეარჩინა.

მორიგი პირისპირ შეტაკება მოხდა ნახევარი საუკუნის შემდეგ, საქართველოს მეფის გიორგი VIII-სა და ყვარყვარე II-ს შუა⁴. ვახუშტისთვის შეუძნეველი არ დარჩენილა, რომ საქართველოს მთლიანობისთვის ამ საბედისწერო შეტაკებას წინ უძლოდა მძაფრი სოციალური ბრძოლა მეფის ერისთავებსა და ათაბაგს შუა სამცხეში. ამ შინაურ ბრძოლაში ჯაყულ-ციხისჯვარელებს, ვახუშტის მიხედვით იმერეთ-გურიის მთავართა შეწევნით გაუმარჯვნიათ. ყვარყვარემ და მისმა მომხრებმაო, ამბობს ვახუშტი, „ვიეთნიმე (მეფის ერისთავნი) მოსრეს, ვიეთნიმე დამორჩილეს და ვიეთნიმე ივლტო-

² ამის ამსახველია ამ ნაშრომში არა ერთგზის გამოყენებული A 91 საბუთი, სადაც სამცხის ტერიტორიაზე მცბოვები დიდებულების სამი ფენის ცვლას შეფერის გავაყოლოთ თვალი.

* ისტორია, II, 235.

* ათაბაგების თანამიმდევრობის აღნიშვნაში მივდევთ ამ „მასალების“ ბოლოს მოთავსებულ გამოკვლევას (გვ. 133—144).

დენ, ვითა ზაზა ფანასკერტელი წარვიდა ქართლს წინაშე გიორგი / უკრაინული გიგანტებისა და სხვანიცაო“⁵.

თუმცა ვახუშტის ქრონილოგიურ-გენეალოგიური მონაცემები ხშირად დაეცვებას იწვევს (იხ. ამაზე აქვე, გვ. 134—144), მაგრამ სწორია ისტორიკოსის მტკიცება, რომ საქართველოს მეფის ერის-თავების ჩამომცრობა-გაქრობა, კერძოდ სამცხეში, ძალადობასთან, სისხლისმღვრელ ბრძოლებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ამ აზრს იყალები ივ. გაგახიშვილიც იხილებს: „ცხადი ხდებაო, ამბობს ის, რომ... მეფე გიორგისა და მის მთავრებს შორის, დიდი უთანხმოება და სასტიკი ბრძოლა ყოფილა. მოწინააღმდეგეთა მოთავედ უეჭველია ყვარყვარე ათაბაგი უნდა ყოფილიყო“⁶.

„მეფის ყომბისგან განთავისუფლებული“ ყვარყვარე II-ის სავფლობელო თითქოს ძლიერების უმწვერვალეს წერტილზე იმყოფებოდა და თვით ყვარყვარე ლამობდა თავისი გავლენის საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე გავრცელებას⁷. ეს ძლიერება საქართველოს სხვა ნაწილების ფეოდალთა გამოიშავი მიღრეკილების წყალობით შეუნელებლად ასულდგმულებდა მესხეთის მთავართა სეპარაციულ ზრახვებს. ყვარყვარე II-ისა და მისი პოლიტიკის გამგრძელებელი მზეჭაბუკის სახელმწიფო მოღვაწეობას აშკარა მონარქისტული მისწრაფება ემჩნეოდა.

მაგრამ, როგორც ეს ახალი მასალების შუქზე გამოვლინდა, ათაბაგების ხელისუფლებას შიგნიდან დაუძლეველ წინააღმდეგობათა ჭია ლრღნიდა. ეგრეთ წოდებულმა საეკლესიო დავამ, რომელსაც „მეტად დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა“, მკვეთრი ხასიათი მიიღო. სამცხის არისტოკრატიის საგრძნობელი ნაწილი მიწისმფლობელობის გარდუვალი ფეოდალური წესით მცხეთის საკათალიკოსოსა და ქართლის სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული და თავს ათაბაგების ყმებად არ გრძნობდა, ოპოზიციაში უდგა მათ.

საათაბაგოს დაპყრობა ბაგრატ III-ის მიერ

მზეჭაბუკის ხელისუფლების დაცემამ, მცხეთის საკათალიკოსო-საყდრისა და ქართლის მეფის მიმართ იმ დათმობამ, რომელიც ასა-

⁵ ვახუშტი, ისტორია, II, 235.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, გვ. 53, თბ., 1948.

⁷ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII ს.), გვ. 232, „ვახტანგ გიორგის ძე, ქართლის უცნობი მეფე“, გვ. 232 და 239.



ზულია ამ ნაშრომში გამოქვეყნებულ საბუთებში, საგრძნობლად შეკრიცხავა არყია საათაბაგოს ძლიერება. ყვარყვარე III-ის (ქაიხოსრო I-ლაშვილის) მფლობელობის (1516—1535) ორი ათეული წლის განმავლობაში, იმერეთის სამეფოს გაძლიერების შედეგად, ბაგრატ III (1510—1548), ალექსანდრე—იმერთა მეფის ძე, სულ უფრო და უფრო უახლოვდება სამცხის ჩრდილოეთ საზღვაოს. 1526 წ. იგი გადმოდის არა-დეთის წყალზე, ართმევს ქართლს ალს, სურამსა და ახალდაბას⁸.

საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა ამ დროს (განსაკუთრებით ამ კუთხის დასუსტების გამო) დიდ საფრთხეს უმზადებს როგორც ქართლს, აგრეთვე იმერეთს და აიძულებს ამ ორი სამეფოს მეთაურებს იზტუნონ თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმისათვის გზის დახშვისათვის. ასეთი გზა საათაბაგოზე მდებარეობდა.

ვახუშტის მიხედვით მზეჭაბუკი თითქოს ჭერ კიდევ 1512 წ. „მიეგება სულთან სელიმის“ ლაშქარს და ფერსათის მთით იმერეთს მიაყენა იგი, რასაც ქუთაისისა და გელათის დაწვა მოჰყვა⁹.

1535 წლის ავგვისტოს 13 (ძვ. სტ.) სამცხის ტერიტორიაზე, გავახეთის ახალქალაქის მახლობლად დატრიალდა მურჯახეთის ცნობილი ტრაგედია. ბაგრატ მეფე თავს დაესხა ყვარყვარე III-სა და სამცხის ლაშქარს, სისხლისმღვრელი შეტაკების შედეგად სძლია მას და ტყვედ წაიყვანა. ბრძოლის დაგილი ნანგრევებითა და მრავალი მოკლულის გვამებით დაითარა¹⁰. ამ დიდი მსხვერპლის წყალობით საათაბაგოს დამოუკიდებელ არსებობას ათეული წლით მოელო ბოლო (1535—1545).

ქაიხოსრო II-ის გაათაბაგება თურქეთის დახმარებით

მურჯახეთის ომთა შორის სისხლისმღვრელმა შეტაკებამ, რომელიც საპატიო პოლიტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული, მოწინააღმდეგეთა შუა უფსკრული გააღრმავა და შერიგების გზა დაახმო. სწორედ იმის გამო უწოდებს ერთი თანამედროვე მურჯა-

⁸ ბელნაწერთა ინსტიტუტის კინკლოსი S: 252. ივ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, გვ. 245; წმ. გიორგის გულანის მინაწერი (ქუთ. მეზ.).

⁹ ვახუშტი, II, გვ. 243, 235. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით თამალთა ეს შემოსევა 1509 ან 1510 წ. უნდა ყოფილყო. ისტორია, IV, გვ. 216.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, IV, II, გვ. 245; ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 334—35.



ხეთის ომს „ქრისტიანეთა წარქდენის მიზეზს“. ამ დამარცხებამ უფლის დესი ზიანი მიაყენა საათაბაგოს ოდინდელ ძლიერებას. 1535 წლიდან სამცხისათვის ახალი, განსაკუთრებით მძიმე და ორასაპატიო პერიოდი იწყება.

ბაგრატის გამარჯვებამ მოშალა საათაბაგო, როგორც თურქეთის თავდასხმის აღვილი გზა, მაგრამ სწორედ იმ გამარჯვებამ მიაყენა ხონთქარს კარზე ათაბაგობის მაძიებელი ქაიხოსრო, ყვარყვარე III-ის ვაჟი, მისი ნათესავის ოთარ შალიკაშვილის გაპირებით.

ცნობილი ანტითურქული კოალიციის¹¹ ოთხმოცი წლის თავზე სამხრეთ საქართველოს პატრონების პოლიტიკური შეგნება იმდენად დაქვეითებული აღმოჩნდა, რომ თავიანთი სამფლობელოს დაუფლებისთვის ისინი სამხრეთ საქართველოზე თურქების თავდასხმის დაჩქარებას არ მოერიდნენ.

ბაგრატ III-მ (იმერთა) და ვურიელმა მოიგერიეს თურქების პირველი ლაშქრობა (1541 წ.), რომელშიაც ქაიხოსრო ყვარყვარე III-ს ძე და ოთარ შალიკაშვილიც მონაწილეობდნენ. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თურქების გაძლიერებული ლაშქარი კვლავ მოადგა სამცხის საზღვარს. ქორნიკების ცნობით, ბასიანთან „აზრუმისა და დიაბექირის ფაშებს“ ქართლ-იმერეთისა და მესხების შეერთებული ძალები დახვდნენ; მაგრამ ქართველთა მხედრობაში თავი კუთხურმა განხეთქილებამ იჩინა და ეს გარემოება ბრძოლის წაგების მიზეზად გამხდარა. ამ დამარცხების შედეგად ქაიხოსრო ჭაყელში ათაბაგობა მოიპოვა.

საქართვისი იყო ხუთიოდე წელი, რომ ჭაბუკ ათაბაგი თურქების „დახმარების“ მოელი დამღუბველი მნიშვნელობა შეეგნო.

სწორედ იმ წლებში, როდესაც ქაიხოსრო ჭაყელი და ოთარ შალიკაშვილი თურქებს დასახმარებლად იწვევდნენ, ირან-ოსმალეთის ქიშპობა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დაპყრობისათვის უკიდურესად გამწვავებული იყო. სამცხის ათაბაგთან მეგობრობამ, რაც თურქებს არც ისე იაფად დაუჭდათ, რა თქმა უნდა, არ დააბრკოლა საქართველოს დაპყრობისათვის დასახული გევმები.

ეს დაპყრობა ბუნებრივად მესხეთის სამხრეთ საზღვრებიდან უნდა დაწყებულიყო.

„ტაოს ქუცყანა დაიჭირეს ურუმთა“—გოდებს უცნობი ქრისტიანობი 1550 წ. და სამიოდე წლის შემდეგ მესხი მემატიანე გვაუწყებს:

¹¹ ივ. ჭავახიშვილი, ისტორია, IV, 1948, გვ. 66—77.



—არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა და არსიანამდის დაიჭირეს ქართული ფორმის „შემოსევების“ განახლებაზე.

თურქების ეს დიდი ლაშქრობა იმ დროს ხდებოდა, როცა შავთა-მაზის შემოსევები (1541, 1547) სულ უფრო და უფრო გააფორმებით ატყდებოდა თავს ყიზილბაშებთან ბრძოლაში იზოლირებულად დაზ-ჩენილ ქართლს და საქართველოს სამხრეთ საზღვარზე თურქების წარმატებით შეშფოთებული შაპი საქართველოს შიგნით მოკავშირე-ებს ეძებდა.

ასეთ დროს შეაქცია ზურგი თურქებზე გულაცრუებულმა ქაი-ხოსრო ათაბაგმა ხონთქარს და პირი ირანის მმრდანებლისაკენ იბრუ-ნა¹².

ლურსაბ მეფის მომხრე დიდებულები მესხეთში

ფარსადან გორგიჯანიძემ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა ქართ-ლის მეფის ლურსაბის შეუპოვარ ბრძოლაზე ყიზილბაშ დამპყრობ-ლების წინააღმდეგ. ლურსაბის მეთაურობით წარმოებული გმირუ-ლი თავდაცვის ეპოდებით მოხიბლული ისტორიკოსი დიდი ყურად-ლებით ეკიდება ქართველთა წინააღმდეგობის ცალკე ეპიზოდებს და, ირანულ მასალებზე დამყარებით, უხვად შეაქვს ისინი თავისი ის-ტორიის ფურცლებზე. ქაიხოსრო ათაბაგის შავთამაზთან დაკავში-რება ლურსაბს ბუნებრივიდ ზურგიდან ლალატურ თავდასხმად ჩა-უთვლია და საპასუხო ზომები მიუღია. ქართლის მეფემ საათაბაგოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაიპყრო. ქაიხოსრო ათაბაგმა ეს ამბავი და თურქების მიერ ტაოს დაკერა შაპთამაზს აცნობა.

ამ საჩიგართან დაკავშირებით შავთამაზში 1552 წ. სასწრაფოდ მესამეჯერ გაილაშქრა ქართლზე. ის დიდი ქარით პირდაპირ სამცხეს მივიდა.

ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „მესხთ თავადები, ქაიხოსრო ყორყორეს შეილის ურჩნი და მეფის ლურსაბის მიმდევნო, აიყარნეს და ციხეთა და ქვაბთა შიგან დაიხიზნეთ“¹³.

აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „თვით მესხეთის მოწინავე წრეებში, მესხ თავადთა შორის ქაიხოსრო ათაბაგის პოლიტიკური გეზის მოწინააღმდეგენი ბევრნი აღმოჩნდნენ, ისინი ლურსაბ მეფის მიმართულებასა და ქცევას უფრო ემსრობოდნენ და მისდევდნენ კიდეც. ამის წყალობით გმირ ქართლის მეფეს თვით მესხეთში მომ-რენი და ზურგის გამმარტებელნი ჰყავდათ“¹⁴.

¹² ივ. ჯავახიშვილი, IV-II, 1948, გვ. 250.

¹³ ფ. გორგიჯანიძე, 273.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ისტორია, IV, გვ. 251.



ლუარსაბის მიმღევარნი მესხეთის მრავალრიცხოვან გამოქვეშა უფლის მათ შორის ვარძის დიდებული მონასტრის ციხე-ბუნებრივი ყოფილან დედაწულით შეხიზული და გამაგრებული. ისინი თავგან-წირული წინააღმდეგობით დახვდნენ შაპთამაზის თავდასხმას, დიდი ზიანი მიაყენეს მტერს და უმეტესობამ თავი შეაკლა ამ ბრძოლას. ბრძოლის ფარგლები და ის ზარალი, რომელიც ფ. გორგიგანიძის გა-დმოცემით მოსვლიათ ყიზილბაშებს, მოწმობს რამდენად ძლიერი ოპოზიცია პყოლია ათაბაგების პოლიტიკას მესხეთში.

ამ დიდ ბრძოლებს ადამიანებთან ერთად შეეწირა ქართული. ხე-ლოვნების ერთ-ერთი უშესანიშნავები ძეგლი—ვარძია. ირანის ის-ტორიკოსის ცნობით, გამარჩვებული მტრები იმდენად განცვიფრებული ყოფილან ვარძის სიმდიდრით და დიდებული სანახაობით, რომ თვით შაპთამაზი ასულა გამოქვაბულებში ქართული ხელოვნების ამ საარაკო ნიმუშის სანახავად. შაპთა ჩამოახსნევინა ვარძის ტაძრის მდიდრული კარები, გაძარცვა ლვოისმშობლის შესანიშნავი ხატი, გაიტაცა მონასტრის მთელი ფასდაუდებელი განძი და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, დაანგრევინა არქიტექტურის ეს გრან-დიოზული ძეგლი, რომლის ნაშთიც დღესაც აოციბს მნახველის თვალს.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ჯაყელ-ციხისჯვარელთა ნაში-ერებმა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ქრისტიანული კულტის ესოდენ სათაყვანებელი სიწმინდის დალუპვით მორწმუნეთ თვალში უდიდესი მკრეხელობა ჩაიდინეს და მით თავიანთ შერყეულ ვეტო-რიტეტს არამცირედი ზიანი მიაყენეს. ეს მოხდა ამასის ზავშე აღ-რე, როცა ლუარსაბის მეთაურობით გაჩაღებული წინააღმდეგობა, მიმართული როგორც ყიზილბაშების, ისე თურქების მოსაგერიებლად, უდიდეს თანაგრძნობას იწვევდა დაშლილი საქართველოს საუკეთესო ადამიანების გულში.

ასეთი ნაძრახი საშუალებით შეინარჩუნა ძალაუფლება სამცხის ათაბაგმა ქაიხოსრო II-მ (1545—1573), რომელიც 1570 წლიდან სიკვდილამდე ყაზვინს, ირანის შაპთის „წინაშე“ იმყოფებოდა; მისი-სიკვდილის შემდეგ, მის კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა უფროსი ვაჟი ყვარყვარე IV (1574—1581).

„მესხური მატიანის“ მნიშვნელობის შეფასებისას დღემდის უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავდნენ, რომ მატიანის ცნობები ადასტურებენ და ზოგჯერ ასწორებენ და ავსებენ უცხოური წყაროების ცნობებს სამხრეთ საქართველოს თურქებისგან დაპყრობის შესახებ. აღნიშნულია აგრეთვე, რომ თურქეთის გადამწყვეტი ლაშქრობა 1578 წ. გაზაფხულზე, სხვათა შორის, საათაბაგოს შინაური განხეთქილების გაღრმავებით იყო დაჩქარებული (მ. სვანიძე). მაგრამ რას წარმოადგენდა ეს შინაური ბრძოლა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ლია კარგები დაახელდრა მტერს, როდის, რა მიზეზით დაწყო ან როდის შეწყდა იგი, გაურკვეველი რჩებოდა.

ეს საკითხი გაშუქებას მოითხოვს.

1561 წელს, რომლითაც იწყება თავნაკლული „ქრონიკის“ ჩაწერები, რამდენიმე წელი იყო გასული ირან-თურქეთის ნახევარ-საუკუნოვანი ბრძოლის დროებით შეწყვეტის შემდეგ. 1561—76 წლები თავნაკლული „ქრონიკის“ ფურცლებზე ქაიხოსრო II-ისა და დედისიმედის შვილების დაბადების, დაქორწინებისა და ორ შემთხვევაში უდროოდ გარდაცვალების ამბებით არის აღნიშნული (მხ. 1—23).

ამ წმინდა ოჯახურ, შინაურ ამბებში, სხვათა შორის, გამონაკლის წარმოადგენს თვალშევენიერის ყაზვინს გამგზავრების ეპიზოდი.

მემატიანე ლალატობს თავის ჩვეულებრივ სიტყვაძვირობას და მთელ 12 სტრიქონს უძლვნის ამ გამგზავრებას, რომელიც 1573 წლის მაისის 27-დან ნოემბრის 20-დე (და კიდევ უფრო მეტ დროსაც) გრძელდება. აქ ყურადღებას იძყრობს ის გარემოება, რომ სხენებული გამგზავრება ლაშქრის მონაწილეობით ხორციელდება და მით სამხედრო ექსპედიციას წააგავს. ცხადად ჩანს, რომ ათაბაგთა სახლის წევრები საკუთარ სამფლობელოში თავს მაინცდამაინც უზრუნველად არ გრძნობენ.

თვალშევენიერის სამცხის გორიდან ერევანს მშვიდობით გამგზავრების გამო მემატიანე კმაყოფილებით აღნიშნავს: „ამას უკანასღელი საქმე ლმერთზე ჰკიდიაო“ (მხ. 11).

ამის შემდეგ გადის საათაბაგოსთვის დიდად მნიშვნელოვანი ორიოდე წელი. ქაიხოსრო II ათაბაგის გარდაცვალებიდან (ყაზვინში, 1573) ჯავალ-ციხის გვარელებს ირანში დიდი წონის წარმომადგენლი აღარ ყავთ. სამცხეს მართავს საკმარისად სუსტი ხელისუფალი

ყვარეყვარე IV, ქაიხოსრო II-ის პირმშო ძე. აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირულად მებრძოლი ქართლის მემკვიდრეობა ფე სიმონ I 1569 წლიდან ირანის ტყვეობაშია და მის ნაცვლად ქართლს რენეგატი დაუთხან განავებს. თურქეთი, 1555 წ. დადებული ზავის მიუხედავად, მკეთრად უპირისპირდება ირანს. ორი ავრესორის შეტაქებას აჩქარებს ირანის ტახტის მემკვიდრეთა შორის შაპ-თამაზის სიკვდილთან დაკავშირებით (1576, მაისის 15—მს. 24) ატეხილი შულლი.

ასეთ რთულ პოლიტიკურ ეითარებაში მეღავნდება საათაბაგო-ში ჯაყელ-ციხისჯვარელთა საშინააღმდეგო დიდი შეთქმულება, რომელიც ჩქარა ფართოდ გაშლილი ხანგრძლივი აჯანყების სახეს იღებს.

შინაური ომის ქრონოლოგიური ფარგლები

ათაბაგთა სახლს შეთქმულება მოულოდნელად ატყდება თავს. ყვარეყვარე IV, მისი ძმა მანუჩარი, მათი ბიძაშვილი ერეკლე მუხრან-ბატონი მიდიან ერჩის ირანს გასაგზავნად ულაშეროდ, „ავ-კარგად სამოცამდის კაცის“ თანხლებით. ამ სამოცა კაციდან, როგორც შემდეგში ირკვევა, რატომდაც მხოლოდ „ოცამდე შეკაზმული კაცი იყო“ (მს. 25—26). ამავე დროს ამ ოპერაციის სერიოზულობას მოწმობს სამცხის ყველა მეთაურის მონაშილეობა (დედისიმედის გამოკლებით).

მემატიანე (ზაქარია), რომელიც იმთავიდანვე მოწამე და მონაწილეც არის ათაბაგების გამგზავრებისა და მეამბოხეებთან მათი ბრძოლების, არ აღნიშნავს არც ექსპედიციის გამგზავრების, არც შეთქმულთა მოქმედების დაწყების ზედმიწევნილ თარიღს (თვის რიცხვსა და შვიდეულის დღეს). იგი გვამცნობს მხოლოდ, რომ ამბები დატრიალებულა „ამასცე (1576) წელსა, ივნისსა“. სხვა შემთხვევებში მემატიანე განუხრელად იცავს თვის რიცხვისა და კვირის დღის აღნიშვნის წესს. ამ წესის დარღვევა უეპველად იმის მაჩვენებელია, რომ ჯაყელ-ციხისჯვარელები შეთქმულების დასაწყის პერიოდში კარგა ხანს ყოფილან დაბნეული მოულოდნელობისაგან. თარიღების ჩვეულებრივი წესით აღნიშნვას მემატიანე ახერხებს შეოლოდ ივნისის 30-დან, როდესაც შეთქმულების პირველი ცდა მარცხით მთავრდება—შეთქმულებმა ვერ მიუსწრეს „ბატონებს“ სამშუბო ლელეში და ათაბაგებმა ძალი მოიცეს, ლაშერის შეკრება იწყეს. მემატიანე შემდეგშიაც ალაგ-ალაგ დიდ ხარვეზებს ტოვებს ამბების გადმო-



ცემაში, განსაკუთრებით ისეთ პერიოდებში, როცა მოწინააღმდევე მსარე გაძლიერებული ენერგიით განმეორებით უტიქს ათაბაგეტიშვილისა ციხეებს.

ამბების გადმოცემიდან ცხადი ხდება, რომ 1576 წლის ივნისში დაწყებული შეთქმულება და „ბატონების“ საპასუხო მოქმედება მის დასაცხრობად 1578 წლამდის, გრძელდებოდა და დამთავრებული არ იყო ხსენებული წლის ოებერვალში, როცა „ოთმანიანი რვაათასი კაცი“ თავს დაისხა ყარახანს და ამით განახლდა თურქებისა და ყიზილბაშების მორიგი შეტაკება ამიერკავკასიის დაუფლებისათვის (მხ. 44).

აჯანეებულთა შემაჯგენლობა

მემატიანე გვაწვდის ცნობას სამცხის „ბატონების“ საწინააღმდევო შეთქმულების დამწყებ პირთა შესახებ. ამათში პირველად იასონ ბედანის შვილი იხსენიება¹⁵. ამან (იასონ ბედანის შვილმა) აცნობა რამდენიმე დიდგვარიანს ათაბაგის სახლის წევრების ულაშქროდ გამგზავრება ელჩის ყაზვინს გასაგზავნად. იასონ ბედანის შვილი მომდევნო ამბებში არსად ჩანს და მას მეთაურთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ. სამაგიეროდ ისინი, ვისაც ბედანის შვილმა „ბატონების“ საღვომი აცნობა, შალიკაშვილები: ვარაზას შვილები კოკოლა და ლაშქარა და მათი ბიძა გურგევ¹⁶, მათი მომხრეები: დიასამიძის ელიას შვილები ავთანდილ და შერმაზან (ავრეთვე, უპირველეს ყოვლისა, თვით ელია), ამატკის შვილები ამატაკ, აბლუყაფარ, როსტომ და სენია უეჭველად ამბოხების მხურვალე მონაწილეებად უნდა ჩავთვალოთ. მათ შორის მეთაურებად, ათაბაგთა სახლის ყველაზე შეურიგებელ მტრებად შალიკაშვილები ჩანან.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჩამოთვლილი სამი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები სამცხის თავადების იმ ჯგუფს ეკუთხნიან, რომელიც შეტანილია „მცხეთის ეკლესიისა ძუელითვან საქონებელ და სამწყსო თავადთა“ ცნობილ სიაში [Ad:91]: დიასამიძენი ღობიერთა ნასახლარზე იყვნენ დაბინავებული (მხ. 8), შალიკაშვილები ორი დიდი მამულის—ოთის ციხე-დარბაზისა და თმოგველთა საპატრიონოს თავადებად იხსენიებიან (მხ. 11 და 13); ხოლო ამატაკიანი, ანუ ამატკის შვილნი სენებულ სიაში ხერთვი-

¹⁵ არა ვართ დარწმუნებული, რომ ბედანის შვილი ამ პირის გვარია და არა მამის სახელი. მსგავსად ვარაზას შვილისა (შალიკაშვილის).

¹⁶ ეს უკანასკნელი ხან შეთქმულებს უკერდა მხარს, ხან „ბატონების“ მხარეზე გადადიოდა.

სართა და „ქიმქამისძისა ეულთა ზედა“ დამკვიდრებულად არიან ჩა-
წერილი (მხ. 12).

ათაბაგების ერთგულად არ ჩანან აგრეთვე რჩეულიანნი. მათ
მისამხრობად „ბატონებს“ საგანგებო ზომების მიღება სჭირდებათ.
„ბარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდეგით, რჩეულიანნი შემოვი-
წყუშნით“—მხ. 26].

შეთქმულთა მალები

შეთქმულთა რიცხვი იმთავითვე დიდი ყოფილა. მეთაურებს, წა-
რჩინებულ თავადებს, პირველი დღეებიდანვე, ბუნებრივია, თავიან-
თი მსახურებისა და აზნაურებისათვისაც მოუყრიათ თავი („დაეკაზ-
მნეს ხუთასამდი კაცი და წამოვიდეს“—მხ. 25, 30).

შემდეგში, როცა შეთქმულებამ ხანგრძლიერი და ფართო ამბო-
ნების სახე მიიღო, უეპველია, ურჩი თავადები ჯაყელ-ციისსჯვარელ-
თა ლაშეარს კიდევ უფრო მნიშვნელოვან ძალას დაუპირისპირებდ-
ნენ. ამას მოწმობს როგორც ავანენების გავრცელების ტერიტორი-
ული ფარგლები, ისე მისი ხანგრძლიობა.

შეთქმულთა მიზანი

„შესხური მატიანის“ იმ ნაწილის ავტორმა, რომელსაც 1576
(ივნისის)—1578 წწ. ამბების ქრონიკა შეუდგენია, შემოვებინახა სრუ-
ლიად გარკვეული ცნობა შეთქმულების თავდაპირველი მიზნის შე-
სახებ. შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ჯაყელ-ციისსჯვარელთა
მთელი სახლის ამოელეტა, დიდით-პატარამდის. როცა ეს პირველი
გეგმა ჩაითუშა, რადგან, ეტყობა, შეთქმულების მეტად დიდმა რი-
ცხვმა მიიპყრო მოსახლეობის ყურადღება და „ბატონების“ ერთ-
გულმა პირებმა სწრაფად აცნობებს მათ თავადების განზრახვა, „გაწ-
ბილებულმა“ შეთქმულებმა ოცითონ განაცხადეს: „არ გაგვსწრობო-
დეს (ბატონებიო), თავებს დაგსჭრიდით და მკუდარს ასოასო ავიქ-
მოდიოს“ და ეს გუშქნა, მარტუილებსაც⁷¹ არ გაუშუშდით ცოც-
ხალსაო“ (მხ. 26).

პირველი განზრახვის ჩაშლამ არ დააცხრო შეთქმულების მეთა-
ურთა გულისწყრომა. თუ „ბატონებმა“ შალიკაშვილთა კიხე-სიმაგ-
რეებს მიაშურეს, შეთქმულებმა მათ გზა გადაულობეს და ირანს ელ-
ჩის გაგზავნა შეუფერხეს. ეს მოხდა არა ერთხელ და ორჯერ, არა-
მედ ხუთჯერ მაინც ავანენების მიმდინარეობის განმავლობაში, 1576
წლის ივნისიდან 1578 წლის თებერვლიმდის.

⁷¹ მარტუილებს—ე. ი. ყმაწვეილებს, ბაქშვებს.

აჯანყებული თავადების მოქმედება, როგორც აღვნიშნეთ, უმეტეს ნაწილად იქითკენ იყო მიმართული, რომ ათაბაგებისათვის დამატებული ირანს ელჩის გაზიარები შეეშალათ ხელი. „მატიანეში“ ეს იმდენად ცხადად ჩანს, რომ ვახუშტის მეამბოხე თავადები თურქების მოკავშირებად მიაჩნია: „ვარაზას ძემან კოკოლამ და ვიეთთამე მესა-თა უწყეს ზრახვა ხონთქარსათ“, ამბობს იგი¹⁸.

ვახუშტის ეს ვარაზუდი არ უნდა იყოს სწორი. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მაშინ როგორდა აეხსნათ, რომ სწორედ კოკოლა-ვარაზას შვილი (შალიკაშვილი) უკავშირდება ყარახანს და მისი დახ-მარებით დღილობს ხელიდან გამოგლიჯოს თმოვვი ყვარყვარესა და მანუჩარს: „შეიყარა კოკოლამა ყარახან, წამოვიდა თმოვვზე მო-საშველებლად“... ვეითხულობთ“ შესურ მატიანეში“ (მხ. 43).

ვახუშტის ხსენებულ აზრს რომ საფუძველი ჰქონდა, ეს გა-რემოება საათაბაგოს თურქებისაგან დაპყრობისთანავე იჩენდა თავს; აჯანყების მეთაურები ყველაზე ადრე შეურიგდებოდნენ დამპყრობ-ლებს და იმათვანაც როგორმე გამორჩეული და შეწყნარებული იქ-ნებოდნენ.

სინამდვილეში ასე არ მომხდარა. როცა სამცხის თავადება უმორად სძლვნობენ მუსტაფა-ლალა-ფაშას ციხეებს, აქ ვერდავთ ამილახორიშვილ ქოიარს, რომელიც არტაანს მიეგება თურქების სარდალს და ორი ციხე შესძლვნა მას 1578 წ. მარიამობისთვის 2-ს (მხ. 50) და ართაქსად [ამატეიშვილს]. ართაქსად წინასწარ დაპირე-ბოდა ლალა-ფაშას ექვსი ციხის გადაცემას („ართაქსად პბირებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა“—მხ. 51). მაგრამ საყურადღებოა, რომ ამათ სახელებს „მესა-ხურ მატიანეში“ მისდევს ცნობა: ართაქსად „პატრონს-მანუჩარს თან მიჰყვაო“. (მხ. 51, მანუჩარზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ასე რომ ვახუშტის ეჭვებს საფუძველი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა ობიექტურად აჯანყებულების ოცთვიანმა ბრძოლამ ათაბაგების წინააღმდეგ, სწორედ თურქების გადამწყვეტი ლაშქრობის „წინა დღეს“, რა თქმა უნდა, გზა გაუსნა მტერს.

ამბოხების საბოლოო მიზანი, რამდენადაც ეს მოძრაობა მაინც ტიპიური თავადური შეთქმულება და ბრძოლა იყო, უნდა ყოფილა-ყო ამბოხებული თავადებისათვის დიდი ხნიდან საძულველი ათაბა-გების ყმობისაგან, ანუ ბატონობისაგან განთავისუფლება. საქართვე-ლოს ისტორია XV—XVI ს., და კიდევ უფრო გვიანდელი, მსგავსი ფეოდალური გამანადგურებელი შუღლის მრავალ მაგალითს გვი-ჩვენებს.

¹⁸ ვახუშტი, ისტორია, II, გვ. 248.

დღეს ჩვენ გვაოცებს აჯანყებულთა სრული წინდაუხედალში, მათი ბრძოლის უპერსპექტივობა, შედეგების გაუთვალისწინებულობა, რაც ერთიანად და თავდაულწევლიდ სჩეკორ-თველოში შემავალ მოზრდილ პოლიტიკურ ერთეულებს, ისე შედარებით პატარა სათავადოებს, დროთა განვალობაში გაჩენილ უმცირეს ფეოდალურ სახლებს. „ყოველი საქართველოს“ სახელმწიფოს ეს ნამსხვერევები, განსაკუთრებით მისი თურქეთის გარემოცვისა და გავლენის სფეროში მომწყვდეული ნაწილები, XVIII ს. დამლევამდის ინარჩუნებენ გამოყოფის, დაშლის, დაქუცმაცების ტენდენციას.

პოლიტიკური აზრის უბადრუკობამდე დაქნინება მეტად დამახასიათებელია იმ საუკუნეებისთვის, როდესაც განუწყვეტელი მტრული გარემოცვის გამო გაუვალ ჩიხში მომწყვდეულ ქვეყანას წარმეული ჰქონდა ელემენტარული პირობები ეკონომიური განვითარებისა და წინსვლისათვის; დაცემული იყო ვაჭრობა-ხელოსნობა, მოიშალა სასოფლო მეურნეობა და ამ უკანასკნელის მთვარი დასაყრდენი—გლეხი შეუზღუდავი, თავაშვებული ცარცვის ობიექტად გადაიქცა.

სამხრეთ საქართველოს დიდებულების აჯანყებას, დამატებით, ასულდგმულებდა კიდევ ერთი გარემოება—ისინი, უმეტეს ნაწილად, ფლობდნენ ჭავახეთის ტერიტორიაზე მდებარე მამულებს. მემატიანე ერთგან სრულიად გარკვევით ამბობს: „ყუშლილიდამა თმოგუს წავიდა ბატონი დედისიმედი. იქიდამა ბატონი მანუჩარ ჭავახეთს წავიდა, ფოსო და ჭავახეთი დაარბივა“ (მხ. 43).

ჭავახეთი ხომ იმთავიდანვე განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართლის სამეფოსთან. 25 წ. არც კი იყო გასული მას შემდეგ, რაც ქაიხოსრო ათაბაგის [11] საჩიტოითა და წაქეზებით შაჰთამაზმა აიღო, გაძარცვა და დალეშა ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი ვარძია: თმოგვის ციხე და სხვა სიმაგრეები და დახოცა ათაბაგის ურჩი დიასამიძე, ვახუშტი, ამოან (შალიკაშვილები?)¹⁹. უეჭველია, შურისძიების გრძნობა შეუნელებლად ღვივოდა მათ ჩამომავალთა გულში.

ათაბაგთა სახლის სამხედრო მაღლები

არ შეიძლება ითქვას, რომ ათაბაგებს ამ დიდი აჯანყების დროს მომხრეები არ ჰყოლოდეს და რომ მათ განკარგულებაში სამხედრო

¹⁹ ივ. ჭავახი შვილი, ისტორია, IV, გვ. 252; ფ. გორგი ჭანიძე, ისტორია, გვ. 213—214.

ძალები არ ყოფილიყოს. ჭირასონ ფანასკერტელმა და ყანდურალუ დოლენჯიშვილმა, გაიგეს თუ არა აჯანყებულთა განწრახვა, შესაძლებელი სისწრაფით აცნობეს „ბატონებს“ და მით იხსნეს ისინი გა- ჟღერტისაგან. ამ მოულოდნელი ცნობის მიღების დროს „ბატონებს“ თითქოს მხოლოდ ოცმდე შეკაზმული კაცი პყოლია (მხ. 25).

მაგრამ „დავარდა ქმაც“ თუ არა, მაშინვე იწყო „მოდენა“ გაყელ- ციხისჯეარელთა ლაშქარმაო, ამბობს მემატიანე (მხ. 26), ამ ლაშქრის რაოდენობა არ ვიცით. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ოციოდე თვის შემდეგ, 1578 წლის თებერვლის 26 რიცხვს, როცა მემატიანის სი- ტყვით, „პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, ლაშქარი შეიყა- რეს, წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს“, „ოთმანიანთ რეათას კაცთან“ საბრძოლველად (მხ. 44), მანუჩარი „ექვსიათასი აზნაურით“ გამო- ცხადებულა²⁰.

ამის მიხედვით აჯანყებულებთან გასამკლავებლად ყვარყვარე- სა და მანუჩარს სერიოზული ძალა შეეძლოთ გამოეყენებიათ. აჯანყების დასაწყისში ხსენებული ლაშქრის რაოდენობა კიდევ უფ- რო დიდი უნდა ყოფილიყო.

აჯანყებულებთან ბრძოლის არე

1576 წ. ივნისში, აჯანყების დასაწყის პერიოდში, ყაზვინს ელ- ჩის გასასტუმრებლად მგელციხისაკენ მიმავალი „ბატონები“, მემა- ტიანის ცნობით, სამოციოდე კაცის თანხლებით სამწუბთ ღელეში²¹ დაბანაკებულან. შალიკაშვილების მეთაურობით გაშლილმა მოძრაო- ბამ თავი იჩინა სამწუბთ-ღელიდან კარგა მოშორებით, სამხრეთ-აღ მოსავლეთით მდებარე ოლადის-ქვაბში.

ქედან (ოლადის ქვაბიდან) დაწყებული მოძრაობა მიემართე-

²⁰ ცნობა ამოღებულია მ. სვანიძის შრომიდან „სამცხე-საათაბაგოს ის- ტორიიდან XVII ს. პირველ ნახევარში“, თბ., 1953, გვ. 59—60.

²¹ უნდა იგულისხმებოდეს ს. ჯიქიას რედაქტორობით ალ. ასლანიკაშვი- ლის შედგენილ რუკაზე აღნიშნული პუნქტი სამწუბი, რომელიც მდებარეობს ურაველის წყლის შენაკად პატარა მდინარის (სამწუბთ ღელის?) ნაპირას.

ბა ორთვეალთ ხიდით²² ბორგს²³, ბორგილან უგუბოს²⁴ და უგუბოდან
ლებულობენ პირველ ცნობას სამწუბთ ლელეში დაბინავებული ქაზარების
ცხის პატრონები (მხ. 25—26).

გაფრთხილებულმა „ბატონებმა ღროზე დაიხიეს უკან და
ახალციხის ახლოს მდებარე ოხერთთავის სიმაგრეს²⁵ შეეფარენ-
რავი ამ პირველ საფრთხეს გადარჩენ, ყვარყვარებ და მანუჩარმა
შეკყარეს ლაშქარი და სწრაფად გადავიდნენ თავდასხმაზე. 1576
წლის ივნისის 30-ის შემდეგ ისინი რიგ-რიგად, თანამიმდევრულად
იერიშით იღებდნენ და არბევდნენ აჯანყებულთა ქალაქებს, ციხე-
ბურჯებს და ქვაბებს.

ეს პირველი ოპერაციები შედარებით იოლი იყო. 1576 წ. ივ-
ნისის 30-დან ივლისის 19-მდე „პატრონებმა“ შესამჩნევ წარმატებას
მიაღწიეს.

ყვარყვარებ და მანუჩარმა, უპირველეს ყოვლისა, შალიკა-
შვილთა საბუდარს—თმოვეს მიაშურეს. მოარბიეს თმოვეის ციხე
და ქალაქი და შემდეგ ოდნავი მიხვევ-მოხვევით სამხრეთისაკენ გაე-
მართენ. მათ იერიშით აიღეს შალიკაშვილთა სიმაგრეები, ოლადის
ქვაბის ჩართვით (სწორედ ოლადის ქვაბიდან დაიწყო შეთქმულთა
მოძრაობა). ამ ოპერაციას ჯაყელ-ციხისჯვარელებმა სულ 19 დღე
მოანდომეს (მხ. 26—27). ცოტაოდენი დასვენების შემდეგ ლაშქარი
მიუხდა ფოსოს (იგივე ხოშურეთი, იგივე ჩუღურეთი)²⁶, დაწვა, ამო-

²² ორთვეალთ ხიდი ჩვენ პროფ. ს. ჯიქიას დასახელებული ნაშრომის III
ტ. გვ. 372 მოხსენებულ ორთულის წყალზე (родник Ортул) მდებარე ხიდი
ჩვეობითა.

²³ ბორგი, ყოველ მჭეს გარეშე, „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“
ბორგი უნდა იყოს (იხ. ტ. III, გვ. 535—536 და ს. ჯიქიას რედაქტორობით
ალ. ასლანიკაშვილის შედგენილი რუკა).

²⁴ ბორგის სიახლოეს მდებარე უგუბო უნდა იყოს „გურჯისტანის ვილა-
იეთის დავთარში“ გუგუბას სახელწოდებით შეტანილი გეოგრაფიული პუნქტი.
ს. ჯიქიას კაპიტალური ნაშრომის III ტ. დართულ რუკაზე „ბორგი“ და „გუგუბა“
ერთმანეთის გვერდით არის ფიქსირებული (იხ. III ტ., გვ. 532—533 და რუკა).

²⁵ ოხერა ს. ჯიქიას ნაშრომის III ტ. მიხედვით ორ სხვადასხვა ადგი-
ლას მდებარე პუნქტია. ერთი ამათგანი მევლინის ახლოს მდებარეობს (გვ. 429), მეორე—აზალციხის აღმოსავლეთით (გვ. 234 და რუკა). სამწუბთ-ლელეში
დაბინავებულმა ბატონებმა, უკეცველია, ამ მეორე ოხერასთან დაკავშირებულ
ოხერათ-თავის სიმაგრეს მიაშურეს სხვა შემთხვევაში მემატიანე ვერ იტყოდა:
„უკმოდებ თხერათავს სიმაგრესა“.

²⁶ აღარ შევჩერდებით აქ ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტების მდება-
რეობის გარკვევაზე. დაინტერესებული მკიონზელი ადგილად იპოვის მათ პროფე-
სორ სერგი ჯიქიას შესანიშნავი ნაშრომის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი
დავთარის“ III ტომში (თ. 1959) და ამ ტომისათვის დართულ, ს. ჯიქიას
რედაქტორობით შედგენილ რუკაზე, ამავე III ტ. გრელი ჟიროგრაფიულ სა-
ხელთა საძიებლის შეშევიბით.

წყვიტა, დაარბია და გაძარცვა ეს ღდვილი, ხადაც, ეტყობა. ავანუ ბულთა ხაზინა და ქონება იყო შეფარებული. ლაშქრის ეს პირველი მომრაობა ჩრდილის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე შედებაზე, აღმოსავლეთისა და კამაროვანის დაწყვით და დარბევით დამთავრდა. ამ უკანასკნელი პუნქტიდან (კამაროვანიდან) საათაბაგოს პატრიტეჭია, შაპთან ელჩი გაგზავნეს.

ამით ავანუ ბულებთან ბრძოლა არ დამთავრებულა, ოცი რეზ განმავლობაში (1576 წლის ივნისიდან 1578 წლის ოქტომბერისამდე) ათაბაგების ლაშქარს, ეტყობა, ხუთჯერ მაინც შოთხდა ჰენიშნელი აღვილების ბრძოლით აღება. „მესასურ მატიასებში“ ხრულიად გარკვევით არის აღბეჭდილი ფოსოს (ხოშურეთის თერ ხელურეთის) და საგულისხმებელია, საერთოდ ჯიგისეთის ხუთჯერ დარბევა და მერჯვის არჯერ აღება ყვარუვარება და მინუჩიჩისიანი. დამისწირავებულია, რომ მემატიანე უმეტეს ნაწილიდ მხოლოდ წარმატებით დაწიავრებულ ოპერაციებს აღნიშნავს და ავანუ ბულთა საბასუხო მშექმედებას დუმილით უვლის გვერდს. ნათლად ჩანს, რომ 1576 წლის დაწყებული ბრძოლის არე 1578 წ. იანვარში გაფართოებული ყურადღიანი ფილა. 1577 წლის მარტში კოკოლა შალიკაშვილი ახნის მწამის სტუცებს ხელიდან ათაბაგებს. ამის გიგებთ იმის წყალობით, ჭრა, მუნუჩირი სწრაფად ართმევს ამ სიმაგრეს (ივი შალიკაშვილების აზეუ), ავანუ ბულებს. ჩრდილოეთით ბრძოლა შალიკაშვილებისავე, რთუნი ციხემდის აღწევს, დასავლეთით დედისიმედი და ბერე ავანუ მულებს ხელიდან აცლიან ყველის ციხეს.

ათაბაგების ლაშქარი, ეტყობოდა, მათვე ცდილა ბრძოლით აქტ შალიკაშვილების უდიდესი სიმაგრე—ქავის ციხე. მხოლოდ გარე გაე შალიკაშვილის „შემოწყობით“ (ანუ მისი შეთანხმებით, მისი, ღალატით) იგდეს ივი ხელთ საათაბაგოს პატრიონებმა. თუ ავანუ ბულებთან ბრძოლის არეს დაახლოვებით მაინც სივრცე-სიგანძის ხაზის განესაზღვრავთ, უნდა გთქვათ, რომ ივი ჩრდილო-აღმოსავლებთით მდებარე ოთის ციხიდან სამხრეთით ჩრდილის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირამდის, კამაროვანამდის მიღიოდა, ხოლო აღმოსავლებთით მდებარე ვანის ქვაბიდან დასავლეთით არსიანის მთებამდე აღწევდა, უძევლეს დროიდან ცნობილ ყველის ციხეს წვდებოდა.

ასე ვადასერა სისხლის ჯვარედინი ხაზებით ფეოდალურმა შუღლა მა მთელი ჯვანეთი და, ნაწილობრივ, საკუპრივ სამცხეც, სწორედ იმ დროს, როდესაც საათაბაგო და, მასთან ერთად, მთელი საქართველო თურქეთის აგრესის სასიკვდილო საფრთხის წირ იდგა.

ათაბაგების სახლის მონაწილეობა თურქებთან ბრძოლაში ეკრანზე
(1578—79 წწ.)

„მესხური მატიანე“ ცხადად მეტყველებს, რა დიდი ენერგია, ქონებრივი დოკლაოთი და მრავალი ქვეშევრდომის სიცოცხლე გაანია- ვა შინაურ ბრძოლაში ოდესღაც სახელგანთქმული მესხეთის იმ ნა- წილმა, რომელსაც ათაბაგები ირანის პროტექტორატით ფლობდნენ.

1578 წლის იანვარში, როცა შინაურ მტრებზე გამარჯვებულ- მა თმოვგს მყოფმა დედისიმედმა ყველინს „თვალშევნიერთან ელჩი გაგზავნა, ციხეერიბის შოვნა შესთუალა“ (მხ. 43), მისთვის ცნობილი ყოფილა კიდევაც თურქების ლაშქრის საათაბაგოს საზღვრებთან მი- ახლოვება. ციხეების შოვნასთან ერთად დედისიმედმა თავის შეიღს „ურუმთ აშლაც აცნობა“. თურქების მოახლოება ამ დროს საერთოდ ფართოდ ყოფილა გამაურებული: „ურუმთ საჩქარო ჭმა დაუვარ- დაო“, ამბობს შემატიანე.

ათაბაგების სახლის ყველა წევრმა ახალციხეს მოიყარა თავი, ომისათვის სამზადის „პატრონი მანუჩარ“ მეთაურობდა: „პატრო- ნი მანუჩარ და პატრონი ერეკლე, ლაშქარი შეიყარეს, წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგესო“, გვამცნობს „მესხური ქრონიკა“ (მხ. 43).

ამ ცნობას „მატიანეში“ მოსდევს საათაბაგოს სამხრეთ-აღმო- სავლეთ საზღვარზე თურქეთ-ირანის შეტაკების ამბების გადმოცემა: „ამასობაში ოთმანიანი რვათათი კაცი ფეხერვალს კვ (26), ოთხშა- ბათ დღესა დაესხნეს ყარახანს“ და სხვ. (მხ. 44).

მემატიანე კრეაფულებით აღნიშნავს ყარახანის გამარჯვებას პირველ ხანებში. ამბობს, რომ ყარახანი „ექვსასი კაცით დაესხა თაკ- სა, ამოსწუულიდა ურუმი, გააქცივნა, სახელსა ზედა ღისასა და გაე- მარჯუა ყარახანს და აიგსნეს საქონლითა და იარალითაო“ (მხ. 45).

